

**პერტრამ  
კატსუნგი**

**ბაზისური  
და კლინიკური  
ფარმაკოლოგია**

**მათე ბამოცაია**



**თბილისის სახელმწიფო საბიჭვინო უნივერსიტეტი**

# **Basic & Clinical Pharmacology**

tenth edition

*Edited by*

**Bertram G. Katzung, MD, PhD**

*Professor Emeritus*

*Department of Cellular & Molecular*

*Pharmacology University of California, San*

*Francisco*

**Basic & Clinical Pharmacology, Tenth Edition**

Copyright © 2007 by The McGraw-Hill Companies, Inc. All rights reserved. Printed in the United States of America. Except as permitted under the United States Copyright Act of 1976, no part of this publication may be reproduced or distributed in any form or by any means, or stored in a data base or retrieval system, without the prior written permission of the publisher.

Previous editions copyright © 2004, 2001 by McGraw-Hill Companies, Inc.; copyright © 1998, 1995, 1992, 1989, 1987 by Appleton & Lange; copyright © 1984, 1982 by Lange Medical Publications

1234567890 DOC/DOC 09876

**Set:**

ISBN 13: 978-0-07-145153-6

ISBN 10: 0-07-145153-6

**Book:**

ISBN 13: 978-0-07-145154-6

ISBN 10: 0-07-145154-6

**Student Online Resource Card:**

ISBN 13: 978-0-07-145155-0

ISBN 10: 0-07-145155-2

**Copyright © Translation into Georgian**

**Tbilisi State Medical University; N. Sebiskveradze, 2010**

**Published by arrangement with**

**«McGrawHill, USA»**

**Notice**

Medicine is an ever-changing science. As new research and clinical experience broaden our knowledge, changes in treatment and drug therapy are required. The authors and the publisher of this work have checked with sources believed to be reliable in their efforts to provide information that is complete and generally in accord with the standards accepted at the time of publication. However, in view of the possibility of human error or changes in medical sciences, neither the authors nor the publisher nor any other party who has been involved in the preparation or publication of this work warrants that the information contained herein is in every respect accurate or complete, and they disclaim all responsibility for any errors or omissions or for the results obtained from use of the information contained in this work. Readers are encouraged to confirm the information contained herein with other sources. For example and in particular, readers are advised to check the product information sheet included in the package of each drug they plan to administer to be certain that the information contained in this work is accurate and that changes have not been made in the recommended dose or in the contraindications for administration. This recommendation is of particular importance in connection with new or infrequently used drugs.

# ბაზისური და კლინიკური ფარმაკოლოგია

მეათე გამოცემა

*რედაქტორი*

**ბერტრამ კატცუნგი**

*საპატიო პროფესორი*

*უჯრედული და მოლეკულური ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი  
კალიფორნიის უნივერსიტეტი, სან ფრანსისკო*

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტი  
2010 წელი**



1. Copyright © 2010  
2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტი, 2010 წ. თარგმანი ქართულ ენაზე

ISBN 978-9941-0-2640-9  
ბეჭდვა გამოცემლობა "Mcgraw Hill"-ის ნებართვით.

**ყველა უფლება დაცულია.**  
იძრძაბა: პუბლიკაციის, მასში შექმნილი ტექსტის, ცხრილების, სქემებისა და სურათების ხმარება როგორც საჯარო გამოცემებისთვის, ასევე ასლების გადაღება პირადი მიზნებისთვის; გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი სახით; როგორც სასაგამო-საგამომცემლო (როგორცინტი, რიზოგრაფი), ასევე მექანიკური საშუალებებით - ფოტოკოპირებით, ქეროასლის გადაღებით. ინფორმაციის შენახვა-გადაცემა გამოცემის უფლების მქონე საჯარო და ფიზიკური პირების ნებართვის გარეშე. ყველა ამკრძალავი ღონისძიება თურიდიულად დაეულია კანონით საქართველოს საავტორო უფლებების შესახებ.

**მთავარი რედაქტორები:**  
თამარ კებელი  
ნიკოლოზ გონგაძე

**სარედაქციო ჯგუფი:**  
მაია ოკუჯაია  
კახა ბაკურიძე

მთარგმნელობითი სამუშაოები, ღიზინი, კომპიუტერული გრაფიკა და დაბეჭდვება შესრულებულია თსსუ-ის „საპროდუქტოლო აღმარებული სახელმძღვანელოების მარგინის“ პროექტის შარბეში.

მთარგმნელები: თინათინ კობრიკაძე, ანა ასლანიკაშვილი, დავით ბალიაშვილი, ენა თველიშვილი, დ ნათია ვაშაყიაძე, ვაჰ კოხჩიაშვილი, მარია სამხარაძე

პროექტის ხელმძღვანელი ნანა სემსკვირაძე

## შესავალი

ბერგრამ კატეჯის რედაქციით გამოცემული სახელმძღვანელო "ზამსური და კლასიკური ფარმაკოლოგია" ამ საგნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს აშშ-სა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მოიცავს ზამსურის ფარმაკოლოგიას უხელმძღვანელო პრინციპებს კლასიკური ფარმაკოლოგიის ელემენტებით, რის გამოც მეტად საჭირო და ხაინკურესია მკითხველთა ფართო უფსახიოებს, რომელიც აერთიანებს ფარმაკოლოგიის საუკუნელების შესწავლულ სკულენგებს, რემილენგებს, ფარმაკოლოგებს, კლასიკურ ფარმაკოლოგებსა და ექიმებს.

სახელმძღვანელოში ხილმისეულად და მალად შეეხიერულ დონეზე, ამავ დროს კი მკითხველთათვის აღვილად აღქმადი სახით არის წარმოდგენილი თანამედროვე მახილად ფარმაკოლოგიაში, ამიგომ შეეხიივეკითი არ არის ის უაქტი, რომ იგი უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთხელ იქნა განახლებული და გამოიცემული.

სახელმძღვანელოს თითოეული თავი ფარმაკოლოგიას ამ განხრით მოემსხვე შედგოვიერი და შეეხიერული მოდ-ეაწიობის დღი გამოცილდების მქონე აღიარებული საეეიადისგების მიერ არის შედგენილი, რაც წარმოდგენილი მახი-ლის დოვი, კერ თანმმდეკრობიიის ერთიად, ამ სახელმძღვანელოს მალად რეეისის განამირობებს. სახელმძღვანელო შეესანიშნეადა ილუგრობული და ერთიანი გეეისთაა შედგენილი.

სახელმძღვანელოს თითოეული თავი მოიცავს კონკრეტული ფარმაკოლოგიური ჯგუფის პრეპარატების შესახებ თანამედროვე ინფორმაციას, კერძოდ, ფარმაკოლოგიური ჯგუფების კლასიფიკაციებს, პრეპარატების ფარმაკოდინამიკურ და ფარმაკოკინეტიკურ თვისებებს, გვერდით მოფენებს, უკუნეებებს, შესაძლო გართი ელებებს, გამოეენების სიძველებ-სა და სიფრთხილეს, აგრეთვე დოზირებას, ამხიიანივე, სახელმძღვანელოში მოექმეადა ამბ იე იმ ფარმაკოლოგიური ჯგუფის და მათი იალკეული წარმომადგენლის აღმოსენისა და განვითარების ისგროვილი ასეეებები. წიგნი წარმოდ-გენილი ეველა სამკურნალო საშუალება მათი გენეტიკული (არაპატენგირებული) სახელით ფიგურირებს, რაც მეტად ხელსაყრელია სკულენგებისათვის, ექიმებსა და ფარმაცევტებისათვის. პერსპექტივაში წამლების საერთაშორისო სახ-ელწოდებებით აღვილდების თეალთახელოთ, ამხიიანივე, წიგნის თითოეულ თავში მოკლედ და სქემატურადაა განხილუ-ლი პრეპარატების მოქმედების პოტენციური პათოფიზიოლოგიური სამომეები, რაც მეტად მოხერხებულია მათი მოქმედე-ბის რივილი მექანიზმების შესწავლის თეალსამრისით. სახელმძღვანელოს ზამსური ფარმაკოლოგიის ნაწილში კომპაქ-ტურადაა მოექმეული წამლების ფარმაკოდინამიკისა (მოქმედების მექანიზმი მთლექულურიდან სისგემურ დონემდე) და ფარმაკოკინეტიკის (შეწოვა, განაწილება, გარდაქმნა და გამოეოფა) მომეკული ინფორმაცია, ხილი კლასიკური ფარმა-კოლოგიის ნაწილში კი განხილულია თითოეული ფარმაკოლოგიური ჯგუფის გამოეენების მეენებები, მათი მოქმედების თავისებურებები, ფარმაკოგენეტიკური, ასაკობრივი და პაციენტთა საეეიადური ჯგუფებისათვის განსამდგრული ასეეებ-ბი, წამალია ფარმაკოდინამიკური და ფარმაკოკინეტიკური ურთიერთქმედებები და წამლების დოზირების საკითხები. ეველა თავის ბოლოს წარმოდგენილია ხელმისაწვდომი პრეპარატებისა და მათი ძირითადი ფარმაცევტული ფორმების სუსხა, ამხიიანივე, წიგნი მოიცავს მრავალ ახალ ინფორმაციას ინფექციური, გულსისხლძარღვითა, ცნს-ის, აუგომენური და ავთვისებიანი დაავადებების თანამედროვე მედიკამენტური მკურნალობის შესახებ. მეტად მსიშენილოვანია აგრეთვე კლასიკური გოქსიკოლოგიისაღამი მოცილენილი საეეიადური საკითხები.

ბერგრამ კატეჯის რედაქციით გამოცემული სახელმძღვანელო "ზამსური და კლასიკური ფარმაკოლოგია" ქართული თარგმანი აუგომროთა კოლექტივის პირველი მცდელობაა მშობლიურ ენაზე მოაწოდოს მკითხველს თანამედროვე ფარმა-კოლოგიის სრველი არსებული უახლესი ინფორმაცია, მსოფლიო რეალეობიდან გამომდინარე, ექვეარემეა, რომ იგი ხელს შეეწეობს ქართველი სკულენგების აშშ-ს, ევროპისა და სხვა მოწინავე ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების დონეზე ინტეგრაციას და დიდ ხარგებლობას მოეკანს ფარმაკოლოგებს, კლასიკურ ფარმაკოლოგებს, თეორიულ და პრაქ-ტიკულ მედიცინაში მოღვაწე ექიმებს, აგრეთვე კლასიკური ფარმაციის განხრით მოემსხვე ფარმაცევტებს.

აღსანიშნეა, რომ სახელმძღვანელოს ქართული თარგმანის სტრუქტურა ბერგრამ კატეჯის "ზამსური და კლასი-კური ფარმაკოლოგია" ინგლისური დედანის იდენტურია და ეველელად, მედმსწვენიო არის შენარსენებული.

წიგნის მთავარი რედაქტორები დიდ მადლობას უხდიან სახელმძღვანელოს მომზადებაში მონაწილე ეველა პირს და მათთან ერთად ამ ნაშრომს უძღვნიან სამედიცინო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლის საიუბილეო თარიღს.

მთავარი რედაქტორები

თამარ კვებელი

ნიკოლოზ გონგაძე

# სარჩევი

<b>I. ძირითადი პრინციპები</b>	<b>1</b>
1. შესავალი	1
2. წამალთა რეცეპტორები და ფარმაკოკინამიკა	11
3. ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოკინამიკა: რაციონალური ლოზირება და წამლის მოქმედების დრო	34
4. წამალთა ბიოგრანსფორმაცია	50
5. წამალთა განვითარება და რეგულირება	64
<b>II. ავტონომურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები</b>	<b>75</b>
6. ავტონომურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები, შესავალი	75
7. ქოლისორეცეპტორების მასტიმულირებელი და ქოლისინთერაპიის მაინჰიბირებელი საშუალებები	93
8. ქოლისორეცეპტორების ბლოკატორები	108
9. ადრენორეცეპტორის გამააქტივებელი და სხვა სიმპათომიმეტიკური მედიკამენტები	121
10. ადრენორეცეპტორთა ანტაგონისტები	141
<b>III. გულსისქარვითა სისტემაზე და თირკმელზე მოქმედი საშუალებები</b>	<b>159</b>
11. ანგიოპერტენზული საშუალებები	159
12. ეპოლიდაგატორები და სტენოკარდიის მკურნალობა	183
13. გულის უკმარისობის სამკურნალო საშუალებები	198
14. ანგიარითმიული საშუალებები	211
15. შარღმდენი საშუალებები	236
<b>IV. გლუვ კუნთზე მინოვანოვანად მოქმედი საშუალებები</b>	<b>255</b>
16. პისტამინი, სეროტონინი და ჭვავის რქის ალკალიოიდები	255
17. ეაზოაქტიური პეპტიდები	277
18. ეიკოზანოიდები: პროსტაგლანდინები თრომბოქსანები, ლეიკოტრინები და მსგავსი ნივთიერებები	293
19. აბოგის ოქსიდი	309
20. ასთმის დროს გამოყენებული საშუალებები	315
<b>V. ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები</b>	<b>333</b>
21. ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალებების ფარმაკოლოგიის შესავალი	333
22. სედაციური და საძილე საშუალებები	347
23. ალკოჰოლები	363
24. კრუნჩხვის საწინააღმდეგო საშუალებები	374
25. ზოგადი საანესთეზიო საშუალებები	395
26. ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები	412
27. ჩონჩხის კუნთების რელაქსანტები	424
28. პარკინსონიზმისა და მოძრაობითი სხვა დარღვევების ფარმაკოლოგიური მართვა	442
29. ანტიფსიქოზური საშუალებები და ლითიუმი	457
30. ანტიდეპრესანტები	475
31. ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებები და ოპიოიდების ანტაგონისტები	489
32. ჭარბად, არასაპელიცინო მიზნით გამოყენებული მედიკამენტები	511
<b>VI. სისხლის დაავადებების, ანემიის და ნიკრისის სამკურნალო საშუალებები</b>	<b>527</b>
33. ანემიების სამკურნალო საშუალებები; პემოპოეზური ბრდის ფაქტორები	527
34. სისხლის შედელების დარღვევებისას გამოყენებული მედიკამენტები	542
35. ჰიპერლიპიდემიის დროს გამოყენებული საშუალებები	560
36. ანემიის საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები, დაავადების მამოლიფიცირებელი ანტირეკმატიული საშუალებები, არაოპიოიდური ანალგეზიური და ნიკრისის დროს გამოყენებული საშუალებები	573
<b>VII. ენდოკრინულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები</b>	<b>599</b>
37. ჰიპოთალამუსისა და ჰიპოფიზის ჰორმონები	599
38. თირეოიდული და ანტითირეოიდული საშუალებები	618
39. ადრენოკორტიკოსტეროიდები და მათი ანტაგონისტები	635
40. სასქესო ჰორმონები და მათი ინჰიბიტორები	653
41. პანკრეასის ჰორმონები და ანტიდიაბეტური პრეპარატები	683
42. ძელის მინერალურ ჰომეოსტაზზე მოქმედი საშუალებები	706

<b>VIII. ჰიპოთერაპიული საშუალებები</b>	<b>725</b>
43. ბეგა-ლაქტამები და უჯრედის კედლისა და მემბრანის მიმართ აქტიური სხვა ანტიბიოტიკები	726
44. ტეტრაციკლინები, მაკროლიდები, კლინდამიცინი, ქლორამფენიკოლი და სტრეპტოგრამინები	745
45. ამინოგლიკოზიდები და სპექტინომიცინები	755
46. სულფონამიდები, ტრიმეტოპრიმი და ქსილოლენები	763
47. ანტიმიკობაქტერიული საშუალებები	771
48. სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები	781
49. ანტიეირუსული საშუალებები	790
50. სხვადასხვა ანტიმიკრობული საშუალებები; საღებინფექციო, ანტისეპტიკური და სასტერილიზაციო საშუალებები	819
51. ანტიმიკრობული საშუალებების კლინიკური გამოყენება	827
52. ანტიპარაზიტული ქიმიოთერაპია: წინასიტყვაობა	842
53. ანტიპროტოზოული პრეპარატები	845
54. ანტიპელმინოური პრეპარატების კლინიკური ფარმაკოლოგია	867
55. კიბოს ქიმიოთერაპია	878
56. იმუნოფარმაკოლოგია	908
<b>IX. ტოქსიკოლოგია</b>	<b>934</b>
57. ტოქსიკოლოგიის შესავალი: პროფესიული და გარემოს ტოქსიკოლოგია	934
58. მძიმე ლითონით მოწამულა	944
59. მოწამული პაციენტის მკურნალობა	948
<b>X. ინდივიდუალური თემატიკა</b>	<b>959</b>
60. პერინატალური და პედიატრიული ფარმაკოლოგიის განსაკუთრებული ასპექტები	959
61. გერიატრიული ფარმაკოლოგიის განსაკუთრებული ასპექტები	968
62. დერმატოლოგიური ფარმაკოლოგია	974
63. კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს გამოყენებული პრეპარატები	988
<b>დანართი</b>	<b>1009</b>

# საქსია |

## ქირითადი პრინციპები

### ზესაპალი

ფარმაკოლოგია არის სწავლება იმ ნივთიერებების შესახებ, რომლებიც ქიმიური პროცესების მეშვეობით უროთიეროქმედებს ცოცხალ ორგანიზმთან. კერძოდ, მარეგულირებელ მოლეკულებთან შეკავშირების გზით ისინი იწვევენ ორგანიზმში მიმდინარე ნორმალური პროცესების გააქტიურებას ან ინჰიბირებას. ეს ნივთიერებები შეიძლება იყოს ქიმიური ნაერთები, რომლებიც ორგანიზმში შეყვანის შემდეგ სასურველ თერაპიულ გემოქმედებას ახდენენ ბოგიერთ პროცესზე ან გოქსიკურად მოქმედებენ პაციენტის მაიფიცირებელი პარამეტრების მარეგულირებელ პროცესებზე. ამგვარ მობანდასახულ თერაპიულ გამოყენებას ეფუძნება სამედიცინო ფარმაკოლოგია, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც იმ ნივთიერებების შემსწავლელი მეცნიერება, რომლებიც გამოიყენებიან ლაბორატორიის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით. გოქსიკოლოგია წარმოადგენს ფარმაკოლოგიის განხრას, რომელიც შეისწავლის ქიმიური ნაერთების არასახურველ გეგავლენას ცოცხალ სისტემებზე – ცალკეული უჯრედებიდან რთულ ეკოსისტემამდე.

### ფარმაკოლოგიის ისტორია

უმეველესი დროიდან ადამიანებს უდავოდ გააჩნდათ ცოდნა მრავალი მცენარეული თუ ცხოველური ნედლეულის სასურველი და გოქსიკური ეფექტების შესახებ. ჩინეთისა და ეგვიპტის ადრეულ ჩანაწერებში ჩამოთვლილია მრავალი სახის სამკურნალო საშუალება. ზოგიერთი მაიფიციანი ამჟამად კი გამოხადებული წამალია, მაგრამ მათი უმრავლესობა უხარვეზლო, ან საშიშრო კი იყო. მედიცინაში რაციონალური მეთოდების დანერგვის ცალკეული მცდელობების აღწერა დაიხლოებით 1500-იანი წლებიდან იწყება, მაგრამ ყველა მაიფიციანი წარუმატებლად დამთავრდა, იმ გაბატონებული მოსაზრების გამო, რომლის მიხედვითაც ბიოლოგიური პროცესისა და ლაბორატორიის ახსნა ექსპერიმენტირებასა და ლაბორირებას არ საჭიროებს. აღნიშნული სკოლები პროპაგანდას უწ-

ევდენ ისეთ ალოგიკურ მოსაზრებებს, რომლის მიხედვითაც ლაბორატორიის მიზნით ორგანიზმში ნაღლის ან სისხლის სიჭარბე, ან რომ ჭრილობები შესაძლოა შეხორცდეს იარაღზე ნელსაცხების დაღებით, და ა.შ.

მე-17 საუკუნის ბოლოსთვის, ფიზიკური მეცნიერებების მგავსად, მედიცინაშიც დაიწყო თეორიული მოსაზრებების ჩანაცვლება ლაბორირებითა და ექსპერიმენტირებით. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა ამ მეთოდების აუცილებლობა, დიდი ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების მკურნალებმა დაიწყეს მათი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ გავრცელებული ტრადიციული სამკურნალო საშუალებების ეფექტების შესასწავლად. ამრიგად, დაიწყო განვითარება ფარმაკოლოგიის წინამორბედმა ღარგმა *materia medica*-მ, მეცნიერებამ წამლების მომზადებისა და მისი სამედიცინო გამოყენების შესახებ, თუმცა, წამლების მოქმედების მექანიზმების რეალურად შესწავლას ხელს უშლიდა იმ მეთოდების არარსებობა, რომლებიც ხელმისაწვდომს გახდინენ ნედლეულიდან აქტიური საწყისის გამოყოფას. უფრო მეტიც, იმ მეთოდების არარსებობა, რომელიც მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა წამლის მოქმედების შესახებ არსებული ჰიპოთეზების შემოწმება.

მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში, ფრანსუა მაკენდომ და მოგვიანებით, მისმა სტუდენტმა კლად ბერნარდმა ცხოველთა ექსპერიმენტული ფიზიოლოგიისა და ფარმაკოლოგიის მეთოდების შემუშავება დაიწყეს. მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნის ადრეული წლების მიღწევებმა ქიმიისა და ფიზიოლოგიის განვითარებაში შესაძლებელი გახადა ორგანიზმთა და ქსოვილთა ღონეზე წამლების მოქმედების მექანიზმების შესწავლა. პარადოქსულად, ამ პერიოდისათვის ბაზისური ფარმაკოლოგიის რეალურ წინსვლას იან ახლა მწარმოებელთა და რეალიზატორთა მიერ უხარვეზლო “პატენტური მედიკამენტების” არასამეცნიერო რეკლამირების გააქტიურება. დაახლოებით 50 წლის წინ მედიცინაში საფუძველი ჩაეყარა რაციონალური თერაპიის კონცეფციას, განსაკუთრებით კი მას შემდეგ რაც შემოღებულ იქნა წამლების კონტროლირებადი კლინიკური კვლევა, რაც თერაპიული ეფექტის ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა.

დაახლოებით იმავე პერიოდში ბიოლოგიის ყველა სფეროში დაწყებულ იქნა კვლევების მნიშვნელოვანი გაფართოება. ახალი ღებულებებისა და ახალი გექსოლოგიების დახერხებასთან ერთად დაგროვდა ინფორმაცია მედიკამენტების მოქმედებისა და ამ მოქმედების ბიოლოგიური სუბსტრატის. წამლის რეცეპტორის შესახებ. ვასული ნახევარი საუკუნის მანძილზე განსლა მრავალი. ძირეულად ახალი. ფარმაკოლოგიური ჯგუფი და ძველი ჯგუფების ახალი წევრები. წამლების მოქმედების მექანიზმების მოლეკულური საფუძვლების შესახებ ინფორმაციის ბრძის გენდენცია ყველაზე მეტად უკანასკნელ სამ ათწლეულში შეინიშნება. მრავალი წამლის მოქმედების მოლეკულური მექანიზმი ბოლო წლებში იქნა შესწავლილი. აგრეთვე უამრავი რეცეპტორი იქნა გამოყოფილი. სტრუქტურულად აღწერილი და კლასირებული. ფაქტობრივად. რეცეპტორთა იდენტიფიკაციის მეთოდების გამოყენებამ (რაც აღწერილია თავში 2) განაპირობა მრავალი ანთროპოლოგიური რეცეპტორის აღმოჩენა - რეცეპტორებისა. რომელთა ლიგანდები ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის და რომელთა ფუნქციაზე მსჯელობა მხოლოდ ვარაუდის დონეზეა შესაძლებელი. რეცეპტორების აღვლობრივი მოლეკულური გარემოს შესწავლისას დადგინდა იქნა, რომ რეცეპტორები და ეფექტორები იზოლირებულად არ მოქმედებენ; მათზე ძლიერ ზეგავლენას ახდენენ თანამხლები მარცვრულიანი ცილები. მრავალი სახეობის (ბაქტერიებიდან ადამიანამდე) გენომის დეკოდირებით აღმოჩენილი იქნა მოულოდნელი ურთიერთდამოკიდებულებები რეცეპტორთა ოჯახებს შორის და რეცეპტორული ცილების ევოლუციის ვებები. ფარმაკოგენომიკა - წამალზე საპასუხო რეაქციის დამოკიდებულება ინდივიდუუმის გენეტიკურ სპეციფიკურ

თავისებურებებზე - მალე გახდება მკურნალობის პრაქტიკული სფერო (იხ. ფარმაკოლოგია და გენეტიკა). მოცემულ წიგნში განხილულია ამ მხრივ პროგრესის დიდი ნაწილი.

ყოველდღიურ სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერული მიზნების დახერხვა უწყვეტად მიმდინარეობს. მაგრამ სამწუხაროდ, მედიკამენტების მომხმარებელი საზოგადოება ჯერ კიდევ იღებს დიდი მოცულობის არაზუსტ, არასრულ და მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ ინფორმაციას ქიმიური ნაერთების ფარმაკოლოგიური ეფექტების შესახებ, რაც იწვევს მრავალი ძვირად ღირებული, ეფექტო, ზოგჯერ კი საშიშრო საშუალებების უარყოფით გამოყენებას და გვიანდელი "ალტერნატიული ჯანდაცვის" ინდუსტრიის განვითარებას. და პირიქით, ბიოლოგიისა და სტატისტიკის ბაზისური სამეცნიერო პრინციპების არასწორად გაგება და შეფასება, აგრეთვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის არარსებობამ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გამოიწვია მედიცინის მეცნიერების უარყოფის გენდენცია და ჩამოაყალიბება წამლებზე მდებარე შეხედულება, თითქოსდა ყველა არასასურველი ეფექტი მათი არასწორი პრაქტიკული გამოყენების შედეგია.

სტუდენტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ორი ძირითადი პრინციპი: პირველი, რომ გარკვეულ პირობებში ნებისმიერი ნივთიერება შეიძლება იყოს ტოქსიკური; და მეორე, რომ ყველა კვებითი დანამატი და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად რეკლამირებული ფარმაცევტული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს ეფექტურობისა და უსაფრთხოების ერთსა და იმავე სტანდარტს, ანუ, არ უნდა ხდებოდეს მედიცინის მეცნიერებისა და "ალტერნატიული, ანუ დამატებითი" მედიცინის ხელშეწყობის განცალკევება.

**ფარმაკოლოგია და გენეტიკა**

საკუენების მანძილზე ცნობილი იყო ზოგიერთი დაავადების შემკვიდრული ბუნების შესახებ. ამჟამად კი უკვე დადგინდა, რომ ასეთი დაავადებების მქონე ინდივიდებს აღენიშნებათ ღმ-ის თანდაყოლილი ანომალიები. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე შედარებით დეტალურად იქნა დეკოდირებული ადამიანის, თაგვისა და მრავალი სხვა სახეობის გენომები, რამაც კვლევისა და მკურნალობის მრავალ ახალ მიდგომას შეუწყო ხელი. ამჟამად, უკვე შესაძლებელია ზოგიერთი შემკვიდრული დაავადების დროს ღმ-ის ძირითადი წყვილებიდან ანომალურის ზუსტი განსაზღვრა და ქრომოსომებში მისი ლოკალიზაციის დადგენა. გენური თერაპიით, ანუ სომატურ უჯრედებში შესაბამისი "ჯანმრთელი" გენის შეყვანით, შესაძლებელი გახდა შემკვიდრული ანომალიის კორექცია ცხოველური მოდელების მცირე ჯგუფში. იყო ადამიანის სომატური უჯრედის გენური თერაპიის მცდელობაც, თუმცა იგი გენეტიკურ სიმსივნეების აღმოჩენა დაკავშირებული.

ახლად აღმოჩენილი რეცეპტორების ან ენდოგენური ლიგანდების შესწავლას ხშირად ხელს უშლის არასრულყოფილი ცოდნა რეცეპტორისა თუ ლიგანდის ზუსტი როლის შესახებ. ახალი გენეტიკური გექსოლოგიებიდან ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოველთა იმ სახეობის გამოყენება (ჩვეულებრივ თაგვების), რომელსაც "ამოგდებული" ("ნოკაუტირებული") აქვს რეცეპტორის ან მისი ენდოგენური ლიგანდის გენი. ამ მუტაციური გექსოლოგიით მიიღება ცხოველი, რომელსაც არ გააჩნია გენის პროდუქტი ან იგი უფუნქციოა. პომოზიგოტურ ე.წ. ნოკაუტირებულ თაგვებს სრულად აქვთ დათრგუნული გენის პროდუ-

ქტის ფუნქცია. ხოლო ჰეტერომიზოგოტურ ცხოველებს კი ფუნქციის ნაწილობრივი დათრგუნვა აღენიშნებათ. "ნოკაუტირებული" თაგვების ქცევაზე დაკვირვება, მათი ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური მანევრებლები საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავს არარსებულ გენურ პროდუქტის ფუნქციურ როლს. ზოგი კონკრეტული გენი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაბადების შემდეგ ჰეტერომიზოგოტური ცხოველებიც კი ვერ ცოცხლობენ. ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ისეთი "ნოკაუტირებული" ხაზის გამოყენება, რომელშიც ფუნქცია შემზღველად არის დათრგუნული. და პირიქით, გამოყენილი იქნა "knockin" თაგვები, იმ ცილების ჰარბი ექსპრესიით, რომლებიც დაკვირვების საგანს წარმოადგენენ.

ზოგიერთი პაციენტი გარკვეული მედიკამენტის სტანდარტულ დოზებს ჩვეულებრივზე მაღალი მგრძობილობით პასუხობს. ამჟამად ცნობილია, რომ ამგვარი მომატებული მგრძობილობა ხშირად გამოწვეულია ძალიან მცირე გენეტიკური მოდოფიკაციით, რომელიც ამ პრეპარატის ელემენტარულ პასუხისმგებელი ზოგერთი ფერმენტის აქტივობის დაქვეითებას იწვევს (ეს ვარიაციები განხილულია თავში 4). ფარმაკოგენომიკა (ანუ ფარმაკოგენეტიკა) არის სწავლება იმ გენეტიკური ვარიაციების შესახებ, რომლებიც ინდივიდებსა თუ პოპულაციებს შორის მედიკამენტის მიმართ განსხვავებულ საპასუხო რეაქციებზე არიან პასუხისმგებელი. სახურველია, რომ მომატებული კლინიციისგებმა, მედიკამენტის დანიშნულზე, ყოველი პაციენტი შეამოწმოს მრავალფეროვანი გენეტიკური ვარიაციის არსებობაზე.

## ფარმაკოლოგია და ფარმაცევტული ინდუსტრია

დაავადებებთან დაკავშირებული პრობლემების მედიკამენტური მკურნალობის პროგრესი გარკვეულწილად ფარმაკევტული ინდუსტრიის დამსახურებაა, კერძოდ “დიდ ფარმაკომაგიამში” მყოფი მრავალი მილიარდი დოლარის მფლობელი კორპორაციების, რომლებიც სპეციალიზირებული არიან ახალი მედიკამენტების აღმოჩენასა და განვითარებაში. ეს კორპორაციები უდიდეს ნაბიჯებს იმსახურებენ, რადგან მათ ხელი შეუწევენ დიდ პროგრესს დაავადებათა მკურნალობის საქმეში. როგორც განხილულია თავში 5, აღნიშნული კომპანიები ხარვეზობენ აკადემიური და სახელმწიფო ლაბორატორიების აღმოჩენებით, შეძლევენ კი ამ საბაზისო მონაცემებს კომერციულად წარმატებული თერაპიისათვის იყენებენ. თუმცა, ამგვარი მიღწევები აისახება მედიკამენტების ფასზე და მათი ზრდა ჯანსაღობის დაცვის საფასურის ინფლაციური ზრდის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ახალი წამლის შექმნა და დახვეწა უსაზღვროდ ძვირად ღირებული პროცესია, იმისათვის რომ იარსებოს და აწარმოოს წარმატებული საქმიანობა, ფარმაცევტულმა კომპანიამ უნდა გადაიხადოს მედიკამენტის შექმნისა და მარკეტინგის საფასური, ამასთანავე მან უნდა დაუბრუნოს მოგება თავის აქციონერებს. ამკამად, მედიკამენტის ფასის გარშემო არსებობს ამრთა გარკვეული სხვადასხვაობა. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მარკეტინგული პროცედურების გამო მედიკამენტის განვითარებისა და მარკეტინგის ხარჯები მეტად გაზვიადებულია და რეკლამირებასა და სხვა პრომოციულ ღონისძიებებზე კომპანიის ბიუჯეტის 25% იხარჯება. უფრო მეტიც, ისტორიულად, ფარმაცევტული ინდუსტრიის მოგების ზღვარი მნიშვნელოვნად აჭარბებს ყველა სხვა ინდუსტრიისას. და ბოლოს, ქვეყნების მიხედვით მედიკამენტთა განფასება შესამჩნევად განსხვავდება და ზოგჯერ იმ ქვეყნის მიფინიათ კი, რომელშიც დიდ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეთანხმდნენ წამლების დაბალ ფასებზე, მცირეებს ამის უნარი არ შესწევთ. ზოგიერთი ქვეყანა უკვე დიდ ყურადღებას აქცევს ამ პრობლემას და ალბათ, მომავალ რამდენიმე ათწლეულში ყველა ქვეყანა ამ გზას დაადგება.

## ფარმაკოლოგიის ძირითადი პრინციპები

### წამლის ბუნება

ზოგადად, წამალი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ქიმიური შემადგენლებით იწვევს ბიოლოგიური ფუნქციის ცვლილებას. უმრავლეს შემთხვევაში წამლის მოლეკულა ურთიერთქმედებს ბიოლოგიურ სისტემაში არსებულ სპეციფიკურ მარეგულირებელ მოლეკულასთან, რომელსაც რეცეპტორი ეწოდება. რეცეპტორთა ბუნება უფრო სრულყოფილად განხილულია მე-2 თავში. იშვიათ შემთხვევაში წამლები (მაგ. ქიმიური ანტიბიოტიკები) უშუალოდ ურთიერთქმედებენ სხვა წამლებთან, ძალზე იშვიათად კი წამალი (ოსმოსური აგენტები) ურთიერთქმედებს მხოლოდ წყლის მოლეკულებთან. წამალი შესაძლოა იყოს ორგანიზმში დასინთეზირებული ნივთიერების ანალოგი (მაგ. შორმონები) ან ქიმიური ნივთი, რომელიც არ სინთეზდება ორგანიზმში, ანუ ქსენობიოტიკი (ბერძნული სიტყვიდან *xenos*, რაც ნიშნავს “უცხოვს”). შხამი ნივთიერებაა, რომელიც თითქმის ყოველთვის მხოლოდ საზიანო ეფექტები ახასიათებს. თუმცა, პარაცეტოლის (1493-1541) ცნობილი მოსაზრების მიხედვით,

“შხამიანობას ღობა განაპირობებს”, რაც იმას ნიშნავს, რომ არასწორი დოზით გამოყენებისას თითქმის ყველა ნივთიერება შეიძლება იყოს საზიანო. გოქსინები განისაზღვრება, როგორც ბიოლოგიური წარმოშობის შხამებია და ისინი მცენარეების ან ცხოველების მიერ სინთეზირდებიან, ანუ განსხვავდებიან არაორგანული შხამებისგან (ტყვია და ღარიშხანი).

რეცეპტორთან ქიმიური ურთიერთქმედებისთვის წამლის მოლეკულას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ზომა, ელექტრული მუხტი, ფორმა და აგომური შემადგენლობა. გარდა ამისა, ხშირად წამალი ორგანიზმში ხვდება მისი მოქმედების ლოკალიზაციისაგან დამორებელი ადგილიდან, მაგ., თავის გაცივლის გასაქუჩებლად გაბლევით ორალურად მიიღება; ამიგომ წამალს უნდა გააჩნდეს შეყვანის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე გრანსპორტირებისათვის აუცილებელი თვისებები. და ბოლოს, წამლის ინაქტივაციისა და ორგანიზმშიდან გამოყოფის სიჩქარე უნდა უზრუნველყოფდეს მისი მოქმედების ხანგრძლივობას განსაზღვრული დროით.

## წამლის ფიზიკური ბუნება

ოთახის ტემპურაზე წამლები შესაძლოა იყოს მყარ (მაგ. ასპირინი, აგროპინი), თხევად (მაგ. ნიკოტინი, ეთანოლი) ან აროლიან (მაგ. აზოტის ქვეყნის) მდგომარეობაში. ამიგომ ფიზიკური თვისებები ორგანიზმში წამლის შეყვანის მოხერხებული გზის მერხვეს განსაზღვრული ფაქტორია. ორგანიზმში წამლის შეყვანის ყველაზე ხშირი გზები განხილულია თავში 3. ფარმაკოლოგიაში წარმოდგენილია ორგანული ნაერთების სხვადასხვა ჯგუფი – ნახშირწყლები, ცილები, ლიპიდები და სხვ. ზოგიერთი საჭირო, აგრეთვე საშიში წამალი არაორგანული ელემენტია, მაგ. ლითიუმი, რეინა და მძიმე ლითონები. მრავალი ორგანული წარმოშობის წამალი სუსტი მკაეა ან უქტა, რაც დიდ გავლენას ახდენს მათი განაწილებაზე ორგანიზმში. რადგან სხეულის სხვადასხვა ნაწილის pH-ის მნიშვნელობებს შორის არსებული სხვაობები გავლენას ახდენენ წამლების იონიზაციის ხარისხზე (იხ. ქვემოთ).

## წამლის გომა

წამალია მოლეკულური წონა შეიძლება იყოს ძალიან მცირე (ლითიუმის იონი, მოლეკულური წონა 7) ან ძალიან დიდი (მაგ. ალგელაბა [TPA], ცილა მოლეკულური წონით 59,050). თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში მოლეკულური წონა 100-დან 1000-მდე მერყობს. ამ ვაწრე დიაპაზონის ქვედა ზღვარის დადგენა წამლის მოქმედების სპეციფიკურობის მიხედვით ხდება: რეცეპტორის მხოლოდ ერთ გიპთან “მისადაგებისა” და სხვა რეცეპტორთან მისი შეკავშირების პრევენციის მიზნით, წამლის მოლეკულას უნდა მქონდეს უნიკალური ფორმა, მუხტი, აგრეთვე სხვა თვისებები. რეცეპტორის მისართ ამ მერხვეითი შეკავშირების უნარის მისაღწევად წამლის მოლეკულური წონა უნდა იყოს მინიმუმ 100 ერთეულის ტოლი. მოლეკულური წონის მეტად ზღვარი კი ძირითადად მედიკამენტის ორგანიზმში გრანსპორტირების (მაგ. შეყვანის ადგილიდან მოქმედების ადგილამდე) საჭიროების მიხედვით განისაზღვრება. 1000 მეტი მოლეკულური წონის წამლები ორგანიზმის საკნებს შორის თავისუფლად ვერ დაიუნღირებენ (იხ. განვლადობა, ქვემოთ). ამიგომ ხშირად, ძალიან დიდი მოლეკულური წონის წამლები (ძირითადად ცილები) უშუალოდ მოქმედების ლოკალიზაციის ადგილებში შეჰყავთ. მაგ., სისხლის კოლგის დამშლელი ფერმენტის ალგელაბას შეყვანა ორგანიზმში ინტრავენური ან ინტრარეტრული ინფუზიით ხორციელდება.

**წამლის რეაქტულობა და მედიკამენტ-რე-  
ცეპტორული ბმები**

წამლისა და რეცეპტორის შორის ურთიერთქმედება ქი-  
მიური ძალების ანუ კავშირის მეშვეობით ხორციელდება. არ-  
სებობის კავშირის სამი ძირითადი ტიპი: კოვალენტური,  
ელექტროსტატიკური და ჰიდროფობური. კოვალენტური  
კავშირი ძალიან ძლიერია და ბიოლოგიურ პირობებში სშირ-  
ად შეუქცევადია. ამრიგად, ასპირინის აცეტილური ჯგუფისა  
და თრომბოციტების ციკლოოქსიგენაზას (ასპირინის სამიზნე  
ფერმენტი) შორის არსებული კოვალენტური კავშირი აღ-  
ვილად არ წყდება. თრომბოციტების აგრეგაციაზე ასპირინის  
დამთრგუნველი ეფექტი თავისუფალი აცეტილსალიცილის  
მეფავის სისხლის მიმოქცევიდან გაქრობის (დაახლოებით 15  
წუთში) შემდეგ აღდგანს გრძელდება და იგი მხოლოდ  
თრომბოციტების მიერ ახალი ფერმენტის წარმოქმნის შემ-  
დეგ ხდება შექცევადი. ეს პროცესი კი დაახლოებით 7 დღეს  
საჭიროებს. სხვა მაღალაქტიური, კოვალენტური კავშირის  
წარმოქმნელი წამლების მაგალითებია დნმ-ის მაალკილირე-  
ბელი საშუალებები, რომლებიც ქიმიოთერაპიაში სიმსივნური  
უჯრედების გაყოფის შეჩერების მიზნით გამოიყენებიან.

წამალი-რეცეპტორის ურთიერთქმედებების, კოვალენ-  
ტურ კავშირთან შედარებით, უფრო ხშირად ვხვდებით  
ელექტროსტატიკურ კავშირს. სიძლიერის მიხედვით  
ელექტროსტატიკური კავშირი ვარირებს შედარებით ძლიერი-  
დან (მულმივად დამუხტულ იონურ მოლეკულებს შორის)  
უფრო სუსტ წყალბადურ კავშირამდე. ძლიერ სუსტ  
ელექტროსტატიკურ კავშირს ეკუთვნის დიპოლური ურთი-  
ერთქმედებები, როგორცაა ვან-დერ-ვალსის ძალები და  
მსგავსი ფენომენები. მოგადად, კოვალენტური ბმებთან შე-  
დარებით, ელექტროსტატიკური კავშირები უფრო სუსტია.

ჰიდროფობური კავშირი ჩვეულებრივ საკმაოდ სუსტია  
და საეარაულოდ. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ცხიმში მალა-  
ლი ხსნადობის წამლებისა და უჯრედის ლიპიდური მემბრა-  
ნის, აგრეთვე წამლისა და რეცეპტორის "ჯიბის" შიგნითა  
კედლის ურთიერთქმედებაში.

ცალკეული წამლისა და რეცეპტორის კავშირის ბუნებას  
ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან რეცეპტორ-  
თან სუსტი შეკავშირების უნარის მქონე წამლები, ძალიან  
ძლიერი შეკავშირების უნარის მქონე წამლებთან შედარე-  
ბით, უფრო სელექტიური მოქმედებით ხასიათდებიან. ზოგადად,  
სუსტი კავშირის შემთხვევაში რეცეპტორთან წამლის ძალიან  
ზუსტი მისაღებებაა საჭირო. რეცეპტორთა მხოლოდ რა-  
მოდენიმე ტიპთან არის შესაძლებელი წამლის სტრუქტურის  
ასეთი ზუსტი მორგება. ამრიგად, კონკრეტული რეცეპ-  
ტორისაღმოსაზრებით, ხანმოკლე მოქმედების წამლის შე-  
ქმნისათვის უნდა შეირჩეს სუსტი ბმების წარმოქმნელი მოლე-  
კულები და არა მაღალ-რეაქტიული, რომლებსაც კოვალენ-  
ტური ბმების წარმოქმნის უნარი ახასიათებთ.

ქიმიური თვალსაზრისით ზოგიერთ სრულიად ინერგულ  
ნივთიერებას მნიშვნელოვანი ფარმაკოლოგიური მოქმედება  
ახასიათებს. მაგ., "ინერგული" აირი ქსენონი მაღალი წნევის  
პირობებში ავლენს ანესთეზურ ეფექტს.

*ცხრილი 1-1. კარვედილოს ენანთიომერთა და რაცი-  
მაგული ნარევის დისოციაციის კონსტანტები (K<sub>d</sub>)*

კარვედილოს ფორმა	აუინსურობის ინდექსი α რეცეპტორებისთვის (K <sub>d</sub> nmol/L)	აუინსურობის ინდექსი β რეცეპტორებისთვის (K <sub>d</sub> nmol/L)
R (+) ენანთიომერი	14	45
S (-) ენანთიომერი	16	0.4
R, S (+/-) ენანთიომერები	11	0.9

შენიშვნა: K<sub>d</sub> – მოუთიებს წამლის იმ კონცენტრაციაზე, რომელიც  
საჭიროა რეცეპტორთა 50%-ის გაჯერებისათვის. იგი  
რეცეპტორის მიმართ წამლის აუინსურობის  
უკუპროპორციულია.

Ruffolo RR et al: The pharmacology of carvedilol. Eur J Pharmacol  
1990;38:582. მონაცემების მსხველით

ნი ენანთიომერული წყვილების სახით არსებობენ. ორი ასიმ-  
ეტრული ცენტრის მქონე წამლებს ოთხი დიასტერეომერი  
გაანწიან, მაგ. სიმპათომიმეტიკური საშუალება ეფედრინი. ხშირად  
ამ ენანთიომერთაგან ერთ-ერთი, მისი სარკისებური ენანთი-  
ომერისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ძლიერია, რაც  
რეცეპტორის მოლეკულასთან მისი უკეთესი მისაღებების  
შედეგია. მაგ., პარახისმათიმეტიკური საშუალება მეტაქოლი-  
ნის (S)(+) ენანთიომერი, მის (R)(-) ენანთიომერზე 250-ჯერ  
ძლიერია. თუ წარმოვიდგინო, რომ რეცეპტორის ალელი  
ხელთათმანია და ეფექტის განვითარებისათვის მას უნდა  
მოერგოს წამლის მოლეკულა, მაშინ გასაგებია, თუ რაგომ  
ამერებს "მარცხნივ-მარჯვნივ" წამალი უფრო ეფექტურ კავ-  
შირს მარცხნივ-ხელის მაგვარ რეცეპტორთან, იგივე წამლის  
"მარჯვნივ-მარჯვნივ" ენანთიომერთან შედარებით.

ერთ-ერთი ტიპის რეცეპტორის მიმართ აქტიური ენან-  
თიომერი სხვა ტიპის რეცეპტორის მიმართ შესაძლოა იგივე  
აქტიულობა არ ახასიათებდეს (თუნდაც იგივე რეცეპტორის სხვა  
ქვეტიპის მიმართ, რომელიც ზოგიერთ სხვა ეფექტებზეა პა-  
სუხისმგებელი). მაგ., ადრენორეცეპტორებზე მოქმედი წამა-  
ლი კარვედილილი, რომელსაც ერთი ქირალური ცენტრი  
გაანწიან და ამრიგად, ორი ენანთიომერისაგან შედგება  
(ცხრილი 1-1). მათგან ერთ-ერთი, (S)(-) იზომერი, ბეტა-ადრენო-  
რეცეპტორების ძლიერი ბლოკატორია, მისი (R)(+) იზომერი  
კი ბეტა-ადრენორეცეპტორებზე 100-ჯერ უფრო სუსტად მო-  
ქმედებს, თუმცა ორივე იზომერს ალფა-ადრენორეცეპტორის  
მაბლოკირებელი თითქმის ერთნაირი სიძლიერე ახასიათებთ.  
კეგამინი ინტრავენური ზოგადსაანესთეზიო საშუალებაა. მისი  
(+) ენანთიომერი, (-) ენანთიომერთან შედარებით, უფრო  
ძლიერი საანესთეზიო ეფექტურობითა და ნაკლები გო-  
ქსიკურობით ხასიათდება. სამწუხაროდ, კეგამინი ჯერ-ჯერ-  
ობით კვლავ რაციმული ნარევის სახით გამოიყენება.

ფერმენტები ჩვეულებრივ სტერეოსელექტურობით გამ-  
ოირჩევიან, ამიტომ შეგებოლიზმში მონაწილე ფერმენტების  
მიმართ ერთ-ერთი ენანთიომერი უფრო მაღალ მგრძობი-  
ლობას ავლენს, რის შედეგადაც წამლის ერთი ენანთიომერ-  
ის მოქმედების ხანგრძლივობა შესაძლოა მკვეთრად განსხ-  
ვავდებოდეს მეორე ენანთიომერის იგივე მანქმებისგან.

სამწუხაროდ, ადამიანებში წამლების კლასიკური ეფექ-  
ტურობისა და ელემინაციის კვლევათა დიდი ნაწილი ჩაგარე-  
ბულია რაციმურ ნარევეებზე და არა მათი ცალკეულ ენანთი-  
ომერზე. ამგვარად, პრაქტიკაში გამოიყენებული ქირალური  
მედიკამენტების მხოლოდ 45%-ია ხელმისაწვდომი აქტიური

**წამლის ფორმა**

წამლის ფორმა უნდა აძლევდეს მას რეცეპტორთან შეკავ-  
შირების საშუალებას ზემოთ აღწერილი ბმების მეშვეობით.  
წამლის ფორმა ოპტიმალურად უნდა შეესაბამებოდეს რე-  
ცეპტორს, ისევე, როგორც გასაღები შეესაბამება საკეტი. გარ-  
და ამისა, ბიოლოგიაში იმდენად გაგრძელებულია ქირალ-  
ობის ფენომენი (სტერეოიზომერიზმი), რომ წამლების ნახე-  
ვარზე მეტი ქირალურ მოლეკულებს წარმოადგენენ და ისი-



იმომენტის სახით, დანარჩენი კვლავ რაციული ნარევის სახით მზადდება. რის შედეგადაც პაციენტთა მიერ მიღებული წამლის დოზის 50% ან მეტი არააქტიურია, ნაკლებ აქტიურია, ან გოქსიკურია. თუმცა, დღესდღეობით, სამეცნიერო და რეკლამატორული თვალსაზრისით, გაზრდილია ინტენსიური ქირალური წამლების აქტიური ენთისომერების პრეპარირებად შექმნის თვალსაზრისით.

**წამლის რაციონალური დოზირება**

წამლის რაციონალური დოზირების გულისხმობს ბიოლოგიური რეცეპტორის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე მედიკამენტის მოლეკულური სტრუქტურის წინასწარ განვსჯის. ბოლო წლებამდე რეცეპტორები არ იყო ისე ლეგალურად შესწავლილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წამლის ამგვარი დოზირების შექმნა, ამიტომ წამლების განვითარება ხდებოდა ქიმიური ნაერთების რანდომიზებული ტესტირების, ან უკვე ცნობილი ეფექტების მქონე წამლების მოდიფიცირების გზით (იხ. თავი 5). უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში მრავალი რეცეპტორი იქნა იზოლირებული და შესწავლილი. პრაქტიკაში არსებული რაციონალურად ახალი მედიკამენტები უკვე შექმნილია რეცეპტორის ადგილის სამ-განმომთავისებრი სტრუქტურის მიხედვით. ამჟამად ხელმისაწვდომია კომპლექსური პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნობილი რეცეპტორებთან წამლების სტრუქტურის ზედმეტი მისადაგებას. რაც უფრო მეტად იქნება შესწავლილი რეცეპტორთა სტრუქტურა, მით უფრო შესაძლებელი გახდება წამლის რაციონალური დოზირება.

**რაციონალური დოზირების ნორმები**

რეცეპტორთა აღმოჩენისა და შესწავლის ახალი ეფექტური გზების განვითარებამ (იხ. თავი 2) მათთვის სახელწოდების მინიჭების განსხვავებულ სისტემებს შექმნის აუცილებლობა წარმოშვა. ამის კი, თავის მხრივ, სახელწოდების მინიჭების უფრო რაციონალური მეთოდების საჭიროება გამოიწვია. დანტეგრესიულ მეთოდებს შეუძლია დეტალური სათვალის მიმართული ფარმაკოლოგიის საერთაშორისო ჯგეროთიანების (IUPHAR) რეცეპტორთა ნომენკლატურისა და წამლის კლასიფიკაციის საბჭოს მონიშვნებს (სადაც მოხსენიებულია ფარმაკოლოგიური მიმთხილვის სხვადასხვა საკითხები). ასევე Alexander SPH, Mathie A, Peters JA: Guide to receptors and channels. Br J Pharmacol 1006;147(Suppl 3):S1 – S180, რომელშიც ძირითადად გამოყენებულია რეცეპტორთა დასახელების ეს წყაროები.

**წამლისა და ორგანიზმის ურთიერთქმედებები**

წამლისა და ორგანიზმის შორის ურთიერთქმედება ორმხრივი მიმართულებით მიმდინარეობს. წამლის ზეგავლენას ორგანიზმზე ფარმაკოდინამიკური პროცესები ეწოდება; ფარმაკოდინამიკის პრინციპები ლეგალურადაა წარმოდგენილი თავში 2. ფარმაკოდინამიკური თვისებები განსაზღვრავენ წამლის ადვილს კლასიფიკაციაში და დიდ როლს ასრულებენ ექიმის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში. კერძოდ, უპირატესა თუ არა სიმპტომის ან დაავადების სამკურნალოდ კონკრეტული ფარმაკოლოგიური ჯგუფის გამოყენება. წამალზე ორგანიზმის ზეგავლენას ფარმაკოკინეტიკური პროცესები ეწოდება და აღწერილია თავებში 3 და 4. ფარმაკოკინეტიკური პროცესები განაპირობებენ წამლის აბსორბციას (შეწვას), დისტრებიციას (განაწილებას) და ელიმინაციას და მათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული პაციენტისათვის წამლის შერჩევის და მკურნალობის რეჟიმის განსაზღვრისათვის. მაგ., თირკმელების ფუნქციის დარ-

ღვევის პირობებში. შემდეგ პარაგრაფებში განხილულია ფარმაკოდინამიკისა და ფარმაკოკინეტიკის მოკლე შესავალი.

**ფარმაკოდინამიკური პრინციპები**

უმრავლესი წამლის ეფექტის განხორციელება მისი რეცეპტორთან შეკავშირებით იწვეება, რაც ფარმაკოლოგიური ეფექტის განვითარებისათვის საჭირო რთულ საფეხურთა თანამიმდევრობის პირველ, მოლეკულურ დონეს წარმოადგენს.

**წამლისა და რაციონალური ურთიერთქმედებათა ტიპები**

აგონისტი უკავშირდება რეცეპტორს და ააქტივებს მას, რაც იძლევა პირდაპირ ან არაპირდაპირ ეფექტს. ზოგიერთი რეცეპტორის მოლეკულა შეიცავს ეფექტურულ ინსტრუმენტს, ამიტომ წამლის და რეცეპტორის უკავშირება პირდაპირი გზით წარმოშობს ეფექტს. მაგ., ისინი არის განხილული ან ფერმენტის აქტივობის გაზრდა. ზოგი რეცეპტორი კი ეფექტურულ მოლეკულასთან პროცესში მონაწილე ერთი ან მეტი წყვილი მოლეკულის მეშვეობით არიან დაკავშირებულნი. წამალი-რეცეპტორი-ეფექტორის შეწყვილების სისტემის ხუთი ძირითადი ტიპი განხილულია თავში 2. ფარმაკოლოგიური ანტაგონისტები, უკავშირდებიან რეცეპტორს და ხელს უშლიან სხვა მოლეკულებთან მის უკავშირებას. მაგ., აცეტაქოლინიური რეცეპტორის მახლოკირებული საშუალება აგრობინი, ანტაგონისტია. რადგან ხელს უშლის აცეტაქოლინისა და მისი მსგავსი აგონისტიური საშუალებების კონტაქტს რეცეპტორთან და ამით ხელს უწყობს რეცეპტორის სტაბილიზაციას არააქტიურ მდგომარეობაში. ეს ნივთიერებები აქვეითებენ ორგანიზმში აცეტაქოლინისა და მსგავსი მოლეკულების ეფექტებს.

**აგონისტები, რომლებიც აინჰიბირებენ მათ შუამავშირებელ მოლეკულას და ნაწილობრივი აგონისტები**

ზოგიერთი წამალი “ბაძავს” აგონისტს, რადგან იწვევს ენდოგენური აგონისტის მოქმედების შეწყვეტაზე პასუხისმგებელი მოლეკულების ინჰიბირებას. მაგ., ფერმენტ აცეტაქოლინისეტიერაზის ინჰიბიტორები, ანელებენ რა ენდოგენური აცეტაქოლინის დაშლას, იწვევენ ქოლისთომიეტურ ეფექტებს, რაც ძალიან ჰგავს ქოლისთომიეტორის აგონისტი მოლეკულების მოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ ქოლისთომიეტორის ინჰიბიტორები ქოლისთომიეტორებს არ უკავშირდებიან (ან მხოლოდ შემთხვევით უერთდებიან. იხ. თავი 7, ქოლისთომიეტური და ქოლისთომიეტორის მინიჰიბირებელი საშუალებები). ზოგიერთი წამალი უკავშირდება რეცეპტორს და ააქტივებს მას, მაგრამ ვერ იწვევს სრული აგონისტის მსგავსი საპასუხო რეაქციას. მაგ., პინდოლოლი, ბეგა-ბლრენი-რეცეპტორის “ნაწილობრივი აგონისტი” მოქმედებს როგორც აგონისტი (სრული აგონისტის არარსებობის შემთხვევაში), ან როგორც ანტაგონისტი (სრული აგონისტის, ეპინეფრინის თანარსებობისას. იხ. თავი 2.)

**წამლის მოქმედების ხანგრძლივობა**

წამლის მოქმედების დასრულება რეცეპტორის დონეზე რაციონალურად პროცესიდან ერთ-ერთი არის გამოწვეული. ზოგიერთი შემთხვევაში ეფექტის ხანგრძლივობა წამლის მიერ რეცეპტორის “ოკუპაციის” დროის გოლია, ამიტომ რეცეპ-

გორიდან წამლის დისოციაცია ავტომატურად იწვევს მისი ეფექტის შეწყვეტას. ხშირ შემთხვევაში მოქმედება შესაძლოა გაგრძელდეს წამლის რეცეპტორიდან დისოციაციის შემდეგაც, რაც ზოგიერთი შემთხვევაში მოლეკულის გააქტივებული ფორმის დიდხანს შენარჩუნებასთან არის დაკავშირებული. წამალსა და რეცეპტორის შორის კოვალენტური კავშირის შემთხვევაში ეფექტი გრძელდება წამალი-რეცეპტორის კომპლექსის დამოუკიდებლად და ახალი რეცეპტორისა თუ უფერ-მენტის ხინოზამდე, რაც აღწერილი იყო ასპირინის მაგალ-თში. და ბოლოს, მრავალი რეცეპტორ-ეფექტორული სისტე-მა შეიცავს დენენსიტიმაციის მექანიზმებს, რათა ავანსიკური მოლეკულის დიდხანს არსებობის შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული რეცეპტორის გადაჭარბებული აქტივაცია. დამატებითი დეტალების შესახებ იხ. თავი 2.

### **რეცეპტორები და კავშირების ინერტული ალბომინები**

რეცეპტორის როლის შესასრულებლად ენდოგენური მოლეკულები პირველ რიგში სელექტიურად უნდა არჩეულ-ნენ დასაკავშირებელ ლიგანდს (მედიკამენტის მოლეკულას). მეორე რიგში კი შეკავშირებისას, თავისი ფუნქციის შეცუ-ლიდით. ზეგავლენას უნდა ახდენდნენ ბიოლოგიური სისტე-მების (უჯრედის, ქსოვილის, ა.შ.) ფუნქციაზე. პირველი თვისუ-ბა სპეციფიკაა იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა ლიგანდებთან უწყვიტო დაკავშირებით გან-პირობებული რეცეპტორის მუდმივი აქტივაცია. მეორე მახა-სიათიველი კი სპეციფიკაა იმისათვის, რომ ლიგანდმა გამოი-წვიოს ფარმაკოლოგიური ეფექტი. ორგანიზმში შეიქცევა წამლის შემთავსებელი მრავალ მოლეკულას. აღსანიშნა-ვია, რომ ყველა მათგანი არ შეიქცევა მარეგულირებუ-ლი მოლეკულების რიცხვს. წამლის შეკავშირება ისეთ არა-მარეგულირებელ მოლეკულასთან, როგორცაა პლაზმის ალბუმინი, არ იწვევს ბიოლოგიური სისტემის შესაძენე ცე-ლილებას, ამიტომ ასეთ ენდოგენურ მოლეკულას *ინერტუ-ლი კავშირის ალბომინი* ეწოდება. ამგვარი კავშირი არ არის სრულიად უგველსაყოფი, რადგან იგი გავლენას ახდენს ორგანიზმში წამლის განაწილებაზე და განსაზღვრავს სისხ-ლის მიმოქცევაში არსებული წამლის თავისუფალი ფრაქცი-ის რაოდენობას. ორივე ამ ფაქტორს ფარმაკოკინეტიკური მნიშვნელობა გააჩნია (იხ. ქვემოთ და თავი 3).

### **ფარმაკოკინეტიკური პრინციპები**

პრაქტიკული თერაპიისათვის აუცილებელი პირობაა, რომ რომელიმე მოხერხებული გზით ორგანიზმში შეყვანის შემდეგ წამალს უნდა შეეძლოს მოქმედების ადგილამდე მიღ-ევა. ზოგიერთ შემთხვევაში არაპრაქტიკური ქიმიური ნიე-თიერება, რომელიც ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ად-ვილად შეიწოვება და ნაწილდება, ბიოლოგიური პროცესე-ბის შემდეგ, აქტიურ წამლად გარდაიქმნება. ასეთ ქიმიურ ნიეთიერებას წამლის წინამორბედი (პრო-წამალი) ეწოდება.

სივითა შემთხვევაში წამალი უშუალოდ სამიხე ქსო-ვილთან ახლოს შეჰყავთ, მაგ. კანის ან ლორწოვანი გარსის ანთების სამკურნალოდ ანთების საწინააღმდეგო სამუქალე-ბების ადგილობრივ აპლიკაციას მიმართავენ. უფრო ხშირ-ად შედიკამენტი ორგანიზმის ერთ-ერთ საკანში შეჰყავთ (მაგ. ნაწლავში). რის შემდეგაც იგი თავისი მოქმედების ადგილისაკ-ენ. სხვა საკანისკენ (მაგ. თავის გვირისკენ) გადაადგილდება. ეს პროცესი მოითხოვს შეყვანის ადგილიდან წამლის სისხ-ლში შეწოვას (აბსორბციას) და მოქმედების ადგილისაკენ **განაწილებას**, რისთვისაც აუცილებელია ორგანიზმის საკანე-ბის გამყოფი სხვადასხვა ბარიერის გადალახვა. ცენტრალურ

ნერველ სისტემაზე ეფექტის მოახდენად ორალურად მიღ-ებულ წამალს უხდება ნაწლავის კედლის ამოშენი უჯრე-ლებით, ნაწლავისა და ცნის-ის კაპილარების კედლებით (ჰემო-გონცეფულარული ბარიერი) ) შექმნილი ბარიერების გადალ-ახვა. და ბოლოს, ეფექტის განხორციელების შემდეგ, უნდა მოხდეს წამლის ელიმინაცია – მეტაბოლური ინაქტივაცი-ისა თუ ექსკრეციის გზით, ან ამ ორი პროცესის ერთობლიო-ბით.

### **შეწვევლობა**

წამლის ორგანიზმში მოხვედრა რამდენიმე მექანიზმით მიმდინარეობს. თხვევად ან ლიპიდურ გარემოში ხშირია პა-სიური დიფუზია, მაგრამ აქტიური პროცესები დიდ როლს ასრულებენ მრავალი წამლის გადაადგილებაში, განსაკუთრე-ბით კი დიდი ზომის მოლეკულების, რადგან მათი დიფუზია გაძნელებულია.

1. დიფუზია წყლოვან გარემოში – წყლოვანი დიფუ-ზია მიმდინარეობს ორგანიზმის დიდი ზომის თხვევად საკანე-ბში (ინტერსტიციული სივრცე, ციტობოლი და ა.შ.) ერთმანეთ-თან მჭიდრო კავშირში მყოფ ეპითელიურ მემბრანებზე და სისხლძარღვების ენდოთელიურ გარსს შორის არსებული სპეციფიკური ფორების მეშვეობით, რომლებიც ზოგიერთ ქსოვილში დიდი მოლეკულების (მოლეკულური წონით 20,000-30,000\*) გატარების საშუალებასაც კი იძლევიან.

წამლის მოლეკულების წყლოვანი დიფუზია სველებრივ მისი კონცენტრაციული გრადიენტის მიხედვით მიმდინარე-ობს – მაღალი კონცენტრაციიდან დაბლისკენ, რაც აღწერ-ილია ფიკის კანონში (იხ. ქვემოთ). პლაზმის დიდ ცილებთან (მაგ. ალბუმინთან) შეკავშირებული წამლის მოლეკულები ვერ გადაიან სისხლძარღვების უმრავლეს ფორებში. დამუხტული წამლის შეღწევალობაზე გავლენას ახდენს ელექტრული ველი (მაგ. მემბრანული პოტენციალი და, ნეურონების ნაწილში, გრანისტგებულური პოტენციალი).

2. დიფუზია ცხიმოვან, ანუ ლიპიდურ გარემოში – ლიპიდურ გარემოში დიფუზია წამლის შეღწევალობის მნიშვნელოვანი შემზღუდავი ფაქტორია, რადგან ორგანიზმის სხვადასხვა წყლოვანი საკანი ერთმანეთისაგან გამოყოფილ-ია ლიპიდური ბარიერით. ლიპიდურ გარემოში წამლის მოლეკულის მოძრაობის განსაზღვრული ძირითადი სიდიდეა ლიპიდი/წყალი თანაფარდობის კოეფიციენტი. დამუხტუ-ლი მოლეკულები იმიდაეენ წყლის მოლეკულებს, ამიტომ სუსტი მეკეებისა და სუსტი უფეების (რომლებიც გარემოს pH-ის მიხედვით იძენენ ან კარგავენ ელექტრული მუხტის მაგარებელ პროტონებს) წყლოვანი გარემოდან ლიპი-დურისკენ (ან პირიქით) გადაადგილების უნარი გარემოს pH-ზეა დამოკიდებული. სუსტი მეკეა ან სუსტი უფის ცხიმში ხსნალი ფრაქციის ფარდობა წყალში ხსნად ფრაქციასთან ჰენდერსონ-ჰასელბახის განტოლებით გამოიხატება (იხ. ქვე-მოთ).

3. სპეციფიკური გადატანები – უჯრედის ფუნქციონ-ირებისათვის აუცილებელ ძალიან დიდი მოლეკულური წო-ნის მქონე, ან ცხიმში ძლიერ უხსნად ნიეთიერებებს (მაგ. ჰემ-გიდები, ამინომეკეები, გლუკოზა) მემბრანების გავლა უჭირთ, ამიტომ გადაადგილებაში მათ სპეციფიკური გადატანი მოლე-კულები უხმარებთ. მათ აქტიური გრანსპორტის ან გად-ვილებული დიფუზიის გზით გადააქცი ნიეთიერების მოლე-

\*თავის გვირის, სათესლე ჯირკვლებისა და ზოგიერთი სხვა ქსოვილის კაპილარები არ შეიქცევენ წყლოვანი დიფუზიისათვის აუცილებელ ფორებს. ვარდა ამისა, ისინი შესაძლოა მაღალი კონცენტრაციით შეიცავდნენ წამლების ექსპორტის გემბობებს (MDR გემბობები; იხ. გვესტა). რის გამოც ეს ქსოვილები მრავალი მოციტკულირე წამლისაგან დიფუზია არიან, ან შეიქცევენ მათთვის "აკრიბლულ გერტორიას".

კლები. პასიური დიფუზიისაგან განსხვავებით, ეს პროცესები გაჯერებადი არიან და ინჰიბირებას ექვემდებარებიან. ბუნებრივი პეპტიდის, ამინომჟივის, ან შაქრის მგაუსი ზოგიერთი წამალი მემბრანული ბარიერების გაღასაღახავად ამ ვალანტან მოლეკულებს იყენებს.

მრავალი უჯრული შეიცავს აგრეთვე ნაკლებად ხელეჩქურ მემბრანულ გაღამებებს, რომლებიც უჯრულიდან უცხო მოლეკულების გამოსევენებს ემსახურებიან. ასეთი გრანსპორტერების ერთ-ერთი დიდი ოჯახი იკავშირებს აღნიშნულ ტრიფოსფატს (ატფ) და შაი ABC ოჯახი (ატფ-შემაკავშირებელი კასეტა) ეწოდება. ის შეიცავს P-გლიკოპროტეინს, ანუ წამლების მიმართ მულტირეზისტენტობის 1 ტიპის (MDR-1) გრანსპორტერს, რომელიც აღმოჩენილია თავის ტვინში, სათესლე ჯირკვლებსა და სხვა ქსოვილებში, აგრეთვე ზოგიერთ წამლის მიმართ რეზისტენტულ სიმსივნურ უჯრულებში. ABC ოჯახის მსგავსი საგრანსპორტო მოლეკულები – წამლების მიმართ მულტირეზისტენტობისასთან ასოცირებული ცილის (MRP 1-დან MRP 5-ის ჩათვლით) გრანსპორტერები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზოგიერთი წამლის (ან მათი მეტაბოლიტების) შარდსა თუ ნალექში ექსკრეციისში. აგრეთვე ქრონიკული საშუალებების მიმართ ზოგიერთი სიმსივნის რეზისტენტობაში. აღმოჩენილ იქნა გრანსპორტერთა რამდენიმე სხვა ოჯახი, რომლებიც არ იკავშირებიან ატფ-ს და მოლეკულების გადასატანად საერთო ენერჯის წყაროდ ისინი იონურ გრადიენტს იყენებენ. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერუული დაბოლოებების მემბრანების მიერ ნეიროგრანსმიტების უკუმიტაცების პროცესისათვის.

4. ენდოციტოზი და ეგზოციტოზი – ზოგიერთი ნივთიერების მოლეკულა იმდენად დიდი ზომისაა, ან შეუღწევია, რომ უჯრედში მათი მოხვედრა მხოლოდ ენდოციტოზის გზით არის შესაძლებელი. ენდოციტოზის პროცესში უჯრედის მემბრანის მიერ ნივთიერების შიანთქმა და უჯრედში მისი გადატანა წარმოებს ახლად წარმოქმნილი ბუშტუკების მემბრანის შიგნით შეტანის გზით. შემდგომში, ბუშტუკის მემბრანის დაშლის გამო, ხდება ნივთიერების გამთავისუფლება ციტოპლაზმაში. ამ პროცესის შემუშეობით ხორციელდება ვიტამინ B<sub>12</sub>-ისა და მისი შემკავშირებელი ცილის (შინანგანი ფაქტორი) კომპლექსის გადატანა სისხლში, ნაწლავის მემბრანის ვაკულით. ამის მსგავსად ხორციელდება ცილა გრანსპორტინთან დაკავშირებული რკინის გადატანა ჰემოგლობინის მასინთეზებელი ერთროციტების წინამორბედ უჯრულებში. ამ პროცესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საგრანსპორტო ცილების მიმართ სპეციფიკური რეცეპტორების არსებობა.

ენდოციტოზის საპირისპირო პროცესია ეგზოციტოზი, რომელიც ვანაპირობებს მრავალი ნივთიერების სეკრეციას უჯრულიდან. მაგ., სერუულ დაბოლოებებში მრავალი ნეიროგრანსმიტური მემბრანული შეკავშირებულ ბუშტუკებში, ევბიკულებში, ინახება, ციტოპლაზმაში მეტაბოლური დესტრუქციისაგან მისი დაცვის მიზნით. სერუული დაბოლოების ვაქტევივა იწვევს უჯრედულ მემბრანისთან ბუშტუკის შერწყმას და უჯრედგარეთა სერუუმში მისი შივთავის გაღმოციონის (თხ. თავი 6).

**დიფუზიის ფიქის კანონი**

მოლეკულების პასიური დინება კონცენტრაციის ვრადიენტის მიმართულებით აღწერილია ფიქის კანონში:

დინება (მოლეკულების რაოდენობა დროის ერთეულში) =


$$(C_1 - C_2) \times \frac{\text{ფართობი} \times \text{შელწვევადობის კოეფიციენტი}}{\text{სისქე}}$$

სადაც C<sub>1</sub> არის მაღალი კონცენტრაცია, C<sub>2</sub> კი დაბალი კონცენტრაცია. ფართობის ქვეშ იგულისხმება დიფუზიის ფართობი. შელწვევადობის კოეფიციენტი წარმოადგენს წამლის მოლეკულის მოძრაობის უნარს დიფუზიის პროცესში ვახაველუ გარემოში, სისქე კი დიფუზიის პროცესში ვახაველუ გზის სისქეა (სიგრძე).


ლიპიდური დიფუზიისათვის წამლის მოძრაობის უნარის ძირითადი განსაზღვრელი მისი ლიპიდ/წყალი თანაფარდობის კოეფიციენტი, რაღაც სწორედ ის განსაზღვრავს, თუ თხევად გარემოდან რამდენად იოლად აღწევს მელიკამენტი ლიპიდურ მემბრანაში.

**სუსტი მჟავებისა და სუსტი ფუქების იონიზირება; კონსტანტ-პასელბახის ბანტოლქა**

იონიზებული მოლეკულის ელექტროსტატიკური მუხტი იმდენად წყლის დიპოლს, რის შელეგადაც წარმოიქმნება ან წყალში შელარებით ხსნადი და ცხიმში შელარებით უხსნადი პოლარული კომპლექსები. ლიპიდური დიფუზია დამოკიდებულია ნივთიერების ხსნადობაზე ცხიმში, ამიტომ წამლის მოლეკულების იონიზაცია შესაძლია მკვეთრად შეამციროს მათი მემბრანაში შელწვევის უნარი. პრაქტიკულ მედიცინაში გამოყენებული წამლების უდიდესი ნაწილი სუსტი მჟავა ან სუსტი ფუქია (ცხრილი 1-2). წამლის შემთხვევაში, სუსტი მჟავა ვანსაზღვრება, როგორც ნეიტრალური მოლეკულა, რომელიც შეუძლია შექცევადად დისოცირდეს ანიონად (უარყოფითად დამუხტულ მოლეკულად) და პროტონად (წყალბადის იონად). მაგ., ასპირინი შექცევადად დისოცირდება:



სუსტი ფუქე ბუნების წამალი ნეიტრალური მოლეკულაა, რომელიც პროტონთან შეერთების შემდეგ წარმოქმნის კათიონს (დადებითად დამუხტულ მოლეკულას). მაგ., მალარიის საწინააღმდეგო საშუალება პირიმეთამის ვანსედის შემდეგ ასოციაცია-დისოციაციის პროცესს:



აღსანიშნავია, რომ სუსტი მჟავის პროტონირებული ფორმა ნეიტრალურია და ცხიმში უკეთ ხსნადია, მაშინ როდესაც სუსტი ფუქის შემთხვევაში ნეიტრალური მისი არაპროტონირებული ფორმაა, მასის მოქმედების კანონის მიხედვით მჟავა გარემოში (დაბალი pH, ჭარბი პროტონები) ეს რეაქციები ვადისრებიან მარცხნივ, გუგე გარემოში კი მარჯვნივ. მენდერსონ-პასელბახის ვანგოლება შემდეგნაირად აკავშირებს სუსტი მჟავას ან სუსტი ფუქის პროტონირებული და არაპროტონირებული ფორმების ფარდობას მოლეკულის pK<sub>a</sub>-სა და გარემოს pH-თან

$$\log \frac{\text{(პროტონირებული)}}{\text{(არაპროტონირებული)}} = pK_a - pH$$

ეს ვანგოლება მიხადავება როგორც სუსტი მჟავა, ისე სუსტი ფუქე ბუნების მელიკამენტებს, დაკვირვებებს აჩვენა, რომ რაც უფრო დაბალია გარემოს pH-ი ნივთიერების pK<sub>a</sub> სთან შელარებით, მით უფრო მეტია ამ ნივთიერების პრო-

*ცხრილი 1-2.* ზოგიერთი გავრცელებული წამლის იონიზაციის კონსტანტა


წამალი სუსტი მჟავები	pK <sub>a</sub> <sup>1</sup>	წამალი სუსტი ფუძეები	pK <sub>a</sub> <sup>1</sup>	წამალი სუსტი ფუძეები (გავრცელებული)	pK <sub>a</sub> <sup>1</sup>
აცეტამინოფენი	9.5	ალბუტეროლი (სალბუტამოლი)	9.3	იზოპროტერენოლი	8.6
აცეტაზოლამიდი	7.2	ალოპურინოლი	9.4, 12.3 <sup>2</sup>	ლიდოკაინი	7.9
ამპიცილინი	2.5	ალპრენოლოლი	9.6	მეტარამინოლი	8.6
ასპირინი	3.5	ამილარიდი	8.7	მეთალონი	8.4
ქლოროთიაზიდი	6.8, 9.4 <sup>2</sup>	ამიოდარონი	6.56	მეთამპეტამინი	10.0
ქლოროპროპამიდი	5.0	ამფეტამინი	9.8	მეთილდოპა	10.6
ციპროფლოქსაცინი	6.1, 8.7 <sup>2</sup>	აგროპინი	9.7	მეტოპროლოლი	9.8
კროსოლინი	2.0	ბუპიოპრინი	8.1	მორფინი	7.9
ეთაკრინის მჟავა	2.5	ქლორდიამენიქსიდი	4.6	ნიკოტინი	7.9, 3.1 <sup>2</sup>
ეუროსეპიდი	3.9	ქლოროქსინი	10.8, 8.4	ნორეპინეფრინი	8.6
იბუპროფენი	4.4, 5.2	ქლორფენირამინი	9.2	პენტამოცილი	7.9
ლევოდოპა	2.3	ქლორპროპამინი	9.3	ფენილეფრინი	9.8
მეთოტრექსატი	4.8	კლონიდინი	8.3	ფიზოსტიგმინი	7.9, 1.8 <sup>2</sup>
მეთილდოპა	2.2, 9.2 <sup>2</sup>	კოკაინი	8.5	პილოკარპინი	6.9, 1.4 <sup>2</sup>
პენცილაზინი	1.8	კოდეინი	8.2	პინდოლოლი	8.6
პენტობარბიტალი	8.1	ციკლიმინი	8.2	პროკაინამიდი	9.2
ფენობარბიტალი	7.4	დეჰიპრამინი	10.2	პროკაინი	9.0
ფენიტოინი	8.3	დიამპირამინი	3	პრომეთაზინი	9.1
პროპილთიოურაცილი	8.3	დიფენჰიდრამინი	8.8	პროპრანოლოლი	9.4
სალიცილის მჟავა	3.0	დიფენიქსილატი	7.1	ფსედოეფედრინი	9.8
სულფადაზინი	6.5	ეფედრინი	9.6	პირამეთაზინი	7.0
სულფაპირიდინი	8.4	ეპინეფრინი	8.7	ქინიდინი	8.5, 4.4 <sup>2</sup>
თეოფილინი	8.8	ერგოტამინი	6.3	სკოპოლამინი	8.1
ტოლბუტამიდი	5.3	ფლუფენაზინი	8.0, 3.9 <sup>2</sup>	სტრიქნინი	8.0, 2.3 <sup>2</sup>
ვარფარინი	5.0	ჰიდრალაზინი	7.1	ტერბუტალინი	10.1
		იმიპრამინი	9.5	თიოტიდაზინი	9.5

<sup>1</sup> pK<sub>a</sub> შეესაბამება pH-ის მანქანებულს, რომლის დროსაც იონიზებული და არაიონიზებული ფორმების კონცენტრაციები თანაბარია.  
<sup>2</sup> ერთზე მეტი იონიზებადი ჯგუფი


ტონირებული ფორმის ხეყვითი წილი. წამლის დაუმუხ-გაეი ფორმა ცხიმში უკეთ იხსნება, ამიტომ დაბალი pH-ის პირობებში სუსტი მჟავა ცხიმში მეტად ხსნადია, ხოლო მაღალი pH-ის პირობებში კი იზრდება გუგე ბუნების წამლის ცხიმში ხსნადობა.

წამლის თირკმლისძიერი ექსკრეციის მანიპულირების პროცესში ეს პრინციპი გამოიყენება. თითქმის ყველა წამალი იფილტრება გლომერულაში. თუ წამალი ცხიმში ხსნად მდგომარეობაშია, მაშინ თირკმლის მილაკში გაელისას ხდება მისი მნიშვნელოვანი ნაწილის რეაბსორბცია მარჯივი პასიური დიფუზიის მეშვეობით. თუ მკურნალობის მიზანია წამლის ექსკრეციის დაჩქარება (მაგ., წამლის დოზის გაღაჭარბების შემთხვევაში), მაშინ აუცილებელია თირკმელების მილაკებში მისი რეაბსორბცია თავიდან ავიღება. ეს ხშირად ხორციელდება მარდის pH-ის შეცვლით ისე, რომ წამლის დიდი ნაწილი იყოს იონიზებულ ფორმაში, რაც ნაწილობრივ 1-1. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად წამალი მარდში 'იონურ მახეში ებმება'. ამრიგად, სუსტი მჟავები, ზეუღლებრივ, სწრაფად ექსკრეტირდებიან მარდის გუგე pH-ის პირობებში, სუსტი ფუძეები კი პირიქით – მარდის მჟავე pH-ის პირობებში. კუჭისა და ნაწლავების შიგთავსი, თვალის ნაში, რძე, ეგზინალური და პროსტატის ხეკრეგები ორგანიზმის იმ ქსოვილოვან სიბი-ეებს შეეკუთვნებიან, რომელთა pH-სა და სისხლის pH-ს მორის სხვაობა იწვევს წამლის 'იონურ მახეში გაბმას' ან რეაბ-სორბციას (ცხრილი 1-3).

როგორც ნაწილობრივ ცხრილში 1-2, წამალითა უმეტესი ნაწილი სუსტი ფუძეებია. ამ ფუძეთა უმრავლესობა ამინის შემცველი მოლეკულებია. ნეიტრალური ამინის აზოტს გააჩნია მასთან დაკავშირებული სამი ატომი და ასევე გაუმზარე-ბელი ელექტრონების წვეილი (იხ. გამოსახულება ქვემოთ). სამი ატომი შეიძლება შედგებოდეს ნახშირბადისაგან (ალბ-ინიშება 'R'-ით) და ორი წყალბადისაგან (*პირველადი* ამინი), ორი ნახშირბადისაგან და ერთი წყალბადისაგან (*მეორეული* ამინი), ან სამი ნახშირბადის ატომისაგან (*მესამეული* ამინი). ამ სამი ატომიდან თითოეულს, შეუწვეილებელი ელექტრონის მეშვეობით, შეუძლია პროტონთან შექცევადი კავშირის დამყარება. ზოგიერთ წამალს გააჩნია მეოთხე ნახ-შირბად-აზოტის კავშირიც; მათი *მეოთხეული* ამინები ეწოდებ-ბათ. ამრიგად, მეოთხეული ამინები მუდმივად დაშუგულნი არიან და პროტონთან შექცევადად დასაკავშირებელი შეუწ-ყვილებელი ელექტრონი არ გააჩნიათ, რის გამოც ცხიმში ყოველთვის ცუდად იხსნებიან; პირველადი, მეორეული და მესამეული ამინები კი ექვემდებარებიან შექცევადად პრო-ტონირებას და მათი ცხიმში ხსნადობა გარემოს pH-ზეა დამოკიდებული.



წამალთა ჯგუფები



ამ წიგნში განხილული ასობით წამლიდან თითოეულის შესახებ ცალკეული, დეტალური ფაქტების შესწავლა პრაქტიკულ მიზანს არ წარმოადგენს, საბედნიეროდ, ამის საჭიროებაც არ არის. ამკამალ არსებული რამდენიმე ათასი წამალი შეიძლება 70 ჯგუფში იქნას გაერთიანებული. თითოეულ ჯგუფში არსებულ მრავალ წამალს მსგავსი ფარმაკოდინამიკური, ხშირად კი ფარმაკოკინეტიკური თვისებებიც ახასიათებთ. ჯგუფთა უმრავლესობისთვის შესაძლებელია შეირჩეს ერთი ან რამოდენიმე პროტოტიპური წამალი, რომელსაც ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი თვისება ახასიათებს. ეს მიდგომა ჯგუფში შემაჯავლი სხვა წამლების პროტოტიპის ვარიანტად განხილვის საშუალებას იძლევა, ასე, რომ შესწავლის პროცესს აიოლებს პროტოტიპის დეტალურად განხილვა და ჯგუფის სხვა წარმომადგენლების მასიან შედარებითი დასასიათება.

ინფორმაციის წყაროები

სტუდენტებს, რომელთაც სურთ ფარმაკოლოგიის განხრების შესწავლა გამოცდისათვის მოსამზადებლად, შეუძლიათ გაეცნონ: *Pharmacology: Examination and Board Review*, by Trevor, Katzung, and Masters (McGraw-Hill, 2005) ან *USMLE Road Map: Pharmacology*, by Katzung and Trevor (McGraw-Hill, 2006).

ამ წიგნის ყოველი თავის ბოლოს მითითებული ლიტერატურა შერჩეულია შესაბამისი ინფორმაციის შესახებ მიმოხილვების ან კლასიკური პუბლიკაციების გაცნობის მიზნით. ექსპერიმენტული ან კლინიკური კვლევების ირგვლივ სპეციფიკურ შეკითხვებს საუკეთესოდ პასუხობენ ჟურნალები ზოგადი ფარმაკოლოგიისა და კლინიკური დარგების შესახებ. წამლების შესახებ თანამედრო ინფორმაციის გამოსადეგარი წყაროს სახით ექიმთა და სტუდენტთათვის რეკომენდებულია სამი პერიოდული გამოცემა: *The New England Journal of Medicine*, რომელიც აქვეყნებს როგორც წამალთა ორიგინალურ კლინიკურ კვლევებს, ასევე ბაზისური ფარმაკოლოგიის საკითხების ხშირ მიმოხილვას; *The Medical Letter on Drugs and Therapeutics*, რომელიც აქვეყნებს მკურნალობის ახალი და ძველი მიდგომის მოკლე კრიტიკულ მიმოხილვებს; და *Drugs*, რომელიც აქვეყნებს მედიკამენტებისა და მედიკამენტთა ჯგუფების შესახებ ფართო მიმოხილვებს.

სურათი 1-1. სუსტი მჟავას (პირიმეტიამინი) შარდში 'იონურ მახეში' გაბმა. როდესაც შარდის pH, სისხლის pH-თან შედარებით უფრო მჟავაა. სურათზე გამოსახულ პიპოთიკურ შემთხვევაში წამლის დიფუზირებადი, დაუიონიკოვანი ფორმა გაწონასწორებულია მემბრანის გასწვრივ, მაგრამ მისი საერთო კონცენტრაცია (დაბუსტგულის და დაუმუსტგულის ჯამში) შარდში, სისხლთან შედარებით, ითიქმის რეაქერ მაღალია.

ორგანიზმის სისხე	pH-ის ღონე	თხევალი გარემო/ სისხლი კონცენტრაციითა ფარლობა სულფადიაზინისათვის (მჟავა, pK <sub>a</sub> 6.5) <sup>1</sup>	თხევალი გარემო/ სისხლი კონცენტრაციითა ფარლობა პირიმეტიამინისათვის (ფუბე, pK <sub>a</sub> 7.0) <sup>1</sup>
შარდი	5.0 – 8.0	0.12 – 4.65	72.24 – 0.79
ღელის რქე	6.4 – 7.6 <sup>2</sup>	0.2 – 1.77	3.56 – 0.89
მლიეი და თემოს ნაწლავების შიგთავსი	7.5 – 8.0 <sup>3</sup>	1.23 – 3.54	0.94 – 0.79
კუჭის შიგთავსი	1.92 – 2.59 <sup>2</sup>	0.11 <sup>4</sup>	85.993 – 18.386
პროსტატის სეკრეტი	6.45 – 7.4 <sup>2</sup>	0.21	3.25 – 1.0
ვაგინური სეკრეტი	3.4 – 4.3 <sup>3</sup>	0.11 <sup>4</sup>	2848 – 452


<sup>1</sup> ორგანიზმის თხევალი გარემოში წამლის პროტონირებული და არაპროტონირებული ფორმების ფარლობა გამოთვლილი იყო pH-ის ორი უკიდურესი მანქენებლის გამოქენებით: სისხლში წამლის ფარლობის გამოსაიოლეულად გამოქენებული იყო სისხლის pH 7.4. მაგ, პოთეოსტატის მღგო-მარეობაში სულფადიაზინის შარდი/სისხლი ფარლობა არის 0.12, როდესაც შარდის pH 5.0-ის გოლია. მისი მნიშენელობის 8.0-მღე გაზრდისას კი ეს ფარლობა 4.65-ს უგოლდებო. ამრიგად, სულფადიაზინი შეკაელება ტუტე შარდში და ორგანიზმიდან ეფექტურად ექსკრეტირდება.

<sup>2</sup> Lennier C (editor): *Geigy Scientific Tables*, vol 1, 8<sup>th</sup> ed. Ciba Geigy, 1981.

<sup>3</sup> Bowman WC, Rand MJ: *Textbook of Pharmacology*, 2<sup>nd</sup> ed. Blackwell, 1980.

<sup>4</sup> ფარლობათა უმნიშენელო ცვლილება pH-ის ფიზიოლოგიური ცვალებადობის პირობებში.

წამალთა ჯგუფები



ამ წიგნში განხილული ასობით წამლიდან თითოეულის შესახებ ცალკეული, დეტალური ფაქტების შესწავლა პრაქტიკულ მიზანს არ წარმოადგენს, საბედნიეროდ, ამის საჭიროებაც არ არის. ამჟამად არსებული რამდენიმე ათასი წამალი შეიძლება 70 ჯგუფში იქნას გაერთიანებული. თითოეულ ჯგუფში არსებულ მრავალ წამალს მსგავსი ფარმაკოდინამიკური, ხშირად კი ფარმაკოკინეტიკური თვისებებიც ახასიათებთ. ჯგუფთა უმრავლესობისთვის შესაძლებელია შეიარსეს ერთი ან რამოდენიმე პროტოტიპური წამალი, რომელსაც ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი თვისება ახასიათებს. ეს მიდგომა ჯგუფში შემაჯავლი სხვა წამლების პროტოტიპის ვარიანტად განხილვის საშუალებას იძლევა, ასე, რომ შესწავლის პროცესს აიოლებს პროტოტიპის დეტალურად განხილვა და ჯგუფის სხვა წარმომადგენლების მასთან შედარებითი დახასიათება.

ინფორმაციის წყაროები

სტუდენტებს, რომელთაც სური ფარმაკოლოგიის განხრეუბის შესწავლა გამოცდისათვის მოსამზადებლად, შეუძლიათ გაეცნონ: *Pharmacology: Examination and Board Review*, by Trevor, Katzung, and Masters (McGraw-Hill, 2005) ან *USMLE Road Map: Pharmacology*, by Katzung and Trevor (McGraw-Hill, 2006).  
 ამ წიგნის ყოველი თავის ბოლოს მითითებული ლიტერატურა შერჩეულია შესაბამისი ინფორმაციის შესახებ მიმოხილვების ან კლასიკური პუბლიკაციების გაეცნობის მიზნით. ექსპერიმენტული ან კლინიკური კვლევების ირგვლივ სპეციფიკურ შეკითხვებს საუკეთესოდ პასუხობენ ჟურნალები ზოგადი ფარმაკოლოგიისა და კლინიკური დარგების შესახებ. წამლების შესახებ თანამედრო ინფორმაციის გამოსადეგარი წყაროს სახით ექიმთა და სტუდენტთათვის რეკომენდებულია სამი პერიოდული გამოცემა: *The New England Journal of Medicine*, რომელიც აქვეყნებს როგორც წამალთა ორიგინალურ, კლინიკურ კვლევებს, ასევე ბაზისური ფარმაკოლოგიის საკითხების ხშირ მიმოხილვას; *The Medical Letter on Drugs and Therapeutics*, რომელიც აქვეყნებს მკურნალობის ახალი და ძველი მიდგომის მოკლე კრიტიკულ მიმოხილვებს; და *Drugs*, რომელიც აქვეყნებს მედიკამენტებისა და მედიკამენტთა ჯგუფების შესახებ ფართო მიმოხილვებს.

სურათი 1-1. სუსტი მჟავას (პირიმეთამინის) შარდში 'იონურ მახეში' გაბმა, როდესაც შარდის pH, სისხლის pH-თან შედარებით უფრო მჟავაა. სურათზე გამოსახულ პიპოთეგურ შემთხვევაში წამლის დიფუზირებადი, დაუმუხტავი ფორმა გაწონასწორებულია მემბრანის გასწვრივ, მაგრამ მისი საერთო კონცენტრაცია (დამუხტულის და დაუმუხტავის ჯამი) შარდში, სისხლთან შედარებით, ითიქმის რეაქტრ მაღალია.

ორგანიზმის სისხე	pH-ის დონე	თხევადი გარემო <sup>1</sup> სისხლი კონცენტრაციათა ფარლობა სულფადაზინისათვის (მჟავა, pK <sub>a</sub> 6.5) <sup>1</sup>	თხევადი გარემო <sup>1</sup> სისხლი კონცენტრაციათა ფარლობა პირიმეთამინისათვის (ფუძე, pK <sub>a</sub> 7.0) <sup>1</sup>
შარდი	5.0 – 8.0	0.12 – 4.65	72.24 – 0.79
ღელის რქე	6.4 – 7.6 <sup>2</sup>	0.2 – 1.77	3.56 – 0.89
მლივი და თეძოს ნაწლავების შიგთავისი	7.5 – 8.0 <sup>3</sup>	1.23 – 3.54	0.94 – 0.79
კუჭის შიგთავისი	1.92 – 2.59 <sup>2</sup>	0.11 <sup>4</sup>	85,993 – 18,386
პროსტატის სეკრეტი	6.45 – 7.4 <sup>2</sup>	0.21	3.25 – 1.0
ვაგინური სეკრეტი	3.4 – 4.3 <sup>3</sup>	0.11 <sup>4</sup>	2848 – 452

<sup>1</sup> ორგანიზმის თხევად გარემოში წამლის პროტონირებული და არაპროტონირებული ფორმების ფარლობა გამოთვლილი იყო pH-ის ორი უკიდურესი მარჯვენის გამოყენებით; სისხლში წამლის ფარლობის გამოსათვლელად გამოყენებული იყო სისხლის pH 7.4. მაგ., პიპოთეგამის მდგომარეობაში სულფადაზინის შარდი/სისხლი ფარლობა არის 0.12, როდესაც შარდის pH 5.0-ის ტოლია. მისი მნიშვნელობის 8.0-მდე გაზრდისას კი ეს ფარლობა 4.65-ს უტოლდება. ამრიგად, სულფადაზინი შეკავდება გუჯე შარდში და ორგანიზმიდან ეფექტურად ექსკრეტირდება.  
<sup>2</sup> Lentner C (editor): *Geigy Scientific Tables*, vol 1, 8<sup>th</sup> ed. Ciba Geigy, 1981.  
<sup>3</sup> Bowman WC, Rand MJ: *Textbook of Pharmacology*, 2<sup>nd</sup> ed. Blackwell, 1980.  
<sup>4</sup> ფარლობათა უმნიშვნელო ცვლილება pH-ის ფიზიოლოგიური ცვალებადობის პირობებში.

აღინიშნულ უნდა იქნას აშშ-ის წამლის საინფორმაციო სხვა წყაროებიც. "ანოტაცია" წარმოადგენს მოკლე საინფორმაციო მონაცემებს, რომელიც მწარმოებელმა უნდა დაურთოს გასაყიდი მედიკამენტის შეკვრას; *Physicians' Desk Reference (PDR)* ანოტაციების კრებულია, რომელიც ყოველწლიურად გამოიცემა და წელიწადში ორჯერ ახლდება. *USP DI* (vol 1, *Drug Information for the Health Care Professional*) წარმოადგენს მედიკამენტთა ყოველწლიურ დიდ კრებულს, რომლის ყოველივე ური განახლებული ინტერნეტის ვერსია ქვეყნდება Micromedex Corporation მიერ. ანოტაცია მოიცავს პროდუქტის მოკლე ფარმაცოლოგიურ აღწერილობას, ბროშურა კი შეიცავს პრაქტიკულ ინფორმაციას წამლის არასასურველი მოქმედების შესახებ და აკისრებს პასუხისმგებლობას არა მწარმოებელს, არამედ პრაქტიკოს ექიმს. მწარმოებელი ჩვეულებრივ გვაწვდის წამლის ოდესმე გამოვლენილ (ძალზე იშვიათსაც) ნებისმიერ ტოქსიკურ ეფექტს. *Drug Interactions: Analysis and Management* გვაწვდის ინფორმაციას მედიკამენტთა ტოქსიკრობისა და ურთიერთქმედებების შესახებ და სასარგებლო და ობიექტურ კვარტალურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. და ბოლოს, Food and Drug Administration (FDA) აქვს ინტერნეტ ვებ-გვერდი, რომელიც მოიცავს ახალ-ახალ ინფორმაციას მედიკამენტების დამტკიცების, ხმარებიდან ამოღების, გაფრთხილებების და ა.შ. შესახებ. მისი ნახვა შესაძლებელია ინტერნეტით აღჭურვილი ნებისმიერი კომპიუტერით ვებ გვერდზე <http://www.fda.gov>.

ზემოთ აღნიშნული ნებისმიერი პუბლიკაციის მოხაპოვებლად მკითხველს შეუძლია მიმართოს შემდეგ მისამართებს:

*Drug Interactions: Analysis and Management (quarterly)*  
Walters Kluwer Publications  
111 Westport Plaza, Suite 300  
St Louis, MO 63146  
*Pharmacology: Examination and Board Review, 7th ed.*  
McGraw-Hill Companies, Inc  
2 Penn Plaza 12<sup>th</sup> Floor  
New York, NY 10121-2298  
*USMLE Road Map: Pharmacology*  
McGraw-Hill Companies, Inc  
2 Penn Plaza 12<sup>th</sup> Floor  
New York, NY 10121-2298  
*The Medical Letter on Drugs and Therapeutics*  
56 Harrison Street  
New Rochelle, NY 10801  
*The New England Journal of Medicine*  
10 Shattuck Street  
Boston, MA 02115  
*Physicians' Desk Reference*  
Box 2017  
Mahopac, NY 10541  
*United States Pharmacopeia Dispensing Information*  
Micromedex, Inc.  
6200 S. Syracuse Way, Suite 300  
Englewood, CO 80111

წამალთა თერაპიული და გოქსიკური ეფექტები პაციენტის ორგანიზმში არსებულ მოლეკულებთან მათი ურთიერთქმედების შედეგია. წამალთა უმრავლესობა მოქმედებს სპეციფიკურ მაკრომოლეკულებთან დაკავშირების შემდეგ, მათი ბიოქიმიური ან ბიოფიზიკური აქტივობის შეცვლის გზით. ეს მცნება, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნისაა, გამოიხატება გერმინით რეცეპტორი: უჯრედის ან ორგანიზმის კომპონენტი, რომელიც ურთიერთქმედებს წამალთან და იწვევს მოვლენათა ჯაჭვს, რაც წამლის თერაპიული ეფექტით სრულდება.

წამალთა ეფექტების და მათი მოქმედების მექანიზმების (ფარმაკოდინამიკა) კვლევის ცენტრალური საგანს რეცეპტორი წარმოადგენს. რეცეპტორული კონცეფტია ძალზე მნიშვნელოვანია ბიოლოგიური რეგულირების მრავალი ასპექტის ასახსნელად. განსაკუთრებით ვნდოკრინოლოგიის, იმუნოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიისათვის. გამოყოფილ და აღწერილ იქნა მრავალი წამლის რეცეპტორი, რამაც უარდა ახადა წამალთა მოქმედების მოლეკულური საფუძვლებს.

წამლის განვითარებისა და კლინიკურ პრაქტიკაში თერაპიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რეცეპტორულ კონცეფციას. იგი წარმოადგენს წამალთა მოქმედების მექანიზმებისა და მათი კლინიკური გამოყენების შესწავლისა და ახსნის საფუძველს, რაც განხილულია ამ წიგნის თითქმის ყველა თავში. მათი მოკლედ ჩამოყალიბება შესაძლებელია შემდეგნაირად:

(1) რეცეპტორები განსაზღვრავენ წამლის ღოზასა (ან კონცენტრაციას) და ფარმაკოლოგიურ ეფექტს შორის რაოდენობრივ დამოკიდებულებას. წამლის მიმართ რეცეპტორის აფინურობა განსაზღვრავს იმ ეფექტურ კონცენტრაციას, რომელიც საჭიროა წამალი-რეცეპტორი კომპლექსების მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოქმნისათვის. რეცეპტორთა საერთო რაოდენობამ შესაძლოა შეზღუდოს წამლის მაქსიმალური ეფექტის გამოვლენის უნარი.

(2) რეცეპტორები არიან პასუხისმგებელი წამლის სელექციურ მოქმედებაზე. ზომა, ფორმა და ელექტრული მუხტი ის ძირითადი თვისებებია, რომლებზედაც დამოკიდებულია წამლის დაკავშირების აფინურობა უჯრედის, ქსოვილის, თუ პაციენტის ქიმიურად ესოდენ განსხვავებულ, მრავალფეროვან შეკავშირების ადგილებს. ამის გამო, წამლის ქიმიური სტრუქტურის ცვლილებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს ან შეამციროს ახალი წამლის აფინურობა სხვადასხვა ჯგუფის რეცეპტორების მიმართ, რაც შესაბამისად გავლენას ახდენს წამლის თერაპიულ და გოქსიკურ ეფექტებზე.

(3) რეცეპტორებზე დამოკიდებული როგორც ფარმაკოლოგიური აგონისტების, ისე ანტაგონისტების მოქმედება, ზოგი წამალი და მრავალი ბუნებრივი ლიგანდი, მაგ. ჰორმონები და ნეიროტრანსმიტერები, აგონისტური მუცავლების



გზით არეგულირებენ რეცეპტორის მაკრომოლეკულის ფუნქციას, ანუ მასთან უშუალოდ შეკავშირების შემდეგ იწვევენ რეცეპტორის გააქტივებას. ზოგიერთი აგონისტი ააქტივებს ერთი სახეობის რეცეპტორებს და ავლენს მასზე დამოკიდებულ ყველა ბიოლოგიურ ეფექტს, ზოგი კი შერწყვილია მოქმედებს მხოლოდ ერთი რეცეპტორის ფუნქციაზე.

სხვა წამლები მოქმედებენ, როგორც ფარმაკოლოგიური ანტაგონისტები, ანუ, ისინი უკავშირდებიან რეცეპტორს, მაგრამ არ ააქტიურებენ სიგნალის წარმოქმნის პროცესს; შესაბამისად, ისინი ხელს უშლიან აგონისტის მიერ რეცეპტორის სტიმულაციას. უჯრედზე თუ პაციენტის ორგანიზმზე ამ. ე.წ. „სუფთა“ ანტაგონისტების მუცავლენა მთლიანად დამოკიდებულია შეკავშირების ადგილთან აგონისტის კავშირის დამყარების ხელის შეშლასა და მისი ბიოლოგიური მოქმედების დათრგუნვაზე. სხვა ანტაგონისტები, აგონისტისა და რეცეპტორის შეკავშირების ხელის შეშლასთან ერთად, რეცეპტორის ბაზისურ სასიგნალო („ძირითად“) აქტივობასაც თრგუნავენ. კლინიკურ მედიცინაში ზოგიერთი ყველაზე უარყოფითად გამოყენებული წამალი ფარმაკოლოგიური ანტაგონისტია.

## წამალთა რეცეპტორების მაკრომოლეკულური ბუნება

რეცეპტორთა უმრავლესობა ცილაა, ალბათ იმიტომ, რომ პოლიპეპტიდური სტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც რეცეპტორთა საჭირო მრავალფეროვნებას, ისე მათი ფორმისა და ელექტრული მუხტის სპეციფიკურობას. რეცეპტორთა სტრუქტურა ძლიერ მრავალფეროვანია და მათი იდენტიფიკაცია სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი. გრადიციულად, ქსოვილითა ექსტრაქტებში რეცეპტორების აღმოჩენა და გამოყოფა ხორციელდებოდა წამლებთან მათი შეკავშირების გზით; შესაბამისად, წამალთა რეცეპტორები გაცილებით უფრო გვიან იქნენ აღმოჩენილნი, ვიდრე მათთან შეკავშირების უნარის მქონე წამლები. თუმცა, მოლეკულური ბიოლოგიის წინსვლამ ამ თანმიმდევრობას მიმართულება შეუცვალა: ამჟამად, ჯერ ხდება რეცეპტორის აღმოჩენა სხვა (ცნობილი) რეცეპტორების სავარაუდო სტრუქტურისა და შენების პოპოლოგიის მიხედვით. მოცვიანებით კი ხდება მათთან შეკავშირების უნარის მქონე წამლების შექმნა და განვითარება. ქიმიური სტრუქტურის მეთოდების გამოყენებით, ამ მიდგომამ მრავალი ცნობილი წამლის მიმართ მგრძობიარე რეცეპტორთა, მოხალღწელებზე გაცილებით მეტი, მრავალფეროვნება გამოავლინა. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე „ობოლი“ ანუ „უკული“ რეცეპტორების გარკვეული რაოდენობა, რომელთა ლიგანდები ჯერ-ჯერობით უცნო-





სურათი 2-1

წამლის კონცენტრაციისა და ეფექტის ურთიერთდამოკიდებულება (A);  $EC_{50}$  – წამლის კონცენტრაცია, რომელზეც ეფექტი მაქსიმუმის ნახევარია; კაემირი წამლის კონცენტრაციისა რეცეპტორთან შეკავშირებულ წამალს (B) შორის.  $K_d$  – წამლის ის კონცენტრაცია, რომლის პირობებშიც წამალი იკავებს არსებული რეცეპტორების ნახევარს.

ბია, თუმცა ისინი სამომავლოდ ახალი წამლების განვითარების სამიზნეს წარმოადგენენ.

წამლების ყველაზე კარგად შესწავლილი რეცეპტორები მარეგულირებელი ცილებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი ენდოგენური ქიმიური ნივთიერებების მოქმედებას, როგორცაა ნეიროტრანსმიტერები, აუტოკოიდები და ჰორმონები. სამედიცინო პრაქტიკაში ყველაზე უარყოფითად გამოყენებული სამკურნალო საშუალებების ეფექტები რეცეპტორთა ამ ჯგუფის მეშვეობით ხორციელდება. ამ მარეგულირებელი რეცეპტორების სტრუქტურა და ბიოქიმიური მექანიზმები აღწერილია ქვეთავში – სასიგნალო მექანიზმები და წამალითა მოქმედების მექანიზმები.

ცილიათა სხვა ჯგუფებიც წარმოადგენენ წამალითა რეცეპტორებს: ფერმენტები, რომლებიც წამალითან შეკავშირების შემდეგ შესაძლოა დაითრგუნოს, ან, უფრო იშვიათად, გააქტიურდეს (მაგ., დიპიდროფოლატ რეულექტაზა, სიმსივნეების საწინააღმდეგო საშუალების, მეთოტრექსატის რეცეპტორი); სატრანსპორტო ცილები (მაგ.,  $Na^+/K^+$  ATP-აზა – საგულე გლიკოზიდების მეშვრანული რეცეპტორი) და სტრუქტურული ცილები (მაგ., გუბულინი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება კოლხიციინის რეცეპტორი).

ამ თაეში განხილულია წამლის რეცეპტორის ფუნქციის საში ძირითადი ასპექტი, სირთულის ზრდის მიხედვით: (1) რეცეპტორები, როგორც წამლის კონცენტრაციისა და ფარმაკოლოგიურ ეფექტს შორის რაოდენობრივი დამოკიდებულების ძირითადი განმსაზღვრელები. (2) რეცეპტორები, როგორც წამლების სამიზნე მარეგულირებელი ცილები და ქიმიური სასიგნალო მექანიზმების შემადგენელი ნაწილები (3) რეცეპტორები, როგორც წამლის თერაპიული და ტოქსიკური ეფექტების მთავარი განმსაზღვრელები.

## წამლის კონცენტრაციისა და საპასუხო რეაქციის შორის დამოკიდებულება

წამლის დოზისა და პაციენტის ორგანიზმის საპასუხო რეაქციის შორის დამოკიდებულება რთულია, კონკრეტულად *in vitro* სისტემებში წამლის კონცენტრაციისა და მის

ეფექტს შორის კაემირი ხშირად მარტივია და მისი გამოსახვა შესაძლებელია მაიემატიკურად, რაც თეორიულ საფუძვლად უდევს პაციენტის ორგანიზმში მიმდინარე დოზისა და ეფექტის რთულ დამოკიდებულებას.

## კონცენტრაცია-ეფექტის მრუდები და რეცეპტორისა და აგონისტის შეკავშირება

ჩვეულებრივ, ინტექტური ცხოველისა თუ ადამიანის ორგანიზმის საპასუხო რეაქციის ინტენსიუობა დოზის პირდაპირპროპორციულად იზრდება თუმცა, დოზის მაგებასთან ერთად რეაქციის ინტენსიუობის ზრდა ნელდება და ბოლოს, შესაძლოა მიღწეულ იქნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც დოზის გაზრდასთან ერთად საპასუხო რეაქცია აღარ იმაგებს. *in vitro* სისტემებში წამლის კონცენტრაციისა და ეფექტს შორის ურთიერთდამოკიდებულება ჰიპერბოლური მრუდით გამოისახება (სურათი 2-1A) შემდეგი განტოლების შესაბამისად:


$$E = \frac{E_{max} \times C}{C + EC_{50}}$$

სადაც, E არის C კონცენტრაციაზე განვითარებული ეფექტი,  $E_{max}$  არის წამლის მაქსიმალური ეფექტი,  $EC_{50}$  არის წამლის ის კონცენტრაცია, რომელიც იწვევს მაქსიმალური ეფექტის ნახევარს, 50%-ს.

ეს ჰიპერბოლური დამოკიდებულება წააგავს ორ აფინურ მოლეკულას შორის კაემირის გამოხატვეულ მასის მოქმედების კანონს, რომლის მიხედვითაც აგონისტის წამლები შეკავშირების („ოკუპაციის“) გზით მოქმედებენ მათ მიმართ აფინურ სხვადასხვა ბიოლოგიურ მოლეკულასთან – რეცეპტორთან. ამ კავშირების დამყარების თეორიული დებულების დასაბუთებად მრავალი წამალი-რეცეპტორი სისტემის შემთხვევაში რადიკალური ლიგანდები გამოიყენება. ამ სისტემებში რეცეპტორთან წამლის შეკავშირება (B) წამლის თავისუფალ (შეკავშირებულ) კონცენტრაციაზე (C) დამოკიდებულია, რაც მოცემულია სურათზე 2-1 B და ანალიტიკური განტოლებით გამოისახება:

სურათი 2-2.

ლობის ღერძის ლოგარითული გრანსფორმაცია და სათადარიგო რეცეპტორთა ექსპერიმენტული გამოვლენა შეუქცევადი ანტაგონისტის სხვადასხვა კონცენტრაციების გამოყენებით. მრუდი A გამოხატავს აგონისტის რეაქციას ანტაგონისტის არარსებობის პირობებში. ანტაგონისტის დაბალი კონცენტრაციის გამოყენების შემდეგ (მრუდი B) მრუდი მართალია მარჯვნივ იხრება. მაგრამ მაქსიმალური ეფექტი შენარჩუნებულია, რადგან დარჩენილი რეცეპტორების რაოდენობა კვლავ იმავე მეტია. რაც ეფექტის განვითარებისათვის არის საჭირო. C მრუდზე ასახულია ანტაგონისტის მაღალი კონცენტრაციით მკურნალობის მონაცემები, სადაც აღარ არის „სათადარიგო“ რეცეპტორები, მაგრამ საკმარისია მაქსიმალური ეფექტის შექმნივლად წარმართვისათვის. ანტაგონისტის უფრო მაღალი კონცენტრაციები (მრუდები D და E) ამცირებს თავისუფალი რეცეპტორების რიცხვს იმდენად, რომ მცირდება მაქსიმალური ეფექტი. მრუდებზე D და E აგონისტის წარმოსახვითი EC<sub>50</sub> უახლოვდება K<sub>d</sub>-ს, რომელიც რეცეპტორის მიერ აგონისტის შეკავშირების აფინურობის მაჩვენებელია.



$$B = \frac{B_{max} \times C}{C + K_d}$$

სადაც, B<sub>max</sub> – რეცეპტორთან შეკავშირების ადგილების საერთო კონცენტრაციაა (ანუ, წამალთან შეკავშირებული ადგილების რაოდენობა წამლის უზომოდ მაღალი თავისუფალი კონცენტრაციის პირობებში). K<sub>d</sub> (წონასწორობის დისოციაციის მუდმივა) – თავისუფალი წამლის კონცენტრაცია, რომლის პირობებში შეკავშირების ადგილების მაქსიმუმის ნახევარია დაკავებული. ეს მუდმივა წამლის მიმართ რეცეპტორის აფინურობის უკუპროპორციულია: რაც უფრო დაბალია K<sub>d</sub> მით მაღალია შეკავშირების აფინურობა, და პირიქით. არ არის აუცილებელი, რომ EC<sub>50</sub> უტოლდებოდეს K<sub>d</sub>-ს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ეს ასეც იყოს, რაც ქვემოთ არის განხილული. დოზა-ეფექტის დამოკიდებულების მონაცემები ხშირად წარმოდგენილია, როგორც წამლის ეფექტის (ორდინატა) გრაფიკი ღერძის ან კონცენტრაციის ლოგარითმის საწინააღმდეგოდ (აბსცისა). ეს მათემატიკური მანქანი სურათი 2-1 გამოსახულ ჰიპერბოლურ მრუდს გარდაქმნის სიგმოიდურ მრუდად ხაზოვანი შუა ნაწილით (მაგ., სურათი 2-2). ეს აფართოვებს კონცენტრაციის ღერძის შიდას დაბალი კონცენტრაციებისათვის (სადაც ეფექტი სწრაფად იცვლება) და აკონსოლიდებს მას მაღალი კონცენტრაციებზე (სადაც ეფექტი ნელა იცვლება), მაგრამ არ აქვს განსაკუთრებული ბიოლოგიური ან ფარმაკოლოგიური მნიშვნელობა.

**რეცეპტორ-ეფექტორის შეწყვილება და სათადარიგო რეცეპტორები**

ფარმაკოლოგიური ეფექტის განვითარების მრავალსაფეხურიანი პროცესის საწყის, პირველ საფეხურს აგონისტის მიერ

რეცეპტორის დაკავება. მასთან დაწყვილება და მისი კონფორმაციული ცვლილება წარმოადგენს. გრანსდუქციურ პროცესს, წამლის მიერ რეცეპტორის დაკავებიდან ფარმაკოლოგიურ პასუხამდე, ხშირად შეწყვილება ეწოდება. „ოკუპაცია“ – პასუხის პროცესის ეფექტურობა ნაწილობრივ რეცეპტორის საწყის კონფორმაციულ ცვლილებაზე დამოკიდებული, ამრიგად, სრული აგონისტების ეფექტები. ნაწილობრივ აგონისტებთან შედარებით, რეცეპტორთან უფრო ეფექტური შეწყვილების შედეგია, რაც ქვემოთ არის განხილული. შეწყვილების ეფექტურობა იმ ბიოქიმიურ ცვლილებებზეც არის დამოკიდებული, რომლებიც წამლის რეცეპტორთან შეწყვილებას უჯრედულ პასუხად გარდაქმნიან. ზოგჯერ წამლის ბიოლოგიური ეფექტი შეწყვილებული რეცეპტორების რაოდენობის პირდაპირპროპორციულია. ეს დებულება მართებულია წამლებით რეგულირებადი იონური არხების შემთხვევაში, მაგროდესაც წამლით განპირობებული იონების ნაკადი შეკავშირებული რეცეპტორების (იონურის არხების) საერთო რაოდენობის პირდაპირპროპორციულია. სხვა შემთხვევებში ბიოლოგიური პასუხი წამლის რეცეპტორთან შეკავშირების უფრო რთული ფუნქციაა. ეს იმ რეცეპტორებზე ვრცელდება, რომლებიც სივსნალის გადამცემ ფუნქციულ კასკადთან არიან დაკავშირებულნი. მაგ., როდესაც ბიოლოგიური პასუხი წამლის მიერ დაკავებული რეცეპტორების საერთო რაოდენობის უკუპროპორციულად იმრდება.

„ოკუპაცია“ – პასუხის არახაზობრივ დამოკიდებულებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივად შეწყვილებილი. „სათადარიგო“ რეცეპტორების კონცეფცია ამ ფაქტზე განსჯაში გვებმარება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზუსტი ბიოქიმიური მექანიზმები ჯერ-ჯერობით უცნობია. ფარმაკოლოგიური რეაქციისთვის რეცეპტორები მამინ ითვლება „სათადარიგოდ“. თუ მაქსიმალური ბიოლოგიური ეფექტი ვითარდება აგონისტის იმ კონცენტრაციაზე, რომელიც არსებული რეცეპტორების სრული

რაოდენობის „ოკუპაციას“ არ განაპირობებს. ექსპერიმენტულად, სათადარიგო რეცეპტორების გამოვლენა შეუქცევადი ანტაგონისტის შემეშობით არის შესაძლებელი. იგი მართალია ხელს უშლის ავონისტისა და ხელსმისაწვდომი რეცეპტორების გარკვეული ნაწილის დაკავშირებას, მაგრამ ამ პირობებშიც კი, ავონისტის მაღალი კონცენტრაცია მაინც იწვევს მაქსიმალურ ეფექტს (სურათი 2-2). ამრიგად, კატექოლამინებით განპირობებული მაქსიმალური ინოტროპული ეფექტი იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება განვითარდეს, როდესაც ბეტა-ადრენორეცეპტორების 90%-ის ბლოკირებას აქვს ადგილი შეუქცევადი ანტაგონისტით. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მიოკარდიოციტები დიდ რაოდენობით შეიცავენ სათადარიგო ბეტა-ადრენორეცეპტორებს.

როგორ უნდა აიხსნას სათადარიგო რეცეპტორების ფენომენი? მაგ. ბეტა-ადრენორეცეპტორების აღგზნება ხელს უწყობს უჯანოზინ გრიფოსფატის (GTP) შეკავშირებას შუალედურ სასიგნალო ცილასთან, რომლის გააქტივებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გააახანგრძლივოს ავონისტ-რეცეპტორის ურთიერთქმედება (იხ. შემდეგში სექცია G ცილებსა და მქორად მქსენჯერებზე). ასეთ შემთხვევაში, რეცეპტორის „სათადარიგობა“ დროებითია. ინდივიდუალური ლიგანდ-რეცეპტორის კავშირით განპირობებული რეაქცია გაცილებით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე თვითონ შეკავშირების პროცესი, ამიტომ მაქსიმალური პასუხის მიღება შედარებით ნაკლები რეცეპტორის გააქტივებითაც არის შესაძლებელი.

იმ შემთხვევებში კი, როდესაც ბიოქიმიური მექანიზმები ბოლომდე არ არის შესწავლილი, ითვლება, რომ რეცეპტორების *სათადარიგობა* რიცხვობრივად გამოსხაგება. თუ უჯრედული „არარეცეპტორული“ კომპონენტების კონცენტრაცია ან რაოდენობა მდუღავს რეცეპტორთან შეკავშირებას, მაქსიმალური ეფექტი ყველა რეცეპტორის „ოკუპაციის“ გარეშე შესაძლოა განვითარდეს. ამრიგად, ავონისტის კონკრეტული კონცენტრაციის მიმართ უჯრედისა თუ ქსოვილის მგრძობელობა დამოკიდებულია არა მხოლოდ რეცეპტორის მიერ ავონისტის შეკავშირების *აფინურობაზე* ( $K_d$ ), არამედ რეცეპტორთა *სათადარიგობის*“ ხარისხზე, ანუ არსებულ რეცეპტორთა საერთო რაოდენობასა და მაქსიმალური ბიოლოგიური პასუხის განვითარებისათვის საჭირო რეცეპტორების ფარდობაზე.

სათადარიგო რეცეპტორების კონსეფიქცია კლინიკურად ძალზედ გამოსადეგია, რადგან წამლის სხეულის სხვადასხვა დოზაზე ორგანიზმის განსხვავებული პასუხის ახსნაში გვეხმარება, სასიგნალო პასუხის ბიოქიმიური ლეგალების გათვალისწინების გარეშე. ავონისტისა და რეცეპტორის ურთიერთქმედების  $K_d$  განსაზღვრავს, თუ რეცეპტორთა საერთო რაოდენობის რა ნაწილს ( $B/B_{max}$ ) დააკავებს ავონისტი ამა-თუ იმ კონცენტრაციის (C) პირობებში:

$$\frac{B}{B_{max}} = \frac{C}{C + K_d}$$

წარმოდგინეთ მორეაგირე უჯრედი, რომელსაც აქვს ოთხი რეცეპტორი და ოთხი ეფექტორი. ამ შემთხვევაში ეფექტორთა რაოდენობა არ მდუღავს მაქსიმალურ პასუხს, ასევე რეცეპტორთა რაოდენობა არ არის სათადარიგო, ამიტომ  $K_d$ -ს გოლი ავონისტის კონცენტრაცია დააკავებს რეცეპტორთა 50%-ს. შესატყვისად ეფექტორთა ნახევარი გააქტიურდება, რაც მაქსიმალური პასუხის ნახევრის გოლ რეაქციას (ანუ, ორი რეცეპტორი ასტამუღირებს ორ ეფექტორს) განაპირობებს. ეფექტორების იგივე საერთო რაოდენობის პირობებში რეცეპტორთა რაოდენობის 10-ჯერ გაზრდის (40 რეცეპტორამდე) შემთხვევაში რეცეპტორთა უმეტესი ნაწილი სათადარიგო მოგვევლინება, რის შედეგადაც 40-იდან ორი რეცეპტორის დასაკავებლად (რეცეპტორთა 5%-ის) ავონისტის ბევრად დაბალი კონცენტრაცია იქნება საკმარისი. ავონისტის ეს დაბალი კონცენტრაცია მაქსიმალური რეაქციის ნახევარის აღძვრას (ოთხიდან ორი ეფექტორის გააქტიურებით) შეძლებს. ამრიგად, წამლის მიმართ ქსოვილია მგრძობელობის შეცვლა შესაძლებელია რეცეპტორის კონცენტრაციის შეცვლით – სათადარიგო რეცეპტორებით.

კონკურენტული და შეუქცევადი ანტაგონისტები

**კონკურენტული და შეუქცევადი ანტაგონისტები**


რეცეპტორის ანტაგონისტები უკავშირდებიან რეცეპტორს, მაგრამ არ ააქტივებენ მას. ანტაგონისტების ძირითადი მოქმედება ავონისტების (სხვა მედიკამენტების ან ენდოგენური რეგულატორული მოლეკულების) მიერ რეცეპტორის გააქტივების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. ზოგიერთი ანტაგონისტი (ე.წ. „შებრუნებული“ ავონისტი) რეცეპტორის ბაზალურ აქტივობასაც ამცირებს, რომელიც მას ლიგანდთან შეუკავშირებელ მდგომარეობაშიც აღენიშნება. ავონისტებისა და რეცეპტორების ურთიერთქმედების ანტაგონიზმის მიხედვით წამლები ორ ჯგუფად იყოფიან – *შექცევად და შეუქცევად ანტაგონისტებად*.

ავონისტის ფიქსირებული კონცენტრაციის პირობებში შექცევადი კონკურენტული ანტაგონისტის კონცენტრაციის ზრდა იწვევს ავონისტზე საპასუხო რეაქციის პროგრესულ ინჰიბირებას; ანტაგონისტის მაღალი კონცენტრაცია საპასუხო რეაქციის სრულ დათრგუნვას განაპირობებს და პირიქით, ავონისტის მაღალ კონცენტრაციას შეუძლია სრულიად გააბათილოს ანტაგონისტის მოცემული კონცენტრაციის ეფექტი; ამრიგად, ანტაგონისტის ნებისმიერი ფიქსირებული კონცენტრაციის პირობებში ავონისტის  $E_{max}$  არ იცვლება (სურათი 2-3A), მაგრამ კონკურენტული ანტაგონისტის თანაარსებობის გამო, ავონისტის მოცემული ხარისხის რეაქციის მიღწევისათვის საჭირო კონცენტრაცია იზრდება და ამიტომ ავონისტის კონცენტრაცია-ეფექტის მრუდი მარჯვნივ იხრება.

კონკურენტული ანტაგონისტის ფიქსირებული კონცენტრაციის ([I]) თანაარსებობის პირობებში მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად საჭიროა ავონისტის გაცილებით მაღალი კონცენტრაცია ( $C'$ ), იმასთან შედარებით, რაც საჭირო იქნებოდა კონკურენტული ანტაგონისტის გარეშე იგივე სიდიდის მაქსიმალური ეფექტის განვითარებისათვის. შილდის განგოლებების მიხედვით ანტაგონისტის ამ ორი კონცენტრაციის თანაფარდობა („დოზის ფარდობა“) ანტაგონისტის დისოციაციის ულმეიაზე ( $K_i$ ) დამოკიდებულია:

$$\frac{C'}{C} = 1 + \frac{[I]}{K_i}$$

ხშირად ფარმაკოლოგები ამ განგოლებას იყენებენ კონკურენტული ანტაგონისტის  $K_i$ -ს დაღვენის მიზნით, რადგან ავონისტის მიერ რეცეპტორის „ოკუპაციის“ ხარისხსა და რეაქციას შორის დამოკიდებულების არცოდნის შემთხვევაში



სურათი 1-3

აგონისტის კონცენტრაცია-ეფექტის მრუდი, კონკურენტული ანტაგონისტის (გრაფიკი A) ან შეუქცევადი ანტაგონისტის (გრაფიკი B) თანაარსებობისას. კონკურენტული ანტაგონისტის არსებობის პირობებში, განსაზღვრული ეფექტის მისაღწევად აგონისტის უფრო მაღალი კონცენტრაციაა საჭირო; ამრიგად, ანტაგონისტის კონცენტრაციის [I] არსებობის პირობებში მოცემული ეფექტის მისაღებად საჭირო აგონისტის კონცენტრაცია (C') გადაისრება მარჯვნივ, როგორც ეს არის ნაჩვენები. აგონისტის მაღალი კონცენტრაცია აბათილებს კონკურენტული ანტაგონისტით განპირობებულ მაინიმიზირებულ ეფექტს. შეუქცევადი (ანუ არაკონკურენტული) ანტაგონისტის თანაარსებობის შემთხვევაში ასე არ ხდება; შეუქცევადი ანტაგონისტი ამცირებს აგონისტის მაქსიმალურ ეფექტს, თუმცა მის EC<sub>50</sub>-ს არ ცვლის.

ვევამის კი შესაძლებელია K<sub>i</sub>-ის განსაზღვრა მარტივად და მუსკად. სურათზე 2-მოცემულია კონცენტრაცია-პასუხის მრუდები კონკურენტული ანტაგონისტის ფონზე და მის გარეშე. ამ ორ სიტუაციაში აგონისტის იდენტური ხარისხის ფარმაკოლოგიური ეფექტის გამოწვევა კონცენტრაციებს შორის არსებული სხვაობა ავლენს ანტაგონისტის K<sub>i</sub>-ს. მაგ. თუ C' ორჯერ მეტია C-ზე მაშინ [I]=K<sub>i</sub>.

ამ მათემატიკურ კავშირს კლინიკისთვის ორი თერაპიული მნიშვნელობა აქვს:

(1) კონკურენტული ანტაგონისტით განპირობებული ინჰიბირების ხარისხი მის კონცენტრაციაზე დამოკიდებულია. მაგ, პროპრანოლოლის ერთი დოზა სხვადასხვა პაციენტის პლაზმაში განსხვავებულ კონცენტრაციას იძლევა, რაც პრეპარატის კლირენსზეც აისახება. ამიტომ ნეირომედიკორი ნორეპინეფრინის კონკურენტული ანტაგონისტის ფიქსირებული დოზა შესაძლოა სხვადასხვა პაციენტისათვის განსხვავებული იყოს, რაც შესაბამისად, დოზის ინდივიდუალურ შერჩევას მოითხოვს.

(2) კონკურენტული ანტაგონისტით განპირობებული კლინიკური რეაქცია დამოკიდებულია იმ აგონისტის კონცენტრაციაზე, რომელიც რეცეპტორთან შეკავშირებაში უწყვეს მას კონკურენტისა. აქედან გამომდინარე პროპრანოლოლის მკვლელობით: როდესაც ბეგადრენორეცეპტორის კონკურენტული ანტაგონისტის დოზა საკმარისია ნეირომედიკორი ნორეპინეფრინის ბაზალური დონის ეფექტის ბლკირებისთვის, მაშინ მოხერხებულ მდგომარეობაში გულისცემის სისწორე იშვიათდება. თუმცა, ვარჯიშის, პოზიციის ცვლილების ან ემოციური სტრესის დროს ადგილი აქვს ნორეპინეფრინისა და ეპინეფრინის გამოყოფის გაზრდას, რაც

იწვევს პროპრანოლოლით განპირობებული კონკურენტული ანტაგონიზმის გაღივებას და გულისცემის გაზრდას, ეს კი გავლენას ახდენს თერაპიულ რეაქციაზე.

ზოგიერთი ანტაგონისტი უკავშირდება რეცეპტორს შეუქცევადად, ან თითქმის შეუქცევადად და ამჟამად მასთან კოვალენტურ კავშირს, ან ისე მჭიდროდ ებმის მას, რომ, რეცეპტორს უკარგავს აგონისტთან დაკავშირების უნარს. ასეთი ანტაგონისტისა და რეცეპტორთა ვარკვეული ნაწილის დაკავშირების შემდეგ თავისუფალი რეცეპტორების რაოდენობა შესაძლოა ძალიან მცირე აღმოჩნდეს იმისათვის, რომ აგონისტმა (მაღალი კონცენტრაციის პირობებშიც კი) მისთვის ჩვეული მაქსიმალური რეაქცია გამოიწვიოს (სურათი 2-3B). თუმცა, სათადარიგო რეცეპტორების არსებობის შემთხვევაში შეუქცევადი ანტაგონისტის დაბალი დოზით გამოყენებისას თავისუფალი რეცეპტორების რიცხვი შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ აგონისტის მაღალმა კონცენტრაციამ გამოაყვინოს მაქსიმალური ეფექტი (სურათი 2-2B და C; იხ. რეცეპტორ-ეფექტორის შეწყვილება და სათადარიგო რეცეპტორები, ზემოთ).

თერაპიულად შეუქცევად ანტაგონისტებს შექცევადობისგან განსხვავებული უპირატესობანი და უარყოფითი მხარეები გააჩნიათ. მას შემდეგ, რაც შეუქცევადი ანტაგონისტი დაკავშირდება რეცეპტორს, აგონისტის მოქმედების დახაზვად აღარ არის მისი თავისუფალი ფორმით არსებობის საჭიროება. შესაბამისად, შეუქცევადი ანტაგონისტის მოქმედების ხანგრძლივობა დამოკიდებულია რეცეპტორების მოლეკულების განახლების სიჩქარეზე (და არა ელემინაციის სიჩქარეზე).

ალფა-ადრენორეცეპტორების შეუქცევადი ანტაგონისტები ფენოქსიბენზამინი ფეოქრომოლიტომის, თირკმელზედა ჯირკვლის გენოტოკანი შრის სიმსივნის, დროს გამოიყენება, მისი

კვლირე კატექოლამინებით განპირობებული ჰიპერტენზიის კონტროლისათვის. თუ ფენოქსიბენზამინის ფონზე სისხლის არტერიულ წნევა ქვეითდება, მაშინ სიმსივნის მიერ კატექოლამინების დიდი რაოდენობით ეპიზოდური გამოყოფის დროსაც კი რეცეპტორების ბლოკადას ექნება ადგილი. რაც ამ დაავადების თერაპიულ მიზანს წარმოადგენს. თუმცა, წამლის დოზის გადაჭარბების შემთხვევაში შესაძლოა რეალური პრობლემის წინაშე აღმოჩნდეთ, რადგან შეუქცევადი ანგაგონისტებით განპირობებული ბლოკადას გაბათილება ძნელია და წამლის ჭარბი ეფექტის მოხსნა მხოლოდ „ფიზიოლოგიური“ ანგაგონიზმით არის შესაძლებელი. ანუ იმ ვაზოპრესორული აგენტი, რომლის ფარმაკოლოგიური ეფექტაც ალფა-რეცეპტორებზე არ არის დამოკიდებული.

არაკონკურენტული ანგაგონისტები სხვაგვარად მოქმედებენ – ისინი რეცეპტორის ცილას აგონისტთან კავშირის უბნისაგან განსხვავებულ ადგილს უკავშირდებიან, რის გამოც აგონისტთან შეკავშირების ბლოკირების გარეშე ეწინააღმდეგებიან რეცეპტორის გააქტიურებას. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ქმნიან კოვალენტურ კავშირებს, მათი მოქმედება შექცევად ხასიათს ატარებს. ზოგიერთი წამალი, რომლებსაც ხშირად ალოსტერულ მოდულატორებს უწოდებენ, რეცეპტორული ცილის განსხვავებულ ადგილს უკავშირდება და რეცეპტორის ინაქტივაციის გარეშე ცვლის მის ფუნქციას. მაგ., ბენზოდიამპინები არაკონკურენტულად ებმებიან ნეიროტრანსმიტერის გამა-ამინოჰერბოს მჟავას (GABA) მიმართ მგრძობიარე იონურ არხებს და მათ გამავლობაზე GABA-ს გამაქვივებულ ეფექტს ხელს უწყობენ.

### ნაწილობრივი აგონისტები

ყველა რეცეპტორის «ოკუპირებით» განპირობებული მაქსიმალური ფარმაკოლოგიური რეაქციის ინტენსივობის მიხედვით აგონისტები ორ ჯგუფად იყოფა: ნაწილობრივი აგონისტები, რომლებიც რეცეპტორთა სრულად დაკავების პირობებში სრულ აგონისტებზე უფრო დაბალ რეაქციას იწვევენ. ნაწილობრივი აგონისტის კონცენტრაცია-ეფექტის მრუდი წააგავს სრული აგონისტის მრუდს, რეცეპტორის ზოგიერთი ადგილის შეუქცევადად მახლოკირებული ანგაგონისტის პირობებში (შეადარეთ სურათები 2-2 [მრუდი D] და 2-4 B). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას რომ, ნაწილობრივი აგონისტის მიერ მაქსიმალურ ეფექტის განვითარების უნარის შემცირება მის მიმართ შემაკავშირებელი ცილის აუინურობის შემცირებით არ არის განპირობებული. სინამდვილეში, მაღალი კონცენტრაციის პირობებშიც კი, ნაწილობრივი აგონისტის მაქსიმალური ფარმაკოლოგიური ეფექტის განვითარების უნარის დაკარგვა იმ ფაქტით არის გამოწვეული, რომ ნაწილობრივი აგონისტები კონკურენტულად აინჰიბირებენ სრული აგონისტის მიერ გამოწვეულ რეაქციას (სურათი 2-4 C). კლინიკაში გამოყენებული მრავალი ანგაგონისტი სინამდვილეში სუსტი ნაწილობრივი აგონისტია.

### წამალთა ანგაგონიზმის სხვა მექანიზმები

ანგაგონიზმის ყველა მექანიზმი წამლის ან ენდოგენური ლიგანდის მხოლოდ ერთი გიპის რეცეპტორთან ურთიერთქმედებით არ აიხსნება. ანგაგონიზმის ზოგიერთი გიპი

საერთოდ არ ხორციელდება რეცეპტორის ღონეზე. მაგ., ჰეპარინის – უარყოფითად დაძულებული ანტიკოაგულანტის, ეფექტების გასანიჭრალებად ცილა პროტამინის გამოიყენება, რომელიც ფიზიოლოგიური pH-ის პირობებში დადებითი მუხტის მატარებელია; ამ შემთხვევაში წამლები აუღებენ ქიმიურ ანგაგონიზმს – ერთი წამალი მარტივად მოქმედებს მეორეზე იონური კავშირის გზით და ხელს უშლის მის ურთიერთქმედებას სისხლის შეღებვაში მონაწილე ცილებთან.

ანგაგონიზმის განსხვავებული გიპია ფიზიოლოგიური ანგაგონიზმი, რომელიც ენდოგენურ მარეგულირებელ სხვადასხვა გზაში ჩართულ რეცეპტორებს შორის მიმდინარეობს. მაგ., გლუკოკორტიკოიდული ჰორმონების კატაბოლური მოქმედების შედეგად სისხლში იმატებს შაქრის დონე, რასაც ფიზიოლოგიურად ეწინააღმდეგება ინსულინი. მიუხედავად იმისა, რომ გლუკოკორტიკოიდები და ინსულინი მოქმედებენ საკმაოდ განსხვავებულ რეცეპტორ-ეფექტორთა სისტემებზე, გლუკოკორტიკოიდული ჰორმონის ჰიპერგლიკემიური ეფექტის საწინააღმდეგოდ კლინიკებშია ზოგჯერ უნდა გამოიყენონ ინსულინი, მიუხედავად იმისა, თუ რით არის ეს განპირობებული – კორტიკოსტეროიდის გაზრდილი ენდოგენური სინთეზით (მაგ. თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოიანი შრის სიმსივნის გამო), თუ გლუკოკორტიკოსტეროიდული პრეპარატების გამოყენებით.


ზოგადად, წამლის, როგორც ფიზიოლოგიური ანგაგონისტის, ეფექტები ნაკლებად სპეციფიკურია და რეცეპტორ-სპეციფიკურ ანგაგონისტების ეფექტებთან შედარებით უფრო ძნელად სამართაფია. მაგ., ცდომილი ნერვის დაბოლოებებიდან აცეტილქოლინის გამრდილი ვათავისუფლებით განპირობებული ბრადიკარდიის სამკურნალოდ ექიმს შეუძლია გამოიყენოს ბეგა-ადრენორეცეპტორის აგონისტი იმპროპრინოლი, რომელიც, სიმპათიკური ინერვაციის სტიმულაციის მსგავსად, ზრდის გულისცემის სისწრაფს, მაგრამ ამ შემთხვევაში რეცეპტორ-სპეციფიკური ანგაგონისტის – ატროპინის (იმ რეცეპტორთა კონკურენტული ანგაგონისტი, რომლებზე მოქმედებითაც აცეტილქოლინი ამცირებს გულისცემის სისწრაფს) გამოყენება უფრო რაციონალურია და ნაკლებად საშიშიც.

### სასიზნალო მექანიზმები და წამალთა მოქმედება

წინა თავებში რეცეპტორთა ურთიერთქმედებები და წამალთა ეფექტები განცთლებებისა და კონცენტრაცია-ეფექტის მრუდების სახით იქნა განხილული. ჩვენ ასევე კარგად უნდა გვესმოდეს წამალთა მოქმედების მოლეკულური მექანიზმები, რაც კლინიკური თვალთახედვით მნიშვნელოვანი ძირითადი შეკითხვების დასმის საშუალებას მოგვცემს:

- როგომ გრძელდება წამლის ეფექტები წუთების, საათების, ზოგჯერ კი დღეების მანძილზე, მას შემდეგაც კი, როცა წამალი ორგანიზმში აღარ არის?
- ხანგრძლივი ან განმეორებითი გამოყენებისას როგომ მცირდება ზოგიერთი წამლის ეფექტი?
- ვარგები ქიმიური სიგნალის გავრცელების უჯრედული მექანიზმები როგორ ხსნიან სათადარიგო რეცეპტორების ფენომენს?





სურათი 2-4.


გრაფიკი A. სრული აგონისტის (წარმოდგენილია უცვლელი კონცენტრაციით) რეცეპტორთან შეკავშირებისას ოკუპირებული რეცეპტორების პროცენტული რაოდენობა ნაწილობრივი აგონისტის მზარდი კონცენტრაციის პირობებში. იმის გამო, რომ სრული აგონისტი (მუქი კვადრატები) და ნაწილობრივი აგონისტი (ღია კვადრატები) კონკურენციას უწევენ ერთმანეთს რეცეპტორის ერთსა და იმავე ადგილზე შეკავშირებაში, როდესაც იზრდება რეცეპტორის ოკუპაცია ნაწილობრივი აგონისტის მიერ, მცირდება უკანასკნელი სრული აგონისტის მიერ. გრაფიკი B: როდესაც თითოეული მედიკამენტი გამოიყენება ცალკე და იმოქმედა ეფექტი, ნაწილობრივი აგონისტის მიერ დაკავებული რეცეპტორები აღძრავენ უფრო დაბალ მაქსიმალური რეაქციას, ვიდრე ეს ხდება სრული აგონისტის შემთხვევაში. გრაფიკი C: ერთდროული მკურნალობა სრული აგონისტის უცვლელი კონცენტრაციით და ნაწილობრივი აგონისტის მზარდი კონცენტრაციით იწვევს მოქმედების ბოლო ვრაფიკზე ნაჩვენებ გიჟს. სრული აგონისტის (მუქი კვადრატები) უცვლელი კონცენტრაციით გამოწვეული ფრაქციული რეაქცია მცირდება, როდესაც ნაწილობრივი აგონისტის მზარდი კონცენტრაცია წარმატებით უწევს კონკურენციას რეცეპტორთან შეკავშირებაში; ამავდროულად, იზრდება ნაწილობრივი აგონისტის (ღია კვადრატები) მიერ გამოწვეული რეაქციის ნაწილი, ხოლო საერთო პასუხი, ანუ ორი მედიკამენტის ჯამური პასუხი (მუქი სამკუთხედები), თანდათანობით მცირდება და საბოლოოდ, აღწევს მხოლოდ ნაწილობრივი აგონისტით გამოწვეულ მაჩვენებელს (შეადარეთ გრაფიკს B).

- ქიმიურად მსგავსი წამლები ხშირად რატომ ამკლავებენ მოქმედების ექსტრაორდინალურ სელექციურობას?
- გვაძლევს თუ არა ამ მექანიზმების ცოდნა ახალი წამლების განვითარებისათვის აუცილებელ სამიზნეებს?

სიგნალის გრანსმემბრანული გაგარება მცირერიცხოვანი სხედასხვა მოლეკულური მექანიზმით ხორციელდება, რომელთა თითოეული გიჟი ცილების სხედასხვა ოჯახების ევოლუციის გზით იქნა ადაპტირებული. ცილათა ამ ოჯახებს ეკუთვნის უჯრედის ზედაპირზე და მის შიგნით არსებული რეცეპტორები, ასევე ფერმენტები და სხვა კომპონენტები, რომლებიც სიგნალის წარმოქმნაში, გაძლიერებაში, კოორდინირებასა და დასრულებაში იღებენ მონაწილეობას. ყველა ეს პროცესი ციტოპლაზმაში არსებული ქიმიური მყორადი მესენჯერების მეშვეობით ხორციელდება. წიგნის ეს ნაწილი თავდაპირველად განიხილავს ქიმიური ინფორმაციის გადაგანის მექანიზმებს პლაზმურ მემბრანაში, შემდეგ კი ციტოპლაზმური მყორადი მესენჯერების ძირითად თვისებებს.

კარგად არის შესწავლილი სიგნალის გრანსმემბრანული გადაცემის ხუთი ძირითადი მექანიზმი (სურათი 2-5). თითოეული მათგანი იყენებს პლაზმური მემბრანის ორმაგი ლიპიდური შრისგან შემდგარი ბარიერის ვალდასხვის სხვადასხვა სტრატეგიას: (1) ცხიმში ხსნად ლიგანდს, რომელიც კვეთს მემბრანას და მოქმედებს უჯრედშიდა რეცეპტორზე; (2) გრანსმემბრანულ რეცეპტორს – ცილას, რომლის უჯრედშიდა ფერმენტული აქტივობა ალოსტერულად რეგულირდება რეცეპტორის უჯრედგარეთა უბნის ლიგანდთან დაკავშირებით; (3) გრანსმემბრანულ რეცეპტორს, რომელიც უკავშირდება და ასტიმულირებს ცილას – თირობინკინაზას; (4) ლიგანდ-დამოკიდებულ გრანსმემბრანულ იონურ არხს, რომლის გაღება და დახურვა ლიგანდთან შეკავშირების შემდეგ ინდუცირდება; ან (5) გრანსმემბრანულ რეცეპტორულ ცილას, რომელიც ააქტიურებს უჯრედშიდა მყორადი მესენჯერის წარმოქმნაზე პასუხისმგებელ G ცილას (GTP-თან შეკავშირებულ ცილას).

ხუთი ჩამოყალიბებული მექანიზმი უჯრედის მემბრანის ვალდით სიგნალის გაგარებას უზრუნველყოფს, რომელიც უზრუნველყოფს უჯრედის მემბრანის ვალდით სიგნალის გაგარებას.



სურათი 2-5.

სიგნალის გრანსმემბრანული გადაცემის ცნობილი მექანიზმები: 1: ცხიმში ხსნადი ლიგანდი კვეთს პლაზმურ მემბრანას და მოქმედებს უჯრედშიდა რეცეპტორზე (რომელიც შესაძლოა იყოს ფერმენტი ან გენის გრანსკრიფციის რეგულატორი); 2: ლიგანდი უკავშირდება გრანსმემბრანული ცილის უჯრედგარე უბანს, რითიც ააქტივებს მისი ციგოპლაზმური უბნის ფერმენტულ მოქმედებას; 3: ლიგანდი უკავშირდება გრანსმემბრანული რეცეპტორის უჯრედგარე უბანს, რომელიც შეკავშირებულია ცილასთან, თიროზინ კინაზასთან, რომელსაც ის ააქტივებს; 4: ლიგანდი უკავშირდება გრანსმემბრანულ იონურ არსებს და უშუალოდ მოქმედებს მის გაღებაზე ან დასურვაზე; 5: ლიგანდი უკავშირდება უჯრედის ზედაპირზე არსებულ გრანსმემბრანულ რეცეპტორულ ცილას, რომელიც ასტიმულირებს სიგნალის გრანსდუქტორ GTP- შემაკავშირებელ ცილას (G ცილა), რომელიც თავის მხრივ უჯრედშიდა მეორადი მესენჯერის წარმოქმნის მოლეულირებას ახდენს. (A, C - სუბსტრატები; B, D- პროდუქტები; R - რეცეპტორი; G - G ცილა; E - ეფექტორი [ფერმენტი ან იონური არხი]; Y - თიროზინი; P - ფოსფატი).

ცა ამგვარად ხდება ფარმაკოლოგიაში გამოყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი სიგნალების გადაცემა.

### უჯრედშიდა რეცეპტორები ცხიმში ხსნადი ნივთიერებებისთვის

ზოგიერთი ბიოლოგიური ლიგანდი საკმარისად ხსნადია ცხიმში, რათა ადვილად გადაკვეთოს პლაზმური მემბრანა და უჯრედშიდა რეცეპტორზე იმოქმედოს. ასეთი ლიგანდების ერთ ჯგუფს ეკუთვნის სტეროიდები (კორტიკოსტეროიდები, მინერალკორტიკოიდები, სასქესო სტეროიდები, აგრეთვე ვიტამინი D) და ფარისებრი ჯირკელის ჰორმონი. მათი რეცეპტორები ასტიმულირებენ გენების გრანსკრიფციას ღმ-ის იმ სპეციფიკურ თანმიმდევრობასთან შეკავშირებით, რომელიც ახლოსაა იმ გენთან, რომლის ექსპრესიის რეგულირება უნდა მოხდეს. ღმ-ის მრავალი სამიზნე თანმიმდევრობაა (ე.წ. მოპასუხე ელემენტები) აღმოჩენილი.


„გენ-აქტიური“ რეცეპტორები ეკუთვნიან ცილების ოჯახს, რომლებიც საერთო წინამორბედისაგან არიან წარმოშობილი. რეკომბინანტული ღმ ტექნოლოგიით რეცეპტორთა გამოცალკეება მოლეკულური მექანიზმების შესწავლის საშუალებას იძლევა. მაგ, გლუკოკორტიკოიდული ჰორმონისა და მისი ნორმალური რეცეპტორული ცილის შეკავშირება ასუსტებს ცილის გრანსკრიფციის მასტიმულირებელი აქტივობის შაინჰბირებულ მოქმედებას. სურათი 2-6 სქემატურად ასახ-

ავს გლუკოკორტიკოიდული მოქმედების მოლეკულურ მექანიზმს: ჰორმონის არარსებობის პირობებში რეცეპტორი შეკავშირებულია hsp90 ცილასთან (hot shock peptide – სითბური შოკის ცილა), რაც ხელს უშლის რეცეპტორის რამოდენიმე სტრუქტურული უბნის ნორმალურ «შეფუთვას». ჰორმონის შეკავშირება რეცეპტორის ლიგანდ-შემაკავშირებელ უბანთან იწვევს hsp90-ის გამოთავისუფლებას, რაც ხელს უწყობს ღმ-ს შეკავშირებას და რეცეპტორის გრანსკრიფციის გამააქტივებელი უბნების «შეფუთვას» ფუნქციურად აქტიური კონფორმაციის შესაქმნელად ისე, რომ რეცეპტორს მიეცეს სამიზნე გენების გრანსკრიფციის დაწყების საშუალება.

გენის ექსპრესიის რეგულირების გზით მოქმედი ჰორმონების მოქმედების მექანიზმი თერაპიულად მნიშვნელოვანი ორი დასკენის გამოტანის საშუალებას იძლევა:

(1) ყველა ამ ჰორმონისათვის დამახასიათებელია ეფექტის დაყოვნება 30 წუთიდან რამოდენიმე საათამდე. ეს დროის ის მონაკვეთია, რომელიც საჭიროა ახალი ცილების სინთეზისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ გენ-აქტიური ჰორმონები პათოლოგიურ მდგომარეობას ვერ გამოასწორებენ რამოდენიმე წუთში (მაგ, გლუკოკორტიკოიდები არ განაპირობებენ ბრონქული ასთმის მწვავე სიმპტომების მყისიერ გაქრობას).

(2) ამ ნივთიერებების ეფექტები შესაძლოა გაგრძელდეს საათების, ან დღეების განმავლობაში, ავონისგის კონსენსტრაციის ნულამდე შემცირების შემდეგაც კი. ეფექტის გახანგრძლივება ძირითადად განპირობებულია იმ



სურათი 2-6.

გლუკოკორტიკოიდების მოქმედების მექანიზმი. გლუკოკორტიკოიდული რეცეპტორის პოლიპეტიდი სქემატურად სამი განსხვავებული უბნის მქონე ცილის სახით არის წარმოდგენილი. ჰორმონის არარსებობის პირობებში სითბური შოკის ცილა (hsp90) შეკავშირებულია რეცეპტორთან და ხელს უშლის რეცეპტორის აქტიურ კონფორმაციაში გადასვლას. ჰორმონულ ლიგანდთან (სტეროიდთან) შეკავშირება იწვევს სტაბილიზატორის (hsp90) დისოციაციას და ხელს უწყობს რეცეპტორის აქტიურ კონფორმაციაში გადაყვანას.

უმრავლესი ფერმენტებისა და ცილების შედარებით ნელი განახლებით, რომლებიც სინთეზის შემდეგ უჯრედში აქტივობას საათებისა და დღეების განმავლობაში ინარჩუნებენ. შესაბამისად, ეს იმას ნიშნავს, რომ გენ-აქტიური ჰორმონების სასარგებლო (ან გოქსიკური) ეფექტები, ჩვეულებრივ, ჰორმონის მიღების შეწყვეტის შემდეგ თანდათან, ნელა მცირდება.

**ლიგანდ – რეგულირებადი გრანსმემბრანული ფერმენტები, რომლებიც რეცეპტორის თიროზინკინაზებს მოიცავენ**

რეცეპტორთა მოლეკულების ეს ჯგუფი ინსულინის, ეპიდერმული ზრდის ფაქტორის (EGF), თრომბოციტების ზრდის ფაქტორის (PDGF), წინაგულეიანი ნაგრიურებული პეტიდის (ANP), ზრდის ფაქტორი-ბეტა (TGF-ბეტა) და სხვა მრავალი


ლი გროფული ჰორმონის სასიგნალო მექანიზმის პირველი საფეხურის მედიატორს წარმოადგენს. ეს რეცეპტორები პოლიპეტიდებია. ისინი ორი უბნისგან შედგებიან: ჰორმონის შემაკავშირებელი უჯრედგარეთა და ციტოპლაზმური ფერმენტული უბანებისგან, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენილი იყოს ცილებით – თიროზინკინაზით, სერინკინაზით ან გუნანილიკინაზით (სურათი 2-7). ყველა ამ რეცეპტორის ორი უბანი შეერთებულია პოლიპეტიდის ჰიდროფობური სეგმენტით, რომელიც კვეთს პლაზმური მემბრანის ორმაგ ლიპიდურ შრეს.

რეცეპტორის თიროზინკინაზის სასიგნალო გზა იწყება ლიგანდის (ჩვეულებრივ პოლიპეტიდური ჰორმონის ან ზრდის ფაქტორის) შეკავშირებით რეცეპტორის უჯრედგარე უბანთან, რის შედეგადაც რეცეპტორის კონფორმაციული ცვლილება განაპირობებს რეცეპტორის მოლეკულების ერთმანეთთან დაკავშირებას, რაც თავის მხრივ აახლოებს თიროზინკინაზულ უბნებს, რომლებიც იძენენ ფერმენტულ აქტივობას და ასორციელებენ ერთმანეთის ფოსფორილირებას. გააქტივებული რეცეპტორები სხვადასხვა სამიზნე სასიგნალო ცილის თიროზინის ნაშთების ფოსფორილირებას აკატალიზებენ, რაც ხელს უწყობს ერთ გიპის გააქტივებულ რეცეპტორს მთელი რიგი ბიოქიმიური პროცესების განახორციელებაში.

მაგ, უჯრედის მიერ გლუკოზისა და ამინომჟავების მისაგატეხად, აგრეთვე გლიკოჯენისა და გრილიციკრიდების მეგაბოლიზმის რეგულირებისათვის ინსულინი იყენებს რეცეპტორთა მხოლოდ ერთ ჯგუფს. ამის მსგავსად, ზრდის თითოეული ფაქტორი ხელს უწყობს მისთვის სპეციფიკურ სამიზნე უჯრედში მოვლენების კომპლექსური პროგრამის დაწყებას – იონებისა და მეგაბოლიგების მემბრანული გრანსპორტის ცვლილებებიდან მრავალი გენის ექსპრესიის ცვლილებებამდე. რეცეპტორის თიროზინკინაზის ინჰიბიტორები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სიმსივნური პროცესების სამკურნალოდ, რადგან ამ დროს, ხშირად, ზრდის ფაქტორის სიგნალირების სიჭარბეს აქვს ადგილი. ზოგიერთი ამ ინჰიბიტორთაგანი მონოკლონური ანტიბიოტიკებია (მაგ, ტრასტუმუმაბი, ცეკუსიმაბი). ისინი უკავშირდებიან გარკვეული რეცეპტორის უჯრედგარეთა უბანს და ხელს უშლიან ზრდის ფაქტორისა და რეცეპტორის შეკავშირებას. სხვა ინჰიბიტორები მემბრანაში განედლად „მცირე ზომის მოლეკულურ“ ქიმიურ ნაერთებს წარმოადგენენ (მაგ, ვეფიტინიბი, ერლოტინიბი), რომლებიც იწვევენ რეცეპტორის კინაზური აქტივობის ინჰიბირებას ციტოპლაზმაში.

თიროზინკინაზულ რეცეპტორებზე მოქმედი EGF-ს, PDGF-ს და სხვა ნივთიერებების ეფექტების ინტენსივობასა და ხანგრძლივობას ზღუდავს რეცეპტორთა ე.წ. „დაქვეითებული-რეგულაციის“ („დაუნრეგულაციის“) პროცესი. ლიგანდის შეკავშირება ხშირად იწვევს უჯრედის ზედაპირიდან რეცეპტორების ენდოციტოზს, რასაც თან ახლავს ამ რეცეპტორების (და მათი ბიოლოგიური ლიგანდების) დეგრადაცია. თუ ამ პროცესის სიჩქარე რეცეპტორთა *de novo* სინთეზს აჭარბებს, მაშინ უჯრედის ზედაპირზე რეცეპტორების საერთო რაოდენობა მცირდება, რაც შესაბამისად აქვეითებს ლიგანდზე უჯრედის საპასუხო რეაქციის უნარს. კარგად შესწავლილი მაგალითია EGF-ის თიროზინკინაზური რეცეპტორი, რომელიც EGF-სთან დაკავშირების შემდეგ განიცდის სწრაფ ენდოციტოზს და ლიმფოსომებში „ემწყველება“ (ინტერნირდება): ამ პროცესის ხელისშემშლელი გენეტიკური მუტაციები იწვევენ უჯრედთა ზრდის ფაქტორით განპირობებულ ჭარბ პროლიფერაციას და ასოცირდებიან სიმსივნის ზოგიერთი სახეობის მიმართ გაზრდილ მიდრეკილებასთან. სულ სხვა ფუნქციას





სურათი 2-7.

ეპიდერმული ზრდის ფაქტორის (EGF) რეცეპტორის გააქტივების მექანიზმი, თიროზინკინაზული რეცეპტორის მაგალითზე. რეცეპტორის პოლიპეპტიდს აქვს უჯრედგარე და ციგოპლაზმური უბნები, რაც გამოსახულია პლაზმური მემბრანის ზემოთ და ქვემოთ. EGF-სთან შეკავშირების შემდეგ (წრე), რეცეპტორი არააქტიური მონომერული მდგომარეობიდან (მარცხნივ) გადადის აქტიურ დიმერულ მდგომარეობაში (მარჯვნივ). რომელშიც რეცეპტორის ორი პოლიპეპტიდი ერთმანეთს არაკოვალენტურად უკავშირდება. ციგოპლაზმურ უბანში ხდება თიროზინის სპეციფიკური ნაშთების (Y) ფოსფორილირება (P) და მათი ფერმენტული მოქმედება აქტიურდება, რაც აკაგალიზებს სუბსტრატი ცილის (S) ფოსფორილირებას.

მართალია, წამალი თავის მოქმედებას რეცეპტორთან შეკავშირებით იწვევს, მაგრამ მასზე საპასუხო რეაქცია დამოკიდებულია მორეაგირე უჯრედში მამდინარე ბიოქიმიური პრო-



ცისების ფუნქციურ ინტეგრირებასა და ორგანოთა სისტემების ურთიერთქმედების ფიზიოლოგიურ რეგულაციაზე. კლინიკურად, პოსტრეცეპტორული პროცესების ცვლილებები იმ მექანიზმების უდიდეს და ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს, რომლებიც მედიკამენტური მკურნალობის ვარიანტებზე არიან პასუხისმგებელი.

მკურნალობის დაწყებამდე ექიმმა უნდა დაამუშავოს კლინიკურ რეაქციის შემზღვევითი პაციენტის მიერ ფაქტორები – ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, და უფრო მეტად მნიშვნელოვანი – დაავადების მიმდინარეობის სიმძიმე და პათოფიზიოლოგიური მექანიზმები. არასწორი და ფიზიოლოგიურად არასრული დიაგნოზი უშედეგო მკურნალობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია. მედიკამენტური მკურნალობა ყოველთვის უფრო წარმატებულია, როდესაც იგი დაავადების გამომწვევი პათოფიზიოლოგიური მექანიზმების წინააღმდეგ არის მიმართული.

სწორი დიაგნოზისა და შესაბამისად შერჩეული წამლის შემთხვევაში, უშედეგო მკურნალობის ხშირ მიზეზად ის კომპენსატორული მექანიზმები გვევლინება, რომლებიც წამლის სასურველ ეფექტებს ვწინააღმდეგობრივად. მაგ. ვამოლიდატორების ანტიპროტრომული ეფექტების მიმართ გოლურანგონის მიზეზია სიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსის კომპენსატორული გამზრდა და თირკმლის მიერ სითხის შეკავება. ასეთ შემთხვევებში, სასურველი თერაპიული შედეგის მისაღებად შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა წამლების გამოყენება.

### კლინიკური სელექციურობა: წამლების სასარგებლო ეფექტები გოქსიკურის წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ მედიკამენტების კლასიფიცირება მათი ძირითადი მოქმედების მიხედვით ხორციელდება, ცხადია, რომ არც ერთი წამალი არ იწვევს მხოლოდ ერთ, სპეციფიკურ ეფექტს. რაგომ ხდება ასე? ნაკლებად წარმოსადგენია, რომ ნებისმიერი სახის მედიკამენტის მოლეკულა მხოლოდ ერთი გიპის რეცეპტორის მოლეკულას უკავშირდება, თუნდაც იმიტომ, რომ თითოეულ პაციენტში პოტენციურ რეცეპტორთა რაოდენობა ახტრონომიულად მდებარეობს. ერთი სახის რეცეპტორების მიერ კონტროლირებული ბიოქიმიური პროცესები მრავალი გიპის უჯრედში ხორციელდება და მაშინაც კი, როდესაც წამლის ქიმიური სტრუქტურა საშუალებას აძლევს მას შეუკავშირდეს რეცეპტორის მხოლოდ ერთ გიპს, ამგვარი შეწყვეტილება მრავალ ბიოქიმიურ ფუნქციაზე იმოქმედებს, რის შედეგადაც პაციენტი და ვეიში წამლის ერთზე მეტ ეფექტს მიიღებს. შესაბამისად, წამლების მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ *სელექციურია*, და არა სპეციფიკური, რადგან წამლები მჭიდროდ რეცეპტორთა მხოლოდ ერთ (ან შეზღუდული რაოდენობის) გიპს უკავშირდებიან, ეს რეცეპტორები კი ცალკეულ პროცესებს აკონტროლებენ, რაც წამლების ეფექტურობის მრავალფეროვნებას განაპირობებს.

კლინიკურ მედიცინაში წამლების ფართოდ გამოყენება მხოლოდ მათი სელექციურობის დამახტურებაა. წამლის სელექციურობა ისაზღვრება სხვადასხვა რეცეპტორთან მისი შემაკავშირებელი აფინურობების მიხედვით, ან წამლის სხვადასხვა ეფექტის ED<sub>50</sub>-ის შედარებით *in vivo* გზით. ჩვეულებრივ, წამლების განვითარებასა და კლინიკურ მედიცინაში "სელექციურობის" ქვეშ გულისხმობენ ეფექტების ორ კატეგორიად დაყოფას: სასარგებლო, ანუ თერაპიულ და გოქსიკურ ეფექტებად. ფარმაცეპტული რეკლამები და მედიცინის მუშაკები ზოგჯერ ხმარობენ ტერმინს – გვერდითი ეფექტი – რომლის ქვეშაც წამლის უმნიშვნელო ეფექტს ან მისი ძირითადი მოქმედებისაგან განსხვავებული გზით განხორციელებულ ეფექტს გულისხმობენ, რაც ხშირად მცდარია.

გი – რომლის ქვეშაც წამლის უმნიშვნელო ეფექტს ან მისი ძირითადი მოქმედებისაგან განსხვავებული გზით განხორციელებულ ეფექტს გულისხმობენ, რაც ხშირად მცდარია.

### ერთი და იმავე რეცეპტორ-ეფექტორული მექანიზმით განხორციელებული სასარგებლო და ტოქსიკური ეფექტები

კლინიკურ პრაქტიკაში გამოვლენილი წამალია გოქსიკურობის უმეტესი ნაწილი მედიკამენტების თერაპიული მოქმედების პირდაპირ გავრცელებას წარმოადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ., ანტიკოაგულაციური მკურნალობით გამოწვეული სისხლდენა; ინსულინი განხორციელებული პიპოგლიკემიური კომა) გოქსიკურობის თავიდან აცილება შესაძლებელია ეფექტის მონიტორირების საფუძველზე წამლის დოზის გონივრული მართვით, (სისხლის შედელების უწყვეტის ან სისხლში გლუკოზის დონის კონტროლი) ან დამხმარე ღონისძიებების გამოყენებით (ქსოვილოგანი სისხლდენის გამომწვევი გრავმის თავიდან აცილება; ნახშირწყლების მიღების რეგულირება); წამლის გამოყენებისათვის შეაფიო ჩვენების არარსებობის ან სხვა მკურნალობის ხელმისაწვდომის შემთხვევაში, გოქსიკურობის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია მედიკამენტის გამოყენებისაგან თავის შეკავება.

არსებობს სიგუფიები, როდესაც წამლის გამოყენება აუცილებელია და სასარგებლოც, მაგრამ ოპტიმალური სარგებლობის მომგანი დოზით ის გოქსიკურობას იწვევს. ამ დროს საჭირო ხდება მკურნალობის რეჟიმში სხვა მედიკამენტის დამატება. მაგ., ხშირად, პიპერტინის მკურნალობის რეჟიმში მეორე ანტიპროტრომული საშუალების ჩართვა პირველი წამლის დოზისა და გოქსიკურობის შემცირების საშუალებას იძლევა (იხ. თავი 11).

### ილენტორი, მებრამ სხვადასხვა ქსოვილში ან სხვადასხვა ეფექტორულ გზაში ლოკალიზებული რეცეპტორებით განხორციელებული სასარგებლო და ტოქსიკური ეფექტები

ერთიდაიგივე გიპის, მაგრამ სხვადასხვა ქსოვილში ლოკალიზებულ რეცეპტორებზე ზეგავლენის შედეგად ბევრი წამალი იწვევს როგორც სასურველ, ისე არასასურველ ეფექტებს. მაგ., სათითურას ვლიკობილები, რომლებიც უჯრედულ მემბრანებში Na<sup>+</sup>/K<sup>+</sup> ATP-აზას აინჰიბირებენ; მეიოტრეფსაგა, რომელიც აინჰიბირებს ფერმენტ დიჰიდროფოლატ რედუქტაზას; და გლუკოკორტიკოიდული ჰორმონები.

ამ სახის გოქსიკურობის თავიდან ასაცილებლად ან შესაძლებელად სამი თერაპიული სტრატეგია გამოიყენება: 1. წამალი ყოველთვის უნდა იქნას დანიშნული მინიმალური თერაპიული დოზით; 2. სხვადასხვა რეცეპტორული მექანიზმებით მოქმედი განსხვავებული გოქსიკურობის მქონე წამლების კომბინირებული გამოყენება, წამლის დოზისა და შესაბამისად მისი გოქსიკურობის შემცირების მიზნით (მაგ., ანთების სამკურნალოდ გლუკოკორტიკოიდებთან ერთად სხვა იმუნოსუპრესორული საშუალებების დამატებითი გამოყენება); 3. ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილში ლოკალიზებულ რეცეპტორებთან შექმნილი კონსტრუქციის მანიპულირება წამლის სელექციური მოქმედების გაზრდის მიზნით (მაგ., ასთმის სამკურნალოდ გლუკოკორტიკოიდების ინჰალაციური გზით დანიშნა).

**სხვადასხვა ტიპის რეცეპტორებით ბანპიროგუ-  
ბული სხარატებლო და ტოქსიკური ეფექტები**

ამ თავში განხილული იყო ახალი, რეცეპტორთა მძარო უურო მეგად სელექციური, ქიმიური ნაერთებით მიღებული უპირატესობები, რაც უურო დეტალურად იქნება აღწერილი მომდევნო თავებში. ასეო წამლებს ეკუთვნის ალფა- და ბეტა-ადრენორეცეპტორების სელექციური აგონისტები და ანტაგონისტები. H<sub>1</sub> და H<sub>2</sub> ანტიჰისტამინური საშუალებები, ნიკოტინური და მუსკარინული რეცეპტორების ანტაგონისტები და რეცეპტორ-სელექციური სტეროიდული პორმონები. ყველა ეს რეცეპტორი უუნქიურ ოჯახებად ჯგუფდება. რომელთაგან თითოეული ენდოგენური აგონისტების პატარა ჯგუფის მიმართ არის მგრძობიარე. რეცეპტორები და მათთან ასოცირებული წამლის თერაპიული გამოყენება ფიზიოლოგიური ქიმიური სახიგნალო მოლეკულების – კატექოლამინების, ჰისტამინის, აცეტილქოლისინის და კორტიკოსტეროიდების ეფექტების ანალიზის მედეგად იქნა აღმოჩენილი.

ქიმიურად წამლების მსგავსი ნივთიერებების თერაპიული და ტოქსიკური ეფექტების კლინიკურმა შეფასებამ დიდი როლი შეასრულა მრავალი წამლის აღმოჩენაში. მაგ., ქინილინი, სულფონილმარდოენას ნაწარმები, თიაზიდური შარდმდენები, გრიციკლური ანტიდეპრესანტები, ოპიოიდები და ფენოთიაზინური ანტიფსიქოტურები. ახალი აგენტები, ხშირად, ენდოგენური ნივთიერებების რეცეპტორებთან ურთიერთქმედებენ (მაგ., ოპიოიდები ოპიოიდურ, ფენოთიაზინები კი ლოპამინურ რეცეპტორებთან). საეარაულოდ, მომავალში ახალი წამლები იქნება აღმოჩენილ, რაც რეცეპტორებისა და ენდოგენური ლიგანდების ახალი ჯგუფების აღმოჩენას გამოიწვევს. ეს კი წამალთა შემდგომი შექმნისა და განვითარების საწინდარია.

ამრიგად, რეცეპტორთა სხვადასხვა ჯგუფისადმი წამლების ლგოლეა არა მხოლოდ პაციენტების მკურნალობის საქმეშია მნიშვნელოვანი, არამედ იგი ფარმაკოლოგიისათვის მუდმივი სტიმულია და ახალი, უურო სახარტებლო წამლების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობი ფაქტორია.

**REFERENCES**

Aaronson DS, Horvath CM: A road map for those who know JAK-STAT. *Science* 2002;296:1653. [PMID: 12040185]  
 Arteaga CL, Moulder SL, Yakes FM: HER (erbB) tyrosine kinase inhibitors in the treatment of breast cancer. *Semin Oncol* 2002;29:4. [PMID: 12138392]  
 Berridge MJ, Bootman MD, Roderick HL: Calcium signalling: Dynamics, homeostasis and remodelling. *Nat Rev Mol Cell Biol* 2003;4:517. [PMID: 12838335]  
 Cabrera-Vera TM et al: Insights into G protein structure, function, and regulation. *Endocr Rev* 2003;24:765. [PMID: 14671004]  
 Civelli O: GPCR deorphanizations: The novel, the known and the unexpected transmitters. *Trends Pharmacol Sci* 2005;26:15. [PMID: 15629200]  
 Dancsey JE: Predictive factors for epidermal growth factor receptor inhibitors—The bull’s-eye hits the arrow. *Cancer Cell* 2004;5:411. [PMID: 15144948]  
 Derynck R, Akhurst RJ, Balmain A: TGF-beta signaling in tumor suppression and cancer progression. *Nat Genet* 2001;29:117. [PMID: 11586292]  
 Ginty DD, Segal RA: Retrograde neurotrophin signaling: Trk-ing along the axon. *Curr Opin Neurobiol* 2002;12:268. [PMID: 12049932]

Gouaux E, MacKinnon R: Principles of selective ion transport in channels and pumps. *Science* 2005;310:1461. [PMID: 16322449]  
 Hermiston ML et al: Reciprocal regulation of lymphocyte activation by tyrosine kinases and phosphatases. *J Clin Invest* 2002;109:9. [PMID: 11781344]  
 Kenakin T: Efficacy at G-protein-coupled receptors. *Nat Rev Drug Discov* 2002;1:103. [PMID: 12120091]  
 Mosesson Y, Yarden Y: Oncogenic growth factor receptors: Implications for signal transduction therapy. *Semin Cancer Biol* 2004;14:262. [PMID: 15219619]  
 Pierce KL, Premont RT, Lefkowitz RJ: Seven-transmembrane receptors. *Nat Rev Mol Cell Biol* 2002;3:639. [PMID: 12209124]  
 Roden DM, George AL Jr: The genetic basis of variability in drug responses. *Nat Rev Drug Discov* 2002;1:37. [PMID: 12119608]  
 Rotella DP: Phosphodiesterase 5 inhibitors: Current status and potential applications. *Nat Rev Drug Discov* 2002;1:674. [PMID: 12209148]  
 Small KM, McGraw DW, Liggett SB: Pharmacology and physiology of human adrenergic receptor polymorphisms. *Ann Rev Pharmacol Toxicol* 2003;43:381. [PMID: 12540746]  
 Sorkin A, von Zastrow M: Signal transduction and endocytosis—close encounters of many kinds. *Nat Rev Mol Cell Biol* 2002;3:600. [PMID: 12154371]  
 Yoshihara HA, Scanlan TS: Selective thyroid hormone receptor modulators. *Curr Top Med Chem* 2003;3:1601. [PMID: 14683517]  
 Yu FH, Catterall WA: Overview of the voltage-gated sodium channel family. *Genome Biol* 2003;4:207. [PMID: 12620097]



მოგადად, მკურნალობის მიზანია სასურველი სასარგებლო ეფექტის მიღწევა, მინიმალური არასასურველი ეფექტებით. პაციენტისათვის წამლის შერჩევის შემდეგ კლინიკისგმა უნდა განსაზღვროს დოზა, რომელიც მას ამ მიზნის განხორციელებაში დაეხმარება. ამ ამოცანისადმი რაციონალური მიდგომა ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის პრინციპებში ასახული დოზა-ეფექტის დამოკიდებულების გათვალისწინებით ხდება (სურათი 3-1). ფარმაკოდინამიკა კონცენტრაცია-ეფექტის ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს, ფარმაკოკინეტიკა კი – დოზა-კონცენტრაციისას. ფარმაკოკინეტიკურ პროცესებზე – აბსორბციაზე, განაწილებაზე და ელიმინაციაზე დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად მოხდება წამალი სამიზნე ორგანოში და რა ხანგრძლივობით დაყოვნდება იგი მასში. ფარმაკოდინამიკური მცნებები – მაქსიმალური პასუხი და მგრძობილობა კი ამა თუ იმ კონცენტრაციაზე ეფექტის ინტენსივობის დამოკიდებულებას ასახავენ (იხ.  $E_{max}$  და  $EC_{50}$ -ის განმარტებები, თავი 2).

სურათი 3-1 ასახავს ფარმაკოლოგიის ფუნდამენტურ პიპოთემას, ეკრძოდ წამლის კონცენტრაციასა და მის სასარგებლო თუ გოქსიკურ ეფექტებს შორის კავშირს. პიპოთემა დოკუმენტირებულია მრავალი წამლისათვის, რაც ასახულია ცხრილი 3-1-ის სვეტებში – სამიზნე და გოქსიკური კონცენტრაციები. ზოვიერთი წამლისათვის ამგვარი დამოკიდებულების არარსებობა არ ეწინააღმდეგება ამ ბაზისურ პიპოთემას, არაქედ მიუთითებს დროის გარკვეულ პერიოდში ფარმაკოლოგიური მოქმედების ადგილისა კონცენტრაციის განსაზღვრის აუცილებლობაზე (იხ. ქვემოთ).

წამლის დოზის, კონცენტრაციისა და ეფექტის ურთიერთდამოკიდებულების ცოდნა ეხმარება კლინიკისგს კონკრეტული პაციენტის იმ პათოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებაში, რომლებიც მას „სამშუალო პაციენტისაგან“ განასხვავებენ. ამრიგად, პაციენტის მოვლაში ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის მსისწენლობა თერეპიულ სარგებელის გაუმჯობესებასა და გოქსიკურობის შემცირებაში მდგომარეობს, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას მათი პრინციპების დაყვით.

## ფარმაკოკინეტიკა

წამლის „სტანდარტული“ დოზა ეფუქსება იმ ჯანმრთელ მოხალისეებსა და პაციენტებზე ჩატარებულ კვლევებს, რომლებსაც წამლის შეწოვის, განაწილებისა და ელიმინაციის „სამშუალო უნარი“ აქვთ (იხ. კლინიკური კვლევები: IND და NDA, თავი 5). სტანდარტული დოზა ეყვლა პაციენტს არ მიეხადება. გარკვეული ფიზიოლოგიური (მაგ, წვილებში ორგანოთა მომ-

წილება) და პათოლოგიური (მაგ, გულის უკმარისობა, თირკმელების უკმარისობა) ცვლილებები ინდივიდუალურ პაციენტზე დოზის მორგებას საჭიროებენ, რადგან მათ ფონზე სპეციფიკური ფარმაკოკინეტიკური პარამეტრების ცვლილებებს აქვს ადგილი. ფარმაკოკინეტიკური ორი ძირითადი პარამეტრია კლირენსი – ორგანიზმის მიერ წამლის ელიმინაციის უნარის მაჩვენებელი; და განაწილების მოცულობა – ორგანიზმში წამლის შექცველი წარმოსახვითი სივრცის მაჩვენებელი. ეს პარამეტრები სქემატურადაა გამოსახული სურათზე 3-2; 3-2B – საკნების მოცულობა, რომელთა შორისაც ხდება წამლის დიფუზია, აღწერს განაწილების მოცულობასა და „დრენაჟს“; 3-2D აღწერს კლირენსს.


## განაწილების მოცულობა

განაწილების მოცულობა ( $V_d$ ) აკავშირებს ორგანიზმში არსებულ წამლის რაოდენობასა და წამლის კონცენტრაციას ( $C$ ) სისხლში ან პლაზმაში:

$$V_d = \frac{\text{წამლის რაოდენობა ორგანიზმში}}{C} \quad (1)$$

განაწილების მოცულობა შესაძლოა განისაზღვროს სისხლთან, პლაზმასთან ან წყალთან (შეუკავშირებელი წამალი) მიმართებაში, განტოლება (1)-ში გამოყენებული კონცენტრაციის ( $C = C_p, C_e$  ან  $C_u$ ) მიხედვით.

განტოლებით (1) გამოთვლილი  $V_d$  სავარაუდო (წარმოსახვითი) მოცულობაა, რისი დადასტურებაც შესაძლებელია დიგოქსინის ან ქლოროქსინის განაწილების მოცულობების მონაცემების (ცხრილი 3-1) შედარებით ორგანიზმის ზოგიერთ ფიზიკურ მოცულობებთან (ცხრილი 3-2). წამლის განაწილების მოცულობის მაჩვენებელმა შესაძლოა ძლიერ გადააჭარბოს ორგანიზმის ნებისმიერ ფიზიკურ მოცულობას, რადგან მის ქვეშ იგულისხმება ის სავარაუდო მოცულობა, რომელიც საჭიროა წამლის სისხლში, პლაზმაში ან წყალში არსებული კომოგენური კონცენტრაციის დასაგეგვად. განაწილების მოცულობის ძალიან მაღალი მაჩვენებლების მქონე წამლები ექსტრავასკულურ ქსოვილებში გაცილებით მაღალი კონცენტრაციით არიან წარმოდგენილი (ვასკულურ სივრცესთან შედარებით), ანუ ისინი პოპოგენურად არ არიან განაწილებული. მეორე მხრივ, მხოლოდ ვასკულურ სივრცეში ვახსნილ წამლებს განაწილების მოცულო-



**სურათი 3-1**

დოზისა და ეფექტის შორის დამოკიდებულება შესაძლოა დაიყოს ფარმაკოკინეტიკურ (დოზა-კონცენტრაცია) და ფარმაკოდინამიკურ (კონცენტრაცია-ეფექტი) კომპონენტებად. ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის დამაკავშირებელი რგოლი წამლის კონცენტრაციაა, ამიტომ რაციონალურ დოზირებაში *სამიზნე კონცენტრაცია* ფოკუსირების ძირითად წერტილს წარმოადგენს. ფარმაკოკინეტიკის სამი ძირითადი პროცესია აბსორბცია, განაწილება და ელიმინაცია.

ბის მინიმალური მაჩვენებლები ახასიათებთ და ის სისხლის იმ კომპონენტის გოლია, რომელშიც ისინი არიან განაწილებული, მაგ., წამლისთვის, რომელიც მხოლოდ პლამაშია განაწილებული. ეს მაჩვენებელი გოლია 0.04 ლ/კგ წონაზე, ან 2.8 ლ/70 კგ (ცხრილი 3-2)

**კლირენსი**

წამლის კლირენსის პრინციპები თირკმლის ფიზიოლოგიური კლირენსის კონცეპციის მსგავსია. წამლის კლირენსი ის ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს წამლის ელიმინაციის სიჩქარეს კონცენტრაციასთან მიმართებაში:

$$CL = \frac{\text{ელიმინაციის სიჩქარე}}{C} \quad (2)$$

განაწილების მოცულობის მსგავსად, კლირენსიც შესაძლოა განისაზღვროს სისხლთან ( $CL_p$ ), პლამასთან ( $CL_p$ ), ან პლამის წყალთან შეუკავშირებელი სახით არსებულ ნივთიერებასთან ( $CL_e$ ) მიმართებაში. თითოეულ მოცულობაში არსებულ კონცენტრაციის მიხედვით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კლირენსი ჯამური სასიითის პარამეტრია. წამლის ელიმინაციაში შესაძლოა მონაწილეობდნენ თირკმელები, ფილტვები, ღვიძლი და აგრეთვე სხვა ორგანოებიც. თითოეული ამ ორგანოს კლირენსის გაოსაიჯლელად საჭიროა მასში მიმდინარე ელიმინაციის სიჩქარის

გაყოფა წამლის კონცენტრაციაზე. ცალკეული კლირენსების ჯამში საერთო სისტემური კლირენსის გოლია:

$$CL_{\text{თირკმლის}} = \frac{\text{ელიმინაციის სიჩქარე}_{\text{თირკმლის}}}{C} \quad (3a)$$

$$CL_{\text{ღვიძლის}} = \frac{\text{ელიმინაციის სიჩქარე}_{\text{ღვიძლის}}}{C} \quad (3b)$$

$$CL_{\text{სხვა}} = \frac{\text{ელიმინაციის სიჩქარე}_{\text{სხვა}}}{C} \quad (3c)$$

$$CL_{\text{სისტემური}} = CL_{\text{თირკმლის}} + CL_{\text{ღვიძლის}} + CL_{\text{სხვა}} \quad (3d)$$

წამლის ელიმინაციაში მონაწილე „სხვა“ ქსოვილებს ეკუთვნის ფილტვები და მეტაბოლიზმის სხვა ადგილები, მაგ., სისხლი ან ჩონჩხის კუნთები.

წამლის ელიმინაციის ორი ძირითადი ორგანოა თირკმელი და ღვიძლი. თირკმლისმიერი კლირენსი შარდში შეუცვლელი წამლის კლირენსის გოლია. ღვიძლში წამლის ელიმინაცია რამდენიმე გზით ხორციელდება: ღვიძლ წამლის ბიოტრანსფორმაციით ერთ ან მეტ მეტაბოლიტად. შეუცვლელი წამლის გამოყოფით ნაღველთან ერთად, ან ერთდროულად ორივე გზით.



ცხრილი 3-1. ზოგიერთი წამლის ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოდინამიკური პარამეტრები								
წამალი	ორალური ბიომედიკალი (F)(%)	კვსკრეცია მარლიი (%)	პლაზმის ცილებთან შეკავშირებული (%)	კლირენსი (ლ/სი/70კგ) <sup>1</sup>	განაწილების მოცულობა (ლ/70კგ)	ნახევარდაშლის პერიოდი (სთ)	სამიზნე კონცენტრაცია.	თოქსიკ. კონცენტრ.
აიგეტამინოფენი	88	3	0	21	67	2	15 მგ/ლ	>300 მგ/ლ
აიკლოფირი	23	75	15	19.8	48	2.4	...	...
ამიკაცინი	...	98	4	5.46	19	2.3	...	...
ამოქსიცილინი	93	86	18	10.8	15	1.7	...	...
ამფოტერისინი	...	4	90	1.92	53	18	...	...
ამპიცილინი	62	82	18	16.2	20	1.3	...	...
ასპირინი	68	1	49	39	11	0.25	...	...
ატენოლოლი	56	94	5	10.2	67	6.1	1 მგ/ლ	...
ატროპინი	50	57	18	24.6	120	4.3	...	...
კაპტოპრილი	65	38	30	50.4	57	2.2	50 გ/მლ	...
კარბამაზეპინი	70	1	74	5.34	98	15	6 მგ/ლ	>9 მგ/ლ
ნეფალექსინი	90	91	14	18	18	0.9	...	...
ნეფალტინი	...	52	71	28.2	18	0.57	...	...
ქლორამფენიკოლი	80	25	53	10.2	66	2.7	...	...
ქლორდაიბუქსიდი	100	1	97	2.28	21	10	1 მგ/ლ	...
ქლოროქინი	89	61	61	45	13000	214	20 ნგ/მლ	250 ნგ/მლ
ქლორპროპამიდი	90	20	96	0.126	6.8	33	...	...
ციმეტიდინი	62	62	19	32.4	70	1.9	0.8 მგ/ლ	...
ცეპროფოქსაქინი	60	65	40	25.2	130	4.1	...	...
კლონიდინი	95	62	20	12.6	150	12	1 ნგ/მლ	...
ციკლოსპორინი	23	1	93	24.6	85	5.6	200 ნგ/მლ	>400 ნგ/მლ
დიაზეპამი	100	1	99	1.62	77	43	300 ნგ/მლ	...
დიფთერისინი	90	32	97	0.234	38	161	10 ნგ/მლ	>35 ნგ/მლ
დიფთერისინი	70	60	25	7	500	50	1 ნგ/მლ	>2 ნგ/მლ
დილტაზემი	44	4	78	50.4	220	3.7	...	...
დიზოქსირაზინი	83	55	2	5.04	41	6	3 მგ/მლ	>8 მგ/მლ
ენალარისი	95	90	55	9	40	3	>0.5 ნგ/მლ	...
ერიტრომიცინი	35	12	84	38.4	55	1.6	...	...
ესამბუგოლი	77	79	5	36	110	3.1	...	>10 მგ/ლ
ფლუოქსეტინი	60	3	94	40.2	2500	53	...	...
ფურისეპიდი	61	66	99	8.4	7.7	1.5	...	>25 მგ/ლ
ჯესკამეტინი	...	90	10	5.4	18	2.5	...	...

პიდრალაზინი	40	10	87	234	105	1	100 ნგ/მლ	...
იმიპრამინი	40	2	90	63	1600	18	200 ნგ/მლ	>1 მგ/ლ
ინდომეტაციინი	98	15	90	8.4	18	2.4	1 მგ/ლ	>5 მგ/ლ
ლაბეტალოლი	18	5	50	105	660	4.9	0.1 მგ/ლ	...
ლიდოკაინი	35	2	70	38.4	77	1.8	3მგ/ლ	>6 მგ/ლ
ლითიუმი	100	95	0	15	55	22	0.7 მკ/ლ	>2 მკ/ლ
მეპერდინი	52	12	58	72	310	3.2	0.5 მგ/ლ	...
მეთოგრექსატი	70	48	34	9	39	7.2	750 სმ-სი <sup>3</sup>	>950სმ-სი
მეტოპროლოლი	38	10	11	63	290	3.2	25 ნგ/მლ	...
მეტრონიდაზოლი	99	10	10	5.4	52	8.5	4 მგ/ლ	...
მიდაზოლამი	44	56	95	27.6	77	1.9	...	...
მორფინი	24	8	35	60	230	1.9	60 ნგ/მლ	...
ნიფედიპინი	50	0	96	29.4	55	1.8	50 ნგ/მლ	...
ნორტრიფტინი	51	2	92	30	1300	31	100 ნგ/მლ	>500 ნგ/მლ
უენობარბიტალი	100	24	51	0.258	38	98	15 მგ/ლ	>30 მგ/ლ
უენიტონი	90	2	89	კონცენტრ. დამოკიდ <sup>2</sup>	45	კონცენტრ. დამოკიდ <sup>5</sup>	10 მგ/ლ	>20 მგ/ლ
პრაზოზინი	68	1	95	12.6	42	2.9	...	...
პროკინაზიდი	83	67	16	36	130	3	5 მგ/ლ	>14 მგ/ლ
პროპრაინოლოლი	26	1	87	50.4	270	3.9	20 ნგ/მლ	...
პირიდოსტიგმინი	14	85	...	36	77	1.9	75 ნგ/მლ	...
ქინიდინი	80	18	87	19.8	190	6.2	3 მგ/ლ	>8 მგ/ლ
რანიტიდინი	52	69	15	43.8	91	2.1	100 ნგ/მლ	...
რიფამპინი	?	7	89	14.4	68	3.5	...	...
სალიცილის შკაუა	100	15	85	0.84	12	13	200 მგ/ლ	>200 მგ/ლ
სულფამეთიოქსაზოლი	100	14	62	1.32	15	10	...	...
ტერბუტალინი	14	56	20	14.4	125	14	2 ნგ/მლ	...
ტეტრაციკლინი	77	58	65	7.2	105	11	...	...
თეოფილინი	96	18	56	2.8	35	8.1	10 მგ/ლ	>20 მგ/ლ
ტობრამიცინი	...	90	10	4.62	18	2.2	...	...
ტოკაინიდი	89	38	10	10.8	210	14	10 მგ/ლ	...
ტოლბუტამიდი	93	0	96	1.02	7	5.9	100 მგ/ლ	...
ტრიმეტოპრიმი	100	69	44	9	130	11	...	...
ტუბოკურანინი	...	63	50	8.1	27	2	0.6 მგ/ლ	...

ცხრილი 3-1. მოცულობის წამლის ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოდინამიკური პარამეტრები –გავრცელება

ვალპროის მკვება	100	2	93	0.462	9.1	14	75 მკ/ლ	>150 მკ/ლ
ვენკომაიცი	...	79	30	5.88	27	5.6	...	...
ვერაპამილი	22	3	90	63	350	4	...	...
ვარფარინი	93	3	99	0.192	9.8	37	...	...
ვილოუდინი	63	18	25	61.8	98	1.1	...	...

<sup>1</sup>ვარდაიქმნება მლ წითელი მოცულობის რიცხვის 16.6-ზე გამრავლებით.

<sup>2</sup>ცვალებადობის კონცენტრაციის მიხედვით.

<sup>3</sup>ერთჯერადი დოზის კონცენტრაციის დროის მრუდის ხაზშივე არე.

<sup>4</sup>შესაძლოა გამოითვალოს  $C_p$  განსაზღვრის შემდეგ, შემდეგი განტოლების მიხედვით:  $CL = V_{max} / (K_m + C_p)$ ;  $V_{max} = 415$  მკ/დღ,  $K_m = 5$  მკ/ლ. ის გვეხება

<sup>5</sup>მერყეობის კონცენტრაცია-დამოკიდებული კლირენსის გამო. უფრო ახილწურავი ჩამონათვალი იხ. Speight & Holford, 1997.

ბიოგრანსფორმაციის გზები აღწერილია თავში 4. იმ კონცენტრაციების ფარგლებში, რომლებსაც ზოგადად კლინიკურ პირობებში ვხვდებით, უმრავლესი წამლის კლირენსი მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს ანუ ელიმინაცია გავრცელებად პროცესს არ არის და წამლის ელიმინაციის სიჩქარე კონცენტრაციის პირდაპირ-პროპორციულია (განტოლება (2)-ის მიხედვით):

$$\text{ელიმინაციის სიჩქარე} = CL \times C(4)$$

ჩვეულებრივ, ამ პროცესს პირველი რიგის ელიმინაცია ეწოდება. პირველი რიგის კლირენსის დადგენა შესაძლებელია კონკრეტული დოზის შესაბამისი დრო-კონცენტრაციის მრუდის ქვემოთ არსებული ფართობის (AUC) გამოთვლის შემდეგ, რადგან კლირენსი გოლია დოზა გაყოფილი AUC-ზე.

**მოცულობა-შეზღუდული ელიმინაცია**

მოცულობა-შეზღუდული ელიმინაციის მქონე წამლების (მაგ., ფენიტონი, ეთანოლი) კლირენსი მერყევი სიდიდეა და წამლის კონცენტრაციის მიხედვით ცვალებადობს (ცხრილი 3-1). მოცულობა-შეზღუდული ელიმინაცია ცნობილია აგრეთვე გავრცელებადი, დოზა- დამოკიდებული (ან კონცენტრაცია- დამოკიდებული), არახაზოვანი, ან მიქაელის-მენტენის ელიმინაციის სახელით.

ძალიან მაღალი დოზების პირობებში წამალია ელიმინაციის გზების უმრავლესობა გავრცელებადი. თუ ორგანოს სისხლით მომარაგება არ ზღუდავს ელიმინაციას (იხ. ქვემოთ), მაშინ ელიმინაციის სიჩქარესა და კონცენტრაციას (C) შორის დამოკიდებულება მათემატიკურად შემდეგი განტოლებით გამოისახება (5):

$$\text{ელიმინაციის სიჩქარე} = \frac{V_{max} \times C}{K_m + C} \quad (5)$$

სადაც,  $V_{max}$  - ელიმინაციის მაქსიმალური მოცულობაა და  $K_m$  კი წამლის ის კონცენტრაცია, რომელზეც ელიმინაცია  $V_{max}$ -ის 50%-ია.  $K_m$ -ზე მაღალი კონცენტრაციის პირობებში ირრევევა დამოკიდებულება ელიმინაციის სიჩქარესა და კონცენტრაციას შორის და ღვება ე-წ. „ფსევდო-წულოვანი რიგის“ ელიმინაციის მდგომარეობა. თუ დოზირების სიჩქარე აჭარბებს ელიმინაციის მოცულობას, მაშინ პლაზმაში მუდმივი კონცენტრაციის შენარჩუნება შეუძლებელი ხდება, რადგან თითოეული ახალი დოზის მიღების შემდეგ კონცენტრაცია განაგრძობს ზრდას. ფართოდ გამოყენებულ სამ წამალს - ეთანოლს, ფენიტონსა

და ახპირისს ახასიათებთ მოცულობა-შეზღუდული ელიმინაცია. ასეთი წამლებისათვის კლირენსს არ აქვს რეალური მნიშვნელობა და მათი ელიმინაციის განსასაზღვრისათვის AUC-ს გამოიყენება კარგავს ღირებულებას.

**სისხლის ნაკაღზე დამოკიდებული ელიმინაცია**

მოცულობა-შეზღუდული ელიმინაციისაგან განსხვავებით, ზოგჯერ წამალი მავლიმინირებელი ორგანოს მეშვეობით ძალიან ადვილად გამოდის ორგანიზმიდან ისე, რომ წამლის ნებისმიერ რეალური კლინიკური კონცენტრაცია, ანუ ორგანოს პერფუზირება სისხლში არსებული წამლის უდიდესი ნაწილი, ორგანოში მოხედრისთანავე ელიმინირდება. ამრიგად, ამგვარი წამლების ელიმინაცია, ძირითადად, მავლიმინირებელი ორგანოს პერფუზიის სიჩქარეზე დამოკიდებულია. ასეთ წამლებს (იხ. ცხრილი 3-4) შესაძლოა ეწოდოთ „ძალა-ექსტრაქციის“ მედიკამენტები, რადგან სისხლიდან ისინი ორგანოს მიერ თითქმის მოლიანად ექსტრაგირდებიან. ორგანომდე წამლის მიგანის ძირითადი განსაზღვრელი ფაქტორი ორგანოს სისხლით მომარაგებაა, თუმცა ცილებთან ძლიერი ბმის უნარის მქონე მაღალ-ექსტრაქციული წამლებისათვის პლაზმის ცილებთან შეკავშირების უნარი და სისხლის უჯრედების მონაწილეობაც შესაძლოა მნიშვნელოვანი როლს ასრულებდეს ამ პროცესში.

**ნახევარდაშლის პერიოდი**


ნახევარდაშლის პერიოდი ( $t_{1/2}$ ) ელიმინაციის პროცესის (ან უწყვეტი ინფუზიის) დროს ის მონაკვეთია, რომლის განსაზღვრებაშიც ორგანიზმში არსებული წამლის რაოდენობა ნახევარდება. ხშირად, წამლის დოზირების რეჟიმის შემუშავებისას, ორგანიზმი განიხილება, როგორც წამლის განაწილების მოცულობის ( $V_d$ ) გოლი გვეალობის ერთი მილიანი სიკანი (როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე 3-2B). ორგანიზმში წამლის დაყოვნების დრო დამოკიდებულია განაწილების მოცულობასა და კლირენსზე:

$$t_{1/2} = \frac{0.7 * V_d}{CL} \quad (6)$$

\* განტოლებაში(6) მოყენილი მუდმივა 0.7 მიახლოებულაა 2-ის ნატურალურ ლოგარითმთან. წამლის ელიმინაცია შესაძლოა აღწერდეს აქნას როგორც ექსპონენციური პროცესი, ამიტომ ორჯერ შემცირებისათვის საჭირო დრო  $\ln(2)$ -ის პროპორციული იქნება.

სურათი 3-2.

წამლის განაწილებისა და ელიმინაციის მოდელები. წამლის სისხლში შეყვანის უწყვეტი სწრაფი ინტრავენური ინფუზიის დროს შეესაბამება სურათზე მოცემულ ჭურჭელში მოცემული აგენტის გარკვეული რაოდენობით დამატებას. წამლის ჭურჭელში არსებობის ხანგრძლივობა მოცემულია გრაფიკის სახით, მარჯვნივ. პირველ მაგალითში (A) ამ შემთხვევაში წამლის ჭურჭლიდან გამოსვლა არ ხდება, ამრიგად, გრაფიკი აჩვენებს კონცენტრაციის მხოლოდ საფეხურებრივ მაგებას მაქსიმუმამდე, რასაც მოსდევს პლატო. მეორე მაგალითში (B) არსებობს ელიმინაციის გზა, ამიტომ, კონცენტრაციის მაქსიმუმამდე სწრაფი გაზრდის შემდეგ, გრაფიკზე მის ნელ დაქვეითებას აქვს ადგილი. ჭურჭელში ნივთიერების ღონის დაკლების გამო, ქვეითდება აგრეთვე ელიმინაციის განმარტობებული „წნევა“ და მრუდის დაქანებაც მცირდება. ეს არის ექსპონენციური დაქვეითების მრუდი. მესამე მოდელის (C) მიხედვით, პირველ საკანში („სისხლში“) შეყვანილი წამლის კონცენტრაცია სწრაფად თანაბრდება მეორე საკანთან (ექსტრავასკულური მოცულობა). ანუ წამლის რაოდენობა „სისხლში“ ექსპონენციურად ქვეითდება ახალი სტაციონარული კონცენტრაციის დამყარებამდე. მეოთხე მოდელი (D) უჩვენებს ელიმინაციის შექანიზმისა და ექსტრავასკულური წონასწორობის უფრო რეალურ კომბინაციას. მიღებულ გრაფიკზე



ნახევარდაშლის პერიოდი მნიშვნელოვანი პარამეტრია, რადგან იგი პლაზმაში სტაციონარული კონცენტრაციის 50%-ის მდწვევისათვის საჭირო დროს, ან წამლის შეყვანის ინტერვალის შეცვლის შემთხვევაში (უკვე შექმნილი სტაციონარული კონცენტრაციის პირობებში) კონცენტრაციის 50%-ით დაქვეითებისათვის საჭირო დროს მახეხებელია. სურათზე 3-3 ნახეხენება ეწყვეტი ინფუზიის პირობებში წამლის დაგროვებისათვის საჭირო დრო, აგრეთვე წამლის ელიმინაციისათვის საჭირო დრო ინფუზიის შეწყვეტის შემდეგ (სტაციონარული კონცენტრაციის პირობებში).

ამა თუ იმ დაავადებამ შესაძლოა გააღებნა იქონიის ფარმაკოკინეტიკის ორივე ძირითად პარამეტრზე – განაწილების მოცულობისა და კლირენსზე. ნახევარდაშლის პერიოდის ცვლილება ელიმინაციის ხიჩქარეზე ყოველთვის არ აისახება. მაგ, თირკმელების ქრონიკული უკმარისობის დროს პაციენტებს დაქვეითებული აქვი დიგოქსინის თირკმლისმიერი კლირენსი. მაგრამ ასევე დაქვეითებული აქვი მისი განაწილების მოცულობაც; ამ შემთხვევაში დიგოქსინის ნახევარდაშლის პერიოდი თირკმელების ფუნქციის ცვლილების პირდაპირპროპორციულად არ იზრდება. დიგოქსი-

ცხრილი 3-2. ორგანიზმის მოციურთი იმ საკნის ფიზიკური მოცულობა (გამოსახული ლ/კგ სხეულის წონაზე), რომელშიც შესაძლოა წამალი განაწილდეს	
საკანი და მოცულობა	წამლები
წყალი	
ორგანიზმში სითხის საერთო მოცულობა (0.6 ლ / კგ)	წყალში ხსნადი. მცირე ზომის მოლეკულები: მაგ. ეთანილი.
უჯრედგარეო სითხე (0.2 ლ / კგ)	წყალში ხსნადი. დიდი მოლეკულები: მაგ. გუნგამიცინი.
სისხლი (0.08 ლ / კგ); პლაზმა (0.04 კ / კგ)	პლაზმის ცილებთან მჭიდროდ შეკავშირებული მოლეკულები და ძალიან დიდი ზომის მოლეკულები: მაგ. პეპარინი.
ცხიმი (0.2 - 0.35 ლ / კგ)	ცხიმში ძლიერ ხსნადი მოლეკულები: მაგ. DDT
ძვალი (0.07 ლ / კგ)	მოციური იონი: მაგ. ტყეია, ფტორი.

ნის განაწილების მოცულობის შემცირება გამოწვეულია თირკმელებისა და ჩონჩხის კუნთების მასის შემცირებით, რის გამოც ქვეითდება ქსოვილოვან  $Na^+/K^+$  ATP-აზასთან დიგოქსინის შეკავშირების პროცესი.

წამალთა უმრავლესობას მრავალსაკნიანი ფარმაკოკინეტიკა ახასიათებს (იხ. სურათი 3-2C და 3-2D). ამგვარ პირობებში, „ნაბდელი“, საბოლოო ნახევარდაშლის პერიოდი (როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 3-1) ვაცილებით მაღალი იქნება განგოლებით (6) გამოთვლილ იგივე პარამეტრზე.

### წამლის კუმულაცია

თეორიულად, წამლის კონკრეტული დოზის მთლიანი ელიმინაციისათვის განუსაზღვრელი დროა საჭირო, რადგან განმეორებითი შეყვანის პირობებში მისი მიღების შეწყვეტამდე ორგანიზმში წამლის დაგროვება მიმდინარეობს. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დოზირების ინტერვალი ოთხ ნახევარდაშლის პერიოდზე ნაკლებია, შესაძლებელია მოხდეს ორგანიზმში წამლის კუმულაცია.


კუმულაცია დოზის იმ ფრაქციის უკუპროპორციულია, რომელიც დოზირების თითოეული ინტერვალის განმავლობაში იკარგება. დაკარგული ფრაქცია გოლია 1-ს გამოკლებული უშუალოდ შემდეგი დოზის მიღებამდე ორგანიზმში დარჩენილი ფრაქცია. დარჩენილი ფრაქცია შესაძლოა გამოთვლილ იქნას დოზირების ინტერვალისა და ნახევარდაშლის პერიოდის მეშვეობით. აკუმულირების ფაქტორი კუმულაციის ინდექსს წარმოადგენს.

$$\begin{aligned}
 \text{აკუმულირების ფაქტორი} &= \frac{1}{1 - \text{დოზირების ერთი ინტერვალის დროს დაკარგული ფრაქცია}} \\
 &= \frac{1}{1 - \text{დარჩენილი ფრაქცია}} \quad (7)
 \end{aligned}$$

იმ შემთხვევაში, თუ წამლის მიღებათაშორისი ინტერვალი ნახევარდაშლის პერიოდის გოლია, აკუმულირების ფაქტორი 1/0,5-ის (ანუ 2-ის) გოლია. აკუმულირების ფაქტორი განსაზღვრავს მუდმივი კონცენტრაციისა და პირველი დოზის მიღების შემდეგ შექმნილი კონცენტრაციის ფარდობას. ამრიგად, სტაციონარული კონცენტრაციის პირობებში, ხანგაშორებითი მიღების შემდეგ, წამლის კონცენტრაციის პიკი აკუმულირების ფაქტორისა და პირველი დოზის მიღების შემდეგ განვითარებული კონცენტრაციის პიკის ნამრავლის გოლია.

### ბიომელწევადობა

ნებისმიერი გზით წამლის ორგანიზმში შეყვანის შემდეგ სისტემურ ცირკულაციაში მოხვედრილ მის უცვლელ ფრაქციას ბიომელწევადობა ეწოდება (ცხრილი 3-3). რომელიმე კონკრეტული გზით შეყვანილი წამლის ბიომელწევადობა, ხშირად კონცენტრაცია – დროის მრუდის ქვეშ არსებული ფართობის (AUC) გამოთვლით ისაზღვრება (სურათი 3-4). წამლის ინტრავენური მიღებისას ბიომელწევადობა ერთის გოლია. ორალურად მიღებული წამლის ბიომელწევადობა 100%-ზე ნაკლებია ორი ძირითადი მიზეზის გამო – არასრული აბსორბციისა და პრესისტემური ელიმინაციის («პიველადი ვაულის ფენომენის»).



სურათი 3-3.

წამლის აკუმულირებისა და ელიმინაციის დრო. უწყვეტი ხაზი: კონცენტრაცია პლაზმაში, რომელიც ასახავს წამლის დაგროვებას უწყვეტი ინფუზიის პირობებში. სტაციონარული კონცენტრაციის 50% მიიღწევა ხდება ერთი ნახევარდაშლის პერიოდის შემდეგ, 75% - 2 ნახევარ-დაშლის პერიოდის შემდეგ და 90%-ზე მეტი - 4 ნახევარდაშლის პერიოდის შემდეგ. წყვეტილი ხაზი: კონცენტრაცია პლაზმაში, რომელიც ასახავს წამლის ელიმინაციას უწყვეტი ინფუზიის პირობებში სტაციონარული კონცენტრაციის დამყარების შემდეგ. წამლის 50% იკარგება ერთი ნახევარდაშლის პერიოდის შემდეგ, 75% - 2 პერიოდის შემდეგ და ა.შ. „ცერის კანონის“ მიხედვით. წამლის სრული ეფექტი მისი რეგულარულად მიღებდან 4 ნახევარდაშლის პერიოდის გავლის შემდეგ ვლინდება, ეფუძნება აკუმულაციის მრუდს, როდესაც წამალი აღწევს საბოლოო სტაციონარული კონცენტრაციის 90%-ზე მეტს.

ცხრილი 3-3. წამლის ორგანიზმში შეყვანის გზა, ბიომეღწევა და შეყვანის გზის ზოგადი თვისებები

შეყვანის გზა	ბიომეღწევა-ლობა (%)	თვისება
ინტრავენური (IV)	100 (განმარტების მისხლვით)	ყველაზე სწრაფი ეფექტი
კუნთები (IM)	75-დან = ან < 100	შესაძლებელია წამლის შეღარებით დიდი მოცულობის შეყვანა; ინექცია შესაძლოა იყოს მტკიცეული
კანქვეშ (SC)	75-დან = ან < 100	IM ინექციასთან შედარებით ნაკლები მოცულობის შეყვანის შესაძლებლობა; ინექცია შესაძლოა იყოს მტკიცეული
ორალური (PO)	5-დან < 100	ორგანიზმში წამლის შეყვანის ყველაზე მოხერხებული გზა; ყველაზე ხშირად ახასიათებს ღვიძლში «პირველადი გაფლის» გამოხატული ეფექტი
რექტალური (PR)	30-დან < 100	ორალურ გზასთან შედარებით ნაკლებად ახასიათებს ღვიძლში «პირველადი გაფლის» ეფექტი
ინჰალაციური	5-დან < 100	ხშირად, წამლის მოქმედება ძალიან სწრაფი იწყება
ტრანსდერმული	80-დან = ან < 100	ჩვეულებრივ, წამალი ძალიან ნელი შეიწოვება; გამოიყენება ღვიძლში «პირველადი გაფლის» ეფექტის თავიდან აცილების მიზნით; წამალი მოქმედებს ხანგრძლივად.

მოგვიერ პორტულ სისხლში კი, მაგრამ სისტემურ ცირკულაციაში მოხედრამდე მისი მეტაბოლიზმის ყველაზე ხშირ ადგილს ღვიძლი წარმოადგენს. ვარდა ამისა, ღვიძლს შეუძლია წამლის ექსკრეცია ნაღველში. მეტაბოლიზმის შემთხვევაში ღვიძლის შემცირება გზის თავისი წვლილი შეაქვს ბიომეღწევალობის შემცირებაში. მთლიანობაში ამ პროცესს პირველი გაფლის ელიმინაცია ეწოდება. ბიომეღწევალობაზე ღვიძლში პირველი გაფლის ელიმინაციის შეგავლენა ექსტრაქციის კოეფიციენტით (ER) გამოიხატება:

$$ER = \frac{CL_{\text{ღვიძლის}}}{Q} \quad (8a)$$

სადაც Q არის სისხლის ნაკადი ღვიძლში, რომელიც ჰვეულებრივ 70კგ წონის ადამიანისათვის 90 ლ/სთ-ის ტოლია.

წამლის სისტემური ბიომეღწევალობა (F) შესაძლოა გამოითვალოს აბსორბციის ხარისხისა (f) და ექსტრაქციის კოეფიციენტის (ER) მეშვეობით:

$$F = f \times (1 - ER) \quad (8b)$$


მაგ, მორფინი, ითიქმის მთლიანად შეიწოვება (f = 1), ისე, რომ ნაწლავებში მისი დანაკარგი უმნიშვნელოა. მაგრამ, მორფინის ღვიძლისმიერი ექსტრაქციის კოეფიციენტი ტოლია 0.67, ამრიგად მისი მათევენებელი F (1 - ER) 0.33-ია, ანუ მორფინის მოსალოდნელი ბიომეღწევალობა 33%-ია, რაც ახლოს დგას დაკვირვების შედეგად მიღებულ რეალურ მონაცემთან (ცხრილი 3-1).

**აბსორბციის ხარისხი**

ორალური მიღების შემდეგ წამალი შეიძლება არასრულად იქნას შეწოვილი, მაგ, ორალურად მიღებული დიგოქსინის მხოლოდ 70% ხელეუბ სისტემურ ცირკულაციაში. ეს ძირითადად გამოწვეულია დიგოქსინის ნაწლავური აბსორბციის სიმწირით. ზოგიერთი წამალი ან ძლიერ ჰიდროფილურია (მაგ, ატენოლოლი) ან ლიპოფილური (მაგ, აციკლოვირი), რის გამოც ადვილად ვერ შეიწოვება და მათი დაბალი ბიომეღწევალობა, ძირითადად, არასრული აბსორბციით არის განპირობებული. ძლიერ ჰიდროფილური წამლები ვერ კეეფენ უჯრედის ლიპიდურ მემბრანებს, ძლიერ ლიპოფილურები კი უჯრედის მიშღებარე თხევად შრეს. წამლების შეწოვას შესაძლოა ხელი შეუშალოს P-გლიკოპროტეინთან დაკავშირებულმა უკუტრანსპორტერმა, რომელიც აქტიურად გუშბავს წამალს ნაწლავის კედლის უჯრედებიდან სანაითურისკენ. P-გლიკოპროტეინისა და ნაწლავის კედელში მიმდინარე მეტაბოლიზმის ღაირგუნეამ, მაგ, გრეიფურუტის წვენით, შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს წამლის აბსორბციის ხარისხი.

**პირველი გაფლის ელიმინაცია, ანუ პრესისტემური ელიმინაცია**

ნაწლავის კედელში აბსორბციის შემდეგ, სისტემურ ცირკულაციაში მოხედრამდე, წამალი კარის ეენით ღვიძლში ხელეუბ. წამალი შესაძლოა ნაწლავის კედელში განიცდიდეს მეტაბოლიზმს (მაგ, CYP3A4 ფერმენტული სისტემის მეშვეობით),



სურათი 3-4.

კონცენტრაცია-ღრო-ის მრუდები, რომლებიც ნათლად ასახავს, თუ როგორ შეგავლენას ახდენს აბსორბციის სიჩქარის და ბიომეღწევალობის ცვლილებები ერთნაირი დოზით, მაგრამ სამი სხედასეუა ფარმაკეკული ფორმით. ორგანიზმში შეყვანილი ერთი და იგივე წამლის მოქმედების ხანგრძლივობასა და ეფექტურობაზე წყვეტილი ხაზით აღნიშნულია წამლის სამივე კონცენტრაცია სისხლში (TC).



**აბსორბციის სინქარა**

აბსორბციის ხარისხსა და სინქარეს შორის განსხვავებები მოყვანილია სურათზე 3-4. აბსორბციის სინქარე დამოკიდებულია ორგანიზმში წამლის შეყვანის გზასა და პრეპარატის ფარმაცევტულ ფორმამზე. აბსორბციის სინქარე, ისევე როგორც აბსორბციის ხარისხი, გავლენას ახდენს წამლის კლინიკურ ეფექტურობაზე. სურათზე 3-4 მოყვანილი ერთიდაიგივე წამლის სამი სხვადასხვა ფარმაცევტული ფორმა განსხვავებული ინტენსიუობის კლინიკურ ეფექტს აქვს: სისხლში A ფორმის ექვივალენტური კონცენტრაციის განვითარებისათვის საჭირო იქნება ღობირების B ფორმის ორმაგი ღობით გამოყენება. ბიოშელწვევადობის სინქარეებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანი იმ წამლებისათვის, რომლებიც ერთჯერადი ღობით ინიშნება, მაგ., საძილე საშუალებები. ამ შემთხვევაში, წამალი ღობირების A ფორმით უფრო ადრე მიაღწევს საშიზნე კონცენტრაციას, ვიდრე ღობირების C ფორმით; ასევე, A-ს კონცენტრაცია უფრო მაღალი იქნება და საშიზნე კონცენტრაცია მღვარს ზემოთ უფრო ხანგრძლივად შენარჩუნდება. ღობირების მრავალჯერადი რეჟიმისას კი A და C ფორმები სისხლში განვითარებენ წამლის იდენტურ საშუალო კონცენტრაციას, მიუხედავად იმისა, რომ A ფორმა გარკვეულწილად აქვს კონცენტრაციის უფრო მაღალ მაქსიმალურ და უფრო დაბალ მინიმალურ მაჩვენებლებს. წამლის აბსორბციის მექანიზმში მაშინ არის ნულოვანი რიგის, როდესაც მისი შეწოვის სინქარე არ არის დამოკიდებული ნაწლავში დარჩენილი წამლის რაოდენობაზე, მაგ., როდესაც აბსორბცია დამოკიდებულია კუჭის დადლის სინქარეზე ან წამალი განსაკუთრებული, ე.წ. „კონგრუალიზებული გამოთვითვისულების“ ფარმაცევტული ფორმით არის წარმოდგენილი. ნულოვანი რიგისაგან განსხვავებით, პირველი რიგის აბსორბციის დროს კუჭ-ნაწლავის თხევად გარემოში წამლის სრული ღობა გახსნილი და აბსორბციის სინქარე ჩვეულებრივ კუჭ-ნაწლავში წამლის კონცენტრაციის პროპორციულია.

**ექსტრაქციის კოეფიციენტი და „პირველი გავლის“ ეფექტი**

ბიოშელწვევადობა არ ახდენს გავლენას სისტემურ კლირენსზე, თუმცა, კლირენსმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბიოშელწვევადობაზე. რადგან სწორედ ის განსაზღვრავს ექსტრაქციის კოეფიციენტს (განტოლება [8]). ორალური გზით წამლის მიღებისას მისი მაღალი ღობით გამოყენება საჭირო სისხლში თერაპიული კონცენტრაციის მისაღწევად, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება წამლის მეტაბოლიტების კონცენტრაცია (ინტრავენურად შეყვანილ წამალთან შედარებით). ორი ანტიარითმიული პრეპარატის, ლილოკინისა და ვერაპამილის, ბიოშელწვევადობა 40%-ზე ნაკლებია, მაგრამ ლილოკინი ორალურად არასდროს არ ინიშნება, რადგან ცნობილია, რომ მის მეტაბოლიტებს გოქსიკური ზეგავლენა აქვთ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ღვიძლისმიერი ექსტრაქციის მაღალი კოეფიციენტის მქონე სხვა პრეპარატებს ეკუთვნის მორფინი, პროპრანოლოლი, ვერაპამილი, ზოგიერთი ტრისციკლური ანტიდეპრესანტი (ცხრილი 3-1) და იზონიაზიდო. მაღალი ექსტრაქციის კოეფიციენტის მქონე პრეპარატები აქვს ბიოშელწვევადობის ინდივიდუალურ ვარიაციულობას, სხვადასხვა ორგანიზმების ღვიძლის განსხვავებული ფუნქციისა და სისხლმომარაგების გამო. ღვიძლისმიერი ექსტრაქციის მაღალი კოეფიციენტის მქონე წამლის თანაბარი ღობის სხვადასხვა ინდივიდის მიერ მიღების შემდეგ სისხლში განსხვავებული კონცენტრაციის განვითარებაც ბიოშელწვევადობის ინდივიდუალური ვარიაციულობით აიხ-

სნება. ღვიძლისმიერი ექსტრაქციის მაღალი კოეფიციენტის მქონე წამლების შემთხვევაში, ელიმინაციის ადგილების (მაგ., ღვიძლის) გვერდის აქვს გამოიწვევს წამლის ბიოშელწვევადობის მნიშვნელოვან გაზრდას, დაბალი კოეფიციენტის მქონე წამლების (რომელთათვისაც წამლის ღვიძლში შემაჯავალ და გამოშავალ კონცენტრაციებს შორის სხვაობა მცირეა) ბიოშელწვევადობაზე კი თითქმის არ მოქმედებს. ცხრილში 3-1 ჩამოთვლილი წამლებიდან ღვიძლისმიერი ექსტრაქციის დაბალი კოეფიციენტის მქონე პრეპარატებს ეკუთვნის ქლორპროპამიდი, დიბეპამი, ფენიტოინი, თეოფილინი, გოლბუგამიდი და ვარფარინი.

**ორგანიზმში წამლის შეყვანის ალგორითმული გზები და „პირველი გავლის“ ეფექტი**

კლინიკურ მედიცინაში ორგანიზმში წამლის სხვადასხვა გზით შეყვანას რამდენიმე მიზანი აქვს (ცხრილი 3-3) – მოხერხებულობა (მაგ, ორალური), მოქმედების ადგილზე მაქსიმალური კონცენტრაციის შექმნა და სისტემურ ცირკულაციაში მისი მინიმალურად გადასვლა (მაგ, გოპიკური), წამლის აბსორბციის სინქარის გახანგრძლივება (მაგ, გრანსლერმული) და „პირველი გავლის“ ეფექტის თავიდან აცილება.

ღვიძლში „პირველი გავლის“ ეფექტის თავიდან აცილება შესაძლებელია ენისქვეშა გაბლევების და გრანსლერმული პრეპარატების გამოყენებით, აგრეთვე (შედარებით ნაკლებად) რექტული სუპოზიტორების დანიშვნით. ენისქვეშა აბსორბცია უზრუნველყოფს წამლის უშუალო მოხვედრას სისტემურ (და არა პორტულ) ვენებში. გრანსლერმულ გზასაც იგივე უპირატესობა აქვს. სწორი ნაწლავის ქვედა მესამედი სუპოზიტორიდან აბსორბირებული წამალი ხვდება სისხლძარღვებში. რომლებიც ქვემო ღრუ ვენას უერთდებიან, ამრიგად, ის გვერდს უვლის ღვიძლს. თუმცა, სუპოზიტორია შესაძლოა გადაადგილდეს სწორი ნაწლავის უფრო ზედა ნაწილისკენ, საიდანაც ენები უპირატესად ღვიძლისაკენ მიემართებიან, ამიტომ ითვლება, რომ რექტულად მიღებული ღობის მხოლოდ 50% არ ხვდება ღვიძლში.

ინჰალაციური გზით ორგანიზმში შეყვანილი წამალი არ ექვემდებარება ღვიძლში „პირველი გავლის“ ეფექტს, თუმცა თვითონ ფილტვსაც შეუძლია შეასრულოს „პირველი გავლის“ ეფექტი, რადგან იგი მრდის ორგანიზმიდან წამლის დაკარგვის ექსტრეციის, და შესაძლოა მეტაბოლიზმის გზით.


**წამლის ეფექტის ხანგრძლივობა**

ფარმაკოკინეტიკის (განხილული მოცემულ თავში) და ფარმაკოდინამიკის (განხილული მე-2 თავში; Holford & Sheiner, 1981) პრინციპების ცოდნა დიდ დახმარებას გვიწევს წამლის ეფექტის განვითარების სინქარისა და ხანგრძლივობის გაგებაში.

**მეისიერი ეფექტები**

უმარტივეს შემთხვევაში, წამლის ეფექტი პირდაპირ, კავშირშია პლაზმაში მის კონცენტრაციასთან, თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ წამლის ეფექტი უზრალოდ პარალელურია კონცენტრაციის ცვლილებისა დროში. წამლის კონცენტრაცია და ეფექტს შორის დამოკიდებულება არ არის საზოგადო (გაისხენიო  $E_{max}$  მოდელი, განხილული თავში 2), ამიტომ ჩვეულებრივ ეფექტი კონცენტრაციის ხაზოვნად პროპორციული ვერ იქნება. განვიხილოთ ანტიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის (ACE) ინჰიბიტორის (მაგ., ენალაპრილის) ზეგავლენა პლაზ-





სურათი 3-5.

ანგიოტენზინ-გარდაამქმნელი ფერმენტის (ACE) ინჰიბიტორის კონცენტრაციის და ეფექტის ხანგრძლივობა. შავი ხაზით აღნიშნულია ენალაპრილის კონცენტრაცია პლაზმაში (ნანოგრამი/ მლ) ერთჯერადი ორალური დოზის შემდეგ. წითელი ხაზი კი უჩვენებს მისი სამიზნის, ACE-ის, ინჰიბირების ხარისხს (პროცენტებში). აღსანიშნავია კონცენტრაცია-დროის (ექსპონენციალური დაქვეითებული) და ეფექტი-დროის (ხაზოვნად დაქვეითებული მის შუა ნაწილში) მრუდების განსხვავებული ფორმა.

მის ანგიოტენზინ-გარდაამქმნელ ფერმენტზე, ენალაპრილის ნახევარდამშლის პერიოდი დაახლოებით 3 სთ-ია. ენალაპრილის 10 მგ-ის ორალური მიღებიდან 3 სთ-ის შემდეგ პლაზმაში მისი კონცენტრაცია დაახლოებით 50 ნგ/მლ იქნება. პრეპარატი, ჩვეულებრივ, დღეში ერთხელ ინიშნება, ანუ მისი კონცენტრაციის პიკიდან მიღებამდე ინტერვალის ბოლომდე შეიძლება ნახევარდამშლის პერიოდი გადს. ყოველი ნახევარდამშლის პერიოდის შემდეგ ენალაპრილის კონცენტრაცია და ACE-ს დათრგუნვის ხარისხი მთლიანად სურათზე 3-5. ACE-ს დათრგუნვის ხარისხი  $E_{max}$  მოდელის მიხედვით გამოითვლება, სადაც  $E_{max}$  – ინჰიბირების მაქსიმალური ხარისხი 100%-ია,  $EC_{50}$  – დაახლოებით 1 ნგ/მლ.

აღსანიშნავია, რომ პლაზმაში ენალაპრილის კონცენტრაციული პიკის შემდეგ, პირველ 12 სთ-ში (ნახევარდამშლის 4 პერიოდი) სისხლში კონცენტრაცია 16-ჯერ მცირდება, ეფექტი (ACE-ს დათრგუნვა) კი მხოლოდ 20%-ით, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში ენალაპრილის კონცენტრაცია,  $EC_{50}$ -სთან შედარებით, იმდენად მაღალია, რომ მისი ეფექტი თითქმის უცვლელია. 24 საათის შემდეგ კი ACE-ს დათრგუნვა 33%-ით არის ინჰიბირებული. ეს ხსნის იმ ფაქტს, თუ რაგომ შეიძლება ზოგიერთი ხანმოკლე ნახევარდამშლის პერიოდის მქონე წამლის დანიშვნა დღეში ერთხელ, მისი ეფექტის შენარჩუნებით მთელი დღის განმავლობაში. ამ ფაქტის ამხსნელ ძირითად ფაქტორს მაღალი საწყისი კონცენტრაცია ( $EC_{50}$ -თან მიმართებაში) წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 24 სთ-ის შემდეგ პლაზმაში ენალაპრილის კონცენტრაცია 1%-ზე დაბალია, იგი  $EC_{50}$ -ის ნახევარს შეადგენს. ეს მოვლენა ძალიან ხშირია ფერმენტებზე მოქმედი (მაგ., ACE ინჰიბიტორები), ან რეცეპტორების კონკურენტული ანტიგონისტების (მაგ., პროპრანოლოლი) შემთხვევაში.

როდესაც წამლის კონცენტრაციის დიაპაზონი  $EC_{50}$ -ის მეთიხედს და ოთხჯერ  $EC_{50}$ -ს შორის მერყეობს, ეფექტის დრო ხაზოვან ფუნქციას წარმოადგენს – ყოველ ნახევარდამშლის პერიოდში ეფექტის 13% იკარგება.  $EC_{50}$ -ის მეთიხედზე დაბალი კონცენტრაციის პირობებში ეფექტი ხდება კონცენტრაციის

თითქმის პირდაპირპროპორციული და ეფექტის ხანგრძლივობა კონცენტრაციის ექსპონენციალურ დაქვეითებას შეესაბამება. ამიტომ „წამლის ეფექტის ნახევარდამშლის პერიოდი“ კონცეფციას მხოლოდ  $EC_{50}$ -ზე დაბალი კონცენტრაციის შემთხვევაში აქვს რაიმე მნიშვნელობა.

დაყოვნებული ეფექტები

უმრავლეს შემთხვევაში, წამლის ეფექტის ინტენსივობის ცვლილება ჩამორჩება პლაზმაში მისი კონცენტრაციის მერყეობას, რაც პლაზმიდან მოქმედების ადვილადვე წამლის მიტანისათვის საჭირო დროის მონაკვეთით შეიძლება განისაზღვროდეს. დისტრინეციით განპირობებული წამლის ეფექტის დაყოვნება ფარმაკოკინეტიკურ ფუნქციის წარმოადგენს და რამდენიმე წუთით შემოიფარგლება. წამლის ეფექტის ამ სახის დავიანებას შესაძლოა ადვილი ჰქონდეს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (CNS) მოქმედი ისეთი პრეპარატის სწრაფი ინტრავენური ინექციისას, როგორც არის თიოპენტალი.


წამლის მოქმედების მექანიზმში მონაწილე ფიზიოლოგიური ნივთიერებების განახლების ნელი ტემპი ხშირად გვევლინება ეფექტების რამდენიმე საათით (ან დღით) დაყოვნების მიზეზად. მაგ., ანტიკოაგულანტი ვარფარინი ინჰიბირებს ვიტამინი K ენოქსილაზას ლეიქში. ვარფარინის ეს მოქმედება სწრაფია, ფერმენტის ინჰიბირება კი დამოკიდებულია ვარფარინის კონცენტრაციაზე პლაზმაში. ვარფარინის კლასიკური ეფექტი, პროთრომბინის დროის შემცირება, შედეგების ფაქტორების პროთრომბინული კომპლექსის კონცენტრაციის შემცირებით არის განპირობებული. ვიტამინი K ენოქსილაზას ინჰიბირება ამცირებს შედეგების ამ ფაქტორების სინთეზს, მაგრამ თვით კომპლექსის ხანგრძლივი ნახევარდამშლის პერიოდი აქვს (დაახლოებით 14 სთ), ამიტომ სწორედ ამ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუ რა დრო დასჭირდება შედეგების ფაქტორების ახალი სტაეონარული კონცენტრაციის შექმნასა და წამლის ეფექტის გამოვლენას.

კუმულაციური ეფექტები

წამლის ზოგიერთი ეფექტი მის კუმულაციურ მოქმედებაზე დამოკიდებულია. ამინოგლიკოზიდური ანტიბიოტიკების (მაგ., გენტიამინი) გოქსიკური ზეგავლენა თირკმლებზე უფრო მეტად უწყვეტი ინფუზიისათვის არის დამახასიათებელი (დოზირების ხანგაშლემებით რეკომენდირებული). თირკმლების ქერქოვან შრეში ამინოგლიკოზიდის დაგროვება ამ ორგანოს დაზიანებას იწვევს. მაშინაც კი, როდესაც დოზირების ორივე სქემა პლაზმაში ერთი და იგივე სტაეონარულ კონცენტრაციას იძლევა, კონცენტრაციის პიკი გაცილებით მაღალია ამინოგლიკოზიდების ხანგაშლემებით გამოყენებისას, ამიტომ თირკმლების ქერქოვან წამლის მიტანების მექანიზმების გაჯერებას აქვს ადვილი, რაც ამცირებს ამინოგლიკოზიდების დაგროვებას. ამინოგლიკოზიდის გოქსიკურობის წინასწარ განსაზღვრა მისი კონცენტრაციის ცვლილებებისა და უკუმიტანების გაჯერებადი მექანიზმების ხასიათის მიხედვით არის შესაძლებელი.

სიმსხვნის სამკურნალო მრავალი საშუალების ეფექტი კუმულაციური მოქმედების შედეგია – მაგ., ღნმ-თან წამლის შეკავშირების ხარისხი წამლის კონცენტრაციის პროპორციულია და ჩვეულებრივ, შეუქცევია. ამიტომ, სიმსივნის ზრდაზე ზეგავლენა წამლის კუმულაციური მოქმედების შედეგია.

კუმულაციური ეფექტის გამოვლა, კერძოდ, კონცენტრაცია-დროის მრუდის ქვეშ არსებული ფართობის (AUC) მიხედვით, მკურნალობის ინდივიდუალიზაციის საშუალებას იძლევა.



სურათი 3-6.

ლოზირების სისხირესა და მაქსიმალურ და მინიმალურ პლაზმურ კონცენტრაციებს შორის ურთიერი-დამოკიდებულება. როდესაც თეოფილინის სასურველი სტაციონარული კონცენტრაცია პლაზმაში არის 10 მგ/ლ. მუქი ხაზით (მუქი შავი) მოცემულია პლაზმაში კონცენტრაციის გლუვი ბრღა ინტრავენური ინფუზიის დროს (ინფუზიის სიჩქარე 28 მგ/სთ); ღია ფერით აღნიშნულია კონცენტრაციის ბრღა ლოზირების რეჟიმისას 224 მგ-ის 8 სთ-ში ერთხელ; მუქი ფერი კი უჩვენებს 672 მგ-ის 24 სთ-ში ერთხელ მიღებისას განვითარებულ კონცენტრაციას. სასიფე შემთხვევაში პლაზმაში საშუალო სტაციონარული კონცენტრაციის 10 მგ/ლ-ის გოლია.

### სამიზნე კონსენტრაციასთან მისაახლოვებელი რაციონალური ღოზირების რეჟიმის ვეშუაგება

ლოზირების რაციონალური რეჟიმი ეფუძნება მოსაზრებას, რომ არსებობს სამიზნე კონცენტრაცია, რომელმაც უნდა გამოიწვიოს სასურველი თერაპიული ეფექტები. ღოზირების რეჟიმის ინდივიდუალიზაციის მიზნით, სამიზნე კონცენტრაციის მიღწევა შესაძლებელია ღოზა-კონცენტრაციის დამოკიდებულების განსაზღვრული ფარმაკოკინეტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ცხრილში 3-1 წარმოდგენილია პაციენტთა ეფექტური მკურნალობისათვის საჭირო ეფექტური კონცენტრაციების დიაპაზონი. ზოგადად, საწყისი სამიზნე კონცენტრაციის შერჩევა ამ დიაპაზონის ქვედა ზღვარიდან იწყება. ზოგ შემთხვევაში სამიზნე კონცენტრაციის შერჩევაზე შესაძლოა სპეციფიკურმა თერაპიულმა მიზანმა იქონიოს გავლენა, მაგ, წინაგულთვანი ფიბრილაციის კონტროლისათვის დიგოქსინის სამიზნე კონცენტრაცია ხშირად გოლია 2 ნგ/მლ, იმავე პრეპარატით გულის უკმარისობის აღქვავტური მართევა კი 1 ნგ/მლ-ითაც არის შესაძლებელი.

### შემანარჩუნებელი ღოზა

უმრავლეს კლინიკურ სიტუაციაში წამლის ღოზირების რეჟიმის შერჩევის მიზანია ორგანიზმში სტაციონარული კონცენტრაციის შენარჩუნება, ანუ, ყოველი ახალი მიღებით უნდა მოხდეს წინა მიღებიდან ელიმინირებული რაოდენობის ჩანაცვლება. ამრიგად, შესატყვისი შემანარჩუნებელი ღოზის გამოთევა მკურნალობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს. მკურ-

ნალობის რაციონალური რეჟიმის აგებისას, სტაციონარული კონცენტრაციის გამოსათეული ყველაზე მნიშენელოვანი ფარმაკოკინეტიკური პარამეტრი კლირენსია. სტაციონარული კონცენტრაციის პირობებში, ღოზირების სიჩქარე („შეყენის სიჩქარე“) ელიმინაციის სიჩქარის („გამოყოფის სიჩქარე“) გოლი უნდა იყოს. განგოლებაში (4) კონცენტრაციის (C) ჩანაცვლება სამიზნე კონცენტრაციით (TC) შემანარჩუნებელი ღოზის სიჩქარის განსაზღვრის საშუალებას მოგვეცემს:

$$\text{ღოზირების სიჩქარე}_{ss} = \text{ელიმინაციის სიჩქარე}_{ss} = CL \times TC \quad (9)$$

ამრიგად, თუ ცნობილია სამიზნე კონცენტრაცია, პაციენტისათვის ღოზირების სიჩქარის ძირითადი განსაზღვრული კლირენსია. თუკი წამლის ორგანიზმში შეყენა ხდება იმ გბით, რომლითაც მისი ბიოშელწევალობა 100%-ზე ნაკლებია, მაშინ საჭიროა განგოლებით (9) გამოთეული ღოზირების სიჩქარის მოდიფიცირება. წამლის ორალურად მიღებისას:

$$\text{ღოზირების სიჩქარე}_{po} = \frac{\text{ღოზირების სიჩქარე}}{F_{ab}} \quad (10)$$

ხანგამოშვებითი ღოზირების რეჟიმისათვის შემანარჩუნებელი ღოზა შექმენიარად გამოთელება:

$$\text{შემანარჩუნებელი ღოზა} = \text{ღოზირების სიჩქარე} \times \text{ღოზირების ინტერეალი} \quad (11)$$

(იხ. მაგალითი: შემანარჩუნებელი ღოზის გამოთევა)

საყურადღებოა, რომ უწყვეტი ინფუზიის დროს განვითარებული სტაციონარული კონცენტრაცია, ან ღობირების ხანგრძლივებითი რეჟიმით მიღწეული *საშუალო* კონცენტრაცია მხოლოდ კლირენსზეა დამოკიდებული. განაწილების მოცულობისა და ნახევარდაშლის პერიოდის ცოდნა საჭირო არ არის მისაღწევად ღობირების მოცემულ სიხარვეზე ან ღობირების სიხარვის გამოსათვლელად სასურველი სამიმნე კონცენტრაციის მისაღწევად. სურათი 3-6 უჩვენებს, რომ ღობირების სხვადასხვა ინტენსივობით კონცენტრაციის დროის მრუდებს ექნებათ განსხვავებული მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო დონე ყოველთვის იქნება 10 მგ/ლ.

ღობირების სიხარვისა და საშუალო სტაციონარული კონცენტრაციის განსაზღვრა, რომელია გამოთვლად კლარენსის მეშვეობით ხდება, სპეციფიკურ ფარმაკოკინეტიკურ მოდელზე არ არის დამოკიდებული. ამისაგან განსხვავებით, მაქსიმალური და მინიმალური სტაციონარული კონცენტრაციების განსაზღვრა ფარმაკოკინეტიკური მოდელის სპეციფიკის გათვალისწინებით ხორციელდება. კუმულაციის ფაქტორი (განგოლება [7]) გულისხმობს წამლის განაწილებისა და ულმინაციის ერთსაკინან მოდელს (სურათი 3-2B). ამ შემთხვევაში კონცენტრაციის პიკის გამსაზღვრისას დაშვებულია, რომ აბსორბციის სიხარვე, ელიმინაციის სიხარვეზე, გაცილებით უფრო მაღალია. კლინიკურ სიტუაციაში საყურადღებო მაქსიმალური და მინიმალური კონცენტრაციების გამოსათვლელად ეს დაშვებები ჩვეულებრივ მისაღებია.

**დამგვირთავი დოზა**

ზოგიერთ კლინიკურ სიტუაციაში სტაციონარული კონცენტრაციის განვითარების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგ., ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდის მქონე წამლების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში წამალი შესაძლოა დამგვირთავი დოზით დაინიშნოს, რაც პლაზმაში სამიმნე კონცენტრაციის

სწრაფად განვითარების საშუალებას იძლევა. თეორიულად, საჭიროა გამოითვლოს მხოლოდ დამგვირთავი დოზის რაოდენობა და არა შეყვანის სიხარვე, რაც პირველი აპროქსიმაციისათვის საკმარისია. განაწილების მოცულობა პროპორციულად ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც აკავშირებს ორგანიზმში არსებულ წამლის საერთო რაოდენობასა და პლაზმაში მის კონცენტრაციას ( $C_p$ ): თუ დამგვირთავი დოზა სამიმნე კონცენტრაციის შექმნის საშუალებას იძლევა, მაშინ, განგოლებიდან (1) გამომდინარე:

დამგვირთავი დოზა = ორგანიზმში წამლის ის რაოდენობა, რომელიც დამგვირთავი დოზის გამოყენებისთანავე შედის ორგანიზმში =

$$= V_d \times TC \quad (12)$$

ხადაც  $V_d$  – განაწილების მოცულობაა,  $TC$  – სამიმნე კონცენტრაცია თეოფილისის მოყვანილ მაგალითის მიხედვით დამგვირთავი დოზა გოლია 350 მგ ( 35 ლ X 10 მგ/ლ) 70 კგ-იანი ადამიანისთვის. წამალია უმრავლესობის დამგვირთავი დოზა მხოლოდ ერთჯერადად გამოიყენება, ორგანიზმში წამლის შეყვანის ამა თუ იმ არჩეული გზით.

ამ მომენტამდე ჩვენ არ ვითვალისწინებდით იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ წამალს გაცილებით უფრო რთული, შრავალსაკინიანი ფარმაკოკინეტიკა ახასიათებს, მაგ., სურათზე 3-2 გამოსახული განაწილების ორსაკინიანი მოდელი. უმრავლეს შემთხვევაში ეს გამარტივება გამართლებულია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დაუმუშაველია განაწილების ფაზის იგნორირება, განსაკუთრებით დამგვირთავი დოზის გამოთვლისას. თუ აბსორბციის სიხარვე აჭარბებს განაწილების სიხარვეს (მაგ., ინტრავენური ბოლუს-ინექციის შემთხვევაში), მაშინ დამგვირთავი დოზის შესაბამისი პლაზმისიერი კონცენტრაცია (გამოთვლილი განაწი-

**მაგალითი: შებენარჩუნებადი ღობის ბამოთვლა**

ბრონქული ასთმის მწვავე ეპიზოდის მოსახსნელად სასურველია, რომ პლაზმაში თეოფილისის სამიმნე კონცენტრაცია იყოს 10 მგ/ლ-ის გოლი. თუ პაციენტი არ არის მწვეელი და სხვაფორმე ჯანმრთელია, შეგვიძლია გამოვიყენოთ კლირენსის საშუალო არითმეტიკული, რაც მოცემულია ცხრილში 3-1, ანუ, 2.8 ლ/სთ/70კგ. რამდენადაც წამლის შეყვანა ინტრავენური ინფუზიის გზით ხორციელდება,  $F = 1$ , ამიტომ

ღობირების სიხარვე =  $CL \times TC$  (სამიმნე კონცენტრაცია)

$$= 2.8 \text{ ლ/სთ/70კგ} \times 10 \text{ მგ/ლ}$$

$$= 28 \text{ მგ/სთ/70კგ}$$

ამრიგად, ამ პაციენტში ინფუზიის მართებული სიხარვე იქნება 28 მგ/სთ/70კგ.

ასთმის შეტყვის მოხსნის შემდეგ შესაძლოა კლინიციკოს უნდოდეს პლაზმაში კონცენტრაციის ამ დონის შენარჩუნება ორალური თეოფილისით, რომელიც შეიძლება დაინიშნოს ყოველ 12 საათში სუბტანციის ნელა გამომართვის უფლებული გაბლევების გამოყენებით, რაც ღობირების თვალსაზრისით, მიახლოებული იქნება უწყვეტ ინტრა-

ვენურ ინფუზიასთან. ცხრილის 3-1 მიხედვით, თეოფილისის ორალური ბიოშელწევადობა –  $F_{ორალური}$  არის 0.96. 12 საათიანი ღობირების ინტენსივობის შემთხვევაში, შემანარჩუნებელი დოზა გოლი იქნება:

შემანარჩ. დოზა =  $\frac{\text{ღობირების სიხარვე}}{F} \times \text{დოზ. ინტენსივ.}$

$$= \frac{28 \text{ მგ/სთ}}{0.96} \times 12 \text{ სთ}$$

$$= 350 \text{ მგ}$$

ამ გამოთვლების შემდეგ დაინიშნება იდეალურ დოზასთან, 350 მგ-თან, მიახლოებული დოზა გაბლევის ან კაფსულის სახით 12 საათიანი ინტენსივობით. 8 საათში ერთხელ დაინიშნის შემთხვევაში იდეალური დოზა 233 მგ-ის გოლი იქნება; წამლის დღეში ერთხელ დაინიშნისას დოზა იქნება 700 მგ. პრაქტიკულად,  $F$  იხე ახლოა 1-თან, რომ შესაძლოა მისი უგულებელყოფა.

ილების საეარულო მოცულობის მიხედვით) თეადიარეულად შესაძლოა სასურეულ კონცენტრაციებზე გაცილებით მაღალი აღმონნდეს და ძლიერი გოქსიკურობაც კი გამოიწვიოს, თუმცა მხოლოდ მყისიერად, ეს ძალზე მნიშვნელოვანია, მაგ. ლიდოკაინის მსგავსი ანტიარითიული პრეპარატების გამოყენებისას, რადგან ამ შემთხვევაში მაღალია დაუყოვნებელი გოქსიკური რეაქციის რისკი. ამრიგად, ზოგჯერ, დამგვირთიანი ღოზის რაოდენობის სწორად გამოთვლის შემთხვევაშიც კი, ორგანიზმში წამლის შეყვანის სიჩქარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. პრაქტიკული თეალსაზრისით, ინგრავენური გზით წამლის შეყვანის დროს, ჭარბი კონცენტრაციის განვითარების თეიდან აცილების მიზნით, თითქმის ყოველთვის უპირანია ნელი ინექციის (წუთების განმავლობაში და არა წამების) განსრციელება. განაწილების ფაზის დროს, პლაზმაში მაღალი კონცენტრაციის განვითარების თეიდან აცილების მიზნით, თეოფლინის ინგრავენური ინექციის დრო არ უნდა იყოს 20 წუთზე ნაკლები.

წამლის ხანგამოშეებითი ღოზირების რეჟიმის შემთხვევაში, განტოლების (12) მიხედვით გამოთვლილი დამგვირთიანი ღოზა პლაზმაში იმ საშუალო სტაციონარული კონცენტრაციის განვითარების საშუალებას იძლევა, რომელიც სტაციონარული კონცენტრაციის პიკურ მნიშვნელობას არ შეესაბამება (სურათი 3-6). სტაციონარული კონცენტრაციის პიკის მისაღწევად, დამგვირთიანი ღოზა უნდა გამოითვლოს შემდეგი განტოლებით (13):

$$\text{დამგვირთიანი ღოზა} = \text{შემანარჩუნებელი ღოზა} \times \text{კუმულაციის ფაქტორი} \quad (13)$$

### წამლების თერაპიული მონიტორირება: ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის შედარება

შემოთ განხილული ძირითადი პრინციპების ცოდნა კლინიკურ პრაქტიკაში წამლის კონცენტრაციის ცვალებადობით განპირობებული შედეგების ინტერპრეტირებაში გვეხმარება, რაც სამ ფარმაკოკინეტიკურ (აბსორბცია, კლირენსი და განაწილების მოცულობა და მათგან წარმოებული – ნახევარდაშლის პერიოდი) და ორ ფარმაკოდინამიკურ (მაქსიმალური ეფექტი, რომელიც შესაძლებელია მიღწეულ იქნას სამიზნე ქსოვილში და წამლის მიმართ ქსოვილის მგრძობიანობა) მაჩვენებლებზე დაყრდნობით ხორციელდება. ხშირად, სხვადასხვა დაავადების ფონზე ამ პარამეტრების ცვლილებებს აქვს ადგილი. ამ

შემთხვევაში, ინდივიდუალური პაციენტისათვის ღოზის სწორად შერჩევის მიზნით, ძალზე მნიშვნელოვანია დაავადების გეგავლების წინასწარ განსაზღვრა ამა თუ იმ ფარმაკოკინეტიკურ პარამეტრზე (იხ. სამიზნე კონცენტრაციის სტრატეგია).

### ფარმაკოკინეტიკური მაჩვენებლები

#### აბსორბცია

წამლის ორგანიზმში შესული რაოდენობა დამოკიდებულია პაციენტის მიერ ღოზირების რეჟიმის სწორად შესრულებაზე, აგრეთვე შეყვანის ადგილიდან წამლის სისხლში გადატანის სიჩქარესა და ხარისხზე.

ღოზის ჭარბად ან ნაკლებად მიღება პაციენტის მიერ ღოზირების რეჟიმის შესრულებლობაზე მეთითიებს, რისი გადამოწმებაც შესაძლებელია პლაზმაში წამლის კონცენტრაციის განსაზღვრით. ღოზირების რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში პლაზმაში წამლის კონცენტრაციის მოსალოდნელისაგან შეკუთრად განსხვავებული მონაცემი შეიმჩნევა. პაციენტის მიერ ექიმის დანიშნულების აღქვაგურად შესრულების შემთხვევაში პლაზმაში დაბალი კონცენტრაციის მიზეზი შესაძლოა იყოს წერილ ნაწლაეში წამლის აბსორბციის დარღვევა. ბიომეღწევალობის განსხვავებული მაჩვენებლები აქვთ კონკრეტული წამლის სხვადასხვა ფარმაკეტიკულ ფორმებს. ხშირად, განსხვავებული ბიომეღწევალობის მიზეზად აბსორბციის პროცესში წამლის მეგაბოლიზმი გვევლინება.

#### კლირენსი

წამლის კლირენსზე დიდ გავლენას ახდენს თირკმელების, ლეიძლის ან გულის ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევები. კრეატინინის კლირენსი თირკმელების ფუნქციის რაოდენობრივი მაჩვენებელია. მეორე მხრივ, ხშირად, გულის, თირკმელებისა თუ ლეიძლის ფუნქციური უკმარისობის დადგენაში, კლინიკურ ნიშნებსა და ლაბორატორიულ ანალიზებთან შედარებით, უფრო მეტად წამლის კლირენსის გამოთვლა გვეხმარება. მაგ. თირკმელების ფუნქციის სწრაფად ცვლილების პირობებში, გლომერულური ფილტრაციის მაჩვენებლად შესაძლოა ამინოფლიკომიდური ანტიბიოტიკების კლირენსი უფრო ინფორმატიული იყოს, ვიდრე შრატში კრეატინინის დონე.

ლეიძლის დაავადებების დროს ადგილი აქვს მრავალი წამლის კლირენსის შემცირებას და მათი ნახევარდაშლის პერიოდის გახანგრძლივებას, თუმცა, შესაძლოა ლეიძლის იგივე

#### სტრატეგია: სამიზნე კონცენტრაცია

ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის ერთმანეთთან დაკავშირებაში წამლის კონცენტრაციის გადამწყვეტი როლის აღიარებას თავისთავად მიეყვარათ სამიზნე კონცენტრაციის სტრატეგიაზე. გარკვეული ხარისხის თერაპიული ეფექტის მისაღწევად საჭირო კონცენტრაციის წინასწარ განსაზღვრისათვის ფარმაკოკინეტიკური პრინციპები გამოიყენება. სამიზნე კონცენტრაციის ამ გზით გამოანგარიშება პაციენტისათვის შესაბამისი ღოზირების რეჟიმის შერჩევას ემსახურება. სამიზნე კონცენტრაციის სტრატეგია ინდივიდუალური ღოზის ოპტიმიზაციის პროცესია, რომელიც ისეთ შეფასებად სურთგავლად პასუხს ყვრდნობა, როგორცაა წამლის კონცენტრაცია:

2. განისაზღვროს განაწილების მოცულობა ( $V_d$ ) და კლირენსი (CL) სტანდარტული პოპულაციის მონაცემების (მაგ. ცხრილი 3-1) მიხედვით და იმ ფაქტორთა გათვალისწინებით, როგორცაა სხეულის წონა და თირკმელების ფუნქცია.
3. გამოითვალოს დამგვირთიანი ან შემანარჩუნებელი ღოზა, რაც გამოითვლება TC,  $V_d$ , და CL მიხედვით.
4. განისაზღვროს წამლის კონცენტრაცია და შეფასდეს პაციენტის საპასუხო რეაქცია.
5. განისაზღვრული კონცენტრაციის მიხედვით გადაიხედოს  $V_d$  –სა და/ან CL –ის მაჩვენებლები.
6. გაიმეორეთ მე-3 – 5 საფეხურები, რათა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული ღოზისა და TC-ის შესაბამისობაში მოყვანა.

1. შერჩევის სამიზნე კონცენტრაცია – TC.

დაავადების დროს ღვიძლით ელიმინირებადი სხვა წამლის კლირენსის და ნახევარდაშლის პერიოდი არ შეიცვალოს. ეს ფაქტზე იმაზე მიუთითებს, რომ ამ ორგანოს დაავადებები ყოველივეს არ მოქმედებენ ღვიძლის შინაგან კლირენსზე. ჯერ-ჯერობით არ არსებობს ღვიძლისმიერი მეტაბოლიზმის ფუნქციური მდგომარეობის ისეთი სარწმუნო მარკერი, რომელიც წამლის ღვიძლისმიერი კლირენსის მსახლოდნელი ცვლილებების წინასწარ განჭვრეტაში მოგვეხმარებოდეს. განსხვავებით კრეატინინის კლირენსისაგან, რომელიც წამლის თირკმლისმიერი კლირენსის სარწმუნო მარკერია.

**განაწილების მოცულობა**

განაწილების წარმოსახვითი მოცულობა გამოხატავს ქსოვილებთან წამლის შეკავშირების წინასწარობას, რის გამოც თუ პლაზმაში წამლის კონცენტრაცია მცირდება, მაშინ წარმოსახვითი მოცულობა იზრდება, ან პირიქით პლაზმის ცილებთან შეკავშირების მაღალი უნარის შემთხვევაში, წამლის კონცენტრაცია პლაზმაში მაღალია, წარმოსახვითი მოცულობა კი დაბალი. ქსოვილებთან ან პლაზმის ცილებთან შეკავშირების უნარის ცვლილებები გავლენას ახდენს წამლის განაწილების წარმოსახვითი მოცულობაზე, რომელიც პლაზმაში წამლის კონცენტრაციის განსაზღვრის შედეგების მიხედვით გამოითვლება. ხანდაზმულებს, რომლებსაც კენიების მასის განღვევა აღენიშნებათ, შედარებით შემცირებული აქვთ დიფუზიონის (რომელიც კენიების ცილებს უკავშირდება) განაწილების წარმოსახვითი მოცულობა. ჭარბი წონის მქონე პაციენტებში განაწილების მოცულობის შეფასების გადაჭარბებას აქვს ადგილი, თუ ამ პარამეტრის გამოთვლა სხეულის წონის მიხედვით ხდება, წამალი კი ცხიმოვან ქსოვილში ვერ შედის, მაგ, ლიფოქსინითვის, და პირიქით, თეოფილინის განაწილების მოცულობა ორგანიზმის საერთო სისხლის მოცულობის გლობალურად ცხიმოვანი ქსოვილი სხვა ქსოვილების ექვივალენტურ რაოდენობა წყალს შეიცავს, ამიტომ ჭარბი წონის მქონე პაციენტებშიც კი, თეოფილინის საერთო წარმოსახვითი მოცულობა სხეულის წონის პროპორციულია.

ორგანიზმში სისხლის დაგროვება (შეშუპება, ასციტი, პლევრული გამონაკონი) მნიშვნელოვნად ზრდის ისეთი ძალიან დაბალი განაწილების მოცულობის მქონე პარამეტრული წამლის განაწილების წარმოსახვითი მოცულობას, როგორცაა ვენგამიცინი.

**ნახევარდაშლის პერიოდი**

კლირენსი და ნახევარდაშლის პერიოდი განსხვავებული მახასიათებლებია და ამ განსხვავების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს წამლის დისპოზიციამდე დაავადების მეტაბოლიზმის მსგავსი მქეჩანისმქების დადგენისათვის. მაგ, დიაბეტის ნახევარდაშლის პერიოდი ასაკთან ერთად იზრდება. აღმოჩნდა, რომ ასაკთან ერთად დიაბეტის კლირენსი კი არ იცვლება, არამედ იცვლება მისი განაწილების მოცულობა, რაც პრეპარატის ნახევარდაშლის პერიოდის გაზრდას განაპირობებს. წამლის ელიმინაციაში მონაწილე მეტაბოლური პროცესები კი დროში თითქმის მუდმივია.

**ფარმაკოინჟინერიის მახვევებლები**

**მაქსიმალური ეფექტი**

ნებისმიერ ფარმაკოლოგიურ საპასუხო რეაქციას ახასიათებს მაქსიმალური მნიშვნელობა – მაქსიმალური ეფექტი ( $E_{max}$ ). წამლის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად ხდება იმ

წერტილის მიღწევა, რომლის შემთხვევაში კონცენტრაციის მომატებას ფარმაკოლოგიური პასუხის გაზრდა აღარ მოჰყვება.

თუ წამლის დოზის გაზრდა აღარ იწვევს პაციენტის კლინიკური ეფექტის გაუმჯობესებას, საყარაულოა, რომ მაქსიმალური ეფექტი უკვე მიღწეულია. მაქსიმალური ეფექტის მცენების ცოდნა მნიშვნელოვანია დოზის უეფექტო მომატებისა და თანამხლები ტოქსიკურობის განვითარების რისკის თავიდან ასაცილებლად.

**მგრძობელობა**

წამლის კონცენტრაციის მიმართ სამიზნე ორგანოს მგრძობელობა იმ კონცენტრაციით გამოიხატება, რომელიც საჭიროა მაქსიმალური ეფექტის 50%-ის გოლი საპასუხო რეაქციის განვითარებისათვის ( $EC_{50}$ ). წამლის მიმართ მგრძობელობის დაქვეითებით განპირობებულ საპასუხო რეაქციის შესახებ მხედლობა შესაძლებელია იმ პაციენტის სისხლში წამლის კონცენტრაციის განსაზღვრით, რომლის მდგომარეობაც არ უმჯობესდება. წამლის მიმართ მგრძობელობის დაქვეითების მიზეზი შესაძლოა იყოს ფიზიოლოგიური დარღვევა (მაგ, პიპერკალიუმის აბორტის დიფუზიონის რეაქციის) ან წამალი-მორისი ანგაგონიზმი (მაგ, კალციუმის არხების ბლოკატორები იწვევენ დიფუზიონის ინტეგრირებული ეფექტის შესუსტებას).

წამლის მიმართ მგრძობელობის მომატება ჩვეულებრივ, მცირე ან საშუალო დოზაზე გადაჭარბებული საპასუხო რეაქციით ულანდება. მგრძობელობის მომატების ფარმაკოინჟინერიული ზრუნვა წამლის კონცენტრაციის განსაზღვრით დასტურდება. რომელიც ყოველივეს გაცილებით უფრო დაბალია ვიდრე მის მიერ განპირობებული ეფექტი.

**წამლის კონცენტრაციის მახვევებების ინტერპრეტაცია**

**კლირენსი**

კლირენსი წამლის კონცენტრაციის განსაზღვრული ეფექტზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. კლირენსზე სამი ფაქტორი ახდენს მეტაბოლიზმს: წამლის დოზა, ორგანიზმის სისხლში მომარაგება და მათი მნიშვნელოვანი ორგანოების (ღვიძლისა და თირკმლების) ფუნქციური მდგომარეობა, ამიტომ წამლის კონცენტრაციის განსაზღვრის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით კლირენსის გამოთვლისას აუცილებელია თითოეული ამ ფაქტორის გათვალისწინება. უნდა გვეხსოდეს აგრეთვე, რომ ცილებთან შეკავშირების ხარისხის ცვლილებამ შესაძლოა მცდარი აზრი შეგვიქმნას, თითქოსდა კლირენსის ცვლილებებიან გავლენას ახდენს, მაშინ, როდესაც ფაქტორულად წამლის ელიმინაცია არც კი დარღვეულა (იხ. პლაზმის ცილებთან შეკავშირება: მნიშვნელოვანია თუ არა ეს?). წამლის ცილებთან შეკავშირებაზე მეტაბოლიზმის ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

- (1) ალბუმინების კონცენტრაცია: ისეთი წამლები, როგორცაა ფენიტოინი, სალიცილის მკვებ საწარმები და დიზოპირამიდი, მჭიდროდ უკავშირდებიან პლაზმის ცილებს. მრავალი დაავადების დროს ადგილი აქვს ალბუმინის დონის დაქვეითებას, რაც იწვევს წამლის საერთო კონცენტრაციის შემცირებას.
- (2) ალფა-1-მკვებ გლიკოპროტეინის კონცენტრაცია: ალფა-1-მკვებ გლიკოპროტეინი პლაზმის მნიშვნელოვანი ცილაა, რომელიც იკავშირებს ისეთ წამლებს, როგორცაა ქინოლინი, ლიდოკაინი და პროპრანოლოლი. მჭვევე ანთებითი დაავადებების დროს ალფა-1-მკვებ გლიკოპროტეინის შემცველობა იზრდება, რაც პლაზმაში შემოსიანობითი პრეპარატების საერთო კონცენტრაციის მძევლად ცვლილებებს იწვევს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი ელიმინაცია შეუცვლელი რჩება.

**პლაგმის ცილებთან შეკავშირება: მნიშვნელოვანია თუ არა ეს?**

პლაგმის ცილებთან წამლის შეკავშირების უნარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს წამლის ფარმაკოკინეტიკაში. ფარმაკოკინეტიკისა და წამალმომარაგების ურთიერთქმედებაში. თუმცა, კლინიკურად სარწმუნო მონაცემები წამლების პლაგმის ცილებთან შეკავშირების ზეგავლენის შესახებ მათი დისპოზიციაზე, ან მათი მიერ გამოვლენილ ეფექტებზე არ მოიპოვება (Benet & Hoener 2002). თეორიულად, პლაგმის ცილასთან კავშირიდან წამლის დისოცირების შედეგად ადგილი უნდა ჰქონდეს წამლის შეკავშირებული ფრაქციის კონცენტრაციის გაზრდას, რაც გამოიწვევს წამლის ეფექტის გაძლიერებას და შესაძლოა, გოქსიკურობასაც, სამწუხაროდ, ეს მარტივი თეორია მართებულია მხოლოდ *in vitro* შემთხვევაში და არ ვრცელდება მთლიან ორგანიზმზე, რომელიც შეკავშირებული წამლის ელიმინაციის უნარის მქონე და სისტემას წარმოადგენს.

ერთი მხრივ, ერთი შეხედვით ითითქოსდა შეკავშირებული ფრაქციის მკვეთრი ცვლილებისას – 1%-დან 10%-მდე, ორგანიზმში წამლის შეკავშირებული საერთო მარაგის მხოლოდ 5%-ზე ნაკლები თავისუფლდება, რადგან ისეთი პრეპარატის შემთხვევაში კი როგორც არის ვარფარინის, ორგანიზმში

პლაგმის ცილებთან წამლის საერთო რაოდენობის მხოლოდ ერთი მესამედზე ნაკლებია შეკავშირებული. ცილებისაგან გამონთავისუფლებული წამალი ორგანიზმში განაწილების მოცულობის მიხედვით ვრცელდება, ამიტომ წამლის შეკავშირებული ფრაქციის 5%-ით გაზრდა ფარმაკოლოგიურად აქტიური წამლის ეფექტური კონცენტრაციის 5%-ით მომატებას გამოიწვევს.

მეორე მხრივ, პლაგმაში შეკავშირებული წამლის კონცენტრაციის მომატებისას იზრდება ელიმინაციის სიჩქარე (თუ არ იცვლება წამლის შეკავშირებული ფრაქციის კლირენსი) და ნახევარდაშლის ოთხი პერიოდის შემდეგ წამლის შეკავშირებული ფრაქცია საწყის სტაციონარულ კონცენტრაციას დაუბრუნდება. ცილებთან კავშირით განპირობებული წამალმომარაგების ურთიერთქმედებისა და მათთან ასოცირებული კლინიკურად მნიშვნელოვანი ეფექტების შესწავლისას აღმოჩენილი იქნა, რომ გამონთავისუფლებული წამალი კლირენსის ინჰიბიტორადაც ვეუვლინება და ამ წამალმომარაგების ურთიერთქმედების შექცევითი შეკავშირებული წამლის კლირენსის ცვლილებით აისხნება.

(3) ცილებთან მოცულობა-შემდგენილი შეკავშირება: პლაგმის ცილებთან წამლების შეკავშირება მოცულობა-შემდგენილი პროცესია. თერაპიული კონცენტრაციის ფარგლებში სალიცილის მქონე ნაწარმებისა და პრედნიზოლონის ცილებთან შეკავშირება კონცენტრაცია-დამოკიდებულ ხასიათს ატარებს, ანუ პლაგმაში წამლის კონცენტრაციის ზრდა პროპორციულად მიმდინარეობს. წამლის ცილებთან შეკავშირებული ფრაქციის კონცენტრაცია ღობირების სიჩქარესა და კლირენსზე დამოკიდებულია, რომელიც შეცვლილი არ არის, დაბალი ექსტრაქციული ფარდობის მქონე წამლების შემთხვევაში, ცილებთან ბმის გამო, ღობირების სიჩქარის გაზრდა გამოიწვევს მათი ფარმაკოკინეტიკაში მნიშვნელოვანი შეკავშირებული კონცენტრაციის ცვლილებებს. უფრო მაღალი კონცენტრაციის პირობებში ცილებთან შეკავშირების პროცესი გაჯერდება, ამიტომ წამლის საერთო კონცენტრაციის ზრდა, ღობირების სიჩქარესთან შედარებით, უფრო ნაკლები იქნება.

**ღობირების ისტორია**

წამლის კონცენტრაციის განსაზღვრიდან მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია ღობირების ზუსტი ისტორია. ფაქტურად, თუ ღობირების ისტორია უცნობია ან არასრულია, წამლის კონცენტრაციის განსაზღვრა კარგავს ყოველგვარ პრედიქციულ ღირებულებას.

**კონცენტრაციის განსაზღვრისათვის ნიმუშის აღების დრო**

კონკრეტული პაციენტში წამლის აბსორბციის სიჩქარისა და ხარისხის განსაზღვრას იშვიათად აქვს კლინიკური მნიშვნელობა. ჩვეულებისამებრ, წამლის აბსორბცია მისი მიღებიდან პირველი 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობს და საკვების მიღების, სხეულის მდებარეობისა და აქტივობის მიხედვით ვარირებს. ამიტომ, სისხლის ნიმუშის აღება აბსორბციის დასრულების (დაახლოებით 2 სთ. ორალური ღობის მიღებიდან) შემდეგ უნდა განხორციელდეს. პრეპარატის ორალური ღობის მიღებიდან ხანმოკლე პერიოდში პლაგმაში მისი პიკური კონცენტრაციის გაზომვა ჩვეულებრივ წარუმატებელია და ეჭვის

ქვეშ აყენებს მიღებული მონაცემების მართებულობას, ვინაიდან ამ დროისთვის აბსორბცია საკარაულოდ არ არის დასრულებული.

ზოგიერთი პრეპარატის ქსოვილებში განაწილებისათვის რამდენიმე საათია საჭირო, მაგ., დიგოქსინი და ლითიუმი. დიგოქსინის შემთხვევაში ნიმუში უნდა იქნას აღებული უკანასკნელი ღობის მიღებიდან მინიმუმ 6 საათის გასვლის შემდეგ, ხოლო ლითიუმის შემთხვევაში კი – უშუალოდ შემდეგი ღობის მიღების წინ (ჩვეულებრივ, 24 სთ-ის შემდეგ უკანასკნელი ღობის მიღებიდან). ამისთვის კომიდეტო საკმაოდ სწრაფად ნაწილდება ორგანიზმში, მაგრამ უმჯობესია სისხლის ნიმუში აღებულ იქნას ღობის მიღებიდან 1 საათის შემდეგ.

კლირენსის გამოთვლა წარმოებს ღობირების სიჩქარისა და საშუალო სტაციონარული კონცენტრაციის მიხედვით. სტაციონარული კონცენტრაციის გამოსათვლელად სისხლის ნიმუშების აღების დრო გუსკად უნდა იქნას დაცული. სტაციონარული კონცენტრაციის მიღწევს შემდეგ (წამლის რეგულარული მიღების შემთხვევაში სულ ცოტა სამი ნახევარდაშლის პერიოდის გასვლის შემდეგ), ღობირების ინტერვალის შუაში აღებული ნიმუში, ჩვეულებრივ ახლოს იქნება საშუალო სტაციონარული კონცენტრაციის მახვილებულიან.

**განაწილების მოცულობისა და კლირენსის თავდაპირველი გამოთვლა**

**ბანანოვების მოცულობა**

ჩვეულებრივ, კონკრეტული პაციენტისათვის წამლის განაწილების მოცულობა სხეულის წონის მიხედვით გამოითვლება (ცხრილში 3-1 მოყვანილი მანუქნებლები გამოთვლილია 70 კგ სხეულის წონის მქონე ადამიანისათვის). ჭარბი წონის შემთხვევაში ცხიმში ძნელად შეღწეული პრეპარატების (მაგ., გუნგამინი და დიგოქსინი) განაწილების მოცულობის გამოთვლა სხეულის იდეალური წონის მიხედვით ხორციელდება (რაც ნაჩვენებია ქვემოთ):

$$\begin{aligned} \text{სხეულის იდეალური წონა (კგ)} &= 52 + 1.9 \text{ კგ/5 ფუნტზე} \\ \text{მეტი სიმადლე (მამაკაცი)} &= 49 + 1.7 \text{ კგ/5} \\ \text{ფუნტზე მეტი სიმადლე (ქალებში)} &= 45 + 1.7 \text{ კგ/5} \end{aligned}$$



შემუქების, ასციტის ან პლევრული გამონაჟონის შემთხვევაში ამინოგლიკოზიდური ანტიბიოტიკების (მაგ. გენტამიცინის) განაწილების მოცულობა გაცილებით სჭარბობს სხეულის წონის მიხედვით გამოთვლილ განაწილების მოცულობას. ასეთ პაციენტებში წონის მანკეზების «კორექცია» შემდეგნაირად ხდება: არსებულ წონას აკლდება დაგროვილი ჭარბი სითხის საფარაულო წონა. მიღებული „ნორმალური“ წონის მანკეზებელი განაწილების ნორმალური მოცულობის გამოსათვლელად გამოიყენება. და ბოლოს, გამონაჟონებით მიღებული ნორმალური მოცულობის მანკეზებელი 1-ით უნდა გაიზარდოს დაგროვილი ჭარბი სითხის ყოველ კილოგრამზე. ეს კორექცია მნიშვნელოვანია წყალში ხსნადი ამ წამლების შედარებით მცირე განაწილების მოცულობის გამო.

**კლირენსი**

ხშირად, საჭირო ხდება იმ წამლების კლირენსის თირკმელების ფუნქციური მდგომარეობის მიხედვით პროპორციული კორექცია. რომლებიც ორგანიზმიდან ძირითადად თირკმელების მეშვეობით გამოიყოფიან. თირკმელების ფუნქციური მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა კრეატინინის კლირენსის მიხედვით ხორციელდება. კრეატინინის კლირენსი შრატში კრეატინინის ერთჯერადი განსაზღვრისა და კრეატინინის წარმოქმნის საფარაულო სიჩქარის მიხედვით გამოითვლება.

კრეატინინის წარმოქმნის საფარაულო სიჩქარე ქალებში შეადგენს გამოთვლილი მანკეზების 85%-ს, რადგან მათ ყოველ კილოგრამ წონაზე უფრო ნაკლები კუნთების მასა აქვთ. კრეატინინის წარმოქმნა კი კუნთების მასაზე დამოკიდებული. ორგანიზმის წონის ფრაქცია – კუნთების მასა, ასაკთან ერთად კლებულობს, სწორედ ამიტომ კოკროფტ-გაულტის (Cockroft-Gault) განტოლებაში\* ასაკი ფიგურირებს.

ასაკთან ერთად თირკმელების ფუნქციის დაქვეითება არ უკავშირდება კრეატინინის წარმოქმნის შემცირებასთან. შარდის აუცილებელი სინჯების აღების ხირთულის გამო, ამ გზით გამოთვლილი კრეატინინის კლირენსის სარწმუნოება კორექტირებს შარდის შეგროვებაზე დაფუძნებულ გამოთვლებთან. ჭარბი წონის შემთხვევაში კლირენსის გამოსათვლელად იყენებენ სხეულის იდეალური წონის მონაცემებს, ხოლო უკიდურესად დაუძლურებულ პაციენტებში კი კორექცია უნდა იქნას შეგანილი კუნთების მასის დანაკარგის მიხედვით.

**განაწილების მოცულობისა და კლირენსის ინდივიდუალურად განსაზღვრის გადასინჯვა**

წამლის კონცენტრაციების მონაცემების სწორი ინტერპრეტაცია მოითვას საფარაულო ფარმაკოკინეტიკური პარამეტრების შედარებას კონცენტრაციის მიღებულ შედეგებთან. მიღებული შედეგების საფარაულო საგან 20%-ზე მეტად განსხვავების შემთხვევაში, უნდა მოხდეს კონკრეტული პაციენტის  $V_d$ -სა და CL-ის ხელშეორედ გამოთვლა, (1) ან (2) განტოლების მიხედვით.  $V_d$ -ს ან CL-ის გამოთვლილი ცვლილების 100% მომატების ან 50% დაკლების შემთხვევაში ეჭვის ქვეშ დგება სისხლის ნიმუშის აღების დროის სისწორე, რის გამოც დეტალურად ინდა იქნას შესწავლილი ღობირების ისტორია.

მაგ, თუ პაციენტი დღიურად იღებს 0.25 მგ დიფოქსინს, მაშინ დიფოქსინის საფარაულო კონცენტრაცია პლაზმაში დაახლოებით 1 ნგ/მლ-ის გოლი იქნება. ეს ემყარება პრეპარატის ბიოშელწველობისა (70%-იან) და საერთო კლირენსის (დაახ-

ლოებით 7 ლ/სი) სგანდარტულ მანკეზებლებს (CL<sub>ორკმლისა</sub> 4 ლ/სი, CL<sub>არაორკმლისა</sub> 3 ლ/სი). გულის უკმარისობის შემთხვევაში, დეიდში შეგუების ან პიპოქსის გამო, არააირკმლისმიერი (დეიდისმიერი) კლირენსი ნახევრდება, ამრიგად, კლირენსის საფარაულო მანკეზებელი 5.5 ლ/სი-ის გოლი იქნება, საფარაულო კონცენტრაცია კი 1.3 ნგ/მლ. წარმოვიდგინოთ, რომ რეალურად განსაზღვრული კონცენტრაცია 2 ნგ/მლ-ის გოლია. 1 ნგ/მლ-ის გოლი სამხმე კონცენტრაციის განვითარებისათვის დღიური დოზის განახევრება სწორი მიდგომა იქნებოდა. ეს მიდგომა ვისმეზებს, რომ კლირენსის 3.5 ლ/სი-ის გოლი მანკეზებელი გადასინჯვის საჭიროებს. კლირენსის საფარაულო მანკეზებელზე (5.5 ლ/სი) უფრო დაბალი კლირენსი თირკმელების ფუნქციის, გულის უკმარისობით განპირობებულ, დარღვევებზე მოუთხოვს.

თუ სგაციონარული კონცენტრაციის მიღწევა არ ხერხდება, მაშინ ამ მეთოდმა შესაძლოა შეცდომაშიც შეგვიყვანოს. ამ მეთოდის სარწმუნოებისათვის საჭიროა ღობირების რეგულარული რეემის დაწყებდან გასული იყოს მინიმუმ ერთი კვირა (ნახვეარლაშლის საბი ან ოთხი პერიოდი).

**REFERENCES**

Benet LZ, Hoener B: Changes in plasma protein binding have little clinical relevance. Clin Pharmacol Ther 2002;71:115. [PMID: 11907485]

Holford NHG: Pharmacokinetic and pharmacodynamic principles. 2003; <http://www.health.auckland.ac.nz/courses/Humanbio251/>.

Holford NHG, Sheiner LB: Understanding the dose-effect relationship. Clin Pharmacokinetics 1981;6:429. [PMID: 7032803]

Holford NHG: Target concentration intervention: Beyond Y2K. Br J Clin Pharmacol 1999;48:9. [PMID: 10383553]

Speight T, Holford NHG: *Avery's Drug Treatment*, 4th ed. Adis International, 1997.

\*კოკროფტ-გაულტის (Cockroft-Gault) განტოლება მოცემულია თავში 61.

ყოველდღიურად ადამიანები ექვემდებარებიან სხვადასხვა უცხო ნაერთების, ე.წ. ქსენობიოტიკების, ზეგავლენას, რომლებიც ორგანიზმში ხვდება ფილტვების ან კანის გზით. უფრო ხშირად კი საკვებთან, სასმელთან ერთად ან წამლის სახით. ვარემოში არსებულ ქსენობიოტიკებთან ურთიერთობა შესაძლოა იყოს გარდაუვალი (როდესაც ისინი წარმოადგენენ ჰაერის, წყლისა და საკვების კომპონენტებს), ან შემთხვევითი. ზოგიერთი ქსენობიოტიკი უვნებელია, მაგრამ ბევრი მათგანი იწვევს ბიოლოგიურ რეაქციას, რომელიც ხშირად აბსორბირებული ნივთიერების აქტიურ მეტაბოლიტად გარდაქმნით არის განპირობებული. ქვემოთ განხილულია ზოგადად ქსენობიოტიკები (მათ შორის წამლებიც) და ზოგიერთი ენდოგენური ნაერთი.

### რისტვის არის საჭირო წამლების ბიოტრანსფორმაცია?

თირკმლისმიერი ექსკრეცია საკვანძო როლს ასრულებს წამალთა მცირერიცხოვანი ნაწილის, კერძოდ, მცირე მოლექულური წონის ან პოლარული ნაერთების (ფიზიოლოგიურ pH-ის პირობებში სრულად იონიზებული ფუნქციური ჯგუფების მქონე) ბიოლოგიური მოქმედების დასრულებაში. მრავალ წამალს არ გააჩნია ამგვარი ფიზიოქიმიური თვისებები. ფარმაკოლოგიურად აქტიური ორგანული მოლექულები ლიპოფილურნი არიან, ამიტომ ფიზიოლოგიურ pH-ის პირობებში ისინი არაიონიზირებულ ან ნაწილობრივ იონიზირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან; ისინი ნეფრონის გლობულური ფილტრატიდან ადვილად რეაბსორბირდებიან. ზოგიერთი ლიპოფილური ნაერთი პლაზმის ცილებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რის გამოც გლობულულების დონეზე იოლად ვერ იფილტრება. შესაბამისად, თუ ასეთი წამლების მოქმედების დასრულება დამოკიდებული იქნება მხოლოდ თირკმლისმიერ ექსკრეციაზე, მაშინ მათ საკმაოდ ხანგრძლივი მოქმედება უნდა ახასიათებდეთ.

წამლების ბიოლოგიური აქტივობის დაქვეითება ან გაქრობა მცირე ალტერნატიულ პროცესზე, მეტაბოლიზმზე დამოკიდებულია. ზოგადად, მეტაბოლიზმის შედეგად ლიპოფილური ქსენობიოტიკები გარდაიქმნიებიან უფრო პოლარულ და შესაგვეცხად, უფრო ადვილად ექსკრეტირებად ნაერთებად. ცხიმში-ხსნადი წამლების ინაქტივაციაში დიდ როლს ასრულებს მეტაბოლიზმი, მაგ., ბარბიტურის მკვებას ლიპოფილურ ნაწარმებს, თიოპენტალსა და ფენთარბიტალს, გაცილებით ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდი ექსტენდირება, რომ მეტაბოლიზმის შედეგად ისინი წყალში მეტად ხსნად ნაერთებად არ გარდაიქმნებოდნენ.

ხშირად, მეტაბოლიზმის პროდუქტები, საწყის წამალთან (ე.წ. „დედა წამალთან“) შედარებით, ფარმაკოდინამიკურად ნაკლებად აქტიური არიან, ზოგჯერ კი მათ ბიოლოგიური აქტივობა ხაერითოდ არ გააჩნიათ. თუმცა, ბიოტრანსფორმაციის ზოგიერთი პროდუქტი გაძლიერებული აქტივობითა და გოქსიკური თვისებებითაც შეიძლება ხასიათდებოდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ენდოგენური ნივთიერებების – სკეროტიდული პორპორინების, ქოლესტეროლის, ვიტამინ D-ს აქტიური ფორმებისა და ნაფლის

მკვების სინთეზის გზებში ჩართულნი არიან ის ფერმენტები, რომლებიც ქსენობიოტიკების მეტაბოლიზმში იღებენ მონაწილეობას. და ბოლოს, წამლების მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტების გათვალისწინებით ხდება ფარმაკოლოგიურად არააქტიური წამლის წინამორბედების (პრო-წამლების) შექმნა, რომელთა აქტიურ მოლექულებად გარდაქმნაც ორგანიზმში (*in vivo*) მიმდინარეობს.

### ბიოტრანსფორმაციის როლი წამლების განაწილებაში


მეტაბოლურ ბიოტრანსფორმაციათა უმრავლესობა წამლის საერთო სისხლშიმოქცევაში აბსორბციასა და თირკმლისმიერ ელიმინაციას შორის პერიოდში მიმდინარეობს. უმნიშვნელო ტრანსფორმაციას ადგილი აქვს ნაწლავის სანათურში ან ნაწლავის კედელში. ზოგადად, ყველა ეს რეაქცია შესაძლოა ორ ძირითად კატეგორიად დაიყოს, ე.წ. ფაზა I და ფაზა II რეაქციებად (სურათი 4-1).

ფაზა I რეაქციების დროს, ჩვეულებრივ „დედა წამალი“ უფრო პოლარულ მეტაბოლიტად გარდაიქმნება, ფუნქციური ჯგუფის (-OH, -NH<sub>2</sub>, -SH) მიერთების ან გაცემის გზით. უფრო ხშირად ეს მეტაბოლიტები არააქტიურნი არიან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აქტივობა შესაძლოა მოდიფიცირდეს ან გაძლიერდეს კიდევ.

თუ ფაზა I მეტაბოლიტები საკმარისად პოლარულნი არიან, მაშინ ისინი ორგანიზმიდან სწრაფად ექსკრეტირდებიან. თუმცა, ფაზა I-ის მრავალი პროდუქტი სწრაფად არ ელიმინირდება და შემდგომ გარდაქმნებს ექვემდებარება, რომელთა დროსაც უერთდება ენდოგენურ ნივთიერებებს – გლუკურონის მკვებას, გოვრდმკვებას, ძმარმკვებას ან ამინომკვებას და წარმოქმნიან მაღალ-პოლარულ კონიუგატებს. ასეთი კონიუგაცია, ანუ სინთეზური რეაქციები, დამახასიათებელია ფაზა II მეტაბოლიზმისათვის. მრავალი წამალი ექვემდებარება ბიოტრანსფორმაციის ამ ეტაპობრივ რეაქციებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში „დედა წამალს“ შესაძლოა უკვე ჰქონდეს ფუნქციური ჯგუფი, რომელიც უშუალოდ შედის კონიუგაციის რეაქციაში, მაგ., ცნობილია, რომ იმონიაზიდის ჰიდრაზიდის ნაშთი ფაზა II რეაქციისას ქმნის *N*-აცეტალ კონიუგატს, რომელიც შემდგომ ხდება ფაზა I გიპის რეაქციის, კერძოდ, იმონიკოგისის მეკავამლე ჰიდროლიზის, სუბსტრატის (სურათი 4-2). ამრიგად, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ფაზა II-ის რეაქციები წინ უსწრებენ ფაზა I-ის რეაქციებს.

### საღ ხდება წამალთა ბიოტრანსფორმაცია?

ყველა ქსოვილს გააჩნია მეტაბოლიზმის გარკვეული უნარი, თუმცა წამალთა მეტაბოლიზმის ძირითად ორგანოს დიფერენციალური წარმოადგენს. სხვა, შედარებით მნიშვნელოვანი აქტივობის მქონე ქსოვილებს მიეკუთვნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტა, ფილტვები.



სურათი 4-1.

წამალთა ბიოტრანსფორმაციის ფაზა I და ფაზა II რეაქციები და პირდაპირი ელიმინაცია. ფაზა II - ის რეაქციები შესაძლოა წინ უსწრებდეს ფაზა I-ის რეაქციებს.


კანი და თირკმლები. ორალურად მიღების შემდეგ მრავალი წამალი (მაგ, იმპროპროფენოლი, მეპერიდინი, პენგამოცინი, მორფინი) უცვლელი სახით აბსორბირდება წერილ ნაწლავში და პორტული სისტემით, თავდაპირველად, გრანსპორტირდება ღვიძლში, სადაც ექვემდებარება მეტაბოლიზმს. ამ პროცესს „პირველი გაელის ეფექტი“ ეწოდება (იხ. თავი 3). ორალურად მიღებული ზოგიერთი წამალი (მაგ, კლონაზეპამი, ქლორპროპამინი, ციკლოსპორინი), ღვიძლიდან შედარებით, ნაწლავებში უფრო მეტად მეტაბოლიზდება, ზოგი (მაგ, მიდაზოლამი) კი მხოლოდ ნაწლავებში განიცდის მნიშვნელოვან (50%) მეტაბოლიზმს. ამრიგად, ნაწლავურმა მეტაბოლიზმმა შესაძლოა თავი-

სი წვლილი შეიტანოს „პირველი გაელის ეფექტი“ და ინდივიდები, რომლებსაც დარდელი აქეთ ღვიძლის ფუნქცია, მეტწილად დამოკიდებული არიან წამალთა ელიმინაციის ამგვარ ნაწლავურ მეტაბოლიზმზე. „პირველი გაელის ეფექტი“ შესაძლოა იმდენად დააქვეითოს ორალურად მიღებული წამლის (მაგ, ლიდოკაინის) ბიოშელწვეალობა, რომ სისხლში თერაპიულად ეფექტური დონის მისაღწევად აუცილებელი ხდება ორგანიზმში შეყვანის ალტერნატიული გზების გამოყენება. უფრო მეტიც, ექვ-ნაწლავის გრატის ქვედა ნაწილების რეზიდენტულ მიკროორგანიზმებს შესწევთ მრავალი ბიოტრანსფორმაციული რეაქციის განხორციელების უნარი. გარდა ამისა, წამლები შესაძლოა მეტაბოლიზდნენ კუჭის წვენის (მაგ, პენიცილინი), ნაწლავის კედლის ფერმენტების (მაგ, პოლიპეპტიდეზიროგორიცია ინსულინი) ან საჭმლის მომხელელები ფერმენტების (მაგ, სიმპათომიმეტიკური კატეკოლამინები) მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ წამალთა ბიოტრანსფორმაცია *in vivo* შესაძლოა სპონტანურადაც (არაკატალიზებული ქიმიური რეაქციებით) განხორციელდეს, გრანსფორმაციათა დიდი უმრავლესობა კატალიზდება სპეციფიკური უჯრედული ფერმენტებით, რომლებიც სუბუჯრედულ დონეზე შესაძლოა ლოკალიზებული იყვნენ ენდოპლაზმურ ბადეში (ER), მიტოქონდრიაში, ციტოზოლში, ლიზოსომებში, ან ბირთვს გარეშა და პლაზმურ მემბრანაში.


### მიკროსომული ფერეული ფუნქციის ოქსიდაზური სისტემა და ფაზა I რეაქციები

წამალთა მეტაბოლიზმში მონაწილე მრავალი ფერმენტი ლოკალიზებულია ღვიძლისა და სხვა ქსოვილების ენდოპლაზმური ბადის ლიპოფილურ მემბრანებზე. უჯრედის პოლიგენიზაციითა და ფრაქციონირების გზით მემბრანების იზოლირებისას ისინი ბუმტეკებად, ე.წ. მიკროსომებად, გარდაიქმნებიან. მიკროსომები ინარსუნებენ ისტაქტური მემბრანების მრავალ მორფოლოგიურ და ფუნქციურ თვისებებს. ხორკლიან (რიბოსომებით მდიდარი) და გლუვ (რიბოსომების გარეშე)



სურათი 4-2.

იზონიაზიდის (INH) ფაზა II აქტივაცია ჰეპატოტოქსიკურ მეტაბოლიტად.



სურათი 4-3.

წამლების დაქანგვის ციგოქრომ P450 ციკლი. (RH, საწყისი წამალი; ROH, დაქანგული მეტაბოლიტი;  $e^-$ , ელექტრონი).

ზედაპირსაც კი, ხორკლიანი და გლუვი ენდოპლაზმური ბადის შესაბამისად.

მაშინ, როდესაც ხორკლიანი მიკროსომები ძირითადად ცილების სინთეზთან არიან დაკავშირებული, გლუვი მიკროსომები მდიდარია წამლების ქანგვით მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტებით. კერძოდ, ისინი შეიცავენ ფერმენტთა მნიშვნელოვან ჯგუფს, რომელიც ცნობილია, როგორც შერეული ფუნქციის ოქსიდაზები (MFOები), ანუ მონოოქსიგენაზები. ამ ფერმენტთა გააქტივება საჭიროებს როგორც აღმდგენელ აგენტს (ნიკოტინამიდ ადენინ დინუკლეოტიდ ფოსფატს [NADPH]), ისე მოლეკულურ ქანგბადს; გიპიური რეაქციისას სუბსტრატის ყოველ მოლეკულაზე ქანგბადის ერთი მოლეკულა მოიხმარება (აღდგება), რომლის ერთი ატომი პროდუქტში ჩნდება, ხოლო მეორე კი წყალში.

ამ ქანგვა-აღდგენით პროცესში ძირითად როლს ასრულებს ორი მიკროსომული ფერმენტი, რომელთაგან პირველი ფლავოპროტეინია, NADPH-ციგოქრომ P450 რედუქტაზა. ამ ფერმენტის ერთი მთლი შეიცავს თითო მთელ ფლავინ მონონუკლეოტიდსა (FMN) და ფლავინ ადენინ დინუკლეოტიდს (FAD). მეორე მიკროსომული ფერმენტი პეპსოპროტეინი ციგოქრომ P450, რომელიც გერმინალური ოქსიდაზას როლს ასრულებს. ფაქტიურად, მიკროსომულ მემბრანაში ამ პეპსოპროტეინის მრავალი ფორმა არსებობს, რომელთა მრავალფეროვნებაც ეგზოგენური ქიმიური ნაერთების განმეორებითი შეყვანისას იზრდება (იხ. ქვემოთ). სახელი ციგოქრომ P450 (შემოკლებულად CYP ან P450) დაკავშირებულია ამ პეპსოპროტეინის სპეკტრულ თვისებებთან. აღდგენილი (ფერმული) ფორმით, იგი უკავშირდება ნახშირბადის მონოქსიდს და წარმოქმნის კომპლექსს, რომელიც მაქსიმალურად მთავრდება სინათლეს 450 ნმ-ზე. ლეიძლში წამლების დაქანგვის მალსიმეგირებული საფეხურია P450-ის მიერ ჰემის აღდგენა, რაც იმით არის განპირობებული, რომ ლეიძლში, რედუქტაზებთან შედარებით, ციგოქრომ P450-ის სიჭარბეს აქვს ადგილი.

წამლების მიკროსომული დაქანგვა საჭიროებს P450-ს, P450 რედუქტაზას, NADPH-სა და მოლეკულურ ქანგბადს. და-

ქანგვის ციკლის გამარტივებული სქემა მოცემულია სურათზე 4-3. მოკლედ, დაქანგული ( $Fe^{3+}$ ) P450 უერთდება წამლის სუბსტრატს და ქმნის ორმაგ კომპლექსს (საფეხური 1). ფლავოპროტეინ P450 რედუქტაზასთვის ელექტრონის დონორი NADPH-ია, რომელიც, თავის მხრივ, აღადგენს P450 – წამალი დაქანგულ კომპლექსს (საფეხური 2). მეორე ელექტრონიც NADPH-იდან მომდინარეობს, იმავე P450 რედუქტაზას მეშვეობით, რომელიც ახორციელებს მოლეკულური ქანგბადის აღდგენას და წარმოქმნის კომპლექსს „გააქტივებული ქანგბადი“ – P450 – სუბსტრატი (საფეხური 3). თავის მხრივ, ამ კომპლექსს გადააქვს გააქტივებული ქანგბადი წამლის სუბსტრატზე, რის შედეგადაც დაქანგული პროდუქტი წარმოიქმნება (საფეხური 4).

გააქტივებული ქანგბადი ძლიერი დამქანგავი ითვისებით ხასიათდება და მრავალი სუბსტრატის დაქანგვის საშუალებას იძლევა. ფერმენტული კომპლექსის სუბსტრატ-სპეციფიკურობა ძალიან დაბალია. ამ სისტემის სუბსტრატი მრავალი, სტრუქტურულად განსხვავებული წამალი და ქიმიური ნაერთია, რომელთა ერთადერთ საერთო თვისებას ცხიმში მალადი ხსნადობა წარმოადგენს (ცხრილი 4-1).

### აღამიანის ღვიძლის 450 ფერმენტები

შედარებით სელექციური ფუნქციური მარკერების, P450-ის სელექციური იზობიოტორებისა და იმუნობლოგინის ანალიზების კომბინირებულმა გამოყენებამ აღამიანის ღვიძლის მიკროსომულ პრეპარატებში P450-ის მრავალი იზოფორმა (CYP: 1A2, 2A6, 2B6, 2C8, 2C9, 2C18, 2C19, 2D6, 2E1, 3A4, 3A5, 4A11 და 7) გამოავლინა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია CYP1A2, CYP2A6, CYP2C9, CYP2D6, CYP2E1 და CYP3A4. ისინი შესაბამისად შეადგენენ აღამიანის ღვიძლის P450-ის საერთო რაოდენობის დაახლოებით 15%, 4%, 20%, 5%, 10% და 30%-ს. ისინი ერთად წამალთა და ქიმიკატების ღვიძლისმიერი მეტაბოლიზმის ძირითადი კატალიზატორები არიან (ცხრილი 4-2).

ცხრილი 4-1. უაზა I-ის რეაქციები		
რეაქციის ჯგუფი	სტრუქტურული ცვლილება	წამალი - სუბსტრატი
დაქანვა		
ციტოქრომ P450-დამოკიდებული დაქანვა:		
არომატული ჰიდროქსილირება		ბენგანილი, პროპანოლი, ფენობარბიტალი, ფენიგონი, ფენილბუტაზონი, ამფეტამინი, ეარფარინი, 17ალფა-ეთინილ ესტრადიოლი, ნაფთალენი, ბენზპირენი
ალიფატური ჰიდროქსილირება	$\begin{array}{l} RCH_2CH_3 \rightarrow RCH_2CH_2OH \\ RCH_2CH_3 \rightarrow RCH(OH)CH_3 \end{array}$	ამობარბიტალი, პენტობარბიტალი, სეკობარბიტალი, ქლოროპროპანილი, იპუროფენი, მეტროპროპანილი, გლუკოტიმილი, ფენილბუტაზონი, დივიტოქსინი
ეპოქსიდაცია	$R_1CH=CHR_2 \rightarrow \begin{array}{c} H & O & H \\   & / & \backslash \\ R_1-C & - & C-R_2 \end{array}$	ალდრინი
ქანვეითი დეალკილირება	$RNHCH_3 \rightarrow RNH_2 + CH_2O$	მორფინი, ეთილმორფინი, ბენზფეტამინი, ამინოპირინი, კოფეინი, იუოფილინი
N-დეალკილირება		
O-დეალკილირება	$ROCH_3 \rightarrow ROH + CH_2O$	კოდეინი, p-ნიგროანიზოლი
S-დეალკილირება	$RSCH_3 \rightarrow RSH + CH_2O$	6-მეთილილიოპურინი, მეთილგურალი
N-დაქანვა	$RNH_2 \rightarrow RNHOH$	
პირელადი ამინები		ანილინი, ქლორფენტერმინი
მეორეული ამინები	$\begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ NH \\ / \\ R_2 \end{array} \rightarrow \begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ N-OH \\ / \\ R_2 \end{array}$	2-აცეტილამინოფლუორენი, აცეტილპროკაინი
მესამეული ამინები	$\begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ R_2-N \\ / \\ R_3 \end{array} \rightarrow \begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ R_2-N-O \\ / \\ R_3 \end{array}$	ნიკოტინი, მეთაქეალონი
S-დაქანვა	$\begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ S \\ / \\ R_2 \end{array} \rightarrow \begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ S=O \\ / \\ R_2 \end{array}$	თიორიდამინი, ციმეტიდინი, ქლოროპროპანილი
დეამინირება	$RCH_2CH_2NH_2 \rightarrow RCH_2CH_2OH + NH_3$	ამფეტამინი, დიამფეტამინი
დესულფურირება	$\begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ C=S \\ / \\ R_2 \end{array} \rightarrow \begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ C=O \\ / \\ R_2 \end{array}$ $\begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ P=S \\ / \\ R_2 \end{array} \rightarrow \begin{array}{c} R_1 \\ \backslash \\ P=O \\ / \\ R_2 \end{array}$	თიოპენტალი  პარათიონი

ცხრილი 4-1. უაზო I-ის რეაქციები (ვაკრძელება)

დექლორინირება	$CCl_4 \rightarrow [CCl_3] \rightarrow CHCl_3$	ნახშირბადის ტეტრაქლორიდი
ციტოქრომ P450-დამოუკიდებელი დაქანება:		
ულავინ მონოოქსიგენაზა (ზიეგლერის ფერმენტი)	$R_3N \rightarrow R_3N^+ \rightarrow O^- \xrightarrow{H^+} R_3N^+OH$	ქლოროპრომაზინი, ამიგრიპილინი, ბენზფუეგამინი
	$RCH_2N-CH_2R \rightarrow RCH_2-N-CH_2R \rightarrow$ $\begin{array}{c}   \\ H \end{array} \qquad \begin{array}{c}   \\ OH \end{array}$ $RCH=N-CH_2R$ $\begin{array}{c}   \\ O^- \end{array}$	დეჰიდრაზინი, ნორგრიპილინი
	$\begin{array}{c} -N \\ // \\ -C-SH \end{array} \rightarrow \begin{array}{c} -N \\ // \\ -C-SOH \end{array} \rightarrow \begin{array}{c} -N \\ // \\ -C-SO_2H \end{array}$	მეთიმაზოლი, პროპილთიოურაცილი
ამინ ოქსიდაზები	$RCH_2NH_2 \rightarrow RCHO + NH_3$	ფენილეთილამინი, ეპინეფრინი
დეჰიდროგენაციები	$RCH_2OH \rightarrow RCHO$	ეთანოლი
აღდგენა		
აზო აღდგენა	$RN=NR_1 \rightarrow RNH-NHR_1 \rightarrow RNH_2 + R_1NH_2$	პრონგოზილი, გარგრაზინი
ნიტრო აღდგენა	$RNO_2 \rightarrow RNO \rightarrow RNHOH \rightarrow RNH_2$	ნიტრობენზენი, ქლორამფენიკოლი, კლონაზეპაში, დანტროლენი
კარბონილ აღდგენა	$\begin{array}{c} RCR' \\    \quad   \\ O \quad OH \end{array}$	მეტირაპონი, მეთიოლონი, ნალოქსონი
ჰიდროლიზი		
ეთერები	$R_1COOR_2 \rightarrow R_1COOH + R_2OH$	პროკაინი, სუქცინილქოლინი, აპირინი, კლოფიდრატი, მეთილფენისდატი
ამიდები	$RCONHR_1 \rightarrow RCOOH + R_1NH_2$	პროკაინამიდი, ლიდოკაინი, ინდომეტაცინი

აღსანიშნავია, რომ კლინიკურად მნიშვნელოვანი წამლებ-ის 50%-ზე მეტის ლეიქსიმირ მეტაბოლიზმზე პასუხისმგებელია CYP3A4. ამა თუ იმ წამლის მეტაბოლიზმში ცალკეული P450-ის მონაწილეობის დადგენა *in vitro* ფუნქციური მარკერების, P450-ების სელექციური ქიმიური ინჰიბიტორებისა და P450-ის ანგისხეულების მეშვეობით ხორციელდება. *in vivo* ამგვარი სკრინინგი შედარებით სელექციური, არაინვაზიური მარკერებით ხდება, რომელთა რიცხვს ეკუთვნის სპეციფიკური მეტაბოლიტების აღმოჩენა ამონასუნთქ ჰაერში, ან შარდში P450-სელექციური სუბსტრატით სინჯის შემდეგ.

**ფერმენტთა ინდუცირება**

ზოგიერთი P450-ის სუბსტრატების, ქიმიურად არამსგავსი წამლების, განმეორებითი მიღებისას P450-ის ინდუცირება აქვს ადგილი, რომლის მიზეზადაც მისი სინთეზის დაჩქარება ან

დეგრადაციის სიჩქარის შემცირება გველინება (ცხრილი 4-2). ჩვეულებრივ, ინდუცირების გამო ადგილი აქვს სუბსტრატის მეტაბოლიზმის აქსელერაციას და ინდუქტორისა და მასთან ერთად მიღებული წამლების ფარმაკოლოგიური მოქმედების შემცირებას. თუმცა, რეაქტიული მეტაბოლიტების წარმოქმნე-ლი წამლების შემთხვევაში ფერმენტების ინდუქცია ზრდის მეტაბოლიტით განპირობებული ტოქსიკურობის რისკს.

P450-ის იზოფორმების მაინდუცირებულ სხვადასხვა სუბსტრატს განსხვავებული მოლეკულური წონა, სუბსტრატ-სპეციფიკურობა, იმუნოქიმიური და სუქტრული თვისებები გააჩნიათ.

P450 ფერმენტების ინდუქციის უნარი გარემოს დამაბინძურებელ ნივთიერებებსაც ახასიათებთ. როგორც უკვე იყო აღნიშნული, თამბაქოს კვამლში, ნახშირზე შემწვარ ხორცსა და სხვა ორგანული პიროლიზურ პროდუქტებში არსებული ბენზო[ა]პირენი და სხვა პოლიციკლური არომატული ნახშირ-წყალბადები იწვევენ CYP1A ფერმენტების ინდუქციას და



ცხრილი 4-2. ადამიანის ღვიძლის P450ები (CYP-ები) და ზოგიერთი მეტაბოლიზირებადი წამალი (სუბსტრატი), ინდუქტორები და სელექციური ინჰიბიტორები.			
CYP	სუბსტრატი	ინდუქტორი	ინჰიბიტორი
1A2	აცეტამინოფენი, ანტიბიოტიკი, კოფეინი, კლომიპრაზინი, ფენაქეტინი, გაკრინი, გამოქსიფენი, იოფოფილინი, ვარფარინი	თამბაქოს მოხმარება, ნახშირბე მემწვარი საკვები, ჯეგროსანია ოჯახის ბოსტნეული, ომეპრაზოლი	ვალანჯინი, ფურაფილინი, ფლუოქსამინი
2A6	კუმარინი, თამბაქოს სიგროზმისები, სიკოტინი (კოტინინი და 2'-ჰიდროქსისიკოტინი)	რიფამპინი, ფენობარბიტალი	გრანილციპროსინი, მენიოფურანი, მეთოქსალენი
2B6	არტემისინი, ბუპროპიონი, S-მეფობარბიტალი, ციკლოფოსფამიდი, S-მეფენიგონი (N-დემეტილირება ნირეალადალ), პროპოფოლი, სელევილინი, სერგრალინი	ფენობარბიტალი, ციკლოფოსფამიდი	ტიკლოპიდინი, კლომიდოგრელი
2C8	ტაქსოლი, ეველა-გრანს-რეტენოსი მკაეა	რიფამპინი, ბარბიტურატი	ტრიმეოპრიმი
2C9	ცელეკოქსიბი, ფლურბიპროფენი, პექსობარბიტალი, იბუპროფენი, ლობარტანი, ფენიგონი, გოლბუგამიდი, ტრამედიოლინი, სულფაფენაზოლი, S-ვარფარინი, ტიკრისიფენი	ბარბიტურატი, რიფამპინი	ტიენილის მკაეა, სულფაფენაზოლი
2C18	გოლბუგამიდი	ფენობარბიტალი	
2C19	დიამეპამი, S-მეფენიგონი, ნაპროქსენი, ნირეანოლი, ომეპრაზოლი, პროპრანოლოლი	ბარბიტურატი, რიფამპინი	N3-ბენზილნირეანოლი, N3-ბენზილფენობარბიტალი, ფლუკონაზოლი
2D6	ბუფურალილი, ბუპრანოლოლი, კლომიპრაზინი, კლომაჰინი, კოლეინი, დებრომოქინი, დექსტრომეთორფანი, ენკაინიდი, ფლეკაინიდი, ფლუოქსეტინი, გუანაქსანი, ჰალოპერიდოლი, ჰიდროკოდონი, 4-მეთოქსი-ამფეტამინი, მეტოპროლოლი, მექსილეტინი, ოქსიკოდონი, პაროქსეტინი, ფენფორმინი, პროპაფენონი, პროპოქსიფენი, რისპერიდონი, სელევილინი (დემერტილი), სპარტეინი, თიორიდაზინი, თიმოლოლი, ტრიციკლური ანტიდეპრესანტი	კრაზანა, რიფამპინი	ქინილინი, პაროქსეტინი
2E1	აცეტამინოფენი, ქლორბოქსაზონი, ენფლურანი, ჰალოთინი, ეთანოლი (მედიკ გზა)	ეთანოლი, იმონიამიდი	4-მეთილპირაზოლი, დისულფირამი
3A4 <sup>1</sup>	აცეტამინოფენი, ალფუგანბილი, ამოდარონი, ასტემიზოლი, ცისაპრიდი, კოკაინი, კორტიკოლი, ციკლოსპორინი, დამსონი, დამეპამი, დიმილტოტრეგამინი, დიმილტოპირიდინები, დილგამეში, ერთირომიცინი, ეთინილ ესტრადიოლი, ფესტოლენი, ინდინავირი, ლიდოკაინი, ლოვებგატინი, მაკროლიდები, მეთაღონი, მიკონაზოლი, მილოკალმი, მიფეპრისტონი (RU 486), ნიფედინი, პაკლიტაქსელი, პროგესტერონი, ქინილინი, რაპამიციანი, რიგონაჰირი, საქინაჰირი, სპირონოლაქტონი, სულფამეთოქსაზოლი, სუფენგანილი, ტაკროლიმუსი, გამოქსიფენი, გერუენბინი, ტესტოსტერონი, ტეგრამიდროკანაბინოლი, ტრაიბოლაში, ტროლენდომიცინი, ვერაპამილი	ბარბიტურატი, კარბამაჰეპინი, ვლუკოკორტიკოიდები, მაკროლიდური ანტიბიოტიკები, პიოგლიტაზონი, ფენიგონი, რიფამპინი	აბამულინი, დილგამეში, ერთირომიცინი, ფლუკონაზოლი, კრიფორუტის წყენი (ფურანოკუმარინები), იგრაკონაზოლი, კეტოკონაზოლი, რიგონაჰირი, ტროლენდომიცინი

<sup>1</sup>CYP3A5-ს აქვს სუბსტრატისა და ინჰიბიტორის მსგავსი პროფილი, ვარდა ზოგიერთი წამლისა, რომელთა მიმართ, CYP3A4-თან შედარებით, ის ნაკლებ აქტიუბის აქვს.

წამლების მეტაბოლიზმის დანქარებას. ვარემომი არსებულ მაინდუცირებულ სხვა ქიმიური ნივრტებს ეკუთვნის აღრუ წარმოებამი საიზოლაციო მასალად და პლასტიკიკატორებად ფართოდ გამოყენებული პოლიქლორირებული ბიფენილები (PCBები), აგრეთვე დეფოლიანტ 2,4,5-T-ის ქიმიური სინთეზის

შედეგური პროდუქტი 2,3,7,8-ტეტრაქლოროდიბენო-*p*-დიოქსინი (დიოქსინი, TCDD)(იხ. თავი 57).

P450-ის სინთეზის გაზრდა საჭიროებს გრანსკრიფციისა და გრანსლაციის პროცესების გაძლიერებას. აღმოჩენილია პოლიციკლური არომატიკული ნახშირწყალბადების (მაგ.,

ბენზო[ა]პირენის, დიოქსინის) ციგოპლაზმური რეცეპტორები (იგივე AhR), დადგენილია აგრეთვე ინდექტორ-რეცეპტორის კომპლექსის გრანსლოკაცია ბირთვში. გენთა მარეგულირებელი ელემენტების შემდგომი გააქტივებით, უკანასკნელ წლებში დადგენილ იქნა, რომ სტეროიდ-რეცეპსორ-თიროიდული ჰორმონის რეცეპტორების ოჯახის წარმომადგენელი პრეგნან X რეცეპტორი (PXR) ხელს უწყობს CYP3A-ის სხვადასხვა ქიმიური ნაერთებით განპირობებულ (დექსამეთაზონით, რიფამპინით) ინდექციას ლეიდსა და ნაწლავების ლორწოვან-ში. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მსგავსი რეცეპტორი ფენობარბიგალის ჯგუფს ინდექტორებისაივისაყ – ანდროსტანის კონსტიტუციური რეცეპტორი (CAR).

P450 ფერმენტების ინდექცია სუბსტრატის სტაბილიზაციითაც, ანუ მათი დეგრადაციის შემცირებითაც, არის შესაძლებელი, როგორც ამას ადგილი აქვს გროლეანდომიცინით ან კლოტრიმაზოლით განპირობებული CYP3A -ის და ეთანოლით განპირობებული CYP2E1-ის ინდექციის დროს.

## ფერმენტთა ინჰიბირება

ზოგიერთი წამალი-სუბსტრატი აინჰიბირებს ციგოქრომ P450-ის ფერმენტულ აქტივობას (ცხრილი 4-2). იმიდაზოლის რგოლის შემცველი წამლები (მაგ., ციმეტიდინი და კეტოკონაზოლი) მჭიდროდ უკავშირდებიან P450-ის ჰემის რკინას და იწვევენ ენდოგენური სუბსტრატების (მაგ., ტესტოსტერონის), აგრეთვე მათთან ერთად მიღებული სხვა წამლის მეტაბოლიზმის კონკურენტული ინჰიბირებას. მაკროლიდური ანტიბიოტიკები (გროლეანდომიცინი, ერითრომიცინი და მისი ნაწარმები) CYP3A-სთან ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნიან მეტაბოლიტებს, რომლებიც ციგოქრომ P450-ის ჰემის რკინასთან ქმნიან კომპლექსს, რის გამოც უკარგავენ მას კატალიზურ აქტივობას. ინჰიბიტორი პროადიფენი (SKF-525-A, გამოიყენება სამცენსიერო კელეებში) ამ მექანიზმით მოქმედი კიდევ ერთი ნივთიერებაა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება რა ჰემის რკინას. იწვევს ფერმენტის თითქმის შეუქცევად ინაქტივირებას და შესაბამისად, მისი პოტენციური სუბსტრატის მეტაბოლიზმის ინჰიბირებას.

ზოგიერთი სუბსტრატის რეაქტიული შუალედური პროდუქტები, კოვალენტური ურთიერთქმედების გზით, შეუქცევადად აინჰიბირებენ P450-ს. ისინი ურთიერთქმედებენ P450-ის აპოპროტინთან, ან ჰემის ნაშთთან და იწვევენ ჰემის ფრაგმენტაციას და აპოპროტინის შეუქცევად მოდიფიკაციას. ანტიბიოტიკის ქლორამფენიკოლი CYP2B1-ის მიერ მეტაბოლიზდება ნივთიერებად, რომლებიც იწვევენ ცილის მოდიფიკირებას, რის შედეგადაც ფერმენტის აქტივობა ქვეითდება. ამგვარი სუბსტრატული ინჰიბიტორების (ინჰიბიტორები, რომლებიც ჰემის ან ცილის ნაშთის დამიანების გზით იწვევენ ფერმენტის აქტივობის დაქვეითებას) მზარდ სიას ეკუთვნის ზოგიერთი სტეროიდი (ეთინილ ესტრადიოლი, ნორეთინდრონი და სპირონოლაქტონი), ფლუოქსეტინი, ალობარბიგალი, ანალგეზიური სედაციური საშუალებები (ალილიმპროპილაკეტილმარლოკანა, დიეთილპენტენამიდი და ეთილორენიოლი), ნახშირბადის დისულფიდი, გრიფორუმი შემავალი ფურანოკუმარინები, დერინილი, ფენსიკლიდინი, რიგონაიერი, გიკლობიდინი, კლოპიდოგრელი და პროპილთიოურაცილი. ბარბიტურის მექანიზმის ნაწარმი სეკობარბიგალი კი იწვევს CYP2B1-ის აქტივობის დაქვეითებას როგორც ჰემის, ასევე ცილის ნაშთების მოდიფიკირების გზით. მეტაბოლური თვალსაზრისით აქტიური სხვა წამლების P450-ის ინაქტივაციის მექანიზმები ბოლომდე არ არის შესწავლილი. მათ რიცხვს ეკუთვნის მიფენისტონი (RU-486), ტროლეისგაბონი, რალიქსიფენი და გამოქსიფენი.

## ფაზა II რეაქციები

ხშირად, «დედა წამლების», ან მათი ფაზა I-ის მეტაბოლიტების შემადგენლობაში შემავალი ქიმიური ჯგუფები ექვემდებარებიან ენდოგენურ ნივთიერებებთან შეწყვილების ან კონიუგირების რეაქციებს და წარმოქმნიან წამლისმიერ კონიუგატებს (ცხრილი 4-3). ზოგადად, კონიუგატები პოლარული მოლეკულებია, რომლებიც ორგანიზმიდან ადვილად ექსკრეტირდებიან და ხშირად მათი ფარმაკოლოგიური აქტივობა არ ახასიათებთ. კონიუგატების წარმოქმნის პროცესი მაღალ-ენერჯიულ შუალედურ პროდუქტებთან და სპეციფიკურ ფერმენტებთან არის დაკავშირებული. ამგვარი ფერმენტები (გრანს-ფერაზები) ლოკალიზებული არიან მიკროსომებში ან ციგოზოლში. ისინი აკატალიზებენ გააქტივებული ენდოგენური ნივთიერებისა (როგორცაა გლუკურონის მექავას ურიდის 5'-დიფოსფატური [UDP] ნაწარმი) და წამლის (ან ენდოგენური ნაერთის), ან გააქტივებული წამლისა (როგორცაა ბენზოლის მექავის S-CoA ნაწარმი) და ენდოგენური სუბსტრატის შეწყვილების პროცესებს. ენდოგენური სუბსტრატის ძირითადი წყარო საკვები პროდუქტებია, ამიტომ კვება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს წამალთა კონიუგაციის რეგულირების პროცესში.

ითვლება, რომ კონიუგაცია წამლების ინაქტივაციის საბოლოო საფეხურია და იგი განიხილებოდა, როგორც „ქვე-მარიტი დეგოქსიკაციის“ რეაქცია. ამ კონსეფციას მოდიფიცირება სჭირდება, რადგან ამჟამად დადგენილია, რომ კონიუგაციის ზოგიერთი რეაქციის შედეგად (ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებების აცილ გლუკურონიდირება, N-ჰიდროქსიაცეტილამინოლორენის O-სულფატირება, იზონიაზიდის N-აცეტილირება) წარმოქმნილი რეაქტიული ნივთიერებები შესაძლოა მოგვევლინონ წამლისმიერი გოქსიკურობის მთავარ მიზეზად. უფრო მეტად, ცნობილია, რომ ორალურად მიღების შემდეგ პროწამალი მინიქსიდილი სულფატირებას ექვემდებარება. რის შედეგადაც ძალზე ეფექტურ ვაზოდilatატორად გარდაიქმნება. მეტაბოლიტი მორფინ-6-გლუკურონიდი კითხვით მორფინზე გაცილებით უფრო ძლიერია.

## წამლების მეტაბოლიზმი ტოქსიკურ პროდუქტებად

წამლებისა თუ სხვა უცხო ქიმიური ნივთიერებების მეტაბოლიზმი ყოველთვის არ არის დეგოქსიკაციისა და ელემინაციის ხელშემწყობი უვნებელი ბიოქიმიური მოვლენა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სინამდვილეში, ზოგიერთი ნაერთი მეტაბოლიზმის შედეგად ამა თუ იმ ორგანოსათვის გოქსიკურ, რეაქტიულ შუალედურ პროდუქტებად გარდაიქმნება. «დედა წამლების» დაბალი დოზით გამოყენებისას გოქსიკურობა შესაძლოა არ გამოვლინდეს, რადგან ამ შემთხვევაში დეგოქსიკაციისათვის საჭირო ენდოგენური სუბსტრატების (გლუკათიონი [GSH], გლუკურონის მექავა, სულფატი) გარკვეული მარაგი ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და დეგოქსიკაციის ალტერნატიული მექანიზმების გადარეგულირებას ან დათრგუნვას არ აქვს ადგილი. თუმცა, ამ რესურსის ამოწურვის შემდეგ, შესაძლოა მეტაბოლიზმის გოქსიკურმა გზამ იზინოს თავი, რაც ამა თუ იმ ორგანოზე გოქსიკური ზეგავლენის ან კანცეროგენების მიზეზად გვევლინება.

წამლისმიერი ამგვარი გოქსიკურობის მაგალითების რიცხვი სწრაფად იზრდება. მაგ., აცეტამინოფენი (პარაცეტამოლი) განპირობებული ჰეპატოგოქსიკურობა (სურათი 4-4). ეს გოქსიკური დაზიანებული და სიცხის დამწვევი საშუალება საკმაოდ უსაფრთხოა თერაპიული დოზებით გამოყენებისას (მოზრდილებში სადღეღამისო დოზა 1.2 გ). ჩვეულებრივ, ის ექვემდებარება გლუკურონიდირებას და სულფატირებას, შესაბამისი კონიუგატები

ცხრილი 4-3. უაზა II რეაქციები.

კონიუგირების ტიპი	მორეაგირე უნდოვნი ნივთიერება	გრანსფერაზა (ლო კალიზაზი)	სუბსტრატთა ტიპები	მაგალითები
გლუკურონიდირება	UDP-გლუკურონის შებენი	UDP-გლუკურონოზ-გრანსფერაზა (მიკროსომები)	ფენოლები, ალკოჰოლები, კარბოქსილის მკაეები, ჰიდროქსილამინები, სულფონამიდები	ნიტროფენოლი, მორფინი, აცეტამინოფენი, დიაზეპამი, N-ჰიდროქსილამინი, სულფათიაზოლი, მეტროპრამიდი, დიგოქსინი, დიგოქსინი
აიკეტილირება	აიკეტლ-CoA	N-აიკეტილგრანსფერაზა (ციტოზოლი)	ამინები	სულფონამიდები, იმონიაზიდი, კლონიმიპრამი, დამონი, მესკალინი
გლუტათიონთან კონიუგირება	გლუტათიონი (GSH)	GSH-S-გრანსფერაზა (ციტოზოლი, მიკროსომები)	ეპოქსიდები, არენული ოქსიდები, ნიტრო ჯგუფები, ჰიდროქსილამინები	აიკეტამინოფენი, ეთაქრინის მკაეა, ბრომობენზინი
გლიცილის კონიუგირება	გლიცინი	აილ-CoA გლიცილგრანსფერაზა (ციტოზოლი)	კარბოქსილის მკაეების აილ-CoA ნაწარმები	ხალიცილის მკაეა, ბენზოის მკაეა, ნიკოტინის მკაეა, ცინამის მკაეა, ქოლის მკაეა დიოქსიქოლის მკაეა
სულფატირება	ფოსფორილ-სულფატო-ფოსფორილ-სულფატო	სულფოგრანსფერაზა (ციტოზოლი)	ფენოლები, ალკოჰოლები, არიმატული ამინები	ფსტრინი, ასილინი, ფენოლი, 3-ჰიდროქსი-კუმარინი, აიკეტამინოფენი, მეთილდოპა
მეთილირება	S-ადანილ-მეთიონინი	გრანსმეთილაზები (ციტოზოლი)	კატექოლამინები, ფენოლები, ამინები	დოპამინი, ეპინეფრინი, პირიდინი, ჰისტამინი, თიოურაცილი
წყალთან კონიუგირება	წყალი	ეპოქსიდ-ჰიდროლაზა (მიკროსომები)	არენ ოქსიდები, cis-დინაიცილები და მონოქსიანიცილები ოქსიანები	ბენზოპირენ 7,8-ეპოქსიდი, სტირენ 1,2-ოქსიდი, კარბამაზეპინი ეპოქსიდი
		(ციტოზოლი)	ალკენ ოქსიდები, ცხიმოვანი მკაეის ეპოქსიდები	ლექსოტრინი A <sub>4</sub>

ბის წარმოქმნით, რომლებიც ჯამში შეადგენენ ექსკრეტირებული მეტაბოლიტების საერთო რაოდენობის 95%-ს. დარჩენილ 5%-ში ავჯილი აქვს ალტერნატიული, P450-დამოკიდებულ GSH კონიუგირების გზას. როდესაც აცეტამინოფენის დოზა თერაპიულზე გაცდობილი მაღალია, გლუკურონიდირებისა და სულფატირების გზები ჯერდება, რის გამოც P450-დამოკიდებული გზა მკეტ მნიშვნელობას იძენს. მანამდე, ხანამ კონიუგირებისათვის ორგანიზმის გლუტათიონის (GSH) მარაგი საკმარისია, აცეტამინოფენით განპირობებული ჰეპატოტოქსიკრობა არ ვითარდება, ან მისი ინტენსივობა მაღალე დაბალია.

თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ გლუტათიონის (GSH) დეიდლისმიერი მარაგის გამოფიტვის პროცესი აჭარბებს ალტერნის პროცესს, ამიტომ ორგანიზმში გროვდება აცეტამინოფენის რეაქტიული, გოქსიკური მეტაბოლიტი (N-აიკეტილბენზიმინოქსინი), რომელიც უჯრედშიდა ნუკლეოფილების, მკაე, GSH, არარსებობის პირობებში მოქმედებს უჯრედული ცილების ნუკლეოფილურ ჯგუფებზე და ჰეპატოტოქსიკრობას იწვევს.

აცეტამინოფენის რეაქტიული მეტაბოლიტის ელექტროფილური ბუნების შემსწავლელი ქიმიური და გოქსიკოლოგიური კვლევის საფუძველზე შექმნილია მისი ეფექტური ანტიდოტები - ცისტამინი და N-აიკეტალციტეინი. აცეტამინოფენის მაღალი დოზის მიღებიდან 8-16 სთ-ის განმავლობაში N-აიკეტილციტეინის (ორი ანტიდოტიდან უფრო მკეტად უსაფრთხო) გამოყენება იცავს მსხვერპლს ფულმინანტური (დაუყოვნებლივი დასაწყისით, მძიმედ მიმდინარე) ჰეპატოტოქსიკრობისა და სიკვდილისაგან (თხ. თავი 59). თვითონ GSH-ის გამოყენება ეფექტური არ არის, რადგან იგი თავისუფლად ვერ გადალახავს უჯრედების მემბრანულ ბარიერებს.

## წამალთა მეტაბოლიზმის კლინიკური მნიშვნელობა


	თირამინი, ამფეტამინი	ადრენერგული ნერვული გერმინალები	გრანსმიტერის გამონთავისუფლების გაძლიერება
გრანსმიტერის უკუმიტაცება მისი გამონთავისუფლების შემდეგ	კოკაინი, ტრიციკლური ანტი-დეპრესანტები	ადრენერგული ნერვული გერმინალები	კატეპოლამინების უკუმიტაცების ინჰიბირება; პოსტსინაფსურ რეცეპტორებზე გრანსმიტერის ეფექტის გაძლიერება
რეცეპტორის გააქტივება ან ბლოკირება	ნორეპინეფრინი	ადრენერგული სინაფსის რეცეპტორები	ალფა ადრენორეცეპტორთან შეკავშირება; იწვევს შეკუმშვას
	ვენგოლამინი	ადრენერგული სინაფსის რეცეპტორები	ალფა ადრენორეცეპტორთან შეკავშირება; რეცეპტორის გააქტივების ინჰიბირება
	იზოპროტერენოლი	ადრენერგული სინაფსის რეცეპტორები	ბეტა ადრენორეცეპტორთან შეკავშირება; აღნიშნული კლასის გააქტივება
	პროპრანოლოლი	ადრენერგული სინაფსის რეცეპტორები	ბეტა ადრენორეცეპტორთან შეკავშირება; რეცეპტორის გააქტივების ინჰიბირება
	ნიკოტინი	ნიკოტინური ქოლინერგული სინაფსის რეცეპტორები (ავტონომური განვლიები, ნერვ-კუნთოვანი საბოლოო ფირფიტა)	ნიკოტინურ ქოლინო-რეცეპტორთან შეკავშირება; პოსტსინაფსური მემბრანის იონური არხების გახსნა
	ტუბოკურარინი	ნერვ-კუნთოვანი საბოლოო ფირფიტა	გააქტივების შეფერხება
	ბეტანეპოლი	პარასიმპათიკური ეფექტორული უჯრედების რეცეპტორები (ვლუვი კუნთი, ჯირკვლები)	მუსკარინულ ქოლინო-რეცეპტორთან შეკავშირება და მისი გააქტივება
	ატროპინი	პარასიმპათიკური ეფექტორული უჯრედების რეცეპტორები	მუსკარინულ ქოლინო-რეცეპტორთან შეკავშირება ; გააქტივების შეფერხება

<sup>1</sup>puffer fish (uz.ახროხ, ყუპიოხ, ხოქერა) ტოქსინი, California newt.

<sup>2</sup>Gonyaulax ტოქსინი (\*ჩრდილოეთი ირანის ორგანიზმი).

<sup>3</sup>ნორეპინეფრინი, დოუპამინი, აცეტილქოლინის, ანტიოტენსინი II, სხვადასხვა პრისიგლანდინები, ა.შ.

<sup>4</sup>Conus სახეობის წყლის ლოკოქსინის ტოქსინი

<sup>5</sup> აბობის - "შავი ქერის" შხაში.




თვალის ფარმაკოლოგია

თვალი რამოდენიმე სხედასხვა ტიპის ავტონომური რეცეპტორით კონტროლდება, ამიტომ იგი ავტონომური ნერვული სისტემის (ANS) მრავლობითი ფუნქციის მქონე ორგანოს შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. როგორც ნახევნებია სურათზე 6-9, თვალის წინა საკანში ANS-ის მიერ კონტროლირებად სხედასხვა ქსოვილს ეხელებით – სამ სხედასხვა გვარ კუნთს (ფერადი გარსის კუნთები, რომლებიც გუგის გაფართოებასა და შეიწროებას ემსახურებიან და წამწამოვანი კუნთი) და წამწამოვანი სხეულის სეკრეტორულ ეპითელიუმს.

პარასიმპათიკური ნერვების გააქტივება ან მუსკარინული ქოლინომიმეტიკური საშუალებების გამოყენება იწვევს ფერადი გარსის ირგვლივ კუნთისა და წამწამოვანი კუნთის შეკუმშვას. ფერადი გარსის ირგვლივ კუნთის შეკუმშვა იწვევს გუგის ზომის შემცირებას – მიოზს. მიოზი აღენიშნებათ იმ პაციენტებს, რომლებიც იღებენ ქოლინომიმეტიკურ საშუალებებს, განსაკუთრებით ქოლინესთერაზას ფოსფოროვანული ინჰიბიტორების სისტემურ მაღალ ან ადგილობრივ მცირე დოზებს. წამწამოვანი კუნთის შეკუმშვა იწვევს ფოკუსის აკომოდაციას ახლო ხედვისათვის. წამწამოვანი კუნთის ძლიერ შეკუმშვას, რასაც ხშირად აქვს ადგილი ქო-

ლინესთერაზას ინჰიბიტორებით ინტოქსიკაციისას, ციკლოსპაზმი ეწოდება. წამწამოვანი კუნთების შეკუმშვა გავლენას ახდენს აგრეთვე გრაბეკულურ ბადეზე, ხსნის მის ფორებს და ხელს უწყობს ნაბის გამოდინებას შლემის არხით. გამოშავალი ნაკადის გაზრდა ამცირებს თვალშიდა წნევას. ამ ეფექტში გლაუკომის მკურნალობისათვის პოვა გამოყენება. მუსკარინული რეცეპტორების ანტაგონისტი – აგროპინი იწვევს ორივე ეფექტის ბლოკირებას ან თავიდან აცილებას.

ალფა ადრენორეცეპტორების აგზნება ფერადი გარსის რადიალური კუნთის (გუგის გამაფართოებელი) შეკუმშვას განაპირობებს და იწვევენ მიდრიაზს. ამ ეფექტს ადგილი აქვს სიმპათიკური ნერვული სისტემის აგზნებისას, აგრეთვე ალფა-აგონისტური მედიკამენტების, მაგ, ფენილეფრინის, კონიუქტივურ გომარაში ადგილობრივი გამოყენებისას. წამწამოვანი ეპითელიუმზე არსებული ბეტა-ადრენორეცეპტორები ხელს უწყობენ ნაბის სეკრეციას. ამ რეცეპტორების ინჰიბირება (ბეტა-ბლოკატორებით) ამცირებს სეკრეტორულ აქტივობას და თვალშიდა წნევას, რაც გლაუკომის მკურნალობის კიდევ ერთი მეთოდია.



სურათი 6-9.

თვალის წინა საკანის სტრუქტურები. ამ სქემატურ დიაგრამაზე ნახევნებია მნიშვნელოვანი ავტონომური ფუნქციის მქონე ქსოვილები და მათთან დაკავშირებული ANS რეცეპტორები. წამწამოვანი სხეულის ეპითელიუმის მიერ თვალის ნაბი (aqueous humor) სეკრეტირდება, რომელიც მიედინება ფერადი გარსის წინ მდებარე სივრცეში გრაბეკულური ბადის გავლით და შლემის არხის საშუალებით გამოედინება (ისარი). წამწამოვანი ეპითელიუმთან დაკავშირებული ბეტა-ადრენორეცეპტორების ბლოკადა იწვევს ნაბის სეკრეციის შემცირებას. სკლერის სისხლძარღვები (არ არის ნაჩვენავი), რომლებიც ასევე ავტონომური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, დიდ გავლენას ახდენენ ნაბის დრენირებაზე.

## REFERENCES

- Andersson K-E, Wein AJ: Pharmacology of the lower urinary tract: Basis for current and future treatments of urinary incontinence. *Pharmacol Rev* 2004;56:581. [PMID: 15602011]
- Bivalacqua TJ et al: Pharmacotherapy for erectile dysfunction. *Trends Pharmacol Sci* 2000;21:484. [PMID: 11121838]
- Boehm S, Kubista H: Fine tuning of sympathetic transmitter release via ionotropic and metabotropic presynaptic receptors. *Pharmacol Rev* 2002;54:43. [PMID: 11870260]
- Burnstock G: Cotransmission. *Curr Opin Pharmacol* 2004;4:47. [PMID: 15018838]
- Chang HY, Mashimo H, Goyal RK: Musings on the wanderer: What's new in our understanding of the vago-vagal reflex? IV. Current concepts of vagal efferent projections to the gut. *Am J Physiol Gastrointest Liver Physiol* 2003;284:G357.
- Furchgott RF: Role of endothelium in responses of vascular smooth muscle to drugs. *Annu Rev Pharmacol Toxicol* 1984;24:175. [PMID: 6203480]
- Galligan JJ: Ligand-gated ion channels in the enteric nervous system. *Neurogastroenterol Motil* 2002;14:611. [PMID: 12464083]
- Goldstein DS et al: Dysautonomias: Clinical disorders of the autonomic nervous system. *Ann Intern Med* 2002;137:753. [PMID: 12416949]
- Miller RJ: Presynaptic receptors. *Annu Rev Pharmacol Toxicol* 1998;38:201. [PMID: 9597154]
- Toda N, Herman AG: Gastrointestinal function regulation by nitric efferent nerves. *Pharmacol Rev* 2005;57:315. [PMID: 16109838]
- Toda N, Okamura T: The pharmacology of nitric oxide in the peripheral nervous system of blood vessels. *Pharmacol Rev* 2003;55:271. [PMID: 12773630]
- Westfall DP, Todorov LD, Mihaylova-Todorova ST: ATP as a cotransmitter in sympathetic nerves and its inactivation by releasable enzymes. *J Pharmacol Exp Ther* 2002;303:439. [PMID: 12388622]
- Wilson RF et al: Regional differences in sympathetic reinnervation after human orthotopic cardiac transplantation. *Circulation* 1993;88:165. [PMID: 8319329]

ქოლინორეცეპტორების მასტიმულირებადი საშუალებები და ქოლინესთერაზას ინჰიბიტორები ერთად ღილ ჯგუფს შეადგენენ, რომლებიც აცეტილქოლინის მსგავსად მოქმედებენ (ქოლინესთერაზის საშუალებები) (იხ. სურათი 7-1). ქოლინორეცეპტორების მასტიმულირებადი საშუალებების ფარმაკოლოგიური კლასიფიკაცია მოქმედების სპექტრის მიხედვით ხორციელდება, მოქმედების სპექტრი კი ვაქტივებული რეცეპტორის ტიპზეა (ნიკოტინური თუ მუსკარინული) დამოკიდებული. მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია აგრეთვე მოქმედების მექანიზმის მიხედვით. რადგან ზოგიერთი მათგანი უშუალოდ უკავშირდება (და ააქტივებს) ქოლინორეცეპტორს, ხოლო ზოგი კი არაპირდაპირად. ენდოგენური აცეტილქოლინის პიდროლიზს ინჰიბირების გზით მოქმედებს.

## ქოლინომიმეტიკური საშუალებების მოქმედების სპექტრი

პარასიმპათიკური ნერვული სისტემის ადრენული კვლევიკებმა დაადგინეს, რომ ილკალიდი მუსკარინი პარასიმპათიკური ნერვული იმპულსის მსგავს ეფექტებს იწვევდა, ანუ მის ეფექტებს პარასიმპათომიმეტიკური ეწოდა. განვლილხსა და ავტონომურ ეფექტორულ ქსოვილზე (გლუვი კუნთი, გული, ეგზორინული ჯირკვლები) მუსკარინის ავტილობრივი ზემოქმედებისას ვამოვლინდა, რომ ალკალიდის პარასიმპათომიმეტიკური მოქმედება ეფექტორული უჯრედის რეცეპტორებზეა დამოკიდებული, და არა განვლილზე. ამგვარად, აცეტილქოლინი და სხვა ქოლინესთერაზის საშუალებები ავტონომურ ნეიროეფექტორულ შეერთებაზე ზემოქმედებით იწვევენ პარასიმპათომიმეტიკურ ეფექტებს, რომლებიც განპირობებული არიან მუსკარინული რეცეპტორებით. მისგან განსხვავებით, ალკალიდი ნიკოტინის დაბალი კონცენტრაცია ასტიმულირებდა ავტონომურ განვლილხსა და ჩონსის კუნთების ნერვ-კუნთოვანი შეერთების ავტილეს, მაგრამ არა ავტონომურ ეფექტორულ უჯრედებს. ამგვარად, განვლილხს და ჩონსის კუნთის რეცეპტორებს ნიკოტინური ეწოდათ. მოგვიანებით დადგენილ იქნა აცეტილქოლინის ფიზიოლოგიური ნეიროტრანსმიტერიული როლი, როგორც მუსკარინული, ისე ნიკოტინური რეცეპტორისათვის. ორივე რეცეპტორი ქოლინორეცეპტორების ქვეკატეგორიადა იქნა აღიარებული.

გრანსემბრანული სახიგნალო მქეჩინიზმების მიხედვით ქოლინორეცეპტორები წარმოადგენენ როგორც G-ცილაბთან-შეკავშირებული (მუსკარინული), ასევე იონური არხების (ნიკოტინური) ოჯახების წევრებს. მუსკარინული რეცეპტორები შეიცავენ შედ გრანსემბრანულ უბანს, რომლის ციგოპლაზმური მქსამე მარეკუსი შეწყვილებულია G ცილაბთან. G ცილა მოქმედებს როგორც გრანსემბრანული (იხ. სურათი 2-11). ეს რეცეპტორები არეგულირებენ უჯრედშია მეთრადი მქსენჯერების წარმოქმნის და ახლენენ ზოგიერთი იონური არხის მოდულირებას G-


ცილის მეშვეობით. ავტონისტიკის სელექციურობა მუსკარინული რეცეპტორებისა და მოცემულ უჯრედში არსებული G-ცილების ქვეკატეგორია დამოკიდებული (იხ. ცხრილი 7-1). მუსკარინული რეცეპტორები ლოკალიზებული არიან უჯრედების პლაზმურ მემბრანებზე ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. პარასიმპათიკური ნერვებით ინერვირებად ორგანოებში, აგრეთვე ზოგიერთი იმ ქსოვილში. რომლებიც არ ინერვირდებიან ამ ნერვებით. მაგ., ენდოთელურ უჯრედებში (იხ. ცხრილი 7-1) და პოსტგანგლიური სიმპათიკური ქოლინერგული ნერვებით ინერვირებად ქსოვილებში.

ნიკოტინური რეცეპტორები იმ გრანსემბრანული პოლიპეტიდების ნაწილს წარმოადგენენ, რომელთა სუბერთეულები ქმნიან კათიონ-სელექციურ იონურ არხებს (იხ. სურათი 2-9). ეს რეცეპტორები ლოკალიზებული არიან ავტონომური განვლილხსის პოსტგანგლიური უჯრედების პლაზმურ მემბრანებზე, სომატური მოტორული ბოჭკოებით ინერვირებულ კუნთებსა და ცნსის ზოგიერთ ნეირონში (იხ. სურათი 6-1).

აცეტილქოლინი მრავალ უბანზე მოქმედებს. სადაც იგი იწვევს როგორც ამგზნებ, ისე დამთრგუნავ ეფექტებს. ამიგომ ქოლინორეცეპტორების არასელექციური ამგზნები საშუალებების საკმარისი ღოზით გამოყენებისას შესაძლებელია ორგანოთა სისტემების ფუნქციის ძალიან დიფუზური და მკვეთრი დარღვევების გამოწვევა. საბედნიეროდ, ხელმისაწვდომია გარკვეული ხარისხით სელექციური საშუალებებიც, რომელთა გამოყენებისას შესაძლებელია სასურველი ეფექტის მიღწევა გვერდითი ეფექტების თავიდან აცილებით ან მინიმუმამდე დაყვანით. მოქმედების სელექციურობა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. ზოგიერთი საშუალება სელექციურად ასტიმულირებს ან მუსკარინულ, ან ნიკოტინურ რეცეპტორს. ზოგიერთი ნივთიერება უპირატესად ასტიმულირებს ნერვ-კუნთოვანი შეერთების ავტილას ლოკალიზებულ ნიკოტინურ რეცეპტორებს. თუმცა ვაცილებით ნაკლებად მოქმედებს განვლილხსის ნიკოტინურ რეცეპტორებზე. ორგანოსელექციურობის მიღწევა შესაძლებელია წამლის ორგანიზმში შეყვანის გზის არჩევითაც („ფარმაკოკინეტიკური სელექციურობა“). მაგ., თეალის ფუნქციის შეცვლის მიზნით შესაძლებელია მუსკარინული მასტიმულირებადი საშუალებების დაგანა ავტილობრივად, თეალის ზედაპირზე. რაც სისტემური ეფექტების გამოვლენის ალბათობის მინიმუმამდე შექცინების საშუალებას იძლევა.

## ქოლინომიმეტიკური საშუალებების მოქმედება

პირდაპირი მოქმედების ქოლინომიმეტიკური საშუალებები უკავშირდებიან და ააქტივებენ მუსკარინულ და ნიკოტინურ რეცეპტორებს (სურათი 7-1). არაპირდაპირად მოქმედი საშუალებები კი იწვევენ აცეტილქოლინის პიდროლიზში (ქოლინა და



სურათი 7-1.

ქოლინორეცეპტორის მასტიმულირებელი საშუალებების ძირითადი ჯგუფები და სამიზნე ორგანოები.

ძმარმჩავად მონაწილე ფერმენტის აცეტილქოლინესთერაზას ინჰიბირებას (იხ. სურათი 6-3), რაც სინაფსურ ნაპრაღში და ნეიროფუნქციონირების შეერთების ადგილებში ენდოგენური აცეტილქოლინის კონცენტრაციის გაზრდას განაპირობებს. ჭარბი აცეტილქოლინი თავის მხრივ ასტიმულირებს ქოლინორეცეპტორებს და იწვევს საპასუხო რეაქციების გაძლიერებას. ეს საშუალებები ძირითადად მოქმედებენ იქ, სადაც ფიზიოლოგიურად აცეტილქოლინის გამოყოფას აქვს ადგილი და ამრიგად, ენდოგენური აცეტილქოლინის *გამძლიერებლებს* წარმოადგენენ.

ქოლინესთერაზას ზოგიერთი ინჰიბიტორი ბუტირილქოლი-

ნესთერაზას (ფსევდოქოლინესთერაზას) აქტივობასაც თრგუნავენ. თუმცა, ბუტირილქოლინესთერაზას ინჰიბირება უმნიშვნელო როლს ასრულებს არაპიდაპირი ქოლინომიმეტიკური საშუალებების მოქმედებაში, რადგან აცეტილქოლინის ფიზიოლოგიური სინაფსური მოქმედების დასრულებაში ეს ფერმენტი არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს. აცეტილქოლინესთერაზას ზოგიერთ მეოთხეულ ინჰიბიტორს, მაგ., ნეოსტიგმინს, უმნიშვნელო პირდაპირი მოქმედებაც ახასიათებს. იგი ქოლინესთერაზას ინჰიბირებასთან ერთად, პირდაპირ მოქმედებს ნერვ-კუნთოვან სინაპსურ ქოლინორეცეპტორებზე და იწვევს მათ გააქტივებას.

ცხრილი 7-1. ქოლინორეცეპტორების ქვეტიპები და თვისებები.

რეცეპტორის ტიპი	სხვა სახელები	ლოკალიზაცია	სტრუქტურული თვისებები	პოსტრეცეპტორული მექანიზმები
M <sub>1</sub>		ნერვები	შვიდი ტრანსმემბრანული სეგმენტი, G <sub>q/11</sub> ცილასთან შეკავშირებული	IP <sub>3</sub> , DAG კასკადი
M <sub>2</sub>	გულის M <sub>2</sub>	გული, ნერვები, გლუვი კუნთი	შვიდი ტრანსმემბრანული სეგმენტი, G <sub>i/o</sub> ცილასთან შეკავშირებული	cAMP-ის პროდუქციის ინჰიბირება, K <sup>+</sup> -ის არხების აქტივირება
M <sub>3</sub>		ჯირკვლები, გლუვი კუნთი, ენდოთელუმი	შვიდი ტრანსმემბრანული სეგმენტი, G <sub>q/11</sub> ცილასთან შეკავშირებული	IP <sub>3</sub> , DAG კასკადი
M <sub>4</sub>		ენს	შვიდი ტრანსმემბრანული სეგმენტი, G <sub>i/o</sub> ცილასთან შეკავშირებული	cAMP-ის პროდუქციის ინჰიბირება
M <sub>5</sub>		ენს	შვიდი ტრანსმემბრანული სეგმენტი, G <sub>q/11</sub> ცილასთან შეკავშირებული	IP <sub>3</sub> , DAG კასკადი
N <sub>M</sub>	კუნთის ტიპი, საბოლოო ფირფიტის რეცეპტორი	ჩონჩხის კუნთის სერეკუნთოვანი შეერთების ადგილი	პენტამერი (ალფა <sub>1</sub> ბეტა <sub>1</sub> გამა <sub>1</sub> )	Na <sup>+</sup> , K <sup>+</sup> მადეპოლარიზებული იონური არხი
N <sub>N</sub>	ნეირონის ტიპი, განვლითი რეცეპტორი	პოსტგანგლიონური უჯრედების სხეულები, დენდრიტები	მხოლოდ ალფა და ბეტა სუბერთეულები, როგორც ალფა <sub>2</sub> ბეტა <sub>2</sub> ან ალფა <sub>2</sub> ბეტა <sub>3</sub>	Na <sup>+</sup> , K <sup>+</sup> მადეპოლარიზებული იონური არხი

სტრუქტურა გორბელის ელექტრულ ორგანოში და ძეკუმწოვრების ნაყოფის კუნთებში. მრდასრულ კუნთში ვაშა სუბერთეული წანაცვლებულია ეფილიონ-სუბერთეულით. ძეკუმწოვართა სხედასხვა ქსოვილებში აღმოჩენილია სხედასხვა სახის ალფა და ბეტა სუბერთეულები (Lukas et al, 1999).



## პირლაპირი ქოლინომიმეტიური საშუალებების ბაზისური ფარმაკოლოგია

პირლაპირი ქოლინომიმეტიური საშუალებები ქიმიური სტრუქტურის მიხედვით შეიძლება დაიყოს ქოლინის ეთერებად (აცეტილქოლინის ჩათვლით) და ალკალილებად (როგორცაა მუსკარინი და ნიკოტინი). ამ საშუალებებიდან ზოგიერთი ძლიერ სელექციურია მუსკარინული ან ნიკოტინური რეცეპტორის მიმართ, უმრავლესობა კი ორივე რეცეპტორზე მოქმედებს, მაგ, აცეტილქოლინი.

### ქიმიური აგებულება და ფარმაკოკინეტიკა

#### სტრუქტურა

ქოლინის ოთხი, დეტალურად შესწავლილი ეთერი მოცემულია სურათზე 7-2. მუდმივად დამუხტული მეოთხეული ამონიუმის ჯგუფი ხელს უშლის მათი ცხიმში ხსნადობას. მრავალი ბუნებრივი და სინთეზირებული ქოლინომიმეტიური საშუალებაა ალმინენი, რომლებიც არ ეკუთვნიან ქოლინის ეთერების ჯგუფს; მათგან რამოდენიმე ნაწილზეა სურათზე 7-3.


მუსკარინული ქოლინორეცეპტორი მაღალი სტერეოსელექციურობით ხასიათდება: (S)-ბეთანექოლი ითქმის 1000-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე (R)-ბეთანექოლი.

#### აბსორბცია, ბანაწილება და მეტაბოლიზმი


ჰიდროფილურობის გამო ქოლინის ეთერები არასრულად შეიწოვება და ცნს-ში ცუდად ნაწილდება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი კუჭ-ნაწლავის გრაქტიში ჰიდროლიზდება (ამიტომ, ორალურად მიღებისას ნაკლებად აქტიურია), ქოლინესთერაზული ჰიდროლიზის მიმართ მათი განსხვავებული მგრძობელობა ახასიათებთ. აცეტილქოლინი ძალიან სწრაფად ჰიდროლიზდება (იხ. თავი 6); ფარმაკოლოგიური ხანმოკლე (სეველებრივ, 5-20 წამი) ეფექტის გამოწვევი კონცენტრაციის მისაღებად საჭიროა მისი მაღალი დოზის ინტრავენური ბოლუსური ინექცია; აცეტილქოლინის ინტრამუსკულური ან კანქვეშა ინექცია მხოლოდ ადგილობრივ ეფექტს იძლევა. აცეტილქოლინიან შედარებით. მეთაქოლინი უფრო მდგრადია ჰიდროლიზის მიმართ. კარბამის შეყვანის ეთერები – კარბაქოლი და ბეთანექოლი, კიდევ უფრო მდგრადნი არიან ქოლინესთერაზული ჰიდროლიზის მიმართ და შესაბამისად უფრო ხანგრძლივი მოქმედება გააჩნიათ. ბეთა-მეთილის ჯგუფი (მეთაქოლინი, ბეთანექოლი) აქვეითებს ამ საშუალებების მოქმედებას ნიკოტინურ რეცეპტორებზე (ცხრილი 7-2).

ორგანიზმში ნებისმიერი ვით შეყვანილი ბუნებრივი მუსკარინული ქოლინომიმეტიური ალკალილების (პილოკარპინი, ნიკოტინი, ლობელინი; იხ. სურათი 7-3) შეწოვა სრულად მიმდინარეობს. ნიკოტინი (იხვევადი სახით) საკმაოდ კარგად იხსნება ცხიმში, ამიტომ კანდიანაც შეიწოვება.


მეოთხეული ამინი მუსკარინი, მუსკარული ამინებიან შედარებით, უფრო ნაკლებად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის გრაქტიდან, მაგრამ მიუხედავად იმისა, ორალურად მიღებისას ტოქსიკურია (მაგ, ზოგიერთი სოკოს სახით) და თავის გენიში კი აღწევს. მცენარეული ნაწარმი ლობელინი ნიკოტინის მსგავსია. ამ ამინების დიდი ნაწილი თირკმლების მეშვეობით გამოიყოფა. შარდის შეკავების მოხატება ზრდის მუსკარული ამინების კლირენსს.




Acetylcholine




Methacholine (acetyl-β-methylcholine)



Carbamic acid



Carbachol (carbamoylcholine)



Bethanechol (carbamoyl-β-methylcholine)

#### სურათი 7-2.


ქოლინის ოთხი ეთერისა და კარბამის შეყვანის მოლეკულური სტრუქტურა. აცეტილქოლინი არის ქოლინისა და ქმარმეკავს ეთერი, მეთაქოლინი კი ბეთა-მეთილქოლინისა და ქმარმეკავს ეთერია. კარბაქოლი და ბეთანექოლი არიან იმავე ალკალილების კარბამის შეყვანის ეთერები.

### ფარმაკოკინეტიკა

#### მოქმედების მექანიზმი


პარასიმპათიკური ნერვული სისტემის გააქტივება ცვლის ორგანიზმში ფუნქციას ორი ძირითადი მექანიზმით. პირველი, პარასიმპათიკური ნერვებიდან გამოყოფილი აცეტილქოლინი ააქტივებს ეფექტორულ უჯრედებზე არსებულ მუსკარინულ რეცეპტორებს და პირლაპირი ზემოქმედებით ცვლის ორგანიზმში ფუნქციას. მეორე, პარასიმპათიკური ნერვებიდან გამოთავისუფლებული აცეტილქოლინი ურიოთეროქმედებს ნერვულ დაბოლოებებზე არსებულ მუსკარინულ რეცეპტორებთან და თრგუნავს მათი მიერ ნეიროტრანსმიტერების გამოყოფას. ამ მექანიზმით, აცეტილქოლინის გამოსთავისუფლება და მოციკულირე მუსკარინული ავანისტები არაპირდაპირი გზით ცვლიან ორგანიზმში ფუნქციას, ახდენენ რა პარასიმპათიკური და სიმპათიკური

**ACTION CHIEFLY MUSCARINIC**




**Muscarine**


**ACTION CHIEFLY NICOTINIC**



**Nicotine**



**Pilocarpine**



**Lobeline**

სურათი 1-ა. იოგიერთი ქოლინომიმეტიკური ალკალოიდის სტრუქტურა.

ნერვული სისტემის, და შესაძლოა აგრეთვე არა-ადრენერგული, არაქოლინერგული სისტემების (NANC), ეფექტების მოდულირებას. როგორც მ-ს თავში იყო განხილული, მუსკარინული რეცეპტორების ქვეგაიპები შესწავლილია მათი შეკავშირების უნარის მიხედვით და კლასიფიცირებულია. მუსკარინული რეცეპტორების გააქტივებისას ადგილი აქვს სხვადასხვა უჯრედულ ეფექტს, რომელთაგან ერთი ან რამოდენიმე შეიძლება ასრულებდეს მუსკარინული პროცესებისათვის აუცილებელი მეორადი მესენჯერის ფუნქციას. ყველა მუსკარინული რეცეპტორი G-ცილასთან არის შეწყვილებული (იხ. თავი 2 და ცხრილი 7-1). მუსკარინულ ავონისგან რეცეპტორის შეკავშირება გააქტივებს ინოზიტოლ ტრიფოსფატს (IP<sub>3</sub>) და დიაცილგლიცეროლის (DAG) კასკადს. ზოგიერთი მტკიცებულების მიხედვით, DAG-ის მეშვეობით იხსნება გლუვი კუნთის კალციუმის არხები, IP<sub>3</sub> კი ხელს უწყობს ენდოპლაზმური და სარკოპლაზმური რეჯიკულუმებიდან კალციუმის გამონთავისუფლებას. მუსკარინული ავონისგან მრდიან აგრეთვე უჯრედშიდა cGMP-ის კონსენსტრაციას. მუსკარინული რეცეპტორების გააქტივება ზრდის გულის უჯრედების მემბრანებში კალიუმის შეღინებას და ამცირებს ამ პროცესს განვლილებსა და გლუვი კუნთის უჯრედებში. ეს ეფექტი

განპირობებულია გააქტივებული G-ცილის უშუალო შეკავშირებით არხთან. ღან ბოლოს, ზოგიერთ ქსოვილის (მაგ. გულში, ნაწლავებში) მუსკარინული რეცეპტორების გააქტივება თრგუნავს ადენილილ ციკლაზას აქტივობას. უფრო მეტიც, მუსკარინული რეცეპტორები ასუსტებენ ადენილილ ციკლაზას გააქტივებას და ხელს უწყობენ cAMP-ს დონის ჰორმონდამოკიდებულ (მაგ. კარქოლამინებით) გაზრდას. cAMP წარმოქმნაზე ეს მუსკარინული გემოქმედება ამცირებს ორგანოს საპასუხო ფიზიოლოგიურ რეაქციას მასტიმულირებულ ჰორმონებზე.

სამი ფაქტორის გამო ნიკოტინური რეცეპტორების გააქტივების მექანიზმი დეტალურად არის შესწავლილი: (1) ელექტრული თევზების ელექტრულ ორგანიზებში რეცეპტორების ძალიან დიდი რაოდენობით არსებობის გამო; (2) ზოგიერთი გველის შხამის კომპონენტი ალფა-ბუნგაროტოქსინი მჭიდროდ ებმის რეცეპტორს და იზოლირების პროცედურისთვის ადვილად მოსაწინააღმდეგებელი გვეყვანიება; და (3) რეცეპტორის გააქტივება იწვევს მონაწილე უჯრედების ადვილად განსაზღვრად ელექტრულ და იონურ ცვლილებებს. კუნთის ქსოვილში არსებული ნიკოტინური რეცეპტორი წარმოადგენს ოთხი გიპის გლიკოპროტეინული სუბერთეულისაგან შემდგარ პენტამერს (ერთ-ერთი მონომერი ორჯერ მეორდება), რომლის საერთო მოლეკულური წონა დაახლოებით 250000-ია (იხ. სურათი 2-9). ნეიტრონების ნიკოტინური რეცეპტორი მხოლოდ ალფა და ბეტა სუბერთეულებისაგან (იხ. ცხრილი 7-1) შედგება. თითოეულ სუბერთეულს ოთხი გრანსმემბრანული სეგმენტი გააჩნია. თითოეულ ალფა-სუბერთეულს აქვს რეცეპტორის ადგილი, რომელიც ნიკოტინური ავონისგან ოკუპაციის შემთხვევაში იწვევს ცილის კონფორმაციულ ცვლილებას (არხის გახსნას), რაც ნაგრეთუმისა და კალციუმის იონების კონცენტრაციის გრადიენტის მიმართულებით იოლად ლიფუნდირების საშუალებას აძლევს. ავონისგან მოლეკულის შეკავშირება ორი ალფა-სუბერთეულიდან მხოლოდ ერთ-ერთ რეცეპტორულ უბანთან უმნიშვნელოდ

ცხრილი 7-2. ქოლინის ეთერების თვისებები

ქოლინის ეთერი	ქოლინესთერაზას მიმართ მგრანობელობა	მუსკარინული მოქმედება	ნიკოტინური მოქმედება
აქეტილქოლინის ქლორიდი	++++	+++	+++
მეთაქილინის ქლორიდი	+	++++	არ გააჩნია
კარბაქილის ქლორიდი	უმნიშვნელო	++	+++
ბუთაქილის ქლორიდი	უმნიშვნელო	++	არ გააჩნია



ზრდის არხის გახსნის შესაძლებლობას; ავონისგის ორივე რეცეპტორულ უბანთან ერთდროული შეკავშირება კი მნიშვნელოვნად ზრდის არხის გახსნის ალბათობას. ნიკოტინური რეცეპტორის გააქტივება იწვევს ნერვული უჯრედის ან ნერვულ-თოვანის საბოლოო ფირფიტის მემბრანის დეპოლარიზაციას.

ავონისგის მიერ ნიკოტინური რეცეპტორის ხანგრძლივი დაკავება წვევს რეცეპტორულ რეაქციას; ანუ, პოსტგანგლიური ნერვისი წვევს იმპულსების გადმოსროლას (განგლიური ეფექტი) და ჩონჩხის კუნთი აღწდება (ნერვულ-თოვანის საბოლოო ფირფიტის ეფექტი). გარდა ამისა, ნიკოტინური ავონისგის მუდმივი არსებობა ხელს უშლის პოსტსინაფსური მემბრანის ელექტრულ აღდგენას. ამრიგად, ვითარდება „დეპოლარიზაციული ბლოკადა“, რომელიც ხევა ავონისგით აღდგენას არ ექვემდებარება. როგორც ქვემოთაა აღნიშნული, ეს ეფექტი შეიძლება გამოიყენებულ იქნას კუნთების დამბლის გამოსაწვევად.

**ეფექტები ორბანოთა სისტემაზე**

პარასიმპათიკური ნერვული სისტემის სტიმულირების ეფექტებისა (იხ. ცხრილი 6-3) და მუსკარინული რეცეპტორების განაწილების ცოდნის საფუძველზე აღვიღია მუსკარინული ქოლინომიმეტიკური საშუალებების ორგანოთა სისტემებზე გეგავლენის ეფექტების წინასწარ განსაზღვრა. გიპირი ნივთიერების, აცეტილქოლინის, ეფექტები მოცემულია ცხრილში 7-3. ამის მსგავსად, აცეტილქოლინის განვლების და ჩონჩხის კუნთების საბოლოო ფირფიტის ფიზიოლოგიის მიხედვით განისაზღვრება ნიკოტინური ავონისგების ეფექტებიც.

**თვალი**

კონიუქტივიურ პირკში მოთავსებული მუსკარინული ავონისგები იწვევენ ფერადი გარსის სფინქტერის გლუვი კუნთის (მიოზი) და წამწამოევი კუნთის (აკომოდაციის სპაზმი) შეკუმშვას, რის შედეგადაც ფერადი გარსი შორდება წინა საკნის კუთხეს და წამწამოევი კუნთის ფუტებზე მდებარე გრადიკულური ბაღე იხსნება. ორივე ეფექტი ხელს უწყობს თვალის ნაშის გამოღინებას წინა საკნის საღერნაყო მღების არხში.

**გულ-სისხლძარღვთა სისტემა**

გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მუსკარინული ავონისგის უშუალო ეფექტია პერიფერული სისხლძარღვების წინააღმდეგობის შემცირება და გულსისხლის სისხლის ცვალებები. ცხრილში 7-3 ჩამოთვლილია პირდაპირი ეფექტები მოდიფიცირდება პომეოსტაბური რეფლექსების მეშვეობით, რაც განხილული იყო თავში 6 და ნახევრები სურათზე 6-7. აღნიშნისათვის აცეტილქოლინის მინიმალური ეფექტური დოზის ექნაში შეეყვანა (მაგ., 20-50 მკგ/წი) იწვევს ვაზოდილატაციას, რასაც მოჰყვება სისხლის არტერიულ წნევის შემცირება და ხშირად, გულსისხლძარღვთა სისხლის რეფლექსური გაზრდა. აცეტილქოლინის უფრო დიდი დოზა იწვევს პიპოტენზიას, ბრადიკარდიასა და აგრიო-ვენტრიკულური კვანძის გამგარობის დაქვეითებას.

მუსკარინის მსგავსი ნივთიერებების (მუსკარინული სტიმულატორების) პირდაპირი მოქმედება გულზე მოიცავს: (1) კალიუმის ნაკადის გაზრდას ( $I_{K1}$ ) წინაგულების კუნთთან უჯრედში, აგრეთვე სინოატორული და აგრიოვენტრიკულური კვანძების უჯრედებში; (2) კალიუმის ნედი ნაკადის ( $I_{Ca}$ ) შეღებების შემცირებას გულის უჯრედებში; და (3) დიასტოლური დეპოლარიზაციის გამომწვევი პიპოტენზიით აქტივირებული ნაკადის ( $I_{Ca}$ ) შემცირებას. ყველა ეს მოქმედება  $M_2$  ქოლინორეცეპტორებით არის მართავადი და მამართავია რითმის წამყვანის სიქარის შენელებისაკენ. ეფექტები (1) და (2) იწვევენ პიპ-


ცხრილი 7-3.  
პირდაპირი მოქმედების ქოლინორეცეპტორების მასტიმულირებელი საშუალებების ეფექტები. მხოლოდ პირდაპირი ეფექტებია მოცემული; შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს აგრეთვე ამ პირდაპირი ეფექტების საპასუხო პომეოსტაბური რეაქციები (იხ. გვერდი).

ორბანო	საპასუხო რეაქცია
თვალი	
ფერადი გარსის სფინქტერი	შეკუმშვა (მიოზი)
წამწამოევი კუნთი	შეკუმშვა, მზღველობის უკუხსნება ახლომდებარე საგანზე
გული	
სინოატორული კვანძი	გულისცემის სიხშირის გათვითობა (უარყოფითი ქრონოტროპული ეფექტი)
წინაგულები	კუმშვადობის დაქვეითება (უარყოფითი ისოტროპული ეფექტი). რეფრაქტორული პერიოდის შემცირება
აგრიოვენტრიკულური კვანძი	გამგარობის შენელება (უარყოფითი დროსტროპული ეფექტი). რეფრაქტორული პერიოდის გაზრდა.
პირკუჭები	კუმშვადობის უმნიშვნელო დაქვეითება
სისხლძარღვები	
არტერიები	დილატაცია (EDRF-ის მეშვეობით) შეკუმშვა (მაღალი დოზის პირდაპირი ეფექტი)
ვენები	დილატაცია (EDRF-ის მეშვეობით) შეკუმშვა (მაღალი დოზის პირდაპირი ეფექტი)
უსტეები	
ბრონქული კუნთები	შეკუმშვა (ბრონქოკონსტრიქცია)
ბრონქული ჯირკვლები	სტიმულირება
კვკ-საწლავის ტრაქტი	
პერისტალტიკა	გამრდა
სფინქტერები	მოდუნება
სეკრეცია	სტიმულირება
შარდის ბუშტი	
ღერგობრი	შეკუმშვა
სამკეთობა და სფინქტერი	მოდუნება
ჯირკვლები	
საოფლე, სახერწყვე, საცრემლე, ცხვირ-ხახის	სეკრეცია


ეროლარიზების და ამცირებენ წინაგულების უჯრედების კუმშვადობას. სავარაუდოდ, კარბაქოლი ვერ ორგენაჟს სინოატორული კვანძის სიქარეს იმ ცხოველებში, რომელთაც შუგადაც შეეცვლილი  $M_2$  რეცეპტორები აღნიშნებათ.

ხშირად, მუსკარინული ავონისგების პირდაპირი გეგავლენით განპირობებული სინოატორული სიქარისა და აგრიოვენტრიკულური გამგარობის შენელებას წინააღმდეგობას უწყვეს არტერიული წნევის დაქვეითებით განპირობებული სიმპათიკური რეფლექსური იმპულსების გადმოცემა. ეს სიმპათიკური-პარასიმპათიკური გამაწონისწორებელი ურთიერთქმედება საკმაოდ რიული პროცესია სიმპათიკური გეგავლენის მუსკარინული მოდულირების გამო, რაც სორეპინფორინის გამონათავსულების დათრგუნვასა და პოსტსინაფსურ უჯრედული ეფექტების მუსკარინული მდგომარეობს. პოსტგანგლიურ პარასიმპათიკურ ნერვულ დაბოლოებებზე არსებული მუსკარინული რეცეპტორები

Unrubbed



Rubbed



სურათი 7-4.

აცეტილქოლინის მიერ ენდოთელიუმის უჯრედის მუსკარინული რეცეპტორის გააქტივება გამოანთავისუფლებს ენდოთელიუმიდან გამოყოფილ რელაქსაციის ფაქტორს (აზოტის ოქსიდი) (EDRF [NO]), რომელიც იწვევს სორეპინეფრინის ზეგავლენით შეკუმშული სისხლძარღვის გლუვი კუნთის მოღუნებას. ენდოთელიუმის მოცილებისას მისი ჩამოფხეკის შედეგად ქრება ენდოთელიაგაციური ეფექტი და ვლინდება შეკუმშვა, რაც განპირობებულია აცეტილქოლინის უშუალო ზემოქმედებით სისხლძარღვის გლუვი კუნთზე. (NA – ნორადრენალინი [სორეპინეფრინი]; ACh – აცეტილქოლინი. ციფრებით აღნიშნულია მოცემულ დროში არსებული ლოგარითმული კონცენტრაციები.)

საშუალებას აძლევს სერული დაბოლოებებიდან გამოინთავისუფლებულ აცეტილქოლინს დათრგუნოს საკუთარი სეკრეცია. ნეირონული მუსკარინული რეცეპტორები არ არიან აუცილებლად ერთი და იმავე ქვეტიპის, როგორც ამას ადგილი აქვს ეფექტორულ უჯრედებში. ამიტომ, გულისცემის სისწორებზე საბოლოო ეფექტი დამოკიდებულია გულსა და სისხლძარღვებში აგონისტის ადგილობრივ კონცენტრაციასა და რეგულაციური საპასუხო რეაქციის დონეზე.

პარაკეტების პარასიმპათიკური ინერვაცია, წინაგულბითან შედარებით, ბევრად უფრო ნაკლებად არის გამოხატული; პარაკეტების მუსკარინული რეცეპტორების გააქტივება, წინაგულბითან შედარებით, იწვევს გაცილებით ნაკლებ ფიზიოლოგიურ ეფექტებს. თუმცა, სიმპათიკური სტიმულირების ფონზე მუსკარინული აგონისტების ეფექტები პარაკეტების ფუნქციაზე საკმარისად აშკარად იკვეთება, რაც სიმპათიკური ეფექტების მუსკარინულ მოდულირებასთან არის დაკავშირებული (ე.წ. „აქციენტრირებული ანტაგონიზმი“).

ინტაქტურ ორგანიზმში მუსკარინული აგონისტები იწვევენ მკვეთრ ეაზოლიაგაციას. თუმცა, იზოლირებულ სისხლძარღვებზე ამ ნივთიერებების მოქმედების ადრეული კვლევების მიხედვით, გლუვი კუნთის შეკუმშვას ჰქონდა ადგილი. ამჟამად ცნობილია, რომ აცეტილქოლინი დაუზიანებელი ენდოთელიუმის არსებობის პირობებში იწვევს ეაზოლიაგაციას (სურათი 7-4). ენდოთელიუმის უჯრედებიდან მუსკარინული აგონისტები ანთავისუფლებენ ენდოთელიუმის რელაქსაციის ფაქტორს (EDRF), რომელიც გლუვი კუნთის მოღუნებას განაპირობებს. მთლიანობა შენარჩუნებული ენდოთელიუმის პირობებში მუსკარინული აგონისტები იწვევენ იზოლირებული სისხლძარღვების გაფართოებას, რასაც ადგილი აქვს ინტაქტურ ორგანიზმში. EDRF აზოტის ოქსიდი (NO). ეს ნივთიერება ააქტივებს გუანილილ ციკლაზს და ზრდის cGMP-ს დონეს გლუვი კუნთში, რაც რელაქსაციის მიზეზად გვევლინება (იხ. სურათი 12-2).

გულსისხლძარღვთა სისტემაზე ქოლინის ყველა ეთერი აცეტილქოლინის მსგავსად მოქმედებს. ძირითადი განსხვავება მღვობარეობს მოქმედების სიძლიერესა და ხანგრძლივობაში. მეთაქოლინი, კარბაქოლი და ბეთანიქოლი მღვობარეობის არიან აცეტილქოლინისებრივად მიმართ, ამიტომ მათი დაბალი დოზებით ვენაში შეყვანა აცეტილქოლინის მსგავსს მოქმედებას იწვევს აგრეთვე ამ სინთეზური ქოლინის ეთერების მოქმედება უფრო ხანგრძლივია. აცეტილქოლინის მოქმედების მსგავსია აგრეთვე ქოლინომიმეტიკური ბუნებრივი ალკალოიდებისა და მათი უმრავ-

ლები სინთეზური ანალოგის ეფექტები გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

ქოლსურ ეთერებს შორის პილოკარპინი საინტერესო გამოჩნდება. ვენაში შეყვანის შემთხვევაში (ექსპერიმენტულ ცდამი) მან შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერტენზია, თაღდაპირული ხანმოკლე ჰიპოტენზიური რეაქციის შემდეგ ხანგრძლივი ჰიპერტენზიული ეფექტი შეიძლება ახსნილი იქნას სიმპათიკური განგლიური იმპულსაციით, რაც პოსტგანგლიური უჯრედული მემბრანის  $M_1$  რეცეპტორების გააქტივებასთან,  $K^+$  არხების დახურვასა და ნელი ამგზვები (დეპოლარიზაციის) პოსტსინაფსური პოტენციალების აღქმასთან არის დაკავშირებული. ანტიმუსკარინული საშუალება აგროპინი იწვევს როგორც ამ მოქმედების, ისე ჰიპოტენზიური ეფექტის დათრგუნვას.

სახუნთო სისტემა

მუსკარინული აგონისტები იწვევენ ბრონქული ხის გლუვი კუნთების შეკუმშვას. გარდა ამისა, ისინი ასტიმულირებენ გრაქიკობრონქული ლორწოვანის ჯირკვლების სეკრეციას. ეფექტების ამ კომბინაციამ ზოგჯერ შეიძლება არასასურველი სამპტომების გამოვლენა გამოიწვიოს, განსაკუთრებით ასთმის მქონე პაციენტებში.

კუჭ-ნაწლავის გრაქტი

მუსკარინული აგონისტები იწვევენ ნაწლავების სეკრეტორული და მოტორული აქტივობის, პარასიმპათიკური სერეული სისტემის აგზნების მსგავს, გაზრდას. ძლიერი მათი გავლენა ხანერწვე და კუჭის ჯირკვლებზე, უფრო ნაკლები პანკრეასისა და წვრილი ნაწლავების ჯირკვლებზე. პერისტალტიკა იზრდება ნაწლავების მიერ სივრცეზე, სფინქტერების უძრაველობა დუნდება. ამ ორგანოთა სისტემის შეკუმშვის გაძლიერება მოიცავს გლუვი კუნთების უჯრედების მემბრანების დეპოლარიზაციას და კალციუმის შეღწევის გაზრდას. მუგანტურ თაგვებში, რომელთაც არ გააჩნიათ  $M_2$  და  $M_3$  რეცეპტორები, მუსკარინული აგონისტები არ იწვევენ თუქოს ნაწლავის შეკუმშვას.  $M_3$  რეცეპტორი საჭიროა გლუვი კუნთის შეკუმშვის პირდაპირი გააქტივებისათვის, ხოლო  $M_2$  რეცეპტორი ამცირებს cAMP-ს წარმოქმნას და სიმპათომიმეტიკური საშუალებებით გამოწვეულ მოღუნებას.

*შარღ-სახეხი სისტემა*

მუსკარინული აგონისტები იწვევენ შარღის ბუშის ლერე-  
ბორი კუნთის შეკუმშვას და სამკუთხა და სფინქტერიული კუნ-  
თების მოღუნებას, რაც ხელს უწყობს შარღის პროცესს. M<sub>2</sub> და  
M<sub>3</sub> ქოლინორეცეპტორები შარღის ბუშში იგივე ფუნქციას ას-  
რულებენ, რასაც ნაწლავის გლუვ კუნთში. მუსკარინული აგო-  
ნისტების მიმართ აღამაინის სამედიცინო დაბალი მგრძობი-  
ლობით ხასიათდება.

*სხედასხვა სერეგორული ჯირკვლები*

მუსკარინული აგონისტები აძლიერებენ თერმორეგულა-  
ტორული საოფლე, აგრეთვე ხაერემლე და ცხვირ-ხახის ჯირკვ-  
ლების სერეციას.

*ცენტრალური ნერეული სისტემა*

ცნს-ში უხელებით როგორც მუსკარინულ, ასევე ნიკოტინურ  
რეცეპტორებს. ამასთანავე, თავის გვინს განსაკუთრებით მდ-  
დარია მუსკარინული უხეებით, ხოლო ზურვის გვინს კი უხირაგე-  
სად ნიკოტინურ უხეებს შეიცავს. ამ რეცეპტორების უხ-  
ილოგიური როლი 21-ე თავშია განხილულია.

ცნს-ში მუსკარინული რეცეპტორების ფუნქცია დადასტურე-  
ბულ იქნა ექსპერიმენტულად რეცეპტორების არმქონე (ნიკაუ-  
ტრინული) თავეებზე. ჰომოზიგოტურად მუტირებული M<sub>2</sub> რეცეპ-  
ტორების მქონე თავეებში სინთეზური მუსკარინული აგონისტი,  
ოქსოტრემორინი, ვერ ავლენდა თავის ზემოქმედებას ცნს-ზე  
(გრემორი,პიპოთერმია და ანტინოციეპტიური მოქმედება). M<sub>3</sub>,  
რეცეპტორების (განსაკუთრებით პიპოთერმის) არმქონე  
ცხოველებში აღინიშნებოდა შადის დაქეითება და სხეულის  
ცხიმოვანი მასის შემცირება. M<sub>1</sub> რეცეპტორების გამოთიშვა ი-  
ლეოდა სხედასხვა ცელილებებს პერიფერულ და ცენტრალურ  
ნერეულ სისტემაში: M<sub>1</sub> მუტაციურ თავეებში ოქსოტრემორინი  
ველარ თრეუნადა M ნაკალს სიმპათიკურ განვლებში, ხოლო  
M<sub>2</sub> მუტაციურ თავეებში კი პილოკარპინი აღარ იწვევდა ეპ-  
ილეუსიურ გულყრებს.

მიუხედავად იმისა, რომ თავის გვინში ნიკოტინური რეცეპ-  
ტორების რაოდენობა, მუსკარინულ რეცეპტორებთან შედარე-  
ბით, მცირეა, ნიკოტინსა და ლობელისს (იხ. სურათი 7-3) მნიშ-  
ვნელოვანი ეფექტები გააჩნიათ გვინის ლეროსა და ქერქზე. ამ  
ეფექტებთან ეფელაზე კარგადაა ცნობილი თამბაქოს შესუნთქე-  
ლი კვამლიდან შეწოვილი ნიკოტინის მსუბუქი ამგზნები ზემო-  
ქმედება. მაღალი კონცენტრაციით, ნიკოტინი იწვევს გრემორს,  
ლებინებას და სუნთქვის ცენტრის აგზნებას. ნიკოტინის კიდევ  
უფრო მაღალი დონე იწვევს კრუნჩხვებს, რომელიც ფატალური  
კომით შეიძლება დასრულდეს. ნიკოტინის ინექციციდლად (მწე-  
რების საწინააღმდეგო საშუალებად) გამოყენება ეფექტურია ცნს-ზე  
მის ლეგალურ ზეგავლენასა და მისი ავლილად შეწოვის უხარს.

*პერიფერული ნერეული სისტემა*

ნიკოტინის სინაფსური მოქმედების მნიშვნელოვანი აღვ-  
ილი ავტონომური განვლიაა. სურათზე 7-3 მოცემული ნიკოტინ-  
ის მსგავსი ნივთიერებები იწვევენ ამ ნიკოტინური რეცეპტორე-  
ბის ძლიერ აგზნებას და პოსტგანვლიურ ნეირინებში მოქმედე-  
ბის პოტენციალების წარმოქმნას (იხ. სურათი 6-8). თვითონ ნი-  
კოტინი წინაწხის კუნთებთან შედარებით, ნეირინების ნიკოტინ-  
ური რეცეპტორების მიმართ უფრო მკვად აფისურია. იგი ერთ-  
ნაირად მოქმედებს როგორც პარასიმპათიკურ, ისე სიმპათიკურ  
განვლებზე. ამიტომ, მასზე საწყისი რეაქცია წაბაგავს პარასიმ-  
პათიკური და სიმპათიკური ნერეული სისტემის ერთდროულ  
იმპულსაციას. გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ნიკოტინის ეფექ-  
ტი უხირაგესად სიმპათიკურია. ნიკოტინის პარენეტრული

ინექციისას ვითარდება შესამჩნევი პიპერტენზია; სიმპათიკური  
გაქიკარდია მონაცვლებს ციომილი ნერეის იმპულსებით  
გამოწვეულ ბრადიკარდიასთან. კეჟ-ნაწლავსა და სამარღე  
სისტემაზე ეფექტი უხირაგესად პარასიმპათიკურია: ხშირ-  
ად აღინიშნება გულსრევა, ლებინება და შარღე. ხანგრძლივი  
ზემოქმედება იწვევს განვლების დეოლარობიციულ ბლოკა-  
დას.


ნეირონული ნიკოტინური რეცეპტორები (ქემორეცეპტორე-  
ბი) ლოკალიზებული არიან სენსორულ ნერეულ დაბოლოებე-  
ბზე. განსაკუთრებით კორინარული არტერიების, აგრეთვე კა-  
როტიდული და აორტული სხეულების აფერენტულ ნერეებზე და  
აორტული სხეულების გორგლოვან უჯრედებში. ნიკოტინური  
აგონისტებით ამ ნერეული დაბოლოებების რეცეპტორების აგ-  
ზნება და მუსკარინული აგონისტებით გორგლოვანი უჯრედე-  
ბის მუსკარინული რეცეპტორების გააქციება იწვევს როულ შედუ-  
ლარულ (მოვრძო გვინისეულ) რეაქციებს, სუნთქვის დარღვევი-  
თა და ციომილი ნერეის გააქციებით.

*ნერე-კუნთოვანი შეერთების ავტილები*


ნერე-კუნთოვანი საბოლოო ფირფიტის აპარატზე ლოკალი-  
ზებული ნიკოტინური რეცეპტორები ჰვანანს ავტონომური ნერ-  
ეული განვლების რეცეპტორებს, თუმცა მათი იდენტურნი არ  
არიან (იხ. ცხრილი 7-1). ნიკოტინური რეცეპტორის ორივე ტიპი  
რეაგირებს აცეტილქოლისსა და ნიკოტინზე (თუმცა, როგორც  
განხილულია მე-8 თავში, ნიკოტინური ბლოკატორების მიმართ  
სტრუქტურული მთიხონებით ისინი ერთმანეთისგან განსხ-  
ვავლებიან). ნიკოტინური აგონისტი უშუალო ზეგავლენის შედუ-  
ვად (თონტოფორები ან ინტრა-არტერიული ინექცია) ავტილი  
აქვს საბოლოო ფირფიტის დაუყოვნებელ დეოლარობიციას, რაც  
ნაგრეობსა და კალეუმის იონების განვალადობის გაზრდით არის  
განირობებული. საბოლოო ფირფიტის დეოლარობიციის სინ-  
ქრონიზაციის მიხედვით, შეკუმშვის რეაქცია მერეკობს  
დამოუკიდებელი მოგორული ერთეულების უწერტიო ფასციკუ-  
ლაციებიდან – მთელი კუნთის ძლიერ შეკუმშვამდე. მაღეპო-  
ლარიზებული, ნიკოტინის მსგავსი ნივთიერებები, რომლებიც  
სწრაფად არ ჰიდროლიზებიან (მაგ. თვისონ ნიკოტინი), იწვევენ  
დეოლარობიციული ბლოკადის სწრაფ განვითარებას, რომელ-  
იც რეოლარიზების შესევეც კი შესარუნებულია (განხილულია  
მე-8 და 27-ე თავებში). წინაწხის კუნთების შემთხვევაში ეს ბლო-  
კი მსუბუქი დამბლის სახით ელენდება.

**პარაპირლაპირი ქოლინომიმეტიური  
საშუალებების ბაზისური  
ფარმაკოლოგია**


ავტონომური და სომატური მოგორული ნერეებიდან გამონ-  
თავისუფლებული აცეტილქოლისის მოქმედება მოლეკულის  
ფერმენტული ჰიდროლიზით მიაერდება. ჰიდროლიზი ფერმენტ  
აცეტილქოლისესთერაზას მემეობით ხორციელდება, რომელიც  
მაღალი კონცენტრაციით არის ქოლსერგულ სინაფსებში. არა-  
პირლაპირი მოქმედების ქოლსინომიმეტიური საშუალებები მო-  
ქმედებენ ამ ფერმენტის აქტიურ უბანზე, თუმცა ზოგიერთ მათ-  
განს ნიკოტინურ რეცეპტორებზე პირლაპირი მოქმედებაც ახას-  
იათებს. ჯგუფის სხედასხვა წარმომადგენელი ერთმანეთისა-  
გან მართადალ ქიმურად და ფარმაკოკინეტიკურად განსხვავდუ-  
ბა, მათი ფარმაკოდინამიკური თვისებები კი თითქმის იდენტურია.




Neostigmine



Carbaryl



Physostigmine



Edrophonium

სურათი 7-5.

ქოლინესთერაზას ინჰიბიტორები. ნეოსტიგმინი ეთერების გიპიური მაგალითია და შედგება კარბამის მკაფესა ([1]) და მეთიხეული ამონიუმის ჯგუფის შემცველი ფენოლისაგან ([2]). ბუნებრივი კარბამაგი ფიზოსტიგმინი მესამეული ამინია. ედროფონიუმი ეთერი არ არის. მაგრამ ებმის ფერმენტის აქტიურ უბანს.

ქიმიური აგებულება და ფარმაკოკინეტიკა

სტრუქტურა

ქოლინესთერაზას მაინჰიბიტორები საშუალებები სამ ქიმიურ ჯგუფად იყოფა: (1) მეთიხეული ამონიუმის ჯგუფის შემცველი მარტივი ალკოჰოლები, მაგ, ედროფონიუმი; (2) ალკოჰოლების კარბამის მკაფეს ეთერები, რომელიც აქვთ მეთიხეული ან მესამეული ამონიუმის ჯგუფები (კარბამაგები, მაგ, ნეოსტიგმინი); და (3) ფოსფორმკაფეს ორგანული ნაწარმები (ორგანოფოსფაგები, მაგ, ექოთიოფაგი). პირველი ორი ჯგუფის მაგალითები მოცემულია სურათზე 7-5. მედიცინაში გამოიყენებულნი სინთეზური, მეთიხეული ამონიუმის შემცველი ნივთიერებებია ედროფონიუმი, ნეოსტიგმინი და პირილდოსტიგმინი. კლინიკურ პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე ცხიმში კარგად ხსნადი ბუნებრივი მესამეული ამინი ფიზოსტიგმინი (ეზერინი). მწერების საწინააღმდეგო (ინსექტიციდების) კარბამაგური საშუალებები, ცხიმში მაღალი ხსნადობის გამო, სწრაფად აბსორბირდებიან და ადვილად აღწევენ მწერის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. კარბარული ამ დიდი ჯგუფის გიპიური წარმომადგენელია.

50000 ორგანოფოსფაგური ნივთიერებიდან რამოლენიმე ნაჩვენებია სურათზე 7-6. მრავალი ორგანოფოსფაგი (ექოთიოფაგი გამონაკლისს წარმოადგენს) ცხიმში კარგად ხსნადი სითხეებია. თიოქოლინის ნაწარმი ექოთიოფაგი კლინიკურად საინტერესოა, რადგან ის ინარჩუნებს სხვა ორგანოფოსფაგების მოქმედებას ძალიან ხანგრძლივად, მაგრამ მათთან შედარებით წყალხსნარებში უფრო სტაბილურია. ზომანი ძალიან ძლიერი „ნერვული აირია“. თიოფოსფაგური პროქამლები პარათიონი და მალათიონი არ არიან აქტიურნი, მაგრამ ცხოველებსა და მცენარეებში ისინი გარდაიქმნიან ფოსფაგურ ნაწარმებად, ამიტომ ინსექტიციდების სახით გამოიყენებიან.


აბსორბცია, ბანაწილება და მეტაბოლიზმი

მეთიხეული კარბამაგების აბსორბცია კონიუქტივიდან, კანიდან და ფილგვებიდან მწირია. რადგან მუდმივი მუხგის გამო ისინი ცხიმში შეღარებით უხსნადი არიან. ამრიგად, ორალურად მიღებისას მათი გაცილებით მაღალი დოზებია საჭირო, ეიდრე პარენტერულად გამოიყენებისას. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მათი განაწილება უმნიშვნელოა. ამისაგან განსხვავებით, შეყვანის ნებისმიერი ადგილიდან ფიზოსტიგმინი კარგად შეიწოვება და შეიძლება მისი თვალში ადგილობრივად გამოიყენება (იხ. ცხრილი 7-4). ის ნაწილდება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და პოლარულ მეთიხეულ კარბამაგებთან შედარებით ვაცილებით უფრო გოქსიკურია. წყალხსნარებში კარბამაგები შეღარებით სტაბილურნი არიან, მაგრამ ორგანიზმში ისინი ისევე მეტაბოლიზდებიან ორგანიზმის არასპეციფიკური ესთერაზებით, როგორც ქოლინესთერაზით. თუცა, აღსანიშნავია, რომ მათი ეფექტის ხანგრძლივობა უფრო მეტად ინჰიბიტორ-ფერმენტული კომპლექსის სტაბილურობაზე დამოკიდებული (იხ. მოქმედების მექანიზმი, ქვემოთ), და არა მეტაბოლიზმა ან ექსკრეციამზე.

ორგანოფოსფაგური ქოლინესთერაზას ინჰიბიტორები (ექოთიოფაგის გარდა) კარგად შეიწოვებიან კანიდან, ფილგვებიდან, ნაწლავებიდან და კონიუქტივიდან, ამიტომ მათი გამოყენება საშიშია ადამიანებში. თუცა ისინი ეფექტურ ინსექტიციდებად გვექვლინებიან. კარბამაგებთან შედარებით, ისინი წყალში გახსნისას შეღარებით არაგაბილურნი არიან და ამიტომ გარემოში მათი ნახეარდაშლის პერიოდი შეზღუდულია (ინსექტიციდების სხვა ძირითად კლასებთან, ჰალოგენირებულ ნახშირწყალბადებთან,მაგ, DDT-სთან შედარებით). ექოთიოფაგი ძლიერ პოლარულია და სხვა ორგანოფოსფაგებთან შედარებით უფრო სტაბილურია.

ოფთალმოლოგიურად გამოიყენებულ წყალხსნარში ის კვირების მანძილზე ინარჩუნებს აქტიუობას.





სურათი 7-6.

ზოგიერთი ორგანოფოსფატური ქოლინესთერაზას ინჰიბიტორის სტრუქტურა. წყვეტილი საბით ნაჩვენებია კავშირი, რომელიც ფერმენტთან შეკავშირებისას შიდაოლიმბდება. მალათიონის მოლეკულაში ჩრდილით გამოყოფილი ეთერული ბმები ძუძუმწოვრებსა და ფრინველებში მოლეკულის დეტოქსიფიკაციის ადგილებს წარმოადგენს.

თიოფოსფატური ინსექციციდები (პარათიონი, მალათიონი და მსგავსი ნაერთები) საკმაოდ კარგად იხსნებიან ცხიმში და შეკვების ნებისმიერი ადგილიდან სწრაფად იწოვებიან. აქტიუბის შესაძენად ისინი უნდა გარდაიქმნენ ქანგბადის ანალოვად (სურათი 7-6), ეს პროცესი შიმდინარეობს როგორც მწერებში, ისე ხერხემლიანებში. მალათიონი და რამდენიმე სხვა ორგანოფოსფატური ინსექციციდი არააქტიურ პროდუქტებად სხვა გზებითაც სწრაფად შეტავბოლიმბდება, ამიტომ ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში ხდება მათი ინაქტივაცია, მწერებში კი ამას ადგილი არ აქვს; ეს ნივთიერებები საკმაოდ უსაფრთხოა ადამიანებისათვის, ამიტომ საზოვადოებისათვის ხელმისაწვდომია. სამწუხაროდ, თევზებს არა აქვთ მალათიონის დეტოქსიფიკაციის უნარი, ამიტომ წყალსაცავებში, ან მათ მახლობლად, ამ ნივთიერების ჭარბი გამოყენებისას თევზების მნიშვნელოვანი რაოდენობა იღუპება. პარათიონის დეტოქსიფიკაცია ხერხემლიანებში მარტივად არ ხდება; ამრიგად, ადამიანებისთვის და მინაური ცხოველებისთვის ის უფრო საშიშია, ვიდრე მალათიონი, ამიტომ იგი თავისუფალი გამოყენებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

ექოთიოფატის გარდა, ყველა ორგანოფოსფატური ნივთიერება კარგად ნაწილდება სხეულის ყველა უბანში, მათ შორის ცნს-შიც. ამიტომ ცნს-ზე ტოქსიკური გემოქმედება ამ ნივთიერებებით მოწამელის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

**ფარმაკოლინამიკა**

**მოქმედების მექანიზმი**

ანტიქოლინესთერაზული საწუკლებების პირველად სამიმნეს ფერმენტი აცეტილქოლინესთერაზა წარმოადგენს. თუმცა ისინი ასევე თრგუნავენ ბუტირილქოლინესთერაზასაც. აცეტილქოლინესთერაზა ძლიერ აქტიური ფერმენტია. პირველ კატალიზურ საფეხურზე აცეტილქოლინი ებმის ფერმენტის აქტიურ უბანს და ჰიდროლიმბდება ქოლინისა და აცეტილარებულ ფერმენტის წარმოქმნით. მეორე საფეხურზე წვლის დამ-

აგებით (ჰიდრაცია) აცეტილფერმენტის კოვალენტური ბმა იხლსება. მთლიანად ეს პროცესი დაახლოებით 150 მილიწამის განმავლობაში შიმდინარეობს.

აცეტილქოლინესთერაზას ყველა ინჰიბიტორი, თრგუნავს რა აცეტილქოლინესთერაზას, ზრდის ქოლინორეცეპტორებთან ენდოგენური აცეტილქოლინის კონცენტრაციას. თუმცა, ფერმენტთან ურთიერთქმედების მოლეკულური დეტალური მექანიზმები ზემოთ აღწერილ სამ სხვადასხვა ქიმიურ ქვეჯგუფს განსხვავებული აქვს.

პირველი ჯგუფი, რომლის ძირითადი წარმოადგენელი ედროფონიუმია, მეოთხეული ალკოპოლებსაგან შედგება. ეს ნივთიერებები შექცევადი ელექტროსტატური და წყალბადური ბმებით უკავშირებიან აქტიურ უბანს. რითიც შეუძლებელს ხდიან ფერმენტთან აცეტილქოლინის შეკავშირებას. ფერმენტ-ინჰიბიტორის კომპლექსი არ წარმოადგენს კოვალენტურ ბმას და შესაბამისად ხანვრძლივი არ არის (დაახლოებით 2-10 წუთის ფარგლებში). მეორე ჯგუფი მოიცავს კარბამატულ ეთერებს, მაგ., ნეოსტიგმინსა და ფიზოსტიგმინს. ეს ნივთიერებები ექვემდებარებიან ორ საფეხურიან ჰიდროლიმს. რომელიც აცეტილქოლინის ჰიდროლიმის მსგავსი პროცესია. თუმცა კარბამოლირებულ ფერმენტის კოვალენტური ბმა გაცილებით უფრო მდგრადია მეორე პროცესის (ჰიდრაციის) შიმართ. შესაბამისად, ეს საფეხური ვახანგრძლივებულია (დაახლოებით 30 წუთისა და 6 საათამდე). მესამე ჯგუფი შედგება ორგანოფოსფატებისაგან. ეს ნივთიერებებიც განიცდიან ფერმენტთან საწყის შეკავშირებას შემდგომი ჰიდროლიმით. რის გამოც აქტიური ფოსფორილირებული უბნები წარმოიქმნება. კოვალენტური ფოსფორული ფერმენტული ბმა ძლიერ სტაბილურია და წყლით ძალიან ნელა ჰიდროლიმდება (ასეულობით საათის განმავლობაში). თავდაპირველ შეკავშირებისას-ჰიდროლიმის საფეხურის შემდეგ, შიმდინარეობს პროცესი. რაც ინჰიბიტორის ერთ-ერთი ქანგბად-ფოსფორული ბმის ვახლესაში მდგომარეობს. ამ პროცესს ფოსფორილირებული ფერმენტული კომპლექსის დაბერება ეწოლება და მის შედეგად ფოსფორ-ფერმენტის კავშირი კიდევ უფრო ძლიერდება. სხვადასხვა ორგანოფოსფატურ ნაერთის

დაბერების განსხვავებული სინქარე ახასიათებს. დაბერების პროცესის დაწყებამდე ძლიერი ნუკლეოფილის. პრალიდოქსიმის, მიღება იწვევს ფოსფორ-ფერმენტის კაქშირის გახლეჩას. ამიტომ ორგანოფოსფაგური ინსექციციდებით მოწამელისას „ქოლინესთერაზის რევენერაგორის“ პრალიდოქსიმის გამოყენება რეკომენდებული (იხ. თავი 8). დაბერების პროცესის დაწყების შემდეგ ფერმენტ-ინჰიბიტორის კომპლექსი კიდევ უფრო სტაბილური და მძლავრ გასახლეჩის ხდება (ოქსიმური რევენერაგორებითაც კი).

ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების მოქმედების ხანგრძლივობებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო, ზოგჯერ ორგანოფოსფაგურებს „შექცევად“ ინჰიბიტორებს უწოდებენ. ხოლო ედროფონიუმსა და კარბამაგებს კი „შექცევადებს“. მართალია ეს გერმინები ხშირად გამოიყენება, მაგრამ ამ სამი ჯგუფის მოქმედების მოლეკულური მექანიზმები ამგვარ გამარტივებულ განმარტებაში არ აისახება.

**ორბანოთა სისტემებზე მოქმედება**

ქოლინესთერაზას მაინჰიბიტორული საშუალებების ფარმაკოლოგიური მოქმედება ყველაზე მეტად ელანდება გულ-სისხლძარღვითა და კუჭ-ნაწლავის სისტემებზე, თეალსა და ჩონჩხის კუნთების ნერვ-კუნთოვანი შეერთების ადვალებზე. რამდენადაც მათი პირველადი მოქმედება ენდოგენური აცეტილქოლინის მოქმედების გაძლიერებაა. მათი ეფექტებიც პირდაპირი მოქმედების ქოლინომიმეტიკური ავონისტების მსგავსია (მაგრამ ყოველთვის არ არის ილენგური).

*ენგრალური ნერული სისტემა*

ცხიმში ხსნადი ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების დაბალი კონცენტრაცია იწვევს ელექტროენცეფალოგრამის აქტიუობის დიფუზურ გაძლიერებას და სუბიექტური ვანგინის მდგომარეობას. უფრო მაღალი კონცენტრაციით კი ისინი იწვევენ გენერალბებულ კრუნჩხვებს, რომელიც შეიძლება დასრულდეს კომით ან სუნთქვის გაჩერებით.

*თვალი, სასუნთქი სისტემა, კუჭ-ნაწლავის გრაქტი, საშარღ სისტემა*

ეს ორგანოთა სისტემები კარგად ინერვირდებიან პარასიმპათიკური ნერული სისტემით. ამიტომ ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების ეფექტები ხარისხობრივად პირდაპირი მოქმედების ქოლინომიმეტიკური საშუალებების მსგავსია (იხ. ცხრილი 7-3).

*გულ-სისხლძარღვითა სისტემა*

ქოლინესთერაზას ინჰიბიტორებს შეუძლიათ გულის მაინერვირებული როგორც სიმპათიკური, ისე პარასიმპათიკური ვანგელების აქტიუობის გაზრდა, აგრეთვე ქოლინერგული ინერვირების მქონე ნეიროეფექტორული უჯრედების (გულისა და სისხლძარღვითა გლეუი კუნთის) აცეტილქოლინური რეცეპტორების გააქტიუება.

გულში პერიფერული ნერული სისტემის პარასიმპათიკური ნაწილი დომინირებს. ამრიგად, ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების (ედროფონიუმი, ფიზოსტიგმინი ან ნეოსტიგმინი) მოქმედება გულზე ემსგავსება ცითომილი ნერვის გააქტიუების ეფექტებს. ელანდება უარყოფითი ქრონოტროპული, დრომოტროპული და ინოტროპული ეფექტები, ხოლო გულის წეიმოცელობა კი მცირდება, რის მშვენიარე ბრალიცარდება. წინაგულების (ვარკეულ-წილად პარკუჭებისაც) კუმშვალბის დაქეიოება გველანება.

პარკუჭების კუმშვალბის დაქეიოება ნორეპინეფრინის გამონთაქისუფლების პრესინაფსურ ღონეზე ინჰიბიტორებისა და პოსტსინაფსური უჯრედული სიმპათიკური ეფექტების დათრგუნვის შედეგია.

პირდაპირი მოქმედების მუსკარინულ ნიეთიერებებთან შედარებით, ქოლინესთერაზას ინჰიბიტორები ნაკლებად მოქმედებენ სისხლძარღვების გლეუ კუნთებსა და არტერიულ წნევაზე. რადგან არაპირდაპირი მოქმედების საშუალებები ცვლიან მხოლოდ იმ სისხლძარღვების ტონუსს, რომლებიც ქოლინერგული ნერვებით ინერვირდებიან, სისხლძარღვების ტონუსზე კი აისახება აუტონომიური ნერული სისტემის როგორც პარასიმპათიკური, ისე სიმპათიკური ნაწილების გააქტიუების ჯამური ეფექტი. გლეუი კუნთის ეფექტორულ ქსოვილზე ქოლინომიმეტიკური მოქმედება მინიმალურია, რადგან სისხლძარღვების კალაპოტის მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს ქოლინერგულ ინერვირებას. სიმპათიკური ვანგელების გააქტიუებამ შეიძლება გაზარდოს სისხლძარღვების წინააღმდეგობა.

ამრიგად, გულ-სისხლძარღვითა სისტემაზე ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების საშუალო დოზების ჯამური ეფექტები მთიციეს უმნიშვნელო ბრადიკარდიას, გულის წეიმოცელობის შემცირებას და არტერიული წნევის უმნიშვნელო დაქეიოებას. მათი მაღალი (ტოქსიური) დოზები კი უფრო შესამჩნევ ბრადიკარდიასა (სევიათაღ, ტაქიკარდიას) და ჰიპოტენზიას განაპირობებენ.

*ნერეკუნთოვანი შეერთების ადვილები*

ჩონჩხის კუნთების ნერეკუნთოვანი შეერთებებზე ქოლინესთერაზას ინჰიბიტორებს მნიშვნელოვანი თერაპიული ეფექტები ახასიათებთ. მათი დაბალი (თერაპიული) კონცენტრაცია ახანგრძლიეებს და უფრო ინტენსიურს ხდის ფიზიოლოგიურად გამონთაქისუფლებული აცეტილქოლინის მოქმედების, რაც იწვევს კუმშვალბის გაძლიერებას, განსაკუთრებით კი იმ კუნთებისა, რომლებიც კურარეს მსგავსი მორელაქსანტების მიერ ნერეკუნთოვანი გალაკემის შეფერხების ან მიასთენია გრავისის (*Myasthenia gravis*) შედეგად იყენენ დასუსტებულნი. უფრო მაღალი კონცენტრაციით გამოყენებისას კი, აცეტილქოლინის დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს კუნთების ბოჭკოების ფიბრილაცია. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს აგრეთვე მოგორული ნეირონიების ანტიდრომულ იმპულსაციას, რაც გამოიწვევს მთლიანი მოგორული ერთეულის უასციკულაციას. აცეტილქოლინესთერაზას მნიშვნელოვანი დათრგუნვის შედეგად ეითარდება ნერეკუნთოვანი დეპოლარიაციული ბლოკადა, რომელიც შესაძლოა გადაიცილეს არადეპოლარიაციული ბლოკადის ფაზაში, როგორც ამას ადგილი აქვს სექცინილქოლინის გამოყენების შემთხვევაში (იხ. ცხრილი 27-2 და სურათი 27-7).

ქოლინესთერაზას ზოგიერთ შეთხეული კარბამაგული ინჰიბიტორი, მან, ნეოსტიგმინი, ნერეკუნთოვანი შეერთების ნიკოტინურ რეცეპტორებზე პირდაპირი ავონისტის მოქმედებასაც ავლენს, რაც ეფექტურს ხდის მის გამოყენებას მიასთენიის სამკურნალოდ.

**ქოლინომიმეტიკური საშუალებების კლინიკური ვარმაკოლოგია**

მართალია, ქოლინომიმეტიკური საშუალებები კლინიკურად გამოიყენება თვალის (გლაუკომის, აკომოდაციური ეზოტროპია), კუჭ-ნაწლავისა და საშარღ სისტემების (პოსტოპერაიუ



ლი აგონია, ნეიროგენური შარდის ბუშტი). ნერვ-კუნთოვანი შეერთების აღვილებსა (მიასთენია გრავის, კურარეთი გამოწვეული ნერვ-კუნთოვანი დამბლა) და ძალზე იშვიათად, გულის (წინაგულოვანი მოგიერთი არითმია) დაავადებების დროს. ერთი შეხედვით ქოლინესთერაზის ინჰიბიტორები აგრონოსთა ინტოქსიკაციის სამკურნალოდ გამოიყენებიან. ქოლინესთერაზის მოგიერთი ახალი ინჰიბიტორი ალცპამიფრის დაავადების სამკურნალოდ ინიშნება.

### კლინიკური გამოყენება

#### თვალი

გლაუკომა არის დაავადება, რომელიც თვალშია წნევის მომატებით ხასიათდება. მუსკარინული აგონისტები და ქოლინესთერაზის ინჰიბიტორები ამცირებენ ინტრაოკულურ წნევას. იწვევენ რა წამწამოვანი სხეულის შეკუმშვას, რითაც ხელს უწყობენ თვალშია წნევის გაბრუნების. ისინი შესაძლოა აგრეთვე თვალის ნაშის სეკრეციის სინქრეზიკ აძვირებენ (იხ. სურათი 6-9). წარსულში, გლაუკომის სამკურნალო პირდაპირ აგონისტებს (პილოკარპინი, მეთაქოლინი, კარბაქოლი), ან ქოლინესთერაზის ინჰიბიტორებს (ფიზოსტიგმინი, დემკარიპიმი, ექოთიოფაგი, იზოფლუროფაგი) იყენებდნენ. ამჟამად, ქრონიკული გლაუკომის შემთხვევაში, ისინი ბეგაბლოკატორებისა და პროსტაგლანდინის წარმოებულების ალტერნატივი ფარმაკეული ფორმებით არიან ჩანაცვლებულნი.

დახურულ კუთხოვანი მწვავე გლაუკომა სამედიცინო გადაუდებელი მდგომარეობაა. ხშირად, დასაწყისში მის მელიკამენტურ მკურნალობას მიმართავენ, მაგრამ ჩვეულებრივ, მუდმივი კორექციებისათვის იგი ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. ხშირად, ხაწყისი მკურნალობისათვის იყენებენ მუსკარინული პირდაპირი აგონისტისა და ქოლინესთერაზის ინჰიბიტორის კომბინაციას (მაგ., პილოკარპინი და ფიზოსტიგმინი). თვალშია წნევის სტაბილიზაციისა და მხედველობის დაკარგვის სამშრობის გაულის შემდეგ, პაციენტი მაკორექტიბელი ქირურგიული ჩარევისათვის (ირიდექტომიისათვის) მზადდება. ღია-კუთხოვანი, აგრეთვე მუორადი გლაუკომის მოგიერთი ფორმა ქრონიკული დაავადებაა და გრადიული ქირურგიული კორექციის არ ექვემდებარება. თუმცა მათ მკურნალობაში ახალი დაზერული გექსოლოგიების გამოყენება წარმატებულად ითვლება. გლაუკომის მკურნალობის სხვა მეთოდები მე-10 თავშია აღწერილი (იხ. გლაუკომის მკურნალობა).

ზოგჯერ, მცირეწლოვან ბავშვებში ვხვდებით აკომოდაციურ ეზოტროპიას (პიპერმეტროპული აკომოდაციური დარღვევით განპირობებული სივლმე – სტრაბიზმი), რომლის სამკურნალოდ ქოლინომიმეტიკური აგონისტები გამოიყენება. ისინი ინიშნებიან გლაუკომის შემთხვევაში რეკომენდებული, ან უფრო მეტი, დოზით.

#### კუჭ-ნაწლავისა და საშარდო სისტემები

პირდაპირი ან არაპირდაპირი მოქმედების მუსკარინული ქოლინომიმეტიკური საშუალებები ეფექტურნი არიან ობსტრუქციის გარეშე მიმდინარე გლუვი კუნთის აქტივობის დარღვევით განპირობებული კლინიკური მდგომარეობების დროს. ასეთი დაავადებების რიცხს მიეკუთვნება პოსტოპერატიული ვაჟვლოზა (ქირურგიული პროცედურის შემდგომი კუჭის ან მსხვილი ნაწლავის აგონია, ან დამბლა) და თანდაყოლილი მეგაკოლინი. პოსტოპერატიულ ან მშობიარობის შემდგომ პერიოდში შესაძლოა აღვილი პქონდეს შარდის შეკავებას. იგივე სიმპტომი ელსდება ზურგის გუნის დაზიანებისა თუ დაავადების დროს

(ნეიროგენური შარდის ბუშტი). რეფლექს ეზოფაგიტის მქონე პაციენტებში, საყლაპავის ქვემო სფინქტერის ტონუსის გაზრდის მიზნით, ზოგჯერ მიმართავენ ქოლინომიმეტიკური საშუალებების გამოყენებას. ამ დაავადებების სამკურნალოდ ქოლინის ეთერებიდან ყველაზე ხშირად ბეთანექოლი ინიშნება. კუჭ-ნაწლავის პრობლემების დროს, ჩვეულებრივ იგი ორალურად მიიღება. დოზით 10-25 მგ 3-4-ჯერ დღეში. შარდის შეკავების შემთხვევაში ბეთანექოლი კანქვეშ შეჰყავი. დოზით 5 მგ. საჭიროების შემთხვევაში, 30 წუთის შემდეგ დასაშვებია დოზის გამოცდობა. ქოლინესთერაზის ინჰიბიტორებიდან ყველაზე ხშირად ამ მიზნით ნეოსტიგმინი გამოიყენება. ნაწლავების დამბლით განპირობებული გაუვლობის, ან შარდის ბუშტის აგონიის დროს ნეოსტიგმინი შეჰყავი კანქვეშ. დოზით 0.5 – 1 მგ. თუ პაციენტი შეუძლია წამლის ორალურად მიღება, მაშინ ნეოსტიგმინი გაბლუგის სახით გამოიყენება. დოზით 15 მგ. ნებისმიერ სიტუაციაში, ქოლინომიმეტიკური საშუალების გამოყენებამდე აუცილებელია სანიტუარის მექანიკური ობსტრუქციის გამორიცხვა. რადგან ამ შემთხვევაში წაბალი დაამძიმებს არსებულ პრობლემას და გაზრდილი წნევის გამო შეიძლება პერფორაცია კი გამოიწვიოს.

ნერვების სეკრეციის გაზრდის მიზნით პილოკარპინის გამოყენებას საკმაოდ დიდი ხანია მიმართავენ. მკურნალობის სინდრომთან დაკავშირებული პირის სიმშრალის სამკურნალოდ ახალ პირდაპირი მოქმედების მუსკარინული აგონისტი, აცეტილქოლინის ქვინუკლიდური წარმოებული ცევიმელისი გამოიყენება.

#### ნერვ-კუნთოვანი შეერთების ალგოზები

მიასთენია გრავის (*Myasthenia gravis*) დაავადებაა, რომელიც აზიანებს ნონჩხის კუნთების ნერვ-კუნთოვან შეერთებებს. აუტომუნური პროცესის შედეგად წარმოიქმნება ანტიხეულუბი, რომლებიც ნიკოტინური რეცეპტორების ალფა-სუბერთეულს ეკავშირებიან, რაც იწვევს რეცეპტორის დაზიანებულ დეგრადაციას და კუნთების საბოლოო ფიზიოგენის რეცეპტორებიდან აცეტილქოლინის შეკავშირების დათრგუნვას. დაავადების ხშირი ნიშნებია ფტოზი, დიპლოპია, მეტეკვლეებისა და კლაპის გაძნელება და კიდურების სისუსტე. შორს წასულ პროცესში ყველა კუნთი ერთივ, ან მთლიანად სუსტდება. მათ შორის სენსიტივია მონაწილე კუნთები. დაავადების სიმპტომები გ-გუბოკურარინითა და მსგავსი არა-მადეპოლარიზებელი მიორელაქსანტებით განპირობებულ ნერვ-კუნთოვანი დამბლის მსგავსია (იხ. თავი 27). მიასთენიის მქონე პაციენტები ძალზე მგრძობიარენი არიან კურარეს მავარი და ზოგადად, ნერვ-კუნთოვან ვადაცქმამე მოქმედი სხვა საშუალებების, მაგ. ამინოგლიკოზიდური ანტიბიოტიკების, მიმართ.

მიასთენიის მკურნალობაში დიდ როლს ასრულებენ ქოლინესთერაზის ინჰიბიტორები (მაგრამ არა პირდაპირი მოქმედების ქოლინომიმეტიკურები). თითქმის ყველა პაციენტი ენიშნება აგრეთვე იმუნოსუპრესული საშუალებები, ზოგიერთი მათგანს კი თიმექსომა უკეთდება.

მიასთენიის დიაგნოზის დასმის მიზნით, ზოგჯერ ედროფონიუმის ტესტი გამოიყენება. კუნთების ძალის ბაზისური მონაცემების ჩაწერის შემდეგ აწარმოებენ პრეპარატის 2 მგ-ის ინტრავენურ ინექციას. 45 წამის განმავლობაში საპასუხო რეაქციის განუვითარებლობის შემთხვევაში, დამატებით კიდევ 8 მგ-ის გამოყენება რეკომენდებულია. მიასთენია გრავის არსებობის შემთხვევაში მისალოდნელია კუნთების ძალის 5 წუთიანი გაუმჯობესება.

ედროფონიუმში გამოიყენება აგრეთვე *მიასთენია გრავისის* ხანგრძლივი მოქმედების ქოლინესთერაზის ინჰიბიტორებით მკურნალობის ალტერნატივის შესაფასებლად. ქოლინესთერაზის ინჰიბიტორების ჭარბად გამოყენების შემთხვევაში, მიორელაქსანტის ნიკოტინური დეპოლარიზაციული ბლოკადის გამო, პაციენტი პარადოქსულად სუსტდება.

მათ შესაძლოა მუსკარინული რეცეპტორების გადაჭარბებული აგზნების სიმპტომებიც გამოვლინდეთ (კოლიკა, ფაღარათი, ჰიპერსალივაცია, ბრონქული სეკრეციის მომატება, მთლიანად ბრადიკარდია). ედროფონიუმის მცირე დოზებით (1-2 მგ ვენამი) გამოყენება არ აუქმობს პაციენტის მდგომარეობას, არამედ პირაქით, შეიძლება სისუსტე გააძლიეროს კიდევ, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომლებიც ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების ძალად ღებობენ იღებენ. მეორე მხრივ, თუ ედროფონიუმის მიღების შედეგად პაციენტის მდგომარეობა უმჯობესდება, შეიძლება ეფექტური იყოს ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების დოზის გაზრდა. მთავარი მისამართი მისამართების დროს ეხედებით კლინიკურ მდგომარეობას, რომელიც საჭიროებს მძიმე მთავარი მდგომარეობისა (მათივე კრიზისი) და ჭარბი მედიკამენტური მკურნალობის (ქოლინერგული კრიზისი) დიფერენცირებას. მისი მართვა გადაუდებელი დახმარების აღქმე-ტური სისტემებით (მაგ. მექსიკური ენგელაქის აპარატურით) აღჭურვილ სტაციონარში უნდა განხორციელდეს.

ჩვეულებრივ, მთავარი ხანგრძლივი მკურნალობისათვის პირილდოსტიგმინის გამოყენებას მიმართავენ. ალტერნატიული ვარიანტებია ნეოსტიგმინი ან ამბენონიუმი. დოზის ოპტიმალური გიგრაფია კუნთების ძალის ცვლილებების მიხედვით ხორციელდება. ეს ნივთიერებები შედარებით ხანმოკლე მოქმედებით ხასიათდებიან, ამიტომ ხშირ დოზირებას საჭიროებენ (პირილდოსტიგმინი და ამბენონიუმი – ყოველ 6 საათში ერთხელ, ნეოსტიგმინი კი ყოველ 4 საათში ერთხელ; იხ. ცხრილი 7-4). ხელმისაწვდომია მათი დაყოფილებული გამოყოფის პრეპარატები, თუმცა ისინი საჭიროების მიხედვით ძირითადად ღამის საათებში ინიშნება. მკურნალობის პროცესში დოზის ხშირი, ზოგჯერ კი ძალიან სწრაფი შეცვლის საჭიროების გამო მთავარი მდგომარეობის ხანგრძლივი მოქმედების ქოლინესთერაზას ინჰიბიტორები – ორგანოფოსფატები არ გამოიყენებიან.

მკურნალობის პერიოდში გამოვლენილი მუსკარინული ეფექტების საკონტროლოდ ანტიმუსკარინული საშუალებები, მაგ. ატროპინი, ინიშნება. ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების მუსკარინული ეფექტების მიმართ ხშირად გოლურასგობა ეითარდება. ასეთ შემთხვევაში ატროპინის საჭიროება აღარ ღვება.

ხშირად, ქირურგიული ანესთეზიის დანამატად არადეკლარირებულ მთორელაქსანტებს, პანკურთონიუმსა და სხვა უფრო ახალ პრეპარატებს იყენებენ (იხ. თავი 27). ჩვეულებრივ, ქირურ-

გიული ჩარევის შემდეგ სასურველია ამ ფარმაკოლოგიური დამბლის დროულად მოხსნა. ეს აღვიდად ხორციელდება ქოლინესთერაზას ინჰიბიტორებით, რისთვისაც ნეოსტიგმინი და ედროფონიუმი არჩევის პრეპარატებს წარმოადგენენ. ეფექტის სწრაფად მიღების მიზნით ისინი ვენაში ან კუნთებში ინექციის სახით გამოიყენებიან.

**ბული**

ქოლინესთერაზას ხანმოკლე ინჰიბიტორი ედროფონიუმი წარსულში სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის მიმართ კი პაროქსიზმული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის სამკურნალოდ გამოიყენებოდა. ამ ჩვენებით ედროფონიუმის გამოყენება ამჟამად უფრო ახალმა, შედარებით უსაფრთხო საშუალებებმა ჩაანაცვლეს (აღენიშნინი და კალციუმის არხების ბლოკატორები – ვერაპამილი და დილტიამემი).

**ანტიმუსკარინული საშუალებებით ინტოქსიკაცია**

ბავშვებში ატროპინით ინტოქსიკაცია პოტენციურად ლეტალურია (იხ. თავი 8). მოზრდილებში კი შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყის გახანგრძლივებული და მნიშვნელოვანი დარღვევა, აგრეთვე არითმია. ტრიციკლური ანტიდეპრესანტების ჭარბი დოზებით მიღებაც (ხშირად, თვითმკვლელობის მცდელობის მიზნით) იწვევს ძლიერ მუსკარინულ ბლოკადას (იხ. თავი 30). მუსკარინული რეცეპტორების ყველა ამ ნივთიერებით განპირობებული ბლოკად კონკურენტულია და მისი დაძლევა შესაძლებელია სერე-ეფექტორული შეერთების ადგილებში ენდოგენური აცეტილქოლინის რაოდენობის გაზრდით. თოიურიულად, ამ ეფექტის მოსახსნელად დასაშვებია ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების გამოყენება. ამ მიზნით ფიზოსტიგმინი ინიშნება, რადგან იგი გაღის ჰემატო-ენცეფალურ ბარიერს და იწვევს მუსკარინული ბლოკადის როგორც ცენტრალური, ისე პერიფერული ნიშნების მოხსნას. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ფიზოსტიგმინმა თავის მხრივ შეიძლება იმოქმედოს ცნს-ზე, ამიტომ ამ პრეპარატით მკურნალობა მხოლოდ იმ პაციენტებშია რეკომენდებული, რომლებსაც სხეულის ტემპერატურის საშიში ზრდა, ან ძალიან სწრაფი სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია აღენიშნება.

**სინტრალური ნერვული სისტემა**

ალკაპამერის დაავადების მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის ფორმების სამკურნალოდ ანტიქოლინესთერაზული და სხვა ქოლინომიმეტიკური თვისებების მქონე პრეპარატი – გაკრისი გამოიყენება. გაკრისის ეფექტურობა დაბალია, ხოლო დეიდლზე გოქსიური ზეგავლენა კი მაღალი. უფრო ახალ და მეტად სელექტიურ აცეტილქოლინესთერაზას ინჰიბიტორების რიცხუს ეკუთვნიან დონეპემილი, გალანგამინი და რიფასტიგმინი, რომლებსაც ალკაპამერის დაავადების მქონე პაციენტების კონსერვაციული დისფუნქციის მკურნალობაში გაკრისის მსგავსი მცირე კლინიკური ეფექტურობა ახასიათებთ. ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდის გამო დონეპემილი დღეში ერთხელ ინიშნება. მას, გაკრისისგან განსხვავებით, პეპაგოტოქსიკური ეფექტი არ გააჩნია. ამ ახალი საშუალებებისა და გაკრისის შესადარებელი კვლევები ჯერ-ჯერობით არ ჩატარებულა. ეს საშუალებები 61-ე თავშია განხილული.

ახალი, პირდაპირი მოქმედების ნიკოტინურ აგონისტი ვარენიკლინი თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მიზნით გამოიყენება. იგი გარკვეულად სელექტიურია N<sub>α</sub> რეცეპტორის ალფა2-ბლოკატორის მიმართ. ორალურად მიღებისას იგი

**ცხრილი 7-4.**

*ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების თერაპიული გამოყენება და მოქმედების ხანგრძლივობა.*

	გამოყენება	მოქმედების ხანგრძლივობა (მახლოებით)
<b>ალკოპოლები</b>		
ედროფონიუმი	მთავარი ვრავის, გაუქალბა, არითმიები	5-15 წუთი
<b>კარბამატები და მათი მსგავსი ნივთიერებები</b>		
ნეოსტიგმინი	მთავარი ვრავის, გაუქალბა	0.5 – 2 საათი
პირილდოსტიგმინი	მთავარი ვრავის	3 – 6 საათი
<b>ფიზოსტიგმინი</b>	გლაუკომა	0.5 – 2 საათი
<b>ამბენონიუმი</b>	მთავარი ვრავის	4 – 8 საათი
<b>დექემეტორიუმი</b>	გლაუკომა	4 – 6 საათი
<b>ორგანოფოსფატები</b>		
ექსოლიფატი	გლაუკომა	100 საათი

აქტიურია და 14-20 საათიანი ნახევარდაშლის პერიოდი ახასიათებს. გოქსიკურობა გულისრევის, თავის ტკივილისა და ძილის დარღვევების სახით ვლინდება.

**გოქსიკურობა**

ქოლინორეცეპტორების მასტიმულირებელი საშუალებების გოქსიკური პოტენციური აბსორბციის, ცნს-ში შეღწევისა და მეტაბოლიზმის ხარისხის მსხველათი მერყეობს.

**პირდაპირი მოქმედების მუსკარინული აბონისტები**

ქოლინის ეთერებისა და ბუნებრივი პილოკარპინის გაღაჭარბებული ღებებით მიღებისას ვლინდება მუსკარინული სიჭარბის ნიშნები: გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, ხშირი შარდა, ჰიპერსალაივაცია, ოფლიანობა, კანის სისხლძარღვების გაფართოება და ბრონქების შევიწროება. აგროპინი და მისი ნაწარმები იწვევენ ყველა ამ ეფექტის კონკრეტულ დათრგუნებას. ზოგიერთი სოკო, განსაკუთრებით *Inocybe*-ს სახეობები, მუსკარინულ ალკალოიდებს შეიცავს. ამ სოკოს მიღება 15-20 წუთში იწვევს მუსკარინული სიჭარბისათვის დამახასიათებელ ტიპურ ნიშნებს. მკურნალობისათვის აგროპინია მოწოდებული, დოზით 1-2 მგ პარენტერულად. (მუსკარინის პირვალი წყარო, სოკო *Amanita muscaria*, ალკალოიდის ძალიან დაბალ კონცენტრაციას შეიცავს.)

**პირდაპირი მოქმედების ნიკოტინური აბონისტები**

ამ ტიპის მოწამელის ერთადერთი გამომწვევი თვისობა ნიკოტინია. ალკალოიდით მწვევე ინტოქსიკაცია კარგადაა შესწავლილი, იუქცა თამბაქოს ქრონიკულ მოსმარებასთან დაკავშირებულ ეფექტებზე გაცხადებით ნაკლებ მნიშვნელოვანია. თამბაქოს პროდუქტების გარდა ნიკოტინი ინსექციციდალაც გამოიყენება.

**მწვევე გოქსიკურობა**

ნიკოტინის ფაგალური ღება დაახლოებით 40 მგ-ია, ანუ გაწმენილი სიხის 1 წუთით. ნიკოტინის ამ რაოდენობას შეიცავს ორი ჩვეულებრივი სიგარეტი. საბედნიეროდ, სიგარეტში არსებული ნიკოტინის უმეტესი ნაწილი წვის შედეგად ნადგურდება, ან იკარგება „ვერდზე ვასულ“ კვამლში. ბავშვებში ნიკოტინის შემცველი ინსექციციდების ან თამბაქოს ორალური მიღება იწვევს ღებინებას, რაც ზღუდავს ალკალოიდის შეწოვას.

ნიკოტინის მაღალი ღებების გოქსიკური ეფექტები ფაქტურად უკვე აღწერილი ეფექტების მარტივ გაგრძელებას წარმოადგენენ. მათგან ყველაზე საშიშია (1) ცენტრალური მასტიმულირებელი მოქმედება, რომელიც იწვევს კრუნხვებს, პროგრესირების შემთხვევაში კი კომას, ან სუნთქვის ვანერებას; (2) ხონხის კუნთების საბოლოო ფორფიტის დეპოლარიზება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მადეპოლარიზებული ბლოკადა და სუნთქვის დამბლა; და (3) ჰიპერტენზია და გულის არითმიები.

ნიკოტინით მწვევე მოწამელის მკურნალობა მეტწილად სიმპტომურია. პირასიმპათიკური ვანგლიების სტამულირებით განპირობებული მუსკარინული სიჭარბის კონტროლისათვის აგროპინი გამოიყენება. ცენტრალური მასტიმულირებელი ეფექტის საწინააღმდეგოდ კრუნხვის საწინააღმდეგო საშუალებების, მაგ., დიაზეპამის, პარენტერული ფორმა გამოიყენება. სერუკუნიტოვანი ბლოკადა ფარმაკოლოგიურ მკურნალობაზე არ რეაგირებს, ამიტომ შეიძლება საჭირო ვახლეს მართვითი სუნთქვა. საბედნიეროდ, ნიკოტინი შედარებით სწრაფად მეტაბოლიზდება და გამოიყოფა. ინტოქსიკაციიდან 4 საათის შემდეგ

სრულ გამოჯანმრთელებას აქვს ალვილი, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ვითარდება ჰიპოქსია და თავის გენის დამიანება.

**ნიკოტინური ქრონიკული ინტოქსიკაცია**

თამბაქოს მოსმარების შეფასება მწვევლების ჯანმრთელობაზე და ზოგადად სამოგალოებისათვის მისი სოციო-ეკონომიკური ღირებულება ჯერ კდე არ არის ბოლომდე გარკვეული. იუქცა, 1979 წლის ზოგადი ქირურგების ასგარიშმა ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის თაობაზე დაადგინა, რომ „ აშშ-ში დაავადებების და ნაადრევი სიკვდილიანობის ყველაზე დიდ და ერთადერთ პრევენციურებად მიზეზად თამბაქოს მოსმარება მოიაზრება“. ეს დებულება მრავალი შემდგომი კვლევის იქნა დადასტურებული. სამწუხაროდ, თამბაქოს ქრონიკულ მოსმარებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი დაავადებები გვიან ვლინდება, რაც ამცირებს თამბაქოს მოსმარების შეწყვეტის შესახებ ჯანსაღი გადაწყვეტილების მიღების მოტივაციას.

თამბაქოზე დამოკიდებულების განვითარება პირდაპირ კავშირშია ნიკოტინის შემცველობასთან. თამბაქოს ქრონიკულ მოსმარებასთან დაკავშირებული დადასტურებული არასასურველი ეფექტების განვითარებაში თვისობა ნიკოტინის როლი ბოლომდე ცნობილი არ არის. საგარაულოა, რომ ნიკოტინი ზრდის მოწვევასთან ასოცირებული სისხლძარღვოვანი დაავადებებისა და კორონარული უეცარი სიკვდილიანობის რისკს. საგარაულოდ, პეპტიური წყლულის მქონე მწვევლებში ნიკოტინი ზრდის დაავადების რეცედივის სისშირეს.

**ქოლინესთერაზას ინჰიბიტორები**

პირდაპირი მოქმედების საშუალებების მსგავსად, ქოლინესთერაზას ინჰიბიტორების მწვევე გოქსიკური ეფექტებიც მათი ფარმაკოლოგიური მოქმედების უშუალო გაგრძელებაა. ამცარი ინტოქსიკაციის ძირითადი წყაროს აგროპინისა და სახლის პირობებში გამოყენებული პესტციციდები წარმოადგენს. აშშ-ში, სხვადასხვა პესტციციდები იუ ვეტერინარული ანტიკემპინიური საშუალებები დაახლოებით 100 ორგანოფოსფატურ და 20 კარბამატულ ქოლინესთერაზას ინჰიბიტორებს შეიცავენ.

ამ საშუალებების დიდი რაოდენობით გამოყენების შედეგად ვითარდება მწვევე ინტოქსიკაცია, რომელიც დროულად უნდა იქნას ამოცნობილი და ნამკურნალევი. საწყის წამყვანი ნიშნები მუსკარინული სიჭარბისათვის დამახასიათებელი სიმპტომებია: მითხი (გუგების შევიწროება), სალივაცია, ოფლიანობა, ბრონქების შევიწროება, ღებინება და ფაღარათი. პროცესში ცენტრალური ნერული სისტემა სწრაფადვე ერთვება, რასაც იან ახლავს აგრეთვე ნიკოტინის პერიფერული ეფექტებიც. განსაკუთრებით ნერუ-კუნთოვანი მადეპოლარიზებული ბლოკადა. მკურნალობის მიზნებია: (1) სასიცოცხლო ფუნქციების - კერძოდ, სუნთქვის ფუნქციის შენარჩუნება; (2) ლეკონგამინაცია შემდგომი აბსორბციის თავიდან ახაცილებლად - საჭიროა განსაკმდის მილიანად მოცილება, აგრეთვე მკვერონი ან აეროზოლიან შეხების შემთხვევებში კანის ვაწმენდა; და (3) მუსკარინული სიჭარბის კონტროლი პარენტერული აგროპინის მაღალი ღებებით (გამოყენების შესაბამისი სისშირით). ხშირად, პრალიდოქსიმის გამოყენებასაც მიმართავენ, რაც მეზ თავშია განხილული.

ორგანოფოსფატურ ზოგიერთი ნაერთთან ქრონიკული შეხება (მათ შორის ზოგიერთი ორგანოფოსფატური ქოლინესთერაზას ინჰიბიტორი) იწვევს აქსონების დემიელინიზაციასთან დაკავშირებულ ნეროპათიას. ლურთკანგული ზეყების დანაშატი გრიორთოკრემილოფოსფატი ნაერთთან ამ ჯგუფის პროტოტიპულ ნივთიერებას წარმოადგენს. ეს ეფექტი არ არის გამოწვეული ქოლინესთერაზას დათრგუნვით.

პრეპარატები

პირლამირი მოქმედების ქოლინომიმეტიკები

აცეტილქოლინი (მიოქოლი-E)  
ოფთალმოლოგიური: 1% ხსნარი თეალის წვეთ-ები

ბეთანქოლი (ვენერიკი, ურექოლინი)  
ორალური: 5, 10, 25, 50 მგ ტაბლეტები  
პარენტერული: 5 მგ/მლ ხსნარი კანქვეშა ინექციისათვის

კარბაქოლი  
ოფთალმოლოგიური: (ადგილობრივი, იზოპოლ კარბაქოლი, კარბოპიკი): 0.75, 1.5, 2.25, 3% ხსნარი  
ოფთალმოლოგიური: (ინტრაოკულარული, მისტატი, კარბასტატი): 0.01% ხსნარი

ცევიმელინი (ეფოქსაკი)  
ორალური: 30 მგ კაფსულები  
პილოკარპინი (ვენერიკი, იზოპოლ კარპინი)  
ოფთალმოლოგიური: (ადგილობრივი) 0.5, 1, 2, 3, 4, 6, 8, 10% ხსნარები, 4% გელი

ოფთალმოლოგიური: დაყოვნებული გამოყოფის (ოკუსერტ პილო - 20, ოკუსერტ პილო - 40): გამოყოფს, შესაბამისად, 20 და 40 მკგ პილოკარპინს საათში, 1 კვირის განმავლობაში

ორალური (სალაგენი): 5 მგ ტაბლეტები  
ვარენიკლინი (ჩანგექსი)  
ორალური: 0.5, 1 მგ ტაბლეტები

ქოლინესთერაზის ინჰიბიტორები

ამბენონიუმი (მიგელაზა)  
ორალური: 10 მგ ტაბლეტები  
დემეკარიუმი (პუმორსოლი)

ოფთალმოლოგიური: 0.125, 0.25% ხსნარი, თეალის წვეთები

დონეპეზილი (არიცეპტი)  
ორალური: 5, 10 მგ ტაბლეტები

ექოთიოფატი (ფოსფოლინი)  
ოფთალმოლოგიური: 1.5 მგ (0.03%) ფხვნილი სითხის დასამზადებლად; 0.06, 0.125, 0.25% ხსნარი, თეალის წვეთები

ელროფონიუმი (ვენერიკი, ტენსილონი)  
პარენტერული: 10 მგ/მლ ხსნარი კუნთში და ვენაში საინექციოდ  
გალანგამინი (რემინილი)

ორალური: 4, 8, 12 მგ ტაბლეტები; 4 მგ/მლ ხსნარი

ნეოსტიგმინი (ვენერიკი, პროსტიგმინი)  
ორალური: 15 მგ ტაბლეტები

პარენტერული: 0.2, 0.5, 1, 2.5 მგ/მლ ხსნარი  
ფიზოსტიგმინი, ეზერინი (ვენერიკი)  
ოფთალმოლოგიური: 0.25% მალამო; 0.25, 0.5% ხსნარი

პარენტერული: 1 მგ/მლ ხსნარი კუნთში და ვენაში საინექციოდ

პირიდოსტიგმინი (მესტინონი, რევონოლი)  
ორალური: 30, 60 მგ ტაბლეტები; 180 მგ დაყოვნებული გამოყოფის ტაბლეტები; 12 მგ/მლ სიროფი

პარენტერული: 5 მგ/მლ ხსნარი კუნთში და ვენაში საინექციოდ  
რივასტიგმინი (ექსელონი)

ორალური: 1.5, 3, 4.5, 6 მგ ტაბლეტები; 2 მგ/მლ ხსნარი

ტაკრინი (კოგნექსი)  
ორალური: 10, 20, 30, 40 მგ ტაბლეტები

REFERENCES

Boehm S, Kubista H: Fine tuning of sympathetic transmitter release via ionotropic and metabotropic presynaptic receptors. *Pharmacol Rev* 2002;54:43. [PMID: 11870260]

Brodde OE et al: Presence, distribution and physiological function of adrenergic and muscarinic receptor subtypes in the human heart. *Basic Res Cardiol* 2001;96:528. [PMID: 11770070]

Celie PH et al: Nicotine and carbamylcholine binding to nicotinic acetylcholine receptors as studied in AChBP crystal structures. *Neuron* 2004;41:907. [PMID: 15046723]

Eglen RM, Choppin A, Watson N: Therapeutic opportunities from muscarinic receptor research. *Trends Pharmacol Sci* 2001;22:409. [PMID: 11479003]

Ehlert FJ: Contractile role of M2 and M3 muscarinic receptors in gastrointestinal, airway and urinary bladder smooth muscle. *Life Sci* 2003;74:355. [PMID: 14607264]

Fox RI, Konttinen Y, Fisher A: Use of muscarinic agonists in the treatment of Sjögren's syndrome. *Clin Immunol* 2001;101:249. [PMID: 11726216]

Furchgott RF, Zawadzki JV: The obligatory role of endothelial cells in the relaxation of arterial smooth muscle by acetylcholine. *Nature* 1980;288:373. [PMID: 6253831]

Gerthoffer WT: Signal-transduction pathways that regulate visceral smooth muscle function. III. Coupling of muscarinic receptors to signaling kinases and effector proteins in gastrointestinal smooth muscles. *Am J Physiol* 2005;288:G849.

Harvey RD, Belevych AE: Muscarinic regulation of cardiac ion channels. *Br J Pharmacol* 2003;139:1074. [PMID: 12871825]

Hobbiger F: Pharmacology of anticholinesterase drugs. In: Zaimis E (editor): *Handbook of Experimental Pharmacology*. Vol. 42: *Neuromuscular Junction*. Springer, 1976.

Hogg RC, Raggenbass M, Bertrand D: Nicotinic acetylcholine receptors: From structure to brain function. *Rev Physiol Biochem Pharmacol* 2003;147:1. [PMID: 12783266]

Irvine RF, Schell MJ: Back in the water: The return of the inositol phosphates. *Nat Rev Mol Cell Biol* 2001;2:327. [PMID: 11331907]

Lukas RJ et al: International Union of Pharmacology. XX. Current status of the nomenclature for nicotinic acetylcholine receptors and their subunits. *Pharmacol Rev* 1999;51:397. [PMID: 10353988]

Matsui M et al: Increased relaxant action of forskolin and isoproterenol against muscarinic agonist-induced contractions in

- smooth muscle from M<sub>2</sub> receptor knockout mice. *J Pharmacol Exp Ther* 2003;305:106. [PMID: 12649358]
- Molitor H: A comparative study of the effects of five choline compounds used in therapeutics: Acetylcholine chloride, acetyl-beta-methylcholine chloride, carbaminoyl choline, ethyl ether beta-methylcholine chloride, carbaminoyl beta-methylcholine chloride. *J Pharmacol Exp Ther* 1936;58:337.
- Okamoto H et al: Muscarinic agonist potencies at three different effector systems linked to the M(2) or M(3) receptor in longitudinal smooth muscle of guinea-pig small intestine. *Br J Pharmacol* 2002;135:1765. [PMID: 11934818]
- Smulders CJ et al: Selective effects of carbamate pesticides on rat neuronal nicotinic acetylcholine receptors and rat brain acetylcholinesterase. *Toxicol Appl Pharmacol* 2003;193:139. [PMID: 14644616]
- The Surgeon General: *Smoking and Health*. US Department of Health and Human Services, 1979.
- Unwin N: Structure and action of the nicotinic acetylcholine receptor explored by electron microscopy. *FEBS Lett* 2003;555:91. [PMID: 14630325]
- Vincent A, Drachman DB: Myasthenia gravis. *Adv Neurol* 2002;88:159. [PMID: 11908224]
- Wess J: Muscarinic acetylcholine receptor knockout mice: novel phenotypes and clinical implications. *Annu Rev Pharmacol Toxicol* 2004;44:423. [PMID: 14744253]

აგონისტების მსგავსად, ქოლინორეცეპტორების ბლოკატორებიც, სპეციფიკურ რეცეპტორებთან აფინურობის მიხედვით მუსკარინულ და ნიკოტინურ ქვეჯგუფებად იყოფა. ნიკოტინური რეცეპტორების ბლოკატორებს მიეკუთვნება განვლილი ბლოკატორები და ნერე-კუნთოვანი გადაცემის ბლოკატორები (მიორელაქსანტები). განვლილი ბლოკატორების კლინიკური გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია. ისინი ამ თავის ბოლოს არის განხილული. ნერე-კუნთოვანი გადაცემის ბლოკატორები (მიორელაქსანტები) განხილულია თავში 27. ეს თავი ანტიმუსკარინულ საშუალებებს ეთმობა.

ლიგანდთან შეკავშირების უნარისა და *წმ* კლინიკური ექსპერიმენტებზე დაყრდნობით (იხ. თავები 6 და 7) მუსკარინის მიმართ მგრძობიარე ქოლინორეცეპტორის ხუთი ქვეტიპი იდენტიფიცირებულია, რომელთა განსხვავების მიზნით სტანდარტული ტერმინოლოგია გამოიყენება ( $M_1$  და  $M_2$ -მდე). სელექტიური აგონისტებსა და ანტაგონისტებზე დაფუძნებული მტკიცებულებების თანახმად, ეს ქვეტიპები ფუნქციურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

როგორც ეს განხილული იყო თავში 6,  $M_1$  რეცეპტორები ლოკალიზებულია ცნს-ის ნეირონებზე, სიმპათიკური პოსტგანგლიური უჯრედების სხეულებსა და მრავალ პრეინაფსურ უბანზე.  $M_2$  რეცეპტორები – მიოკარდში, გლუვ კუნთოვან ორგანოებსა და ზოგიერთ ნეირონულ უბანზე.  $M_3$  რეცეპტორები კი ხშირად გვხვდება ეფექტორული უჯრედების შემზრანებზე, განსაკუთრებით ჯირკვლოვან და გლუვ კუნთოვან უჯრედებზე.

## ქიმიური აგებულება და ფარმაკოკინეტიკა

### წყარო და ქიმიური აგებულება

აგროპინი და მისი ბუნებრივი ნაწარმები გროპის მქაყას მესამეული ამინის შემცველი ალკალიდური ეთერებია (სურათი 8-1). აგროპინის (ჰიოსციამინი) შეიცავენ მცენარეები, *Atropa belladonna* – შშაგა, და *Datura stramonium*, ასევე ცნობილი, როგორც ლემა, *Hyoscyamus niger* (შაგი ლენოფა) შეიცავს სკოპოლამინს (ჰიოსცინი),  $(-)$  სტრეკოლინიუმის სახით. ბუნებრივი აგროპინი  $(-)$ -ჰიოსციამინია, მაგრამ ნაერთი აღვილად რაცემიზდება, ამიტომ კომერციულ მასალაში (პრეპარატში) იგი რაცემური ნარევის სახითაა ( $d,l$ -ჰიოსციამინი). ორივე ალკალიდის  $(-)$  იზომერები,  $d(+)$  იზომერებთან შედარებით, სულ მცირე 100-ჯერ უფრო ძლიერია.

მრავალ ნახეერადსინიუმურ და სინიუმურ მოლეკულას ახასიათებს ანტიმუსკარინული ეფექტები.

ამ ჯგუფების წარმომადგენელი მესამეული ამინები (სურათი 8-2) ხშირად გამოიყენება კლინიკურ პრაქტიკაში, თვალსა თუ ან ცნს-ზე ზეგავლენის გამო. მრავალ ანტიჰისტამინურ (იხ. თავი 16) და ანტიფსიქოტურ (იხ. თავი 29) და ლეპრესის სამკურნალო საშუალებას (იხ. თავი 30) მსგავსი სტრუქტურა გააჩნია და, შესაბამისად, საკმაოდ მნიშვნელოვანი ანტიმუსკარინული მოქმედება ახასიათებს.

ანტიმუსკარინული საშუალებები – მეთოქეულ ამინები (სურათი 8-2) შექმნილი არიან პერიფერული მოქმედებისათვის და ცნს-ზე ზეგავლენა მათ ნაკლებად ახასიათებს.

### აბსორბცია

ბუნებრივი ალკალიდები, აგრეთვე მესამეული სტრუქტურის მქონე უმრავლესი ანტიმუსკარინული საშუალებები ნაწლაყუ ბიდან და კონიუქცივას შემზრანიდან კარგად შეიწოვება. შესაბამისი ფარმაკეკული ფორმით გამოყენებისას შესაძლებელია შეწოვა მოხდეს კანიდანაც (გრანსდერმული გზა). მათგან განსხვავებით, ორალურად მიღებული მეთოქეული შენების მქონე ანტიმუსკარინული საშუალებების მხოლოდ 10-30% შეიწოვება. რაც დამუხტული მოლეკულების ცხიმში ხსნადობის დაბალი ხარისხით არის განპირობებული.

### განაწილება


აგროპინი და სხვა მესამეული ამინები ორგანიზმში კარგად ნაწილდებიან. მიღებიდან 30 წთ – 1 საათამდე პერიოდში ცნს-ში მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი დონე ვითარდება, ამიტომ აგროპინის პერიფერული ეფექტებისათვის გამოყენების დროს მისი ახაგანი დოზა საკმაოდ შეზღუდულია. სკოპოლამინი ცნს-ში სწრაყად და მილიანად ნაწილდება, ამიტომ, ანტი-

## ანტიმუსკარინული საშუალებების ბაზისური ფარმაკოლოგია

$M$ -ქოლინობლოკატორები იწვევენ პარასიმპათიკური ნერვული სისტემის ავზნებით განპირობებული ეფექტების ბლოკირებას, ამიტომ მათ ხშირად პარასიმპათოლიმურ საშუალებებსაც უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ისინი არ იწვევენ პარასიმპათიკური ნერვების „ლიზისს“, აგრეთვე მათი ზოგიერთი ეფექტი მხოლოდ პარასიმპათიკური ნერვული სისტემის დათრგუნვით ვერ აიხსნება, ამიტომ უმჯობესია მათ მიმართ გამოიყენებულ იქნას ტერმინი „ანტიმუსკარინული საშუალებები“.

ანტიმუსკარინული ეფექტების მქონე ესა თუ ის ბუნებრივი ნაერთი ათასწლეულების მანძილზე იყო ცნობილი, რომელთაგანაც ზოგი დღესაც გამოიყენება, როგორც წამალი, შხამი და კოსმეტიკური საშუალება. ასეთი წამლების პროტოტიპს წარმოადგენს აგროპინი. მრავალი მსგავსი მცენარეული ალკალიდია ცნობილი, სინთეზირებულია აგრეთვე ასობით ანტიმუსკარინული ნაერთი.





სურათი 8-1.

აგროპინის (აკლია ქანგბადი [1] პოზიციაში) ან სკოპოლამინის (ქანგბადი ალგლზე) სტრუქტურა. პომაგროპინში ჰიდროქსიმეთილი [2] პოზიციაზე ჩანაცვლებულია ჰიდროქსიდის ჯგუფით და [1] პოზიციაში აკლია ქანგბადი.

მუსკარინულ საშუალებებს შორის იგი ყველაზე მეტად ახდენს გავლენას ცნს-ზე. მისგან განსხვავებით, მეოთხეული ნაწარმები თავის ტვინში ყველაზე ნაკლებად ხელდებიან, რის გამოც, დაბალი დოზებით გამოიყენებისას, ცენტრალური ეფექტები თითქმის არ ახასიათებთ.

**მეტაბოლიზმი და ექსკრეცია**

აგროპინის ნახევარდაშლის პერიოდი 2 სთ-ია, ამიტომ ორგანიზმში შეყვანის შემდეგ სისხლში მისი კონცენტრაცია სწრაფად ქვეითდება. მიღებული დოზის დაახლოებით 60% შარდთან ერთად უცვლელი სახით გამოიყოფა, დანარჩენი ნაწილი კი შარდში აგროპინის ჰიდროლიზისა და კონიუგირების შედეგად მიღებული მეტაბოლიტების სახით ჩნდება. პრეპარატის მეტაბოლიზმი პარასიმპათიკურ ფუნქციაზე ყველა ორგანოში სწრაფად მცირდება, გარდა თვალისა, სადაც მისი მოქმედება ფერად გარსსა და წამწამოვან კუნთზე 72 საათი (ან უფრო მეტი) გრძელდება.

**ფარმაკოდინამიკა**

**მოქმედების მექანიზმი**

აგროპინი იწვევს მუსკარინულ რეცეპტორებზე ქოლინომიმეტიკური მოქმედების შექცევად (დაძლევად) შეწყვეტას (იხ. თავი 2), რაც ვულისხმობს აგროპინის მცირე დოზით განპირობებული ბლოკადის მოხსნის შესაძლებლობას აცეტილქოლინის მაღალი კონცენტრაციით, ან მუსკარინული აგონისტის ექვივალენტური დოზით. მუტაციური ექსპერიმენტების თანახმად, რეცეპტორში არსებული ასპარტატი აცეტილქოლინის ამოტვის აგომთან დამახასიათებელ კავშირებს წარმოქმნის; ეს ამინომჟავა საჭიროა აგრეთვე ანტიმუსკარინული საშუალებების შესაკავშირებლად. აგროპინისა და მუსკარინული ქოლინორეცეპტორის კომპლექსი ხელს უშლის ისეთი პროცესების განვითარებას, როგორცაა მუსკარინული აგონისტებით განპირობებული ინოზიტოლ ტრიფოსფატის (IP<sub>3</sub>) განთავსეულება და აღნიშნულ ციკლაზის ინჰიბირება (იხ. თავი 7).

ანტიმუსკარინული საშუალებების ეფექტურობა ცვალებადობს ქსოვილების ტიპისა და აგონისტის წყაროს მიხედვით. აგროპინის მიმართ ყველაზე მგრძობიარე ქსოვილებია სანერწყვე, ბრონქული და სათუფე ჯირკვლები, ხოლო კუჭის პერიეტული უჯრედებიდან მარილმჟავას სეკრეცია ყველაზე ნაკ-

ლები მგრძობიარეობით ხასიათდება. ქსოვილთა უმრავლესობაში, ანტიმუსკარინული საშუალებები ვაცილებით უფრო ეფექტურად თრგუნავენ ეგზოგენურად შეყვანილი ქოლინორეცეპტორების აგონისტების მოქმედებას. ვიდრე, ენდოგენურად გამოყოფილი აცეტილქოლინის მეტაბოლიზმს.

მუსკარინული ქოლინორეცეპტორების მიმართ აგროპინის მაღალი სელექტიურობა ახასიათებს. იგი ვაცილებით ნაკლებად მოქმედებს ნიკოტინურ ქოლინორეცეპტორებზე, ხოლო მისი მეტაბოლიზმი არამუსკარინულ რეცეპტორებზე კი კლინიკურად თითქმის არ ვლინდება.

აგროპინი ერთნაირად მოქმედებს მუსკარინული რეცეპტორების ყველა ქვეტიპზე (M<sub>1</sub>, M<sub>2</sub>, და M<sub>3</sub>). რაც მას განასხვავებს სხვა ანტიმუსკარინული საშუალებებისგან. ვინაიდან ისინი ზომიერი სელექტიურობით გამოირჩევიან მუსკარინული რეცეპტორების რომელიმე ქვეტიპის მიმართ (ცხრილი 8-1). სინთეზური ანტიმუსკარინული საშუალებების უმრავლესობა, აგროპინთან შედარებით, ვაცილებით ნაკლებ სელექტიურობას ავლენენ არამუსკარინულ რეცეპტორებთან ურთიერთქმედების თვალსაზრისით. მაგ., ზოგიერთ მეოთხეული შენების ანტიმუსკარინულ საშუალებას მნიშვნელოვანი განვლილი ოკატორული თვისება ახასიათებს, ხოლო სხვები კი უფრო ძლიერ თრგუნავენ პიტსამინის მიმართ მგრძობიარე რეცეპტორებს. ანტიმუსკარინული და დეპრესიის სამკურნალო საშუალებების ანტიმუსკარინული ეფექტები უკვე იქნა აღნიშნული. მათი სელექტიურობა მუსკარინული ქოლინორეცეპტორის ქვეტიპების მიმართ დადგენილი არ არის.

**ეფექტები ორბანოთა სისტემაზე**

**ცენტრალური ნერვული სისტემა**

თერაპიულ დოზაში აგროპინის ცნს-ზე მასგამულირებელი ეფექტი მინიმალურად არის გამოხატული, განსაკუთრებით მოვრძო ტვინის პარასიმპათიკურ ცენტრებზე, და უფრო ნელი, ხანგრძლივი სედაციური ეფექტი თავის ტვინზე. სკოპოლამინს უფრო გამოხატული აქვს ცენტრალური ეფექტები, რაც რეკომენდებული დოზით გამოიყენებისას ძლიანობით. მგრძობიარე აღმზანებში კი ამნეზიით, ვლინდება. სკოპოლამინისა და, შედარებით ნაკლებად აგროპინის ტოქსიკური დოზები იწვევენ აგზნებას, შფოთვას, პალეუსინაციებსა და კომას.


ცენტრალური მოქმედების ანტიმუსკარინული საშუალებები ამცირებენ პარკინსონის დაავადებისათვის დამახასიათებელი ტრემორის ინტენსივობას. სწორედ აგროპინი (შმაგას ექსტრაქტის სახით) იყო ერთ-ერთი პირველი პრეპარატი, რომელიც ამ დაავადების სამკურნალოდ იქნა გამოყენებული. როგორც განხილულია თავში 28, პარკინსონის დაავადებისათვის დამახასიათებელი ტრემორის და კუნთების რიგიდობის მიზეზად ბაზალურ განვლიურ-სტრიატულ სისტემაში დოფამინერული აქტივობის დეფიციტით განპირობებული ქოლინერგული აქტივობის შედარებითი სიჭარბე გვევლინება. ანტიმუსკარინული საშუალებისა და დოფამინის პრეკურსორის (ლევოდოპა) კომბინირებული გამოყენება ზოგჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე რომელიმე მათგანით ჩატარებული მონოთერაპია.

ექსტრემული დარღვევების, განსაკუთრებით ზღვის დაავადების მექანიზმი მუსკარინულ ქოლინერგულ ვადაცემასთან არის დაკავშირებული. ამ დარღვევების პრევენციისა თუ გამოსწორებისათვის სმირად ეფექტურია სკოპოლამინი.


**თვალში**

გუგის შემავიწროებელი, ანუ თვალის ფერადი გარსის ირგვლივი კუნთის (იხ. თავი 6) ფუნქციის რეგულაციაში მუსკარინული ქოლინორეცეპტორები იღებენ მონაწილეობას. აგროპინითა და სხვა მესამეული ანტიმუსკარინული საშუალებები იწვევენ

კუჭ-ნაწლავის გრაქტზე მოქმედი მეოთხეული ამინები (პეპტიური წყლული, ვაძლიერებული პერისტალტიკა) :




**Propantheline**




**Glycopyrrolate**


პერიფერული მოქმედების მესამეული ამინები:



**Pirenzepine**  
(peptic disease)




**Dicyclimine**  
(peptic disease, hypermotility)




**Tropicamide**  
(mydriatic, cycloplegic)

ასთმის სამკურნალო მეოთხეული ამინი

პარკინსონის დაავადების სამკურნალო მესამეული ამინი:



**Ipratropium**



**Benztropine**

სურათი 8-2.

ზოგიერთი ნახევრად სინთეზური და სინთეზური ანტიმუსკარინული მედიკამენტის სტრუქტურა.

ცხრილი 8-1.

მუსკარინული ქოლინორეცეპტორების ქვეტიპები და მათი ანტაგონისტები:

თვისებები	ქვეტიპი		
	M <sub>1</sub>	M <sub>2</sub>	M <sub>3</sub>
პირითადი ლოკალიზაცია	ნერვები	გული, ნერვები, გლუვი კუნთი	ჯირკვლები, გლუვი კუნთი, ენდოთელიუმი
დომინანტური ეფექტორული სისტემა	↑IP <sub>3</sub> , ↑DAG	↓cAMP, ↑K <sup>+</sup> არხის ნაკადი	↑IP <sub>3</sub> , ↑DAG
ანტაგონისტები	პირენზეპინი, <sup>1</sup> გელანბეპინი, <sup>2</sup> ლიცალკომინი, <sup>2</sup> ტრაიპექსიფენიდილი <sup>3</sup>	გალამბი, <sup>1</sup> მეთილტრამინი, AF-DX 116 <sup>4</sup>	4-DAMP, <sup>1</sup> ლარიფენაცინი, სოლიფენაცინი, თქსიბუტისინი, გოლგეროლსინი
დისოციაციის მიახლოებითი მუდმივა <sup>5</sup>			
აგროპინი	1	1	1
პირენზეპინი	25	300	500
AF-DX 116	2000	65	4000
ლარიფენაცინი	70	55	8

<sup>1</sup>კლინიკურად გამოიყენება, როგორც მთრელაქსანტი.


<sup>2</sup>კლინიკურად გამოიყენება ნაწლავებზე ანთისპაზმური მოქმედებისათვის.

<sup>3</sup>კლინიკურად გამოიყენება პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ.

<sup>4</sup>ნაერთი გამოიყენება მხოლოდ კვლევებში.

<sup>5</sup>აგროპინთან შედარებით. დაბალი ციფრები უფრო მეტ აფინურობაზე მიუთითებენ.

AF-DX 116 - 11-(2-[(დიეთილამინო)მეთილ]-1-პიპერიდინილ)პროპილ-5,11-დიჰიდრო-6H-პირიდო-[2,3-b](1,4)ბენზოლაპეინი-6-ერის; DAG - დიაცილგლიცეროლი; IP<sub>3</sub> - ინოზიტოლ ტრიფოსფატი; 4-DAMP - 4-დიფენილპიპეროქსი-N-მეთილპიპერიდინი.



სურათი 8-3.

ნორმალურ თვალში სტაბილიზაციის ადვილობრივი წვეთების ზეგავლენა გუგის დიამეტრზე (მმ) და აკომოდაციაზე (დიოპტრები). 0.5%-იანი ხსნარის ერთი წვეთი ჩაწვეთებულ იქნა დროის ნულთან წერტილში, მეორე წვეთი კი - 30-ე წუთზე (ასრები). გამოთვლილია 42 შემთხვევის საშუალო შედეგები. აღსანიშნავია მდგომარეობის ძალიან ნელი აღდგენა.

მათი გააქტივების ალგობრივ დათრგუნვას, რის შედეგადაც ალგობრივი აქვს სიმპათიკურ შეუფერხებელ დილაგაციურ აქტივობასა და მიდრიამს (სურათი 8-3). რენესანსის პერიოდში ფართო გუგები სასურველი იყო კოსმეტიკური თვალსაზრისით. სწორედ ამ ფაქტით არის განპირობებული მცენარის სახელი *Belladonna* (იტალიურიდან „ლამაზი ქალი“), რომლის აქტიური ექსტრაქტიც თვალში ჩასაწვეთებლად გამოიყენებოდა ქალების მიერ რენესანსის პერიოდში.

ანტიმუსკარინული საშუალებების თვალის მხრივ მეორე მნიშვნელოვანი ეფექტია წამწამოვანი კუნთის კუმშვადობის შესუსტება, ანუ ციკლოპლეგია. ციკლოპლეგია იწვევს აკომოდაციის უნარის დაქვეითების: სრული აგროპინიზაციის პირობებში თვალი ვერ ახლენს ფოკუსირებას ახლომდებარე საგნებზე (სურათი 8-3).

ოფთალმოლოგიაში გამოყენება ჰპოვა როგორც მიდრიამზა. ასევე ციკლოპლეგია. თუმცა, შესაძლოა ეს ეფექტები პოტენციურად მაინც იყოს. კერძოდ, თვალის წინა საკნის ეიწრო კუთხის მქონე პაციენტებში იზრდება მწვევე გლაუკომის განვითარების რისკი.

ანტიმუსკარინული საშუალებების თვალის მხრივ მესამე ეფექტია საცრემლე ჯირკვლის სეკრეციის დაქვეითება. ანტიმუსკარინული საშუალებების მაღალი დოზით მიღებისას პაციენტები ზოგჯერ უჩივიან თვალის სიმშრალეს, ან „სილის“ შეგრძობას თვალში.

**გულ-სისხლძარღვთა სისტემა**

მუსკარინული რეცეპტორების ბლოკადის მიმართ ძალზე მგრძობიარეა სინოატორული კვანძი. ისევე როგორც ან სპონტანურად მომუშავე გულზე აგროპინის საშუალო და მაღალი თერაპიული დოზების ზეგავლენა იწვევს ტაქიკარდიას, ციომილი ნერვით განპირობებული შემაკავებელი ზეგავლენის დათრგუნვის ხარჯზე. თუმცა, პრეპარატის დაბალი დოზები, ვაგუსის პერიფერული ბლოკადის გამოვლენადაც, სშირად იწვევს საწყის ბრადიკარდიას (სურათი 8-4). გულის რითმის ეს შენელება შესაძლოა გამოწვეულ იყოს ციომილი ნერვის მოსტანგლიურ ბოტკოვებზე პრესინაფსური M<sub>1</sub> რეცეპტორების (აუტორეცეპტორები, იხ. თავი 6) ბლოკადით, რაც ჩვეულებრივ აქვეითებს აცეტილქოლინის გამოყოფას სინუსურ კვანძში და სხვა ქსოვილებში. აგროპინი იგივე მექანიზმით მოქმედებს აგროპინ-



ტრიკულურ კვანძზეც: თრგუნავს რა აგროპინტრიკულურ კვანძში არსებულ მუსკარინულ რეცეპტორებს. ციომილი ნერვის მაღალი გონისის პირობებში აგროპინი მნიშვნელოვნად ამცირებს PR ინტერვალს ელექტროკარდიოგრამაზე. ანალოგიურად სორციელდება მუსკარინული ეფექტების დათრგუნვა წინაგულების კუნთზეც. თუმცა, გარდა წინაგულების ციომისისა და თრიომისისა, ამ ეფექტებს კლინიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. პარკუჭები ნაკლებად ექვემდებარებიან მუსკარინულ კონტროლს, ამიტომ ანტიმუსკარინული საშუალებების თერაპიული დოზები სუსტად მოქმედებენ პარკუჭებზე. გოქსიკური დოზით გამოყენებისას კი ისინი იწვევენ პარკუჭთაშიდა გამტარებლობის ბლოკადას, რაც მათი ალგობრივი საანესთეზიო მოქმედებით აიხსნება.

სისხლძარღვთა უმრავლესობა პირდაპირ არ ისევე რღვება პარასიმპათიკური სისტემიდან. თუმცა, პარასიმპათიკური ნერვის სტიმულაცია აუარითოვებს კორონარულ არტერიებს, ხოლო სიმპათიკური ქოლისერგული ნერვები კი აუარითოვებენ ჩონჩხის კუნთების სისხლძარღვივან კალაპოტს (იხ. თავი 6). აგროპინის შეუძლია ამ ვაზოდილაგაციური ეფექტების დათრგუნვა. უფრო მეტიც, თითქმის ყველა სისხლძარღვი შეიცავს ენდოთელურ მუსკარინულ, ვაზოდილაგაციის გამოიწვევე რეცეპტორებს (იხ. თავი 7, რომლებიც ალგობრივ დათრგუნვებთან ანტიმუსკარინული საშუალებებით. ანტიმუსკარინული საშუალებების გოქსიკური დოზები (ზოგიერთ ადამიანში ნორმალური დოზებიც) იწვევენ კანის სისხლძარღვების დილაგაციას, განსაკუთრებით ხეულის ზედა ნაწილში. ამ ეფექტის მექანიზმი უცნობია.

ნორმალური პეპლოდინამიის მქონე პაციენტებში გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე აგროპინის ჯამური ეფექტები მნიშვნელოვანი არ არის: შესაძლოა განვითარდეს ტაქიკარდია, არტერიული წნევა კი უმნიშვნელოდ იცვლება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აგროპინი იწვევს პირდაპირი მოქმედების მუსკარინული აგონისტებით განპირობებული კარდიოვასკულური ეფექტების პრევენციას.

**სასუნთქი სისტემა**

ციომილი ნერვი აინერვირებს სასუნთქი გზების როგორც გულე კუნთებს, ასევე სეკრეტორული ჯირკვლებს, რომლებიც მესაგაციისად მუსკარინულ რეცეპტორებს შეიცავენ. აგროპინი



სურათი 8-4.

ადამიანებში აგროპინის მზარდი დოზების ზეგავლენა გულისცემის სისშირესა (A) და ნერწყვის ღებზე (B), მუსკარინული რეცეპტორების ვაჯერებასთან მიმართებაში. აგროპინის დაბალი დოზის პარასიმპათიკური ეფექტები განპირობებულია აცეტილქოლინის განთავისუფლების დათრგუნველი პრესინაფსური მუსკარინული რეცეპტორების ბლოკადით



ჯანმრთელ ადამიანებშიც კი იწვევს ბრონქოდილატაციასა და სეკრეციის შეშუპებას. ეს ეფექტი უფრო ძლიერდება სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს, თუმცა ასთმის სამკურნალოდ ანტიმუსკარინული საშუალებები. ბეგა-ადრენორეცეპტორების აგონისტებთან შედარებით. უფრო ნაკლებად გამოიყენებიან (იხ. თავი 20). ფილგეების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (COPD) დროს არასელექტიური ანტიმუსკარინული საშუალებების დანიშვნა რამდენადმე შეზღუდულია, რადგან პარასიმპათიკური პოსტგანგლიური სეინონების აუტორეგულაციაში წართული M<sub>2</sub> რეცეპტორების (რომელთა აგონება იწვევს აცეტილქოლისინის განთავისუფლების ინჰიბირებას) ბლოკადამ შესაძლოა გამოიწვიოს სასუნთქი გზების ვლუვი კუნთების M<sub>3</sub> რეცეპტორების დათრგუნვით განპირობებული ბრონქოდილატაციის საპირისპირო ეფექტი. მიუხედავად ამისა, ასთმისა და ფილგეების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (COPD) ზოგიერთი შემთხვევის სამკურნალოდ ანტიმუსკარინული საშუალებები რეკომენდებული.


ზოგადი ანესიოზის დროს, ინჰალაციური ხანარკოზი საშუალების გამოყენებამდე, ხშირად მიმართავენ ანტიმუსკარინული საშუალებების გამოყენებას, ტრაქეაში სეკრეციის დაგროვებისა და ლარინგოსპაზმის რისკის შექცევის მიზნით.

**კუჭ-ნაწლავის გრაქტი**

მუსკარინული ქოლინორეცეპტორების დათრგუნვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნაწლავის პერისტალტიკისა და სეკრეტორულ ფუნქციაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორგანიზმში ამ სისტემის აქტივობას სრული მუსკარინული ბლოკადა კი ვერ აქრობს მთლიანად, რადგან კუჭ-ნაწლავის ფუნქციის მთავარი პარასიმპათიკური ნერვული სისტემისთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე ადვილობრივ პორმონებსა და ესტერული ნერვული სისტემის არაქოლინერგულ ნერვონებს (იხ. თავები 6 და 63). სხვა ქსოვილების მსგავსად, პარასიმპათიკურ (ვაგუსის) აქტივობასთან შედარებით, ანტიმუსკარინული საშუალებები აქც უფრო ეფექტურად თრგუნავენ ვაგუსური მუსკარინული აგონისტების მოქმედებას, რაც აუტორეგულაციის აგონისტების რეგულაციის (აცეტილქოლისინის პროდუქციის უარყოფითი უკუკავშირის პრინციპით რეგულირებადი პროცესი) ეფექტის დათრგუნვით შეიძლება იქნას ახსნილი.

ანტიმუსკარინული საშუალებები მნიშვნელოვნად აქვეითებენ სეკრეციის გამოყოფას: პირის სიმშრალეს ხშირად უჩივიან ის პაციენტები, რომლებიც პარკინსონის დაავადების ან საშარდო სისტემის პრობლემების გამო იღებენ ანტიმუსკარინულ საშუალებებს (სურათი 8-5). კუჭის სეკრეციაზე ისინი ნაკლებად მოქმედებენ, რადგან აგრომინის მხოლოდ მაღალი დოზით გამოყენებისას აქვს ადგილი მარილმჟავას, პეუსინისა და მუცლის მთელი სისხლისა და რაოდენობის შექცევას. საკვებით, ნიკოტინით ან ალკოჰოლით განპირობებულ სეკრეციასთან შედარებით ანტიმუსკარინული საშუალებები უფრო ეფექტურად მოქმედებენ ბაზალურ სეკრეციაზე. აგრომინთან (და სხვა ნაკლებ სელექციურ აგონებებთან) შედარებით, პირენზეპინი და მისი უფრო ძლიერი ანალოგი - გლეუნზეპინი, უფრო ეფექტურად და ნაკლები გვერდითი ეფექტებით იწვევენ მარილმჟავას სეკრეციის დათრგუნვას, რადგან ისინი უპირატესად ვაგუსური ნერვული დაბოლოებების ამგზებში პრესინაფსური მუსკარინული რეცეპტორების სელექციურ ბლოკადას განაპირობებენ, რამაც შეცუქცევს M<sub>1</sub> და M<sub>3</sub> რეცეპტორებისა და მათი ავინორების თანაფარდობის მაღალი მასშტაბით (ცხრილი 8-1). პირენზეპინი და გლეუნზეპინი აშშ-ში საკვლევად გამოყენებულ ნაერთებს მიეკუთვნებიან. აგრომინი უმნიშვნელოდ მოქმედებს პანკრეასისა და ნაწლავების სეკრეციაზე, რადგან ეს პროცესები უპირატესად პორმონულ (და არა ვაგუსურ) რეგულაციას ექვემდებარებიან.

აგრომინი შეგავლენას ახდენს ვლუვი კუნთის პერისტალ-



სურათი 8-5.

ჯანმრთელ ადამიანებში აგრომინის კანქვეშა ინექციის ეფექტები სეკრეციის გამოყოფაზე, შარდვაზე, ვლუვისკუნთის სისხშირესა და აკომოდაციაზე. აღსანიშნავია, რომ აგრომინის გეგულენის მიმართ ყველაზე მგრძობიარეა სეკრეციის გამოყოფა, აკომოდაცია კი ყველაზე მდგრადი.

ტიკაზე კუჭ-ნაწლავის გრაქტის მთელ სიგრძეზე, დაწვეული კუჭიდან მსხვილი ნაწლავის ჩათვლით. ზოგადად, ანტიმუსკარინული საშუალებების შეგავლენით შინაგანი ორგანოების კედლები დაქვითვით, ქვეითდება აგრეთვე მათი ტონუსი და პროპულსური აქტივობა, რაც კუჭის შეკვამისაგან დატლის დროსა და შეკვამის ნაწლავებში პასაჟის პერიოდის განხრებში განაპირობებს. ანტიმუსკარინული იოლად ხსნად პარასიმპათიკური საშუალებების ჭარბი დოზებით გამოწვეულ დიარეას, აგრომინით დროებით კონსტროლს ქვემდებარება აგრეთვე იმ წამლებით გამოწვეული დიარეა, რომლებიც აგრომინურ ნერვულ სისტემაზე შეგავლენას არ ახდენენ. ანტიმუსკარინული საშუალებებით განპირობებული ინტესტინური „ლაზობა“ დროებითია: ანტიმუსკარინული საშუალებით მკურნალობის დაწყებიდან 1-3 დღეში ხდება პერისტალტიკის ნაწილობრივი აღდგენა. რაც ესტერული ნერვული სისტემის ლოკალური მექანიზმების გააქტივებით აიხსნება.

**შარდ-სახეხო სისტემა**

შარდსადენისა და შარდის ბუშგზე აგრომინისა და მისი ანალოგების ანტიმუსკარინული ეფექტები ვლუვი კუნთის მოღუნებასა და შარდის შეკვამებაში მდგომარეობს (სურათი 8-5). მათი ეს ეფექტები მსუბუქი ანთებით. ქირურგიული ჩარევითა და ზოგიერთი ნეფროლოგიური მდგომარეობით განპირობებული სპაზმის მოსახსნელად გამოიყენება. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროსტატის პიპერაზაზის დროს ამ პრეპარატებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ შარდის შეკვამებას (იხ. მომდევნო ქვეთავი). მუსკარინული რეცეპტორების ბლოკატორების კლინიკური ფარმაკოლოგია). ანტიმუსკარინულ საშუალებებს საშეილსნობზე მნიშვნელოვანი შეგავლენა არ ახასიათებთ.

**საოფლე ჯირკვლები**

აგრომინი იწვევს თერმორეგულაციით განპირობებულ ოფლიანობის დათრგუნვას. ეკრინულ საოფლე ჯირკვლების ინერჯიაციაში მონაწილეობას იღებენ სიმპათიკური ქოლინერგული ბოქკოები და მათი მუსკარინული რეცეპტორები ადვილად ხელმისაწვდომია ანტიმუსკარინული საშუალებებისათვის. ამ ეფექტის გამო, მოზრდილების სხეულის ტემპერატურა მხოლოდ პრეპარატის მაღალი დოზებით გამოყენებისას იზრდება. ხოლო ჩვილებსა და ბავშვებში კი თერაპიულმა დოზამაც შესაძლოა გამოიწვიოს „აგრომინური ცხელება“.

# მუსკარინული ქოლინორეცეპტორის მავლობირებადი საშუალებების კლინიკური ფარმაკოლოგია

## თერაპიული გამოყენება

## ცენტრალური ნერვული სისტემის ღააკვლება

### პარკინსონის დაავადება

როგორც 28-ე თავშია განხილული, ჯერ არ არის შექმნილი ისეთი საშუალება, რომელიც ერთნაირად ეფექტურად აკონტროლებს დაავადების მიმდინარეობას მის ყველა ეტაპზე, ამიტომ პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ რეკომენდებულია რამოდენიმე სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ჯგუფის წარმომადგენლების კომბინირებული გამოყენება. ლეკოლოპას კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვამდე ამ დაავადების სამკურნალოდ ანტიმუსკარინული საშუალებები გამოიყენებოდნენ (იხ. ცხრილი 28-1). მათ თან ახლავთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გვერდითი ეფექტი, თუმცა ისინი ჯერ-ჯერობით მაინც რჩებიან ზოგიერთი შემთხვევის დამხმარე სამკურნალო საშუალებებად.

### ზღვის დაავადება

ზოგიერთი ვესტიბულური დაარღვევა ანტიმუსკარინული საშუალებებით (და ანტიმუსკარინული ეფექტების მქონე ანტიპისტამინური საშუალებებით) მკურნალობას ექვემდებარება. სკოპოლამინი ზღვის დაავადების ერთ-ერთ ყველაზე ძველი სამკურნალო საშუალებაა, რომლის ეფექტურობა ნებისმიერი უფრო თანამედროვე პრეპარატის ეფექტურობას არ ჩამოუვარდება. ხელმისაწვდომია მისი საინექციო, ორალური და გრანსლერმული (სალბუნის სახით) ფარმაკეპული ფორმები. სალბუნის სახით გამოიყენებისას სისხლში პრეპარატის საკმარისი კონცენტრაცია 48-72 საათში ვლინდება. სამწუხაროდ, ნებისმიერი ვითარებაში თერაპიული დოზა იწვევს გამოხატულ სედაციასა და პირის სიმშრალეს.

## ოფთალმოლოგიური ღარღვევა

ძნელად საკომუნიკაციო პაციენტებში, მაგ., მცირეწლოვან ბავშვებში, რეფრაქტიული ცლომილების ზუსტი განსაზღვრისათვის აუცილებელია წამწამოვანი კუთხის დამზღვრის გამოწვევა, ხოლო ბადურას ოფთალმოლოგიური გამოკვლევა კი მდინარის პირობებშია ბევრად უფრო ადვილი, ამიტომ, ადგილობრივად მოქმედი ანტიმუსკარინული საშუალებები (თვალის წვეთების ან შალამის სახით) ხელსაყრელ პირობებს ქმნიან თვალის სრული გამოკვლევისათვის. მოზრდილობის და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის უჯჯობესია ხანმოკლე მოქმედების პრეპარატების გამოყენება (ცხრილი 8-2). ზოგჯერ, მცირეწლოვანი ბავშვების გამოკვლევისათვის სასურველია აგროპინის

### ცხრილი 8-2

ოფთალმოლოგიაში გამოყენებული ანტიმუსკარინული საშუალებები.

პრეპარატი	ეფექტის ხანგრძლივობა (დღეები)	მეუღლი კონცენტრაცია (%)
აგროპინი	7 - 10	0.5 - 1
სკოპოლამინი	3 - 7	0.25
ჰომოპრინი	1 - 3	2 - 5
ციკლოპენტოლატი	1	0.5 - 2
ტროპიკამიდი	0.25	0.5 - 1

ძლიერი ეფექტი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში შესაბამისად იზრდება ანტიმუსკარინული საშუალებებით განპირობებული მოწამელის ალბათობაც. კონსექტივის პარკიდან საცერმელ არხის გავლით ცხვირისასაში პრეპარატის გადასვლის შემცირება შესაძლებელია წვეთების ნაცვლად შალამის გამოყენებით. კონსექტივიდან შეწოვის შალაღი უნარის გაბო, წინათ ოფთალმოლოგიური ანტიმუსკარინული საშუალებების შერწყვისას უპირატესობა მესამეულ ამინებს ენიჭებოღა. ცხოველებზე ჩატარებული უკანასკნელი ექსპერიმენტების შედეგებმა აჩვენა, რომ შეთოსეულ ამინს, გლიკოპროლაგს აგროპინის მსგავსი სწრაფი და ხანგრძლივი ეფექტი ახასიათებს.

შბოლოდ შიდრიაზის გამოწვევის შიბნით ანტიმუსკარინული საშუალებების გამოყენება რეკომენდებული არ არის. ოფთალმოლოგიაში ისინი შაშის ინიშნება, როღესაც შიდრიაზთან ერთად ციკლოპლეგიაღ არის სასურველი. ან ხანგრძლივი შიდრიაზის საჭიროებისას. ფუნდუსკოპური გამოკვლევის დროს, ხანმოკლე შიდრიაზის საჭიროებისას, ალფა-ადრენორეცეპტორების აგონისტები, მაგ., ფენილეფრინი, გამოიყენება (იხ. თავი 9).

ანტიმუსკარინული საშუალებები ოფთალმოლოგიაში გამოიყენებან აგრეთვე უვევისა და ირიგის დროს, სინექიის (აღებების) წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად. ამ შიბნით ხანგრძლივი მოქმედების პრეპარატები ინიშნება, განსაკუთრებით შობატროპინი.

## სასუნთქი სისტემის ღააკვლება

ეთილის ეთერით შიბდინარე ნარკოზის პრეოპერაციული შედიკამენტური მოშბადების ნაწილს აგროპინი წარმოადგენს, რაც ღაკემირებულია ამ საანესთეზიო საშუალების შიერ სასუნთქი გზების ძლიერ გამოაღბიანებულ უნართან, სეკრეციის გაზრდასთან და ღარინგოსპაშმის სშირი ებიბოღების რისკთან. ოპერაციის წინ აგროპინის ან სკოპოლამინის ინიექცია აქვეითებს მოსალოღნელ საფრთხეს. სკოპოლამინი იწვევს ამნებობას ქირურგიულ ჩარევისთან და შშობიარობასთან ღაკემირებული მოღღენების მსრივ. ასეთ შემთხვევებში ეს გვერდითი ეფექტი სასურველად არის შინსეული. შიორე მსრივ, ანტიმუსკარინული საშუალებები იწვევენ ქირურგიული ჩარევის შემღგომი შარღის შეკავებისა და ნაწღაეთა შიპოპერისგაღციკის დამშიბებას. შეღარებით ახალი საინჰაღაციო სასარკობო საშუალებები ნაკლებად აღიბიანებენ სასუნთქ გზებს.

როგორც მე-20 თავშია აღწერილი, ასომის ფონზე შაციუნების უშრატესობას ვაგაღური შიპერატეპური ბრონქოკონსტრიქციული რეღღექსი აღენიშნებოღ, რაც ბრონქების გღვეუ კუნთების მუსკარინული რეცეპტორების აგზნებით არის განპირობებული. ასომის დროს აგროპინის სინთეზური ანაღოგი პრატროპიუმი (სურათი 8-2) გამოიყენება საინჰაღაციო ფორმით. ინჰაღაციური გზის უპირატესობებია ბრონქების საშიბნე ქსოვილში შაქსიშაღური კონცენტრაციის შექმნა და სისტეპური ეფექტების შინიშემამღე შემცირება. ასომის სამკურნალოდ იპრატროპიუმის გამოიყენება ღეგაღურაღა განსიღღელი მე-20 თავში. იპრატროპიუმი ეფექტურია აგრეთვე ფოღგების ქრონიკული ობსტრუქციული ღააკვლების (COPD) დროს, რომეღეე ხანღაღმულ შაციენტებში უფრო შალაღი სისშირით გვხვეუბა, განსაკუთრებით თამბაქოს ქრონიკულ მწვევლებში. ამ ღანისნულღებით ბოლო ხანებში რეგისტრირებული გიოტროპიუმიც საკმაოღ კარგ შეღღებებს იღღევა COPD-ის დროს. იპრატროპიუმისგან განსხვავებით, გიოტროპიუმს უფრო ხანგრძლივი ბრონქოღიდრაგაციური მოქმედება ახასიათებს, რაც მის ღღეში ერთხელ ღანისუნის საშუალებას იღღევა. გიოტროპიუმი ამცირებს COPD-ის გამწვევების სისშირეს და იგი პულმონურ რეაბიღაციღაში დამხმარე საშუალების სახით გამოიყენება, ფიშიკური ღაკვიროვისაღღი გოღერანტილის გაზრღის შიბნით.



**გულ-სისხლძარღვთა დაავადებები**

მიოკარდიუმის ინფარქტის დროს გკივილს ზოგჯერ თან ახლავს ციომილი ნერვის იმპულსაციის რეულექსური ზრდა (ვაზოვაგალური შეტევა), რის გამოც შესაძლებელია სინოატრიული და ატრიოვენტრიკულური კვანძების ფუნქციის დათრგუნვა გულის წყითომცულობის დარღვევით. ასეთი მდგომარეობების სამკურნალოდ ხელსაყრელია ატროპინის ან მსგავსი საშუალებების პარენტერული გამოყენება. იშვიათად, ზოგიერთ ადამიანს გულის რაიმე პათოლოგიის გარეშე აღენიშნება კაროტიდული სისუსის შიპორაქტიური რეულექსია. რაც გამოიხატება კისრის არეში მეწლით განპირობებული (მაგ. მჭიდრო საყელს) ვაგუსის იმპულსაციის გაზრდით და მამე საპასუხო რეაქციით – გულის წასვლითა და სინკოპით. ასეთ შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა ატროპინის ან სხვა ანტიმუსკარინული საშუალებების ზომიერი გამოყენება.

მუსკარინულ აქტივობაზე პათოფიზიოლოგიურად ახდენს გავლენას, მაგრამ განსხვავებული გზით: იდიოპათიური დილატაციური კარდიომიოპათიის მქონე ზოგიერთი პაციენტში აღმოჩენილია გულის მუსკარინული რეცეპტორების უარეღარეთა მეორე მარყუჟის საწინააღმდეგო მოცირკულირე ანტიბიოტიკები, რომლებსაც გულზე პარასიმპათომიმეტიკური მოქმედება ახასიათებთ. ამ ეფექტის პრევენციისათვის შესაძლებელია ატროპინის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ მათი როლი გულის უკმარისობის პათოფიზიოლოგიაში უცნობია მათ შეიძლება ნათელი მოპვიონ რეცეპტორების გააქტივების მოლეკულურ საფუძვლებს.

**კუპ-ნანწლავის ტრაქტის დაავადებები**

ამჟამად, აშშ-ში ანტიმუსკარინული საშუალებები იშვიათად გამოიყენება პეპტიური წყლულის სამკურნალოდ (იხ. თავი 63). ანტიმუსკარინული საშუალებები გარკვეულ დანებთ ეფექტს ავლენენ მოგზაურთა ფაღარათისა და პერიტალტიკის გაძლიერების სხვა მსუბუქი ან თვით-განკურნებადი მდგომარეობების დროს. ეფექტის გაძლიერების მიზნით, ხშირად ისინი ოპიოიდურ ანტიდარეულ საშუალებებთან ერთად გამოიყენებინ, თუმცა ამ კომბინაციაში ანტიმუსკარინული პრეპარატის ძალზე მცირე დოზით დამატების ძირითადი მიზანია ოპიოიდური საშუალებებისადმი დამოკიდებულების განვითარების თავიდან აცილება. ატროპინისა და დიფენოქსილატის (მეპერიდინის არაანალგეტიკურ ნაწარმი) კლასიკური კომბინირებული პრეპარატი სხედასხვა სახელით არის ხელმისაწვდომი (მაგ. ლომოტილი), როგორც გაბლერების, ასევე თხეკადი ორალური ფორმების სახით (იხ. თავი 63).

**სამარლე სისტემის დაავადებები**

ატროპინი და სხვა ანტიმუსკარინული საშუალებები მარდის ბუშტის მსუბუქი, ანთებითი განპირობებული განშირებული მარდის სიმპტომატიკური მკურნალობისთვის ინიშნება (იხ. ცხრილი 8-3), თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ბაქტერიული ცისტაიტის დროს აუცილებელია სპეციფიკური ანტიბიოტიკული თერაპია. ადამიანის მარდის ბუშტში ექსპრესირებული  $M_2$  და  $M_3$  რეცეპტორებიდან უპირატესად  $M_3$  ქვეჯგუფის გააქტივება იწვევს შეკუმშვას. ნაწლავის გლუვი კუნთის მსგავსად, ქოლინორეცეპტორების  $M_2$  ქვეჯგუფს კუმშვალობაზე არაპირდაპირი გეგავლენა ახასიათებთ: იგი აინჰიბირებს ნორეპინეფრინითა და ეპინეფრინით განპირობებულ გლუვი კუნთის მოღუნებას.

$M_3$  რეცეპტორებისადმი რამდენაღმე სელექციური ოქსიბუგინინი, უროლოგიური ქირურგიული ჩარევის, მაგ. პროსტატექტომიის შემდეგ გამოიყენება მარდის ბუშტის სპაზმის მოსახ-

ცხრილი 8-3.

ანტიმუსკარინული საშუალებები, რომლებიც გამოიყენებიან კუპ-ნანწლავისა და მარდ-სასქესო სისტემის დაავადებების დროს.

პრეპარატი	ჩვეული დოზა
მერთხეული ამინები	
ანისტროპინი	50 მგ (3-ჯერ დღეში)
კლიდინიუმი	2.5 მგ (3-4-ჯერ დღეში)
გლიკოპიროლატი	1 მგ (2-3-ჯერ დღეში)
იმოპროპამიდი	5 მგ (2-დღეში)
მექენზოლატი	25 – 50 მგ (4-ჯერ დღეში)
მეთანთელანი	50 – 100 მგ (4-ჯერ დღეში)
მეთსკოპოლამინი	2.5 მგ (4-ჯერ დღეში)
ოქსიფენსონუმი	5 – 10 მგ (4-ჯერ დღეში)
პროპანთელანი	15 მგ (4-ჯერ დღეში)
ტრიდიპეტაითილი	25 – 50 მგ (3-4-ჯერ დღეში)
ტროსიპიუმი	20 მგ (2-ჯერ დღეში)
მესამეული ამინები	
ატროპინი	0.4 მგ (3-4-ჯერ დღეში)
დარიფენსაინი	7.5 მგ (ერთხელ დღეში)
დიციკლომინი	10 – 20 მგ (4-ჯერ დღეში)
ოქსიბუგინინი	5 მგ (3-ჯერ დღეში)
ოქსიფენციკლიმინი	10 მგ (2-ჯერ დღეში)
პროპიერინი	15 მგ (2-3-ჯერ დღეში)
სკოპოლამინი	0.4 მგ (3-ჯერ დღეში)
სოლიფენაინი	5 მგ (ერთხელ დღეში)
ტოლტეროდინი	2 მგ (2-ჯერ დღეში)

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის და გულის მწვავე უკმარისობის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არტერიული წნევის, გულის წყიმოცულობის, დარტყმითი მუშაობის ინდექსისა და ფილტვის კაპილარის «ჩაჭედვის» დროს განვითარებული წნევის მონიტორინგი. ამგვარი პაციენტების მდგომარეობის დასახასიათებლად სამი ჰემოდინამიკური პარამეტრი

გამოიყენება: არტერიული წნევა, მარცხენა პარკუჭის ატეხის წნევა და გულის ინდექსი. ამგვარი ერთი კლასიფიკაცია და ეფექტურად მიხედული მკურნალობა წარმოადგენილია ცხრილში 13-4. ლეგალობის რისკი მაღალია, როდესაც ატეხის წნევა 15 mmHg-ზე მაღალია. დარტყმითი ინდექსი კი 20 გმ/წ-ზე ნაკლები. ამ ორი კრიტერიუმის საშუალო მაჩვენებლები უკეთეს პროგნოზზე მიუთითებს.

მწვავე დეკომპენსაციის მქონე პაციენტებს შორის გამოყოფილია მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლებსაც პიპონაგრემია აღენიშნებათ, რაც საყარაულოდ ვაზოპრესინის აქტივობის გაზრდით არის გამოწვეული.  $V_{1a}$  და  $V_{2}$  რეცეპტორების ახალი ანტაგონისტი, კონიეპტანი, ევოლემური პიპონაგრემიის მკურნალობის ახალი პარენტალური საშუალებაა. რამდენიმე კლინიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს პრეპარატი, აგრეთვე სხვა მსგავსი  $V_{2}$  ანტაგონისტები, ზოგიერთ პაციენტში დადებით შედეგს იძლევიან პიპონაგრემიით მიმდინარე გულის მწვავე უკმარისობის დროს.

ხელმისაწვდომი პრეპარატები

მარფაქსანი  
იხ. თავი 15.

საბუღე ელიმინირება

დიგოქსინი (გენერატი, ლანოქსიკაფი, ლანოქსინი)  
ორალური: 0.125, 0.25 მგ ტაბლეტები; 0.05, 0.1, 0.2 მგ კაფსულა-ბი\*; 0.05 მგ/მლ ელექსირი  
პარენტალური: 0.1, 0.25 მგ/მლ საინექციო ხსნარი

ლითიალური ანტიბიოტიკები

დიგოქსინის იმუნური ჩხ (ცხერის) (დიგიბანდი, დიგიფანი)  
პარენტალური: 38 ან 40 მგ ფლაკონში 75 მგ სორბიტოლის ლიოფილიზებულ ფხვნილთან ერთად, იხსნება ენაში შესაყვანად. თითოეული ფლაკონი აკავშირებს დაახლოებით 0.5 მგ დიგოქსინს ან დიგიტოქსინს.

გულის შეზღუდვითი უკმარისობის დროს ყველაზე ხშირად გამოყენებადი სიმპტომთმკურნალო საშუალებები

დობუტამინი (გენერატი, დობუტრექსი)  
პარენტალური: 12.5 მგ/მლ ენაში ინფუზიისათვის  
დოფამინი (გენერატი, ინტროპინი)  
პარენტალური: 40, 80, 160 მგ/მლ ენაში ინფუზიისათვის; 80, 160, 320 მგ/დლ 5% დექსტროზაში ენაში ინფუზიისათვის

ანგიოტენზინის ბარბამენი უკმარისობის ინჰიბიტორები

ბენაპერილი (გენერატი, ლოტენზინი)  
ორალური: 5, 10, 20, 40 მგ ტაბლეტები  
კაპტორილი (გენერატი, კაპოტენი)  
ორალური: 12.5, 25, 50, 100 მგ ტაბლეტები  
ენალაპრილი (ვაზოტექი, ვაზოტექი 1.V.)  
ორალური: 2.5, 5, 10, 20 მგ ტაბლეტები  
პარენტალური: 1.25 მგ ენალაპრილატი/მლ საინექციო ხსნარი

ფონინოპრილი (გენერატი, მისინორილი)

ორალური: 10, 20, 40 მგ ტაბლეტები

ლიზინოპრილი (გენერატი, პრინილიდი, ზესტრილი)

ორალური: 2.5, 5, 10, 20, 30, 40 მგ ტაბლეტები

მოქსიპრილი (გენერატი, უნიასიკი)

ორალური: 7.5, 15 მგ ტაბლეტები

პერინდოპრილი (აქეონი)

ორალური: 2, 4, 8 მგ ტაბლეტები

ქვინაპრილი (აკუპრილი)

ორალური: 5, 10, 20, 40 მგ ტაბლეტები

რამიპრილი (ალტაცო)

ორალური: 125, 2.5, 5, 10 მგ კაფსულები  
გრანდოლოპრილი (მაიციკი)  
ორალური: 1, 2, 4 მგ ტაბლეტები

ანგიოტენზინური რეპარტორების ბლოკატორები

კანდესარტანი (ატაკანსი)  
ორალური: 4, 8, 16, 32 მგ ტაბლეტები  
ემროსარტანი (ტევეტენი)  
ორალური: 400, 800 მგ ტაბლეტები  
ირბესარტანი (აეპარო)  
ორალური: 75, 150, 300 მგ ტაბლეტები  
ლოზარტანი (კოზინი)  
ორალური: 25, 50, 100 მგ ტაბლეტები  
ოლმეზარტანი (ბენიკარი)  
ორალური: 5, 20, 40, 80 მგ ტაბლეტები  
ტელმისარტანი (მიკარდისი)  
შეწიით მისაღები ი: 20, 40, 80 მგ ტაბლეტები  
ვალსარტანი (დიოვანი)  
ორალური: 40, 80, 160, 320 მგ ტაბლეტები

ბეტა-ადრენოგლობულინი, რომლებიც ამირაბენ სიმპტომ-ინონებს გულის უკმარისობის დროს ბისოპროლოლი (ზეტეგა, არალტექსტრუბული გამოყენების ჩვენება)

ორალური: 5, 10 მგ ტაბლეტები  
კარედილოლი (კორეტი)  
ორალური: 3.125, 6.25, 12.5, 25 მგ ტაბლეტები  
მეტოპროლოლი (ლოპრესორი, გოპროლი XL)  
ორალური: 50, 100 მგ ტაბლეტები; 25, 50, 100, 200 მგ სუბტანცის ნელად გამომანათიესუფლებელი ტაბლეტები  
პარენტალური: 1 მგ/მლ ენაში საინექციო

სსპ საშუალებები

ბოსენტანი (ტრაკლეტი)

ორალური: 62.5, 125 მგ ტაბლეტები

ინამინონი

პარენტალური: 5 მგ/მლ ენაში საინექციო ხსნარი

მილნინონი (გენერატი, პრინიკორი)

პარენტალური: 1 მგ/მლ ენაში საინექციო ხსნარი; 200 მგ მლ წინაწარი ხარვეი IV საინფუზიო

ნესირიტიდი (ნატრეკორი)

პარენტალური: 1.58 მგ ფხვნილი ენაში საინექციო ხსნარის დასამზადებლად

\*დიგოქსინის კაფსულები (ლანოქსიკაფი), ტაბლეტების შედარებით, უფრო მაღალი ბიომეფექტივობა ახასიათებთ.



## REFERENCES

- Cleland JCF et al: The effect of cardiac resynchronization on morbidity and mortality in heart failure. *N Engl J Med* 2005;352:1539. [PMID: 15753115]
- Cohn J et al: A randomized trial of the angiotensin receptor blocker valsartan in heart failure. *N Engl J Med* 2002;345:1667.
- CONSENSUS Trial Study Group: Effects of enalapril on mortality in severe congestive heart failure. *N Engl J Med* 1987;316:1429.
- Dec GW: Digoxin remains useful in the management of chronic heart failure. *Med Clin North Am* 2003;87:317. [PMID: 12693728]
- Foody JM, Farrell MH, Krumholtz H: Beta blocker therapy in heart failure. *JAMA* 2002;287:883. [PMID: 11851582]
- Hunt SA et al: ACC/AHA 2005 guideline update for the diagnosis and management of chronic heart failure in the adult: Summary article: A report of the American College of Cardiology/American Heart Association Task Force on Practice Guidelines. *J Am Coll Cardiol* 2005;46:1116.
- Klein L et al: Pharmacologic therapy for patients with chronic heart failure and reduced systolic function: Review of trials and practical considerations. *Am J Cardiol* 2003;91(Suppl 9A):18F.
- Mann DL et al: New therapeutics for chronic heart failure. *Annu Rev Med* 2002;53:59. [PMID: 11818463]
- McMurray JJ et al: Effects of candesartan in patients with chronic heart failure and reduced left ventricular systolic function taking ACE inhibitors: The CHARM-Added Trial. *Lancet* 2003;362:767. [PMID: 13678869]
- Pitt B et al: Eplerenone, a selective aldosterone blocker, in patients with left ventricular dysfunction after myocardial infarction. *N Engl J Med* 2003;348:1309. [PMID: 12668699]
- Post SR, Hammond HK, Insel PA:  $\beta$ -Adrenergic receptors and receptor signaling in heart failure. *Annu Rev Pharmacol Toxicol* 1999;39:343. [PMID: 10331088]
- Rathbone SS et al: Association of serum digoxin concentration and outcomes in patients with heart failure. *JAMA* 2003;289:871.
- Ryan TJ et al: 1999 Update ACC/AHA Guidelines for the management of acute myocardial infarction. *Circulation* 1999;100:1016. [PMID: 10468535]
- Schrier RW, Abraham WT: Hormones and hemodynamics in heart failure. *N Engl J Med* 1999;341:577. [PMID: 10451464]
- Taur Y, Frishman WH: The cardiac ryanodine receptor (RyR2) and its role in heart disease. *Cardiol Rev* 2005;13:142. [PMID: 15831148]
- Taylor AL et al: Combination of isosorbide dinitrate and hydralazine in blacks with heart failure. *N Engl J Med* 2004;351:2049. [PMID: 15533851]

# ანტიარითმული საშუალებები

გულის არითმიებს ძალიან ხშირად ვხვდებით კლინიკურ პრაქტიკაში. მათ აღვნიშნავთ აქტიური ლიგანდისით მკურნალობის შემთხვევათა 25%-ში, ანესთეზიის ქვეშ მყოფ პაციენტთა 50%-ში და მთავარდროშის მწვავე ინფარქტის შემთხვევათა 80%-ზე მეტში. ძალიან სწრაფმა, ძალიან ნელმა ან ასინქრონულმა რითმმა შესაძლოა გამოიწვიოს გულის წუთმოცულობის შემცირება, ამიგომ ხშირ შემთხვევაში არითმიას მკურნალობა სჭირდება. ზოგიერთმა არითმიამ შესაძლოა ბიძგი მისცეს რითმის უფრო სერიოზულ, ლეგალური გამოსავლით, მაგ. პარკუჭთა აღრეული დეპოლარიზაცია იწვევს პარკუჭების ფიბრილაციას. ასეთ პაციენტებში ანტიარითმული საშუალებების გამოყენებას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია. მეორე მხრივ, თვითონ ანტიარითმულ საშუალებებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ფაგალური არითმიის განვითარებას. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ანტიარითმული მკურნალობის დანიშნულზე აუცილებელია რისკისა და სარგებლის შეფასება. ზოგადად, ასიმპტომური ან მინიმალური სიმპტომებით მიზნინარე არითმიის მკურნალობა რეკომენდებული არ არის.

არითმიის მკურნალობა შესაძლებელია როგორც ფარმაკოლოგიური საშუალებებით, ასევე მკურნალობის არაფარმაკოლოგიური მეთოდებით, როგორცაა მაგ. რითმის ხელოვნური მაგარებელი, კარდიოვერსია, კათეტერული აბლაცია და ქირურგია. ამ თავში განხილულია იმ სამკურნალო საშუალებების ფარმაკოლოგია, რომლებიც ირგუნავენ არითმიებს გულის კუნთის მემბრანაზე პირდაპირი ზემოქმედებით. მკურნალობის სხვა მეთოდები მოკლედ არის განხილული (იხ. გულის არითმიების არაფარმაკოლოგიური მკურნალობა).

## გულის ნორმალური რითმის ელექტროფიზიოლოგია

გულის ნორმალურ შეკუმშვისაგვის აუცილებელი ელექტროული იმპულსი რეგულარული ინტერვალებით წარმოიქმნება სინოატრიულ კვანძში (ხერაითი 14-1), ხეულებრივ, სისხრითი 60-100 დარტყმა/წუთში. იგი სწრაფად ვრცელდება წინაგულეებზე და აღწევს აგრიოვენტრიკულურ კვანძამდე, რომელიც ერთადერთი გამარგზას წარმოადგენს წინაგულეებსა და პარკუჭებს შორის. აგრიოვენტრიკულური კვანძში გამგარობლობა ნელია და დაახლოებით 0.15 წამის გოლია (ეს დაყოვნება უზრუნველყოფს დროს, რომელიც საჭიროა წინაგულეების შეკუმშვისათვის პარკუჭებში სისხლი გადასაგორცნად). შემდეგ, მის-პურკინის სისტემით იმპულსი პარკუჭების ყველა ნაწილზე ვრცელდება – მწვერვალის ენდოკარდული ზედაპირიდან, გულის ფუძის ეპიკარდული ზედაპირის წაივლით, პარკუჭთა სრული აქტივიცი-

ისათვის საჭიროა დაახლოებით 0.1 წამი; შესაგვეისად, პარკუჭის მთელი კუნთის შეკუმშვა თითქმის სინქრონულია და პემოდინამიკურად ყუქტკური.

*არითმიის დროს ლეოლარიზაციები ერთი ან მეტი ასეგვითი განსხვავებების გემოთი განხილული აღწერილობიდან – ანუ, აღვნიშნავთ აქეს ან იმპულსის წარმოქმნის აღვილის, მისი რეგულარიობის და სისხრის, ან მისი გგგგგგების დარღვევას.*

## მემბრანის ელექტრული აქტივობის იონური საფუძველები

გულის უჯრედების გრანსმემბრანული პოტენციალი დამოკიდებულია მემბრანის ორთვე მხარეს მექმნილ რამოდენიმე იონის კონცენტრაციებზე [ძირითადად ნატრიუმის (Na<sup>+</sup>), კალიუმის (K<sup>+</sup>), კალციუმის (Ca<sup>2+</sup>) და ქლორის (Cl<sup>-</sup>)] და თითოეული ამ იონის მემბრანულ გავლადობაზე. ეს წყალში სხნაი იონები ელექტრული და კონცენტრაციული გრადიენტების მიმართულებით ითვისუვლად ვერ დიფუნდირებენ უჯრედის ლიპიდურ მემბრანაში. ამგვარი დიფუზისათვის მათი ესაჭიროებათ წყლოვანი არხები (სპეციფიკური ფორის მექმნილი ცილები). ამრიგად, იონები უჯრედის მემბრანის გავლას გრადიენტის მიმართულებით მხოლოდ გულის ციკლის გარკვეულ მომენტებში ახერხებენ, კერძოდ მაშინ, როდესაც ეს იონური არხები ღიაა. იონების გაააღვლელებით ნაკალბი წარმოიქმნება, რაც გულის მოქმედების პოტენციალის საფუძველს ქმნის. ინდივიდუალური არხები შედარებით იონ-სპეციფიკური არიან. იონების მემბრანაში გავლადობა „ჭიმურებით“ (სავარაუდოდ, მოქნილი პეპტიდური ჯაჭვით ან ენერგეტიკული ბარიერებით) კონგროლიდება. თითოეული გიპის არხს აქვს საკუთარი გიპის ჭიმკარი (ნატრიუმის, კალიუმის და ზოგიერთ კალიუმის არხს ჭიმკრის ორი გიპი ახასიათებს). ჭიმკრის თითოეული გიპის გახსნა-დახურვა კი რეგულირდება სპეციფიკური გრანსმემბრანული პოტენციალით, იონური ან მეგაბოლური პირობებით.

მოსვენებულ მდგომარეობაში უჯრედების უმრავლესობას გავლადობა ნატრიუმისთვის ძალზე დაბალია, თითოეული მოქმედების პოტენციალის დაწვებისას კი მნიშვნელოვნად იზრდება (იხ. ქვემოთ), ანუ, ელექტროფიზიოლოგიური გერმინოლოგიის მხედელით, მადეპოლარიზებული გემულის საპასუხოდ ნატრიუმის სწრაფი არხების გავლადობა უცერად იზრდება. თითოეული მოქმედების პოტენციალის დროს კალციუმზე შედის უჯრედში, კალიუმს კი უჯრედიდან გამოდის, ამიგომ, იონური არხების გარდა, უჯრედს სგაბილური იონური გრანსმემბრანული მდგომარეობის შემანარსუნებელი სხვა მექანიზმებიც უნდა გააჩნდეს, რომლებიც მოეხმარება მას იონური გრადიენტების მექმნასა და შენარსუნებაში. ამ აქტიური მექანიზმებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ნატრიუმის გემბო, Na<sup>+</sup>/K<sup>+</sup> ATP-აზა, რომელიც განხილულია თავში 13. ნატრიუმის გემბო და სხვა აქტიური იონური საგრანსპორტო სისტემები, ინარსუნებენ რა არხებში დიფუზი-

გულის არითმიების არაფარმაკოლოგიური მეთოდებით მკურნალობა

100 წელზე მეტი ხნის წინ აღმოაჩინეს იქნა, რომ მარტივ *in vitro* მოდელებში (მაგ. გამგარი ქსოვილების რგოლებში) აგზნების წრის გადაკვეთის შედეგად იმპულსი წყდება. ეს პრინციპი ამჟამად გამოიყენება განსაზღვრული ანაგონიური გზების მქონე გულის ისეთი არითმიების რაიოფარმაკოლოგიის კათეგორიით აბლაციით წარმატებული მკურნალობის დროს. როგორცაა მაგ. აგრიოვენტიკული *„Zenon“* (აგრიოვენტიკული კვანძში აგზნების გალდის განმეორებითი შესვლა დამატებითი გზებით), წინაგულია თრთილვა და პარკუჭოვანი არითმიების ზოგიერთი ფორმა. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენეს, რომ პაროქსიზმული და მუდმივი ფორმის წინაგულიანი ფიბრილაცია შესაძლოა მომდინარეობდეს ფილტვის ერთ-ერთი ვენიდან. წინაგულთა ფიბრილაციის ორივე ფორმის მკურნალობა ხდება ფილტვის ვენების ელექტრული იზოლირებით რაიოფარმაკოლოგიის კათეგორიით აბლაციის მეთოდის გამოყენებით ან გულის მიმდინარე ქირურგიული ჩარევის დროს.

არაფარმაკოლოგიური მკურნალობის კიდევ ერთი მეთოდია კარდიოვერსისათვის დეფიბრილატორის ინპლანტაცია (ICD), მოწოდების, რომლისაზე შეუძლია ავტომატურად ამოიცნოს და გამოასწოროს პოტენციურად უბედურ არითმიები, როგორცაა პარკუჭოვანი ფიბრილაცია. ამჟამად, ICD ფართოდ გამოიყენება ამ ტიპის არითმიებიდან რეანიმირებულ პაციენტებში. რამდენიმე კვლევამ უჩვენა, რომ ICD მკურნალობა ამცირებს ლეგალიობას კორონარული არტერიების დაავადების მქონე პაციენტებში, რომელთა განდენის ფრაქცია 30%-ზე ნაკლებია და პაციენტებში გულის II ან III ხარისხის უკმარისობით, რომლებსაც ანამნეზში არ აღენიშნებოდა არითმიები. არაფარმაკოლოგიური ანტიარითმიული მკურნალობის სულ უფრო ფართო გამოყენება ასახავს როგორც მნიშვნელოვან გეგმობრივ ცვლილებებს უპირატესობებს, აგრეთვე ამჟამად არსებული მედიკამენტებით ხანგრძლივ მკურნალობასთან დაკავშირებული საფრთხის გაცნობიერებას.

სათვის საჭირო გრაფიკებს, არაპირდაპირად მონაწილეობენ გრანისემპტორული პოტენციალის განვითარების პროცესში. გარდა ამისა, ზოგიერთი ტუმბო და მიმომცელით სისტოლა წარმოქმნის „ელექტროგენურ“ ჯამურ ნაკადს (მაგ. Na<sup>+</sup>-ის სამი იონის გატევა K<sup>+</sup>-ის ორ იონში).

როდესაც გულის უჯრედის მემბრანა სპეციფიკური იონისთვის განვლავს ხდება (ანუ, როდესაც ამ იონისათვის სელექციური არხები ღიაა), ამ იონის მემბრანაში გადაადგილება ომის კანონის შესაბამისად მიმდინარეობს: იონური ნაკადი = ძაბვა რემისგენობა, ან იონური ნაკადი = ძაბვა X გამგარობაზე. გამგარობა თითოეული იონური არხის ცილის თვისებებზეა დამოკიდებული. ძაბვა არის მემბრანის პოტენციალსა და ამ იონის შებრუნებულ პოტენციალს (მემბრანის პოტენციალი, რომლის დროსაც გადებულ არხების პირობაშიც კი იონური ნაკადის დინებას არ აქვს ადგილი) შორის არსებული სხვაობა. მაგ., მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფ გულის უჯრედში ნაგროუმისათვის შექმნილია მნიშვნელოვანი კონცენტრაციული (მემბრანის გარეთ 140 მმოლ/ლ Na<sup>+</sup>; მემბრანის შიგნით 10-15 მმოლ/ლ Na<sup>+</sup>) და ელექტრული გრადიენტები (მემბრანის გარეთ - 0 მვ; მემბრანის შიგნით - 90 მვ), რომლებიც ნაგროუმს იონურ ნაკადს უჯრედისაკენ მიმართავენ. მოსვენებულ მდგომარეობაში ნაგროუმის არხები დახურულია, ამიტომ ეს იონი არ შედის უჯრედში; არხების გახსნა იწვევს ნაგროუმის იონების დიდი რაოდენობით შესვლას უჯრედში და დეპოლარიზაციის სულყოფანი (0) ფაზის აღმოცენებას.


მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფ გულის უჯრედებში K<sup>+</sup> იონებისათვის შექმნილი მდგომარეობა საკმაოდ განსხვავებულია: კონცენტრაციული გრადიენტი (უჯრედის შიგნით 140 მმოლ/ლ; უჯრედის გარეთ 4 მმოლ/ლ) კალიუმის იონის უჯრედთან გარეთ უბიძგებს, ელექტრული გრადიენტი კი გარედან შიგნით; ანუ, შიგნით მიმართული გრადიენტი წინასწრობაშია გარეთ მიმართულ გრადიენტთან. ფაქტიურად, მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი უჯრედის კალიუმის ზოგიერთი არხი („შიგნითკენ მიმართული“ არხი) ღიაა, მაგრამ გრადიენტების ბალანსის გამო მათში კალიუმის მხოლოდ მცირე ნაკადი მოძრაობს. ამ იონებისათვის წინასწრობის, ანუ შებრუნებული პოტენციალის განსაზღვრისათვის ნერვსის განგოლებათა მოწოდებულა:

$$E_{ion} = 61 \times \log \left( \frac{C_o}{C_i} \right)$$

სადაც C<sub>o</sub> და C<sub>i</sub> იონის უჯრედგარე და უჯრედშიდა კონცენტრაციებია, შესაბამისად, გამრავლებული თაიანი მოქმედების კოეფიციენტებზე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კალიუმის უჯრედგარე კონცენტრაციის გამრდა E<sub>K</sub>-ს უარყოფით მნიშვნელებს აქვეითებს და ახალი E<sub>K</sub>-ს მიღწევამდე მემბრანა დეპოლარიზებულია. ამრიგად, გულის მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი უჯრედის მემბრანული პოტენციალი ძირითადად დამოკიდებულია კალიუმის უჯრედგარე კონცენტრაციისა და შიგნითკენ მიმართული არხების მუშაობაზე. გულის უძრავლესი უჯრედისათვის (რომლებიც რითმის წამყვანი არ არიან) ნერვსის განგოლების აპოქსიმაცია შესაძლებელია აოვერშევის პიქსა (ნაგროუმის კონცენტრაციის გამოყენებით) და მოსვენებული მდგომარეობისათვის (კალიუმის კონცენტრაციის გამოყენებით). თუ კალიუმისა და ნაგროუმის იონებისათვის მემბრანა განვლავს, მაშინ ნერვსის განგოლების მიხედვით მემბრანის პოტენციალის ზუსტი გამოთვლა ძნელდება. ამ სიტუაციისათვის მოწოდებულია ვოლტმან-პოქსინ-კაცის განგოლება:

$$E_{mem} = 61 \times \log \left( \frac{P_K \times K_o + P_{Na} \times Na_o}{P_K \times K_i + P_{Na} \times Na_i} \right)$$

რითმის წამყვან უჯრედებში (როგორც ნორმალურში, ისე ექტოპურში) სონგანური დეპოლარიზაცია (რითმის წამყვანის პოტენციალი) დიასტოლის ფაზაში მიმდინარეობს (ფაზა 4, სურათი 14-1). სონგანური დიასტოლური დეპოლარიზაციის მიზეზია რითმის წამყვანი უჯრედების სპეციფიკური იონურ არხებში (პიპერპოლარიზაციით აქტივირებადი) დეპოლარიზაციის გამოწვევი ნაკადის ნელი, თანდათანობით გაზრდა. კალიუმის უჯრედგარე კონცენტრაციის ცელილებების გეგაფლენა რითმის წამყვან უჯრედებზე გაცილებით რთულია, რადგან რითმის არამატარებელ უჯრედებთან შედარებით, კალიუმის განვლადობის ცელილებები ამ უჯრედებზე გაცილებით მეტად მოქმედებს (იხ. კალიუმის ეფექტები). პეისმეკერში (რითმის წამყვანში), განსაკუთრებით ექტოპურში, კალიუმის უჯრედგარე კონცენტრაციის საბოლოო მომატება ჩვეულებრივ რითმის წამყვანის შენელებას ან გაჩერებას იწვევს. პირიქით, პიპოკალურ მია ხშირად ხელს უწყობს ექტოპური პეისმეკერის წარმოშობას.



სურათი 14-1.

გულისა და მხსი ელექტრული აქტივობის სქემატური გამოსახულება (უჯრედშიდა ჩანაწერები სხვადასხვა მითითებული უბნიდან და ეკგ). სინოატრიული კვანძი, ატრიოვენტრიკულური კვანძი და პურკინიეს უჯრედები აელექტონ რითმის წამყვანის აქტივობას (ფაზა 4 დეპოლარიზაცია). ეკგ არის გულის დეპოლარიზებისა და რეპოლარიზების გალღების გამოვლინება სხეულის ზედაპირზე. P კბილი წარმოიქმნება წინაგულთა დეპოლარიზებით, QRS – პარკუჭების კუნთის დეპოლარიზებით, ხოლო T კბილი – პარკუჭთა რეპოლარიზებით. ამრიგად, PR ინტერვალი ასახავს იმპულსის გატარების დროს წინაგულებიდან პარკუჭებისაკენ, ხოლო QRS ინტერვალი კი ასახავს პარკუჭთა ყველა უჯრედის აქტივაციისათვის საჭირო დროს (ანუ, პარკუჭშიდა გამგარებლობის დროს). QT ინტერვალი გამოხატავს პარკუჭთა მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობას.

## უჯრედის აქტიური მემბრანა

წინაგულების, პურკინიესა და პარკუჭების ნორმალურ უჯრედებში მოქმედების პოტენციალის დაწყება (ფაზა 0) ნაგრიუმის ნაკადზეა დამოკიდებული. ფუნქციური თივალსაზრისით, უფრო მოხერხებულია ნაგრიუმის ნაკადის დახასიათება არსის სამი მდგომარეობის მიხედვით (სურათი 14-2). ამჟამად, კლონირებულია გულის ნაგრიუმის არხის ცილა და ცნობილია, რომ ამ არხების სხვადასხვა მდგომარეობა ცილის კონფორმაციული ცვლილებებზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, გამოვლენილია ცილის ის უბნები, რომლებზეც პასუხისმგებელი არიან სპეციფიკურ ქეცეაზე, მაგ., ვოლტაჟის აღქმაზე, ფორების წარმოქმნასა და ინაქტივაციებზე. ქეცეით და სურათზე 14-2 აღწერილი ჭიშკრები ამგვარ უბნებს წარმოადგენენ.

დეპოლარიზაციის პერიოდში ზღურბლოვანი პოტენციალის განვითარება იწვევს ნაგრიუმის არხების აქტივაციის ჭიშკრების (*m*) გაღებას (სურათი 14-2, შუა). ინაქტივაციის (*h*) ჭიშკრების დახურვამდე არხები ღია, ანუ აქტიურ მდგომარეობაში იმყოფებიან,

რის გამოც ნაგრიუმის განვალადობა მნიშვნელოვნად იზრდება და ნებისმიერი სხვა იონის განვალადობას საგრძნობლად აჭარბებს, ამიტომ, უჯრედგარე ნაგრიუმი დიფუნდირებს უჯრედის შიგნით ელექტროქიმიური გრადიენტის მიმართულებით. მემბრანის პოტენციალი ძალიან სწრაფად აღწევს ნაგრიუმის წონასწორობის პოტენციალს,  $E_{Na}$  (დაახლოებით +70mV, როდესაც  $Na_e = 140$  მმოლ/ლ და  $Na_i = 10$  მმოლ/ლ). ნაგრიუმის ეს ინტენსიური ნაკადი ძალიან ხანმოკლეა. რადგან დეპოლარიზაციის დროს *m* ჭიშკრების გახსნას სწრაფად მოსდევს *h* ჭიშკრების დროული დახურვა და ნაგრიუმის არხების ინაქტივაცია (სურათი 14-2, მარჯვენა).

ნაგრიუმის არხების მსგავსად, კალციუმის არხებიც ექვემდებარებიან აქტივაცია/ინაქტივაციის პროცესებს, მაგრამ გულში ძირითადად „L“ ტიპის კალციუმის არხებს ეზღვებიან, რომელთა სხვადასხვა მდგომარეობაში გადასვლის პროცესი გაცილებით ნელია და უფრო მეტად დადებითი პოტენციალებზეა


პალიუმის უწყობა

ელექტროქიმიური გრადიენტის ცვლილების მსხვილი წინასწარ განსაზღვრა იმისა, თუ რა გეგვლენას მოახდენს გულის მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობაზე, რითმის წამყვანის სისშირესა და არითმიებზე კალიუმის კონცენტრაციის ცვლილება შრატში, გარკვეულწილად პარადოქსულია. თუმცა, ელექტროქიმიური მამოძრავებელი ძალების მარტივი ძვრებისგან დამოუკიდებლად, შრატში კალიუმის კონცენტრაციის ცვლილება გავლენას ახდენს გულის უჯრედში კალიუმის განვლადობაზე (კალიუმის უჯრედგარეთა კონცენტრაციის მომატება იწვევს კალიუმის განვლადობის გაზრდას) და ეს იწვევს სშირად დომინანტურა. ამიტომ, *ჰიპერკალიემიის* დროს აღვილი აქვს მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობის შემცირებას, გამტარებლობის შენელებას, რითმის წამყვანის სისშირისა და მისი არითმოგენების შემცირებას. და პირიქით,

*ჰიპოკალიემია* იწვევს მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობის გაზრდას, რითმის წამყვანის სისშირისა და არითმოგენების მომატებას. უფრო მეტიც, შრატში კალიუმის კონცენტრაციის ცვლილების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა რითმის წამყვანის სისშირე და ექტოპური კერის უჯრედებთან დაკავშირებული არითმიები (სინოატრიული კვანძის უჯრედებთან შედარებით). სავარაუდოდ, კალიუმის შრატისმიერი კონცენტრაციის გეგვლენა გულზე საფუძვლად უდევს ჰიპოკალიემიის პირობებში კალიუმის არხების მამოძრავებელი ანტიარითმიული საშუალებების (მაგ. ქინიდინის ან სოგალილოს) მიმართ მგრძობიარეობის მომატებას (მაგ. მოქმედების პოტენციალის დაყოვნებული გახანგრძლივება და *torsade de pointes*-ის ტიპის არითმიის განვითარების გენდენცია).

არსებობის შემთხვევაში ხორციელდება. მოქმედების პოტენციალის პლაგო (ფაზა 1 და 2) ასახავს ნაგრიუმის ნაკადების უმეტესი ნაწილის შეწყვეტას. კალიუმის ნაკადის მერყეობასა და კალიუმის რეპოლარიზებადი ნაკადის ნელ განვითარებას. მოქმედების პოტენციალის საბოლოო რეპოლარიზაციის (ფაზა 3) მიზეზია ნაგრიუმისა და კალიუმის არხების ინაქტივაციის დასრულება და კალიუმის განვლადობის გაზრდა, ისე რომ მემბრანის პოტენციალი კიდევ ერთხელ აღწევს კალიუმის წონასწორობის პოტენციალს. ფაზა 3 რეპოლარიზაციაში მონაწილე კალიუმის ძირითადი ნაკადი შედგება კალიუმის გამააქტივებელ სწრაფი ( $I_{Kr}$ ) და ნელი ( $I_{Ks}$ ) ნაკადებისგან. კა-


ლიუმის ეს ორი ნაკადი ზოგჯერ განიხილება ერთად, როგორც „ $I_K$ “. ეს პროცესი გამოსახულია სურათზე 14-3. აღსანიშნავია, რომ სინოატრიული კვანძის უჯრედების რეპოლარიზაციის კალიუმის განსხვავებული ნაკადი (არც  $I_{Kr}$  და არც  $I_{Ks}$ ) აკონტროლებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, თუ ზოგაერთი კალიუმის ორივე ნაკადის (როგორც  $I_{Kr}$ , ისე  $I_{Ks}$ -ს) დამორგუნეული პრეპარატი რაგომ ახანგრძლივებს რეპოლარიზაციას პურკინის ბოჭკოსა და პარკუჭის უჯრედებში, მაგრამ უმნიშვნელო გავლენას ახდენს სინოატრიული კვანძის რეპოლარიზაციაზე (ის გულის არითმიების მოლეკულური და გენეტიკური საფუძვლები).



სურათი 14-2.

გულის მოქმედების პოტენციალის პერიოდში ნაგრიუმის არხების კონფორმაციული ცვლილებების ციკლის სქემატური გამოსახულება. არხის მდგომარეობა (მოსვენების, აქტიური და არააქტიური) დამოკიდებულია მემბრანის პოტენციალსა და დროზე. აქტივაციის გომკარი ნაჩვენებია, როგორც *m*, ხოლო ინაქტივაციისა კი, როგორც *h*. არხის თითოეული მდგომარეობისათვის დამახასიათებელი პოტენციალი, დროის უწყობის სახით, ნაჩვენებია ხვედრის ქვემოთ. წვეტილი ხაზით აღნიშნულია მოქმედების პოტენციალის ის ნაწილი, რომლის დროსაც ნაგრიუმის არხების უმრავლესობა მილიანად ან ნაწილობრივ ინაქტივირებულია და ხელახალი გააქტივებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.





სურათი 14-3.

იონების განვალდობის ცვლილებისა და საგრანსპორტო პროცესების სქემატური დიაგრამა მოქმედების პოტენციალისა და მისი შემდგომი დიაგნოსის პერიოდში. ისრების ზომა და სისქე მიახლოებითად მიუთითებს იონურ არხში ნაკადის სიძლიერეზე; ქვემოთ მიმართული ისარი მემბრანაში შემავალ (მაღეპოლარიზებულ) ნაკადზე მიუთითებს, ზემოთ მიმართული კი მემბრანიდან გამომავალზე (რეპოლარიზების). კალიუმისა და კალციუმის ნაკადის მრავალი ქვეტიპი იქნა აღმოჩენილი. რომლებიც განსხვავებულ მგრძობილობას აქვს მათი კონკრეტული საშუალებების მიმართ. მოქმედების პოტენციალის დროს ქლორის ნაკადები (წყვეტილი ისრები) წარმოშობენ მემბრანის როგორც შიგნით, ისე გარეთ მიმართულ ნაკადებს

**მოსვენების პოტენციალის ზეგავლენა მოქმედების პოტენციალზე**

ართიმების პათოფიზიოლოგიისა და ანტიარითმული საშუალებების მოქმედების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს უჯრედის მოსვენებისა და მოქმედების პოტენციალების ურთიერთდაპოკიდებულება წარმოადგენს (სურათი 14-4, მარჯვენა პანელი). მოსვენებულ მდგომარეობაში, როდესაც პოტენციალის მასშტაბი -75-დან -55 mV ფარგლებში მერყეობს. მემბრანის ნაგრიუმის არხების ინაქტივაციის ჭიმკრები იხურება და ამიტომ, თუ მოქმედების პოტენციალის აღძერა ხდება -60 mV-დან, ნაგრიუმის იონების დიფუზიისათვის უფრო მცირე რაოდენობის ნაგრიუმის არხი რჩება „ხელმისაწვდომი“, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედების პოტენციალი -80 mV-ის გოლი მოსვენების პოტენციალიდან წარმოიქმნება. ნაგრიუმის განვალდობის პიკის დაქვეითების მნიშვნელოვანი შედეგია აღმასვლის მაქსიმალური სიჩქარის დაქვეითება (ე.წ.  $V_{max}$  მემბრანის მუხტის შეცვლის მაქსიმალური სიჩქარისათვის), მოქმედების პოტენციალის ამპლიტუდის შემცირება, აგზნებალობისა და გამგარებლობის სიჩქარის დაქვეითება.

მოქმედების პოტენციალის პლაგოს პერიოდში ნაგრიუმის არხების უმრავლესობა ინაქტივირებულია. რეპოლარიზაციის პერიოდში ადგილი აქვს ინაქტივაციის მდგომარეობიდან გამოსვლას (სურათი 14-2 გერმინოლოგიის მიხედვით). ხელახლა იღება  $h$  არხები და აღდგენას, რაც არხებს კვლავ ხელმისაწვდომს ხდის აგზნებისათვის. ფაზა 0-სა და ფაზა 3-ის შორის არსებულ დროის მონაკვეთში ხდება ნაგრიუმის არხებისა და

გარეგან სტიმულზე ხელახლა რეაგირების უნარის აღდგენა. დროის ამ მონაკვეთს რეფრაქტორული პერიოდი ეწოდება. ზოგიერთი არითმიის დასაბრუნებლად შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს რეფრაქტორობის ცვლილებები (რაც განისაზღვრება ინაქტივაციის მდგომარეობიდან აღდგენის პროცესის ცვლილებით ან მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობის ცვლილებით). ნაკლებად უარყოფითი მოსვენების პოტენციალის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეფექტია აღდგენის დროის გახანგრძლივება. რაც ნაინენებია სურათზე 14-4 (მარჯვენა პანელი). აღდგენის დროის გახანგრძლივება აისახება ეფექტური რეფრაქტორული პერიოდის გაზრდაში.

მოქმედების პოტენციალის გახანგრძლივება ან გარეთა ელექტროდებით განპირობებული უეცარი, ხანმოკლე მადეპოლარიზებული სტიმული იწვევს აქტივაციის მრავალი ჭიმკრის გახსნას და კიდევ უფრო მეტი ინაქტივაციის ჭიმკრის დახურვას. ამისაგან განსხვავებით, მიკროკალიუმის ნაგრიუმის გუმბოს ბლოკადით, ან უჯრედების იმპიური დაზიანებით განპირობებული მოსვენების პოტენციალის ნეტი შემცირება (დეპოლარიზაცია) იწვევს ნაგრიუმის ნაკადის დათრგუნვას მოქმედების პოტენციალების აღმასვლის პერიოდში. მოსვენების პოტენციალის დეპოლარიზაცია -55 mV-ზე უფრო მეტად დადებითი დონემდე იწვევს ნაგრიუმის ყველა არხი ინაქტივაციისა და ნაგრიუმის ნაკადის შეწყვეტას. თუმცა, ამგვარად უკიდურესად დეპოლარიზებული უჯრედებისათვის, კალციუმის განვალდობის




კალიუმის ექვივალენტი

ელექტროქიმიური გრადიენტის ცვლილების მიხედვით წინასწარ განსაზღვრა იმისა, თუ რა ზეგავლენას მოახდენს გულის მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობაზე, რითიმის წამყვანის სისწორესა და არითმიებზე კალიუმის კონცენტრაციის ცვლილება შრატში. გარკვეულწილად პარადოქსულია. თუმცა, ელექტროქიმიური მამოძრავებელი ძალების მარტივი ძველებისგან დამოუკიდებლად, შრატში კალიუმის კონცენტრაციის ცვლილება გავლენას ახდენს გულის უჯრედში კალიუმის განვლადობაზე (კალიუმის უჯრედგარეთა კონცენტრაციის მომატება იწვევს კალიუმის განვლადობის გაზრდას) და ეს ეფექტი სშირად დომინანტურია. ამიგომ. *ჰიპერკალიემიის* დროს ადვილი აქვს მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობის შემცირებას, გამტარებლობის შენელებას, რითიმის წამყვანის სისწორისა და მისი არითმოგენეზის შემცირებას. და პირიქით,

*ჰიპოკალიემია* იწვევს მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობის გაზრდას, რითიმის წამყვანის სისწორისა და არითმოგენეზის მომატებას. უურო მეტიც, შრატში კალიუმის კონცენტრაციის ცვლილებების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა რითიმის წამყვანის სისწორე და ექვოპური კერის უჯრედებთან დაკავშირებული არითმიები (სინოატრიული კვანძის უჯრედებთან შედარებით). სავარაუდოდ, კალიუმის შრატისშიერი კონცენტრაციის ზეგავლენა გულზე საფუძვლად უდევს *ჰიპოკალიემიის* პირობებში კალიუმის არსების მადლიკირებელი ანტიარითმიული საშუალებების (მაგ., ქინიდინის ან სოგალილის) მიმართ მგრძობიარეობის მომატებას (მაგ., მოქმედების პოტენციალის დაყოვნებული გახანგრძლივება და *torsade de pointes*-ის გიპის არითმიის განვითარების გენდენცია).


არსებობს შემთხვევაში ხორციელდება. მოქმედების პოტენციალის პლაგო (ფაზა 1 და 2) ასახავს ნატრიუმის ნაკადების უმეტესი ნაწილის შეწყვეტას, კალციუმის ნაკადის მერყეობასა და კალიუმის რეპოლარიზებადი ნაკადის ნელ განვითარებას. მოქმედების პოტენციალის საბოლოო რეპოლარიზაციის (ფაზა 3) მიზეზია ნატრიუმისა და კალციუმის არსების ინაქტივაციის დასრულება და კალიუმის განვლადობის გაზრდა, ისე რომ მემბრანის პოტენციალი კიდევ ერთხელ აღწევს კალიუმის წონასწორობის პოტენციალს. ფაზა 3 რეპოლარიზაციაში მონაწილე კალიუმის ძირითადი ნაკადი შედგება კალიუმის გამააქტივებელ სწრაფი ( $I_{kr}$ ) და ნელი ( $I_{ks}$ ) ნაკადებისგან. კა-

ლიუმის ეს ორი ნაკადი ზოგჯერ განიხილება ერთად, როგორც „ $I_k$ “. ეს პროცესი გამოსახულია სურათზე 14-3. აღსანიშნავია, რომ სინოატრიული კვანძის უჯრედების რეპოლარიზაციას კალიუმის განსხვავებული ნაკადი (არც  $I_{kr}$  და არც  $I_{ks}$ ) აკონტროლებს. ამით აისხნება ის ფაქტი, თუ ზოგიერთი კალიუმის ორივე ნაკადის (როგორც  $I_{kr}$ , ისე  $I_{ks}$ ) დამთრგუნველი პრეპარატი რაგომ ახანგრძლივებს რეპოლარიზაციას პურკინის ბოჭკოსა და პარკუჭის უჯრედებში. მაგრამ უმნიშვნელო გავლენას ახდენს სინოატრიული კვანძის რეპოლარიზაციაზე (ის. გულის არითმიების მოლექულური და ცენტრიკური საფუძვლები).



სურათი 14-2.

გულის მოქმედების პოტენციალის პერიოდში ნატრიუმის არსების კონფორმაციული ცვლილებების ციკლის სქემატური გამოსახულება. არხის მდგომარეობა (მოსვენების, აქტიური და არააქტიური) დამოკიდებულია მემბრანის პოტენციალსა და დროზე. აქტივაციის ჭიმკარი ნახევენია, როგორც *m*, ხილო ინაქტივაციისა კი, როგორც *h*. არხის თითოეული მდგომარეობისათვის დამახასიათებელი პოტენციალი, დროის უნქიის ხახი, ნახევენია ქვემოთ. წვევილი ხაზით აღნიშნულია მოქმედების პოტენციალის ის ნაწილი, რომლის დროსაც ნატრიუმის არხების უმრავლესობა მთლიანად ან ნაწილობრივ ინაქტივირებულია და ხელახალი გააქტივებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.



სურათი 14-3.

იონების განვლადობის ცვლილებისა და სატრანსპორტო პროცესების სქემატური დიაგრამა მოქმედების პოტენციალისა და მისი შექმნაში დიასტოლის პერიოდში. ისრების ზომა და სისქე მთავარად მიუთითებს იონურ არხში ნაკადის სიძლიერეზე; ქვემოთ მიმართული ისარი მემბრანაში შემაჯავალ (მაღეპოლარიზებულ) ნაკალბე მიუთითებს, ზემოთ მიმართული კი მემბრანიდან გამოშვებულ (რეპოლარიზების). კალციუმისა და კალციუმის ნაკადის მრავალი ქვეტი პი იქნა აღმოჩენილ, რომლებიც განსხვავებულ მგრძობილობას აქვთ მთავარი კონცენტრაციის საშუალებების მიმართ. მოქმედების პოტენციალის დროს ქლორის ნაკადები (წყვეტილი ისრები) წარმოშობენ მემბრანის როგორც შიგნით, ისე გარეთ მიმართულ ნაკადებს


### მოსვენების პოტენციალის გეგავლება მოქმედების პოტენციალზე

ართიმების პათოფიზიოლოგიისა და ანტიარითმული საშუალებების მოქმედების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს უჯრედის მოსვენებისა და მოქმედების პოტენციალების ურთიერთდასოკიდებულება წარმოადგენს (სურათი 14-4, მარცხენა პანელი). მოსვენებულ მდგომარეობაში, როდესაც პოტენციალის მაჩვენებელი -75-დან -55 mV ფარგლებში მერყეობს, მემბრანის ნაგრიუმის არხების ინაქტივაციის ჰიპოკრები იხურება და ამიტომ, თუ მოქმედების პოტენციალის აღქერა ხდება -60 mV-დან, ნაგრიუმის იონების დიფუზიისათვის უფრო მცირე რაოდენობის ნაგრიუმის არხი რჩება „ხელმისაწვდომი“, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედების პოტენციალი -80 mV-ის ტოლი მოსვენების პოტენციალიდან წარმოიქმნება. ნაგრიუმის განვლადობის პიკის დაქვეითების მნიშვნელოვანი შედეგია აღმასვლის მაქსიმალური სიხარის დაქვეითება (ე.წ.  $V_{max}$  მემბრანის მუხტის შეცვლის მაქსიმალური სიხარისათვის). მოქმედების პოტენციალის ამპლიტუდის შემცირება, აგზნებადობისა და გამგარებლობის სიხარის დაქვეითება.

მოქმედების პოტენციალის პლატოს პერიოდში ნაგრიუმის არხების უმრავლესობა ინაქტივირებულია. რეპოლარიზაციის პერიოდში ადგილი აქვს ინაქტივაციის მდგომარეობიდან გამოსვლას (სურათი 14-2 გერმინოლოგიის მიხედვით, ხელახლა იდება  $h$  არხები) და ადგენას, რაც არხებს კვლავ ხელმისაწვდომს ხდის აგზნებისათვის. ფაზა 0-სა და ფაზა 3-ის შორის არსებულ დროის მონაკვეთში ხდება ნაგრიუმის არხებისა და

გარეგან სტიმულზე ხელახლა რეაგირების უნარის აღდგენა. დროის ამ მონაკვეთის რეფრაქტორული პერიოდი ეწოდება. მოგერიტი არითმიის დახატრეუნად შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს რეფრაქტორობის ცვლილებები (რაც განისაზღვრება ინაქტივაციის მდგომარეობიდან აღდგენის პროცესის ცვლილებით ან მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობის ცვლილებით). ნაკლებად უარყოფითი მოსვენების პოტენციალის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეფექტია აღდგენის დროის გახანგრძლივება. რაც ნაჩვენებია სურათზე 14-4 (მარჯვენა პანელი). აღდგენის დროის გახანგრძლივება აისახება ეფექტური რეფრაქტორული პერიოდის გაზრდაში.

მოქმედების პოტენციალის გახანგრძლივება ან გარეთა ელექტროდებით განპირობებული უეცარი, ხანმოკლე მაღეპოლარიზებული სტიმული იწვევს აქტივაციის მრავალი ჰიპოკრის გახსნას და კიდევ უფრო მეტი ინაქტივაციის ჰიპოკრის დახურვას. ამისაგან განსხვავებით, პიპერკალიუმით ნაგრიუმის ტუმბოს ბლოკადით, ან უჯრედების იმეოსური დაზიანებით განპირობებული მოსვენების პოტენციალის ნელი შემცირება (დეპოლარიზაცია) იწვევს ნაგრიუმის ნაკადის დათრგუნვას მოქმედების პოტენციალების აღმასვლის პერიოდში. მოსვენების პოტენციალის დეპოლარიზაცია -55 mV-ზე უფრო მეტად დადებითი დონემდე იწვევს ნაგრიუმის ყველა არხი ინაქტივაციისა და ნაგრიუმის ნაკადის შეწყვეტას. თუმცა, ამგვარად უკიდურესად დეპოლარიზებული უჯრედებისათვის, კალციუმის განვლადობის



სურათი 14-4.

ნაგრიუმის არხების ფუნქციის დამოკიდებულება სტიმულამდე არსებულ მემბრანულ პოტენციალზე. მარცხნივ: სტიმულზე საპასუხო გახსნისათვის ხელმისაწვდომი ნაგრიუმის არხების ფრაქცია დამოკიდებულია სტიმულის უშუალოდ წინმსწრებ მემბრანულ პოტენციალზე. წამლის არარსებობის პირობებში, დეპოლარიზაციის პერიოდში ამ ფრაქციის შემცირება (საკონტროლო მრუდი) *h* ჭიქების პოტენციალ-დამოკიდებული დახურვის შედეგია. მრუდი, აღნიშნით *სამკურნალო საშუალება*, გამოხატავს გიპური ადგილობრივი საანესთეზიკ-ანიგარიტიული პრეპარატის ეფექტს. მოქმედების პოტენციალის პლაგოს პერიოდში ნაგრიუმის არხების უმრავლესობა ინაქტივირებულია. მარჯვნივ: მოსვენების პოტენციალზე დამოკიდებული აგრეთვე რემოლარიზაციის შემდგომი ინაქტივაციის აღდგენის დროის მუდმივა. წამლის გარეშე, მოსვენების პოტენციალის ნორმალური მანძილების პირობებში (-85mV - -95mV), აღდგენა 10 მილიწამზე ნაკლებ დროში ხდება. დეპოლარიზებული უჯრედების აღდგენა უფრო ნელა მიმდინარეობს (ლოგარიტიული შკალა). ნაგრიუმის არხების ბლოკატორები მრდიან აღდგენისათვის საჭირო დროის მუდმივას და ეს ცვლილება გაცილებით მეტად არის გამოხატული დეპოლარიზაციის პერიოდში, ვიდრე უფრო უარყოფითი პოტენციალის დროს.

გაზრდის ან კალიუმის განვლადობის შემცირების პირობებში, დამახასიათებელია მოქმედების განსაკუთრებული პოტენციალები. ეს „ნელი რეაქციები“ – აღმასვლის ნელი სიჩქარე და ნელი გამგარებლობა – კალციუმის შემავალ ნაკადზე დამოკიდებული და სინოატრიული და ატრიოვენტრიკულური კვანძების ნორმალური ელექტრული აქტივობის ნაწილს წარმოადგენს, რადგან ამ ქსოვილების ნორმალური მოსვენების პოტენციალი -50-დან -70 mV-მდე ფარგლებში მერყეობს. ნელი პასუხები მნიშვნელოვანია აგრეთვე ზოგიერთი არითმიის დროს. მთლიან კულური ბიოლოგიისა და ელექტროფიზიოლოგიის თანამედროვე მეთოდების მეშვეობით შესაძლებელი გახდა კალციუმისა და კალიუმის არხების მრავალი ქვეგულის იდენტიფიცირება. არხების ქვეგულების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა წამლების მიმართ განსხვავებული მგრძობილობა, რის საფუძველზე მომავალში შესაძლებელია არხის ქვეგულისადმი სპეციფიკური პრეპარატების შექმნა.

ნის დარღვევა, (2) იმპულსის გაგარების დარღვევა, ან (3) ორივე მექანიზმი ერთად.

**იმპულსის წარმოქმნის დარღვევა**


პეისმეიკერის უჯრედების დეპოლარიზაციებს შორის ინტერვალი შედგება მოქმედების პოტენციალისა და დიასტოლური ინტერვალისაგან. რომელიმე კომპონენტის ხანგრძლივობის შემცირება იწვევს პეისმეიკერის სიჩქარის გაზრდას. ამ ორი კომპონენტიდან უფრო მნიშვნელოვანია დიასტოლური ინტერვალი და იგი ძირითადად დეპოლარიზაციის ფაზა 4-ის მრუდით (პეისმეიკერის პოტენციალი) განისაზღვრება. ვაგუსის აგზნება ან ბეგა აღრენო-ბლოკატორების გამოყენება იწვევს პეისმეიკერის ნორმალურ სიჩქარის შენელებას და ფაზა 4-ის მრუდი უფრო დამრეცი ხდება (დეტეილქოლინი უფრო უარყოფითს ხდის აგრეთვე მაქსიმალურ დიასტოლურ პოტენციალსაც). პეისმეიკერის განმუსტეების გახსიერების დროს ხშირად დეპოლარიზაციის ფაზა 4 -ის მრუდი უფრო ციცაბო ხდება, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს შიპოკალემიით, ბეგა-აღრენორეცეპტორების აგზნებით, დაღებითი ქრონოტროპული ეფექტის მქონე პრეპარატების ზეგავლენით, ბოჭკოების დაჭიმვით, აცილობითა და დაზიანების არიდან წამოსული ნაკადით განპირობებული ნაწილობრივი დეპოლარიზაციით.

**არითმიების მექანიზმები**

მრავალ ფაქტორს შეუძლია გამოიწვიოს ამა თუ იმ სახის არითმიის განვითარება ან გამწვავება: იშემიას, შიპოქსიას, აციდოზს ან ალკალოზს, ელექტროლიტურ დარღვევებს, კატექოლამინების სიჭარბეს, ავტონომური ზეგავლენა, წამალთა გოქსიკურობა (მაგ, სათითურა ან ანიგარიტიული საშუალებები), გულის ბოჭკოების გადაჭიმვას, გულის ქსოვილის დანაწიბურებას, თუ სხვაგვარ დაზიანებას. თუმცა, ნებისმიერი არითმიის მიზეზად შესაძლოა განხილულ იქნას (1) იმპულსის წარმოქმ-

ნის დარღვევის მექანიზმებით იმპულსების წარმოქმნის დანქარების განსაკუთრებულ ტენდენციას ავლენენ დატენტი პეისმეიკერები (უჯრედები, რომლებიც ნორმალურ პირობებშიც კი ანელებენ დეპოლარიზაციის ფაზა 4-ს, მაგ, ზოგიერთი პურკინიეს ბოჭკო). აღსანიშნავია რომ, გულის ქველა უჯრედი, მათ შორის წინაგულებისა და პარკუჭების ნორმალურ





სურათი 14-5.


აქტიუობის დარღვევის ორი ფორმა, ადრეული (შემოთ) და დაყოენებული (ქვემოთ) პოსტდეპოლარიზაციები. ორივე შემთხვევაში, დეპოლარიზაცია ეითარდება ნორმალურად აღმოცენებული მოქმედების პოტენციალის პერიოდში ან მის შემდეგ. ამიტომ, მათ ხშირად უწოდებენ „გრიგერულ“ ავტომატიზმს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ინიცირებისათვის საჭიროა ნორმალური მოქმედების პოტენციალი.

რად მორეაგირე უჯრედების, გარკვეული პირობების ქვეშ დეპოლარიზების შემთხვევაში პეისმეიკერულ განმეორებად აქტიუობას აელენენ, განსაკუთრებით კი თუ ჰიპოკალიემიასაც აქვს ადგილი.

დეპოლარიზაციებს, რომლებიც წყვეტენ ფაზა 3-ს (ადრეული პოსტდეპოლარიზაციები, EADs) ან ფაზა 4-ს (დაყოენებული პოსტდეპოლარიზაციები, DADs) პოსტ-დეპოლარიზაციები ეწოდებათ (სურათი 14-5). ჩვეულებრივ, EADs ეითარდება გულის შეკუმშვითა დაბალი სისხრის დროს და ფიქრობენ, რომ სწორედ ასეთი დეპოლარიზაციები განაპირობებენ „გახანგრძლივებული QT-სთან დაკავშირებულ არითმიებს (იხ. გულის არითმიების მოლეკულური და გენეტიკური საფუძვლები). მეორე მხრივ, DADs (რომელიც განხილულია თავში 13) ხშირად უჯრედშია კალციუმის მომაგების დროს ეითარდება. DADs აღმოცენდება გულის შეკუმშვითა მაღალი სისხრის დროს და ფიქრობენ, რომ საითურათი, კატექოლამინებითა და მიოკარდიუმის იშემიით განაპირობებულ არითმიებზე სწორედ ეს მექანიზმია პასუხისმგებელი.

**იმპულსის გაგარების დარღვევა**

გამგარებლობის ძლიერმა დათრგუნვამ შეიძლება გამოიწვიოს მარტივი ბლოკადა, მაგ. აგრიოვენტრიკულური კვანძის ბლოკადა, ან ჰისის კონის რომელიმე ფეხის ბლოკადა. აგრიოვენტრიკულური კვანძის გამგარებლობა მნიშვნელოვნად ექვემდებარება პარასიმპათიკურ კონტროლს, ამიტომ ამ უბნის ნაწილობრივი ბლოკადის მოხსნა ხშირად აგროპინით არის შესაძლებელი. გამგარებლობის დარღვევის კიდევ ერთი ხშირი მიზეზია *reentry* (ეწ. „წრიული მოძრაობა“). რომლის დროსაც ერთი იმპულსი გულის გარკვეულ უბანს ერთზე მეტჯერ აღწევს და მის ხელახალ აგზნებას განაპირობებს (სურათი 14-6).



სურათი 14-6.

პარკუჭის კედელში პურკინიის სისტემის მცირე განშტოებების შესვლის ადგილზე განვითარებული *reentry* წრის სქემატური დიაგრამა. **A:** ჩვეულებრივ, წრის გარშემო არსებული განშტოებებიდან ელექტრული აგზნება პარკუჭის გამგარი სისტემის განშტოებებში ვრცელდება და, იმპულსების შეჯახების გამო, წრის მეორე ბოლოს ქრება. **B:** ერთ-ერთი განშტოებაში განვითარებული ბლოკადის გამო, გამგარებლობა ერთი მიმართულებით ფერხდება და ბლოკადის ადგილზე ხელი ეშობება იმპულსის ანგეროგრაფულ გაგარებას, მაგრამ, თუ იმპულსი ამ უბანში იპოვის აგზნებად ქსოვილს, იგი შეიძლება რეგროგრადულად გაერყელდეს; ანუ, რეფრაქტერული პერიოდის ხანგრძლივობა იმპულსის გაგარების პერიოდზე უფრო ხანმოკლეა. შედეგად, იმპულსი ხელახლა ააგზნებს იმ ქსოვილს, რომელშიც მან უკვე გაიარა და *reentry*-ის ციკლის არითმია განვითარდება.

*reentry* იმპულსის მიერ გავლილი გზა შეიძლება მოიცავდეს როგორც ძალიან მცირე უბანს (მაგ. მხოლოდ აგრიოვენტრიკულური კვანძის შიგნით ან მის მახლობლად არსებული უბნით შემოიფარგლებოდეს), ასევე წინაგულებისა და პარაკუჭების კედლის დიდ ნაწილს. *reentry*-ს ზოგიერთი ფორმა ანატომიურად მკაცრად არის განსაზღვრული; მაგ. ეოლფ-პარკინსონ-უაიგის სინდრომის (WPW) დროს *reentry*-ს წრე მოიცავს წინაგულების ქსოვილს, აგრიოვენტრიკულურ კვანძს, პარაკუჭების ქსოვილსა და დამაგებით აგრიოვენტრიკულურ გზებს („შემოვლით

გრაქტს“). სხვა შემთხვევებში (მაგ. წინაგული ან პარაკუჭთა ფიბრილაციის დროს) მრავლობითი *reentry* წრეები გულის ქსოვილის თვისებების მისხლვით, მიუღ გულში შეიძლება იყოს უწესრიგოდ დაქსაქსული. უფრო მეტიც, მიცირკულირე იმპულსი ხშირად იძლევა „შვილულ იმპულსებს“, რომლებიც გულის დანარჩენ ნაწილებზე ვრცელდებიან. იმის მისხლვით, თუ სრულ გაქრობამდე იმპულსი რამდენ წრეს აკეთებს, არითმია შესაძლოა გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე ზედმეტი დარტყმით ან ხანგრძლივი ტაქიკარდიით.

**გულის არითმიების მოლეკულური და გენეტიკური საფუძვლები**

ამჟამად, უკვე დადგენილია გულის ზოგიერთი თანდაყოლილი თუ შექმნილი არითმიის მოლეკულური საფუძველი. ამის საფუძველზე მაგალითია *torsade de pointes*-ის სახელით ცნობილი პოლიმორფული პარაკუჭოვანი ტაქიკარდია (სურათი 14-7), რომელიც ასოცირებულია QT ინტერვალის გახანგრძლივებასთან (განსაკუთრებით ტაქიკარდიის დაწყებისას), სინკოპსა და უეცარ სიკვდილთან. ამ გიპის არითმია პარაკუჭების ზოგიერთ უჯრედში მოქმედების პოტენციალის გახანგრძლივების შედეგია (სურათი 14-1). თეორიულად, ეფექტი შესაძლოა იხსნას მოქმედების პოტენციალის პლაგოს პერიოდში შემაჯავლი ნაკადის გაზრდით (ფუნქციის მომაგება) ან გამოშავალი ნაკადის შემცირებით (ფუნქციის დაკარგვა). უკანასკნელ პერიოდში ჩაგარებული რამოდენიმე გენეტიკური კვლევით გამოვლინდა იქნა თანდაყოლილი „ვრძელი QT-ის სინდრომის“ (LQT) გამოწვევები სულ მცირე რვა გენის 300-მდე მუტაცია (ცხრილი 14-1). თითოეული მუტაციას შესაძლოა კლინიკურად განსხვავებულად გამოვლინდეს. კალიუმის არხების ფუნქციის დაკარგვით მიმდინარე გენური მუტაციები ამცირებენ გამოშავალ მარეპოლარიზებულ ნაკადს და განაპირობებენ LQT-ს 1, 2, 5, 6 და 7 ქვეტიპებს. *HERG* და *KCNE2 (MirP1)* გენებით კოდირებულია (კალიუმის ნაკადის სწრაფი დაყოვნების გამმართავი) სუბერთეულები ( $I_{Kr}$ ), ხოლო *KCNQ1* და *KCNE1 (minK)* გენებით კი - კალიუმის ნაკადის ნელი დაყოვნების გამმართავი სუბერთეულები ( $I_{Ks}$ ). *KCNJ2* ვადააქვს ინფორმაცია შემაჯავლი გამმართავი კალიუმის ნაკადის თაობაზე ( $I_{Kr}$ ). მისგან განსხვავებით, ნაგრიუმის არხის გენის (*SCN5A*) ან კალციუმის არხის გენის (*CACNA1c*) მუტაციები იწვევენ შემაჯავლი პლაგო ნაკადის გაზრდას და განაპირობებენ LQT-ს 3 და 8 ქვეტიპებს, შესაბამისად.

მოლეკულური გენეტიკის კვლევებით დადგენილი იქნა *torsade de pointes* თანდაყოლილი და შექმნილი შემთხვევების მსგავსების მიზეზები. *torsade de pointes* იწვევს აგრეთვე მრავალი წამლით (მაგ. ქინიდინის, სოტალოლის) ან ელექტროლიტური დარღვევებით (ჰიპოკალემია, ჰიპომაგნიემია, ჰიპოკალცემია) განპირობებული კალიუმის არხების  $I_{Kr}$  (*HERG* მიერ კოდირებული) მოდულირება ან ბლოკადა. ამრიგად LQT-ის სინდრომის სხვადასხვა ფორმის ზუსტი მოლეკულური მექანიზმის დადგენა განსაზღვრულია მოლეკულური ანომალიის მქონე პირებისათვის სპეციფიკური მკურ-

ნალობის შემუშავების საშუალებას იძლევა. მართლაც, წინასწარი მონაცემების თანხმად, ნაგრიუმის არხების ბლოკატორ მექსილეგინს შეუძლია გამოასწოროს თანდაყოლილი LQT სინდრომის მე-3 ქვეტიპის კლინიკური გამოვლინება. საერთაშორისო, *torsade de pointes* საწყისს იღებს გრიგერული აღმავალი იმპულსებიდან, რომელიც აღრულ პოსტგეპოლარიზაციულ პერიოდში აღმოცენდება (სურათი 14-5). ამრიგად, მკურნალობა მიმართული უნდა იყოს ჰიპოკალემიის გამოსწორებისაკენ, გრიგერული აღმავალი იმპულსების თავიდან აცილებისაკენ (მაგ. ბეგა-ბლოკატორების ან მაგნიუმის გამოყენებით), მოქმედების პოტენციალის შემოკლებისაკენ (მაგ. იმოპროგრენოლით ან ხელოვნური პეისმეკერიო გულისცემის სისძირის გაზრდით), ან ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილით.

უკანასკნელ პერიოდში აღმოჩენილი იქნა უეცარ სიკვდილთან დაკავშირებული რამოდენიმე სხვა თანდაყოლილი არითმიის მოლეკულური საფუძვლებიც. დადგენილი იქნა კალიუმის არხის სამ სხვადასხვა გენში (*KCNH2*, *KCNQ1*, და *KCNJ2*) ფუნქციის მომაგების მუტაციებთან დაკავშირებული „ხანმოკლე QT სინდრომის“ სამი ფორმა. კალციუმის უჯრედშია ჰომიოსტაზის მაკონტროლებელი სარკოპლაზმური რეტიკულუმის ორი სხვადასხვა ცილის გენეტიკური მუტაციით შესაძლოა გამოწვეული იყოს კატეკოლამინერგული პოლიმორფული პარაკუჭოვანი ტაქიკარდია, დაავადება, რომელიც იწვევს სტრესით ან ემოციით განპირობებულ სინკოპსს. „სინუსის კვანძის სისუსტის სინდრომის“ თანდაყოლილი ფორმები დაკავშირებულია ორი განსხვავებული იონური არხის გენების მუტაციებთან (*HCN4* და *SCN5A*). ნაგრიუმის არხების გენის (*SCN5A*) რამოდენიმე ფუნქციის დაკარგვით მიმდინარე მუტაციასთან დაკავშირებულია ორი გიპის არითმია: „ბრუგადას სინდრომი“, რომლის დროსაც პარაკუჭოვანი ფიბრილაციასთან ახლავს ST სეგმენტის მყარი ელევაცია, და „გულის გამგარობის პროგრესული დარღვევა“ (PCCD), რომელიც ხასიათდება ჰისის კონის სისტემში გამგარობის დარღვევითა და მარჯვენა ან მარცხენა ფუხის ბლოკადით, რაც საბოლოოდ სრულ აგრიოვენტრიკულურ ბლოკადას იწვევს. ოჯახური წინაგულეუანი ფიბრილაციის მინიმუმ ერთი ფორმა გამოწვეულია კალიუმის არხის გენში (*KCNQ1*) ფუნქციის მომაგებით მიმდინარე მუტაციით.

ცხრილი 14-1. გულის მოგიერთი არითმიის მოლეკულური და გენეტიკური საფუძვლები.

გამი	მონაწილე ქრომოსომა	ლეჟექტური გენი	დაზიანებული იონური არხი ან ცილა	შედეგ <sup>1</sup>
LQT-1 <sup>2</sup>	11	KCNQ1	I <sub>Ks</sub>	LF
LQT-2	7	KCNH2 (HERG)	I <sub>Kr</sub>	LF
LQT-3	3	SCN5A	I <sub>Na</sub>	GF
LQT-4	4	ანკირინი-B	I <sub>Ca</sub> <sup>3</sup>	LF
LQT-5	21	KCNE1 (minK)	I <sub>Ks</sub>	LF
LQT-6	21	KCNE2 (MiRP1)	I <sub>Kr</sub>	LF
LQT-7 <sup>4</sup>	17	KCNJ2	I <sub>Kr</sub>	LF
LQT-8 <sup>5</sup>	12	CACNA1c	I <sub>Ca</sub>	GF
SQT-1 <sup>6</sup>	7	KCNH2	I <sub>Kr</sub>	GF
SQT-2	11	KCNQ1	I <sub>Ks</sub>	GF
SQT-3	17	KCNJ2	I <sub>Kr</sub>	GF
CPVT-1 <sup>7</sup>	1	hRYR2	რიანოდინური რეცეპტორი	GF
CPVT-2	1	CASQ2	კალსეკესტრინი	LF
სინუსის კეანძის სისუსტის სინდრომი	15 ან 3	HCN4 ან SCN5A	I <sub>H</sub> <sup>8</sup>	LF
ბრუვადას სინდრომი	3	SCN5A	I <sub>Na</sub>	LF
PCCD <sup>9</sup>	3	SCN5A	I <sub>Na</sub>	LF
ოჯახური წინაგულოვანი ფიბრილაცია	11	KCNQ1	I <sub>Ks</sub>	GF

<sup>1</sup>LF- ფუნქციის დაკარგვა; GF - ფუნქციის შექნა.

<sup>2</sup>LQT- ავანახვრდლიეებელი QT-ს სინდრომი.

<sup>3</sup>ანკირინები ხხეადახხეა საგრანსპორტო ცილებთან (მათ შორის Na<sup>+</sup>-ის არხები, Na<sup>+</sup>/K<sup>+</sup> ATPაზა, Na<sup>+</sup>/Ca<sup>2+</sup> მიომტეკელი, Ca<sup>2+</sup> გამომანიაეისუფლებელი არხი) ახოირეებელი უჯრედშია ცილებია

<sup>4</sup>ცხობილია ავრეიეე, როგორც ახღერხესის სინდრომი.

<sup>5</sup>ცხობილია ავრეიეე, როგორც გიმოთის სინდრომი; მუღიორვანელი დხეუქეეა აეეიმბის ხაიეელი.

<sup>6</sup>SQT- ხანმოკლე QT-ს სინდრომი.

<sup>7</sup>CPVT- კაეეეილამსერეული პოლიმორფული პარეუეოვანი გაეეკარლია; უჯრედშია რიანოდინის Ca<sup>2+</sup>-ის გამომანიაეისუფლებელი არხის ან Ca<sup>2+</sup>-ის ბუფერული ცილის, კალსეკესტრინის, მუეეეეებმა მუეადლია გამოიწეიონ ხარეკოლამზური ბალიდან Ca<sup>2+</sup>-ის გამონიაეისუფლებლის გაბლიერება ან აღრეერეული სგამულირეების Ca<sup>2+</sup>-ის გამონიაეისუფლებლის გაბლიერება, რაე არიომოგენურ გრეეერად გეეეეისება.


<sup>8</sup>HCN4-ით კოლირეებლია ხსიოგრეული კეანძის უჯრედებში რიომის წამეეეანი ნაკალი; ნაგრეემის არხის გენის (SCN5A) მუეეეეა გამოიწეეუს გამგარებლობის დარღეეეას.

<sup>9</sup>PCCD-გულის გამგარებლობის პროგრეული დარღეეეა.

როგორც ნახეენებია სურათზე 14-6, reentry-ის განვითარებისთვის აუცილებელია სამი პირობის თანაარსებობა: (1) მომეეერეუი გამგარებლობის დაბრკოლება (ანაგომეური ან ფომიოლოეიერი), რაე ხელს უწეკობს წრეული გაღლის ვაერეეეებ-სიათვის აუცილებელი შემოეელითი წრის განვითარებას; (2) წრის რომელიმე მონაკეეეიში ეროიმოართეულიბიანი ბლოკა-დის არსებობა, ანუ გამგარებლობის ერთი მიმართეულებითი შეეერხება, მაგრამ საპირისპირო მიმართეულებითი ვაერეეეეა (როგორც ნახეენებია სურათზე 14-6, ხაბოლიო დაორეუნ-ვამდე, იმპულსი მუეადლია თანადთან შემეირღეს დეპოლარი-

ზებულ ქსოვილში პროგრეულად შეღწეეასთან ეროად, ეს პროეეეი ცხობილია, როგორც დეკრემენტეული გამგარებლობა); და (3) წრის ვარეემო იმპულსის ვაგარებბის დრო სარე მარისად ხანგრბლიეე უნდა იეოს, რათა რეგროგრადული იმპულსი არ შეეიღეს რეფრაქტერულ ქსოვილში, ანუ გამგარე-ბლობის დრო უნდა აღემაკებოდეს ეეექტურ რეფრაქტერულ პერიოდს. მნიშეეელოეანია იმის ცოდნა, რომ ხეეეეებრიე, reentry-ის განვითარება ვანპირობებელია დაზიანებითი ან იმეეე-ითი გამოწეეული გამგარებლობის კრიეეეული ხარისხით დაორ-ეეეეითი, გამგარებლობის სიქეარის ძალიან დეეეეეეებბის შემოს-





სურათი 14-7.

«გახანგრძლივებული QT სინდრომის» მქონე პაციენტის ელექტროკარდიოგრამა, ჩაწერილი *torsade de pointes* ორი ეპიზოდის დროს. ამ ჩანაწერის დასაწყისში აღინიშნება პოლიმორფული პარაკუტოვანი ტაქიკარდია, რაც სპონტანურად წყდება პანელის შუა ნაწილში. მას მოსდევს ერთადერთი ნორმალური სინუსური დარტყმა (NSB) ძლიერ გახანგრძლივებული QT ინტერვალით. რომელსაც დაუყოვნებლივ თან სდევს გონისაღის ტიპის პარაკუტოვანი ტაქიკარდიის შემდგომი ეპიზოდი. ჩვეულებრივ, სიმპტომებია თავბრუსხვევა და გონების გარდამავალი დაკარგვა.

ვევაში ორმხრივ (და არა ცალმხრივ) ბლოკად ვითარდება; სუსტი წრიული იმპულსის შემთხვევაში კი ფერხდება მისი გავრცელება, ან იმდენად გვიანდება, რომ იგი შემდეგ რეგულარულ იმპულსს ვეახება. მეორე მხრივ, გამგარებლობის ძალიან დასუსტების შემთხვევაში (თითქმის ნორმალურის მსგავსი) შესაძლებელია ცალმხრივი ბლოკადის ნაცვლად ორმხრივი გამგარებლობის არსებობა.

დაბრკოლების გარშემო იმპულსის ძალიან სწრაფად მოძრაობის დროს, ცალმხრივი ბლოკადის შემთხვევაშიც კი, იგი რეფრაქტორული ქსოვილამდე აღწევს. გამგარებლობის შენელება შესაძლოა განპირობებული იყოს ნაგრიუმის ან კალციუმის ნაკადის (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგროივენტრიკულარ კვანძისათვის) ან ორივეს ერთდროულად დათრგუნვით. ჩვეულებრივ, პრეპარატები, რომლებიც ასუსტებენ *reentry*-ს, კიდევ უფრო აძნელებენ ისედაც დათრგუნულ გამგარებლობას (თრგუნავენ ნაგრიუმისა და კალციუმის ნაკადებს) და იწვევენ ორმხრივ ბლოკადას. თეორიულად, *reentry*-ს ტიპის არითმიის სამკურნალოდ ეფექტური უნდა იყოს გამგარებლობის გაძლიერება (ნაგრიუმისა და კალციუმის ნაკადის გაზრდით), მაგრამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში არის შესაძლებელი წამლის მოქმედების ამ მექანიზმით ახსნა.


რეფრაქტორული პერიოდის გახანგრძლივება (ან შემოკლება) ამცირებს *reentry*-ს განვითარების ალბათობას. რაც უფრო ხანგრძლივია რეფრაქტორული პერიოდი ბლოკადის მახლობელ ქსოვილში, მით უფრო დიდია შანსი იმისა, რომ *reentry*-ის განვითარებისას ქსოვილი კვლავ რეფრაქტორული იქნება (საპირისპიროდ, რაც უფრო მოკლეა რეფრაქტორული პერიოდი დათრგუნულ უბანში, მით უფრო ნაკლებია ცალმხრივი ბლოკადის განვითარების ალბათობა). ამრიგად, რეფრაქტორობის დისპერსიის გაზრდა *reentry*-ის ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ასეთი დისპერსიის შემცირების გზით წამლები იწვევენ არითმიების დათრგუნვას.

## ანტიარითმული საშუალებების ბაზისური ფარმაკოლოგია

### მოქმედების მექანიზმები

არითმიების ძირითად მიზეზად რითმის წამყვანის არანორმალური ფუნქციონირება, ან იმპულსის გავრცელების დარღვევა გვევლინება, ამიტომ არითმიების მკურნალობის მიზანს წარმოადგენს ექტოპური რითმის წამყვანების აქტიუობის დაქვეითება, ან *re-entry* წრეებში გამგარებლობისა თუ რეფრაქტორობის შეცვლა (ავზნების წრიული მოძრაობის თავიდან აცილების მიზნით). ამჟამად, არითმიების სამკურნალო ძირითადი ხელმისაწვდომი მექანიზმებია (1) ნაგრიუმის არხების დათრგუნვა, (2) გულზე სიმპათიკური ავტონომური გეგავლენის დათრგუნვა, (3) ეფექტური რეფრაქტორული პერიოდის გახანგრძლივება და (4) კალციუმის არხების დათრგუნვა.

ანტიარითმული საშუალებები, სინოატორიული კვანძთან შედარებით, უფრო მეტად ექტოპური რითმის წამყვანების ავტომატიზმს აქვეითებენ. აგრეთვე, ისინი ნორმალურად პოლარიზებულ ქსოვილთან შედარებით, დემოლარიზებულ ქსოვილებში უფრო მეტად ამცირებენ გამგარებლობასა და ავზნებალობას და ზრდიან რეფრაქტორულ პერიოდს, რაც ძირითადად, დემოლარიზებული უჯრედების ნაგრიუმისა და კალციუმის არხების სულექციური ბლოკადით არის განპირობებული (სურათი 14-8). არხების დათრგუნველი კლასიკურად მნიშვნელოვანი საშუალებები ადვილად უკავშირდებიან გააქტივებულ (ანუ, ფაზა 0-ის დროს) ან ინაქტივირებულ არხებს (ანუ, ფაზა 2-ის დროს), ხოლო მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფ არხებს კი ისინი სუსტად, ან საერთოდ არ უკავშირდებიან. ამის გამო ანტიარითმული საშუალებები ელექტრულ აქტიუობას თრგუნავენ სწრაფი ტაქიკარდიის (დროის მოცემულ ერთეულში მრავალი არხის



სურათი 14-8.

ნაგრიუმის არხებზე ანტიარითმული საშუალებების სელექციურად დამორგულები მოქმედების მექანიზმის დეტალი. სურათის ზედა ნაწილზე წარმოდგენილია მოქმედების პოტენციალის აქტიუობის ციკლის პერიოდში არხების მოქმედების მოძრაობა წამლის ვარდნილ პირობებში: R (მოსვენების მდგომარეობა) → A (გააქტივებული მდგომარეობა) → I (არააქტიური მდგომარეობა). აღდგენა ხდება I → R გზის გავლით.

ნაგრიუმის არხების დამორგულები ანტიარითმული საშუალებები (D) უკავშირდება არხებში არსებულ თავისთო რეცეპტორებს (რაც უვრტიკალური იხრებით არის აღნიშნული) და წარმოქმნიან წამალი-არხის კომპლექსებს (რაც R-D, A-D და I-D-ით არის აღნიშნული). რეცეპტორისა და წამლის შეკავშირება არხის მდგომარეობაზე დამოკიდებულია. ნაგრიუმის არხების ბლოკატორების შესახებ არსებული მონაცემების თანახმად, მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი არხების რეცეპტორების შედარებით, პრეპარატები უფრო კარგად უკავშირდებათ აქტიურ და არააქტიურ მდგომარეობაში მყოფი არხების იგივე რეცეპტორებს. უფრო მეტი, I-D მდგომარეობის R-D მდგომარეობაზე აღდგენა ვაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე I-ს R-მდე. ამის შედეგად, სწრაფი გააქტიურება (აქტიურ და არააქტიურ მდგომარეობაში მყოფი მრავალი არხი) და მოსვენების პოტენციალის დეპოლარიზაცია (უფრო მეტი არხის I მდგომარეობაში ყოფნა) ხელს უწყობს არხების ბლოკადას და არითმული უჯრედების სელექციურ დათრგუნვას.

უნარსე გაანსია. ბეგა-ადრენოლოკატორები, თრგუნავენ რა ნორეპინეფრინის დადებით ქრონოტროპულ ეფექტს, არაპირდაპირი გზით ამცირებენ ფაზა 4-ის დახრას.

გამტარებლობის კრიტიკული დათრგუნვით განპირობებული *reentry* არითმიების დროს, ანტიარითმული საშუალებების უმრავლესობა კიდევ უფრო ანელებს გამტარებლობას ქვემოთ მოყვანილი ერთი ან ორივე მექანიზმით: (1) ხელმისაწვდომი დათრგუნვა არხების რაოდენობის სტაბილური, სტაციონარული შემცირების გზით, რის შედეგადაც ავსებელი ნაკლებს დონე გაერეკვლებისათვის საჭირო დონისთან შედარებით ვაცილებით დაბალი ხდება (სურათი 14-4, მარჯვენა); და (2) იმ არხების აღდგენის პერიოდს გახანგრძლივებით, რომლებსაც ვერ კიდევ შეუძლიათ მიაღწიონ მოსვენებულ, და შესაბამისად ხელმისაწვდომ, მდგომარეობას. ეს კი იწვევს ეფექტურ რე-ურაქტურულ პერიოდის (სურათი 14-4, მარჯვენა) გაზრდას, რის გამოც ხელი ეშლება ადრეული ექსტრასისტოლების გაერეკვლვას; შეძლოში იმპულსები უფრო სწრაფად გარდება, რაც ორმხრივი ბლოკადის მსგეხს წარმოადგენს.

ანტიარითმული საშუალებები ამ მექანიზმებით დეპოლარიზებულ უჯრედებს ელექტრულად მდგომარეხ ხდიან და თრგუნავენ ექტოპურ აეცტოგამიზმსა და არანორმალურ გამტარებლობას, ხილო ვულის ნორმალურად პოლარიზებულ ნაწილებს ელექტრულ აქტიუობაზე კი მინიმალურ გავლენას ახდენენ. თუმცა, დომის გაზრდასთან ერთად, ისინი იწვევენ ნორმალურ ქსოვილის გამტარებლობის დათრგუნვასაც, რაც საბოლოო ჯამში წამლით განპირობებული არითმიების მიზეზად ვეველინება. უფრო მეტიც, წამლის ის კონცენტრაცია, რომელიც მეურნალობის დახაწვისში თერაპიულად (ანტიარითმული) არის მისხეული, განკვეულ პირობებში – გულსცემის აქტიუობის (იზრდება ბლოკადის განვითარების შესაძლებლობა). აცილობის (მედიკამენტოა უმრავლესობით განპირობებული ბლოკის წელი აღდგენა), შიპერკალიემიისა თუ იმეხის დროს – შესაძლოა „პროარითმულად“ (არითმოგენურად) მოვეველისოს.

გააქტივებისა და ინაქტივირების დროს), ან მოსვენების პოტენციალის მნიშვნელოვანი შემცირების შესახებუაში (მოსვენების პერიოდში მრავალი არხის არააქტიურ მდგომარეობაში ყოფნის გამო). წამლის მოქმედების ამ გიპს სშირად უწოდებენ გამოყენებაზე დამოკიდებულს ან მდგომარეობაზე დამოკიდებულს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეპარატების დამორგუნული მოქმედება უფრო მეტად იმ არხებზე ვრეულდება, რომელია მოხმარებაც უფრო სშირია, ან რომლებიც არააქტიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. სვეულებრივ, ანტიარითმული საშუალებების ზეგავლენა ნორმალური უჯრედების არხების გააქტიურება-ინაქტივირების ციკლებზე სწრაფად წყდება, ციკლის მოსვენების ფაზაში წამლისაგან რეცეპტორების სწრაფად განთავისუფლების გამო (სურათი 14-8). ქრონიკულად დეპოლარიზებული მთოკარდიუმის არხები (ანუ, -75 mV-ზე უფრო მეტად დაღებიით მოსვენების პოტენციალის შემთხვევაში) ძალიან სწრაფად, ან სავრიოდ არ ექვემდებარებიან დათრგუნვული მდგომარეობიდან აღდგენას (იხ. მარჯვენა პანელი, სურათი 14-4).

ნაგრიუმის ან კალციუმის არხების დათრგუნვის გამო, ამ წამლების უმრავლესობა ამცირებს ფაზა 4-ის მრუდის დახრას არანორმალური აეცტოგამიზმის მქონე უჯრედებში, რასაც მოჰყვება ნაგრიუმი (ან კალციუმის)/კალიუმის ვინვლადობის ფარდობის შემცირება, რის შედეგადაც ფაზა 4-ის პერიოდში ხდება მემბრანის პოტენციალი სტაბილიზაცია კალციუმის წონასწორობის პოტენციალისკენ. გარდა ამისა, ზოგიერთ პრეპარატს ზღურბლის გაზრდას (უფრო დაღებითისკენ გადახრის)

## სპეციფიკური ანტიარითმული საშუალებები

ანტიარითმული საშუალებების ეველაზე უართოდ გაერეკვლებული კლასიფიკაცია პრეპარატების მოქმედების მექანიზმებს ეყრდნობა. ამ კლასიფიკაციის მსხეული ანტიარითმული საშუალებები ოთხ ჯგუფად არის წარმოდგენილი:

1. ჯგუფი I-ის მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს ნაგრიუმის არხების დათრგუნვაში. ქვეჯგუფებად წარმოდგენილია მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობისა (APD) და ნაგრიუმის არხების დათრგუნვის კინეტიკის მსხეული. ჯგუფი IA მოქმედების მექანიზმის მქონე პრეპარატები ახანგრძლივებენ APD-ს და ნაგრიუმის არხიდან დისოციაციის საშუალო კინეტიკა ახასიათებთ: ჯგუფი IB-ს წარმომადგენლები გულის ზოგიერთ ქსოვილში ამოკლებენ APD-ს და ნაგრიუმის არხიდან დისოციაციის სწრაფი კინეტიკა ახასიათებთ; ჯგუფი IC-ში გაერთიანებული პრეპარატები უმნიშვნელოდ მოქმედებენ APD-ზე და ნაგრიუმის არხიდან დისოციაციის წელი კინეტიკა ახასიათებთ.

2. ჯგუფი 2-ს წარმომადგენლებს საშუალოდ-მოქმედება ახასიათებთ. ისინი ამცირებენ გულის ბეგა-ადრენერგულ აქტიუობას.

ცხრილი 14-2. ანტიარითმული საშუალებების მოქმედება მემბრანაზე

პრეპარატი	ნაგრიუმის არხების ბლოკადა		რეურაქტერული პერიოდი		კალციუმის არხების ბლოკადა	რითვის წამყვან აქტიულობაზე გეგაულენა	სიმპაოლიზური აქტიუობა
	ნორმალური უჯრული	დეპოლარიზებული უჯრული	ნორმალური უჯრული	დეპოლარიზებული უჯრული			
აღენოზინი	0	0	0	0	+	0	+
ამიოდარონი	+	+++	↑↑	↑↑	+	↓↓	+
ბრეგილიუმი	0	0	↑↑↑	↑↑↑	0	↑↓	++
ლილგიაზემი	0	0	0	0	+++	↓↓	0
ლიმოპირამიდი	+	+++	↑	↑↑	+	↓	0
ლოფეტილიდი	0	0	↑	?	0	0	0
ესმოლოლი	0	+	0	NA <sup>2</sup>	0	↓↓	+++
ფლეკაინიდი	+	+++	0	↑	0	↓↓	0
იბუტილიდი	0	0	↑	?	0	0	0
ლილოკაინი	0	+++	↓	↑↑	0	↓↓	0
შექსილეგინი	0	+++	0	↑↑	0	↓↓	0
მორიციმინი	+	++	↓	↓	0	↓↓	0
პროკაინამიდი	+	+++	↑	↑↑↑	0	↓	+
პროპაფენონი	+	++	↑	↑↑	+	↓↓	+
პროპრანოლოლი	0	+	↓	↑↑	0	↓↓	+++
ქინილინი	+	++	↑	↑↑	0	↓↓	+
სოგალოლი	0	0	↑↑	↑↑↑	0	↓↓	++
ვერაპამიდი	0	+	0	↑	+++	↓↓	+

<sup>1</sup> კატეგორიზაციის განთავსების გამო, ბრეგილიუმს შეხადლოა გამოიწვიოს რითის წამყვანის სიჩქარის ვარდამავალი გამზრა.

<sup>2</sup> მონაცემები არ მოგვეპოვება.

3. ჯგუფი 3 მოქმედება APD-ის გახანგრძლივებით ელინდე-ბა. ამ მოქმედების მქონე პრეპარატების უმრავლესობა თრ-გუნავს კალიუმის დაყოვნებული გამშართული ნაკადის სწრაფ კომპონენტს - IK<sub>r</sub>-ს.

4. ჯგუფი 4-ის მოქმედება კალციუმის ნაკადის დათრგუნ-ვაში მდგომარეობს. ამ შექანიზმით ნელდება გამტარებლობა იმ უბნებში, სადაც მოქმედების პოტენციალის აღმოცენება კალ-ციუმზე და მოკიდებული, მაგ, სინოატრიულ და ატრიოვენტრიკუ-ლურ კეანსებში.


მოვიერთ პრეპარატი რამოდენიმე ჯგუფისათვის დამახა-სიათიებული შექანიზმით მოქმედებს, რაც მათ მემბრანულ და ელექტროკარდიოგრაფულ (ეკგ) ეფექტებზე აისახება (ცხრილები 14-2 და 14-3). მაგ, ამიოდარონის ანტიარითმული სა-შუალებების თთხივე ჯგუფის მოქმედება ახასიათებს. ჩვეუ-ლებრივ, პრეპარატების ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნება მათი მოქმედების უპირატესი შექანიზმის მიხედვით ხდება. გარკვეული ანტიარითმული საშუალება, მაგ, აღენოზინი და მაგ-ნიუმი, ამ სქემასი სრულად ვერ თავსდება, ამიტომ ისინი ცალკე განიხილებიან.

## ნატრიუმის არხების ბლოკატორები (ჯგუფი 1)

### პროკაინამიდი (ქვეჯგუფი 1A)

#### მოქმედება გულზე

ნაგრიუმის არხების დათრგუნვის გამო, პროკაინამიდი იწვევს მოქმედების პოტენციალის შენელებას, აქტიუობს გამტარებლობას და ეკგ-ზე ახანგრძლივებს QRS-ს. იგი არასპეციფიკურად აბლოკირებს კალიუმის არხებს, რაც მო-ქმედების პოტენციალის გახანგრძლივებას განაპირობებს. ქინილინიდან (სხ. ქვემოთ) შედარებით, პროკაინამიდი გარკვეულ-წილად ნაკლებად ეფექტურად ექტოპური პეისმეკერის აქტიუ-ობის დათრგუნვის თვალსაზრისით, თუმცა დეპოლარიზებულ უჯრულებში ნატრიუმის არხების დათრგუნვის უნარი მას უფრო მაღალი აქვს.



ცხრილი 14-3. ანტიარითმული საშუალებების კლინიკურ-ფარმაკოლოგიური თვისებები.

პრეპარატი	სინო-ატრიული კვანძის სიჩქარეზე შეგავლენა	AV კვანძის რეფრაქტორულ პერიოდზე შეგავლენა	PR ინტერვალი	QRS ხანგრძლივობა	QT ინტერვალი	არითმიის სამკურნალო გამოყენება		ნახევარ-დაშლის პერიოდი
						სუპრავენტრიკულური	ვენტრიკულური	
აღენოზინი	↓↑	↑↑↑	↑↑↑	0	0	++++	?	<10 წმ
ამიოდარონი	↓↓↓	↑	სხვადასხვა	↑	↑↑↑↑	+++	+++	(კვირები)
ბრეტილიუმი	↑↓2	↑↓2	0	0	0	0	+	
დილტაზემი	↑↓	↑↑	↑	0	0	+++	-	4-8 სთ
დიმორანამიდი	↑↓1,3	↑↓3	↑↓3	↑↑	↑↑	+	+++	7-8 სთ
დოფეტილიდი	↓ (?)	0	0	0	↑↑	++	არ გამოიყ.	7 სთ
ეხმბილიდი	↓↓	↑↑	↓↓	0	0	+	+	10 წთ
ფლეკანიდი	არ აქვს, ↓	↑	↑	↑↑↑	0	+4	++++	20 სთ
იბუტილიდი	↓ (?)	0	0	0	↑↑	++	?	6 სთ
ლილოკაინი	არა აქვს	არა აქვს	0	0	0	არ გამოიყ.	+++	1-2 სთ
მექსილეტისი	არა აქვს	არა აქვს	0	0	0	არ გამოიყ.	+++	12 სთ
მორცინი	არა აქვს	არა აქვს	↑	↑↑	0	არ გამოიყ.	+++	2-6 სთ
პროკაინამიდი	↓1	↑↓3	↑↓3	↑↑	↑↑	+	+++	3-4 სთ
პროპაფენონი	0, ↓	↑	↑	↑↑↑	0	+	+++	5-7 სთ
პროპრანოლოლი	↓↓	↑↑	↑↑	0	0	+	+	5 სთ
ქინიდი	↑↓1,3	↑↓3	↑↓3	↑↑	↑↑	+	+++	6 სთ
სოტალოლი	↓↓	↑↑	↑↑	0	↑↑↑	+++	+++	7 სთ
ვერაპამიდი	↓↓	↑↑	↑↑	0	0	+++	-	7 სთ

<sup>1</sup> შეიძლება დათრგუნოს დაეკლებული ხსნისური კვანძი.  
<sup>2</sup> ენდოკარული სინოატრიული კვანძის განვითარების შედეგად ხაჭისი სტიმულირება, შეძლების დათრგუნვა.  
<sup>3</sup> ანტიარითმული ეფექტი და პირდაპირი დამთრგუნველი მოქმედება.  
<sup>4</sup> განსაკუთრებით ვოლფ-პარკინსონ-უაიტის სინდრომისას.  
<sup>5</sup> შესაძლოა ეფექტური იყოს დიგიტალისთან განპირობებული წინაგულიანი არითმიებისას.  
<sup>6</sup> აქტიური მეტაბოლიტების ნახევარდაშლის პერიოდი ვარდობით ხანგრძლივია.

პროკაინამიდი პირდაპირ მოქმედებს სინოატრიულ და ატრიოვენტრიკულურ კვანძებზე და თრგუნავს მათ. ეს ეფექტი მცირედ არის დაბალანსებული ცლომილი სერვის პრეპარატით განპირობებული ბლოკადით.

QT ინტერვალის გახანგრძლივება *Torsade de pointes* გიჟის არითმია და სინკოპე. შესაძლოა აღვივლი პქონდეს აგრეგაცე გამაგრებლობის ძლიერ შენელებას. პრეპარატის გამოყენებას თან ახლავს ახალი არითმიის განვითარების რისკი.

**ექსტრაკარდიული მოქმედება**

პროკაინამიდს განვლილბოკატორული თვისება ახასიათებს, რის გამოც ამცირებს სისხლძარღვთა რემისტენციობას და აქვეითებს არტერიულ წნეუას. განსაკუთრებით ინტრავენურად გამოყენებისას. თერაპიულ კონცენტრაციაში პერიფერიულ წინააღმდეგობაზე პროკაინამიდის გავლენა, ქინიდინთან შედარებით, ნაკლებად არის გამოხატული. პროკაინამიდით განპირობებული ჰიპოტენზია წვეულებრივ დაკავშირებულია ან პროკაინამიდის ძლიერ სწრაფ ინჟექციასთან, ან მარცხენა პარკუჭის დისფუნქციის არსებობასთან.

**ემსტრაპარლიუმი**

პროკაინამიდის ხანგრძლივი გამოყენების ეფექტზე სახიფათო გვერდითი ეფექტია წითელი მგლურას მსგავსი სინდრომი, რაც ხშირად ართრალგიითა და ართრიტით ვლინდება. ზოგიერთ პაციენტში სინდრომი პლეურის, პერიკარდიტი, ან ფილგვების პარენქიმული დაავადების სახითაც შესაძლოა გამოვლინდეს. პროკაინამიდი იმპიდაოდ იწვევს «თირკმლისძიერ მგლურას». ხანგრძლივი მკურნალობისას თითქმის ყველა პაციენტს უვითარდება სეროლოგიური დარღვევები (მაგ. ანტი-სკულეური ანტიხეულების გიგრის მომაგება), რაც სიმპტომების არარსებობის შემთხვევაში მკურნალობის შეწყვეტის აუცილებლობას არ წარმოადგენს. წითელი მგლურას მსგავსი შექვევადი სიმპტომები პროკაინამიდით ხანგრძლივად ნამკურნალეე პაციენტთა დაახლოებით ერთი მესამედს აღენიშნება. სხვა გვერდითი ეფექტებიდან აღსანიშნავია გულსრევა და ფალარაი (შემთხვევითა დაახლოებით 10%-ში); გამოხიყარი, სხეულის გემპერაგურის მომაგება, პეპატი (5%) და აგრანულოციტოზი (დაახლოებით 0.2%).

**გოქსიკურობა**

**ქარლიუმი**

პროკაინამიდის კარდიოტოქსიკურ ეფექტებს ეკუთვნის მოქმედების პოტენციალის გადაჭარბებული გახანგრძლივება.

**ფარმაკოკინეტიკა და დოზირება**

პროკაინამიდი კარგად შეიწოვება ორალურად მიღების დროს, უსაფრთხოა აგრეთვე მისი ორგანიზმში შეყვანა ინტრავენურად და კუნიებში. პროკაინამიდის მეტაბოლიტს (N-აცეტილპროკაინამიდს, NAPA) ჯგუფი 3-ის ანტიარითმული აქტივობა ახასიათებს. პროკაინამიდით მკურნალობის დროს NAPA-ს ჭარბად დაგროვება იწვევს *torsade de pointes*-ის გიპის არითმიას. განსაკუთრებით კი თირკმელების უკმარისობის დროს. ზოგიერთ ორგანიზმში პროკაინამიდი სწრაფად აცეტილირდება, რის გამოც NAPA დიდი რაოდენობით წარმოიქმნება. ასეთ პაციენტებში წითელი მგლურას მსგავსი შექცევადი სინდრომი შედარებით იშვიათად ვითარდება.

პროკაინამიდის ელიმინაცია ლევილსმიერი მეტაბოლიზმითა (NAPA-მდე) და თირკმლისმიერი ექსკრეციით მიმდინარეობს. მისი ნახევარდაშლის პერიოდი მხოლოდ 3-4 საათია, რაც აუცილებელს ხდის მის მრავალჯერად მიღებას, ან მისი ნელი-გამოყოფის ფარმაკოკინეტიკის ფორმების გამოყენებას (რაც ჩვეულებრივ ხდება). NAPA თირკმელების მეშვეობით ელიმინირდება. ამრიგად, თირკმელების უკმარისობის დროს პროკაინამიდის დოზა უნდა შექცირდეს. გულის უკმარისობით განპირობებული განაწილების მოცულობისა და თირკმლისმიერი ექსკრეციის დაქვეითება ასევე საჭიროებს დოზის შექცირებას. პროკაინამიდთან შედარებით, NAPA-ს ნახევარდაშლის პერიოდი გაცილებით ხანგრძლივია, ამიტომ მისი დაგროვება უფრო ნელა მიმდინარეობს. ამრიგად, პროკაინამიდით მკურნალობისას აუცილებელია როგორც პროკაინამიდის, ისე NAPA-ს პალმამი კონცენტრაციის მონიტორინგი, განსაკუთრებით სისხლის მიმოქცევის ან თირკმელების ფუნქციის დარღვევის შემთხვევებში.

პროკაინამიდის ეფექტის სწრაფად მისაღებად დასაშვებია პრეპარატის 12 მგ/კგ-მდე დარტყმითი დოზის ინტრავენურად შეყვანა, სიხარით 0.3 მგ/კგ/წთ, ან უფრო ნელა. დარტყმითი დოზის შემდეგ მკურნალობა გრძელდება შემანარჩუნებელი დოზით 2-5 მგ/წთ, პალმამი კონცენტრაციის კონტროლით. პროკაინამიდის საჭმლის მომნელებელ გრაქტზე ან გულზე გოქსიკურობის რისკი იმატებს, როდესაც პალმამი თვითონ პრეპარატის კონცენტრაცია აღემატება 8 მკგ/მლ-ს, ან მისი მეტაბოლიტის NAPA-ს კონცენტრაცია შეგია 20 მკგ/მლ-ზე.

პარაკუტოვანი არითმიების კონტროლისათვის ჩვეულებრივ, საჭირო ხდება პროკაინამიდის 2-5 უ/დღეში ნოტალური დოზის გამოყენება. პროკაინამიდი დოზირების ნაკლები სიხშირით ენიშნებათ იმ იშვიათ პაციენტებს, რომლებსაც გაზრდილი აქვთ NAPA-ს დაგროვების უნარი, აგრეთვე მათთვისაც თირკმელების დააფადების გამო დაქვეითებულია აქვთ პროკაინამიდის ელიმინაციის უნარი.

**თერაპიული გამოყენება**


პროკაინამიდი ეფექტურია უმრავლესი წინაგულოვანი და პარაკუტოვანი არითმიების დროს, თუმცა, ხშირი დოზირების საჭიროებისა და წითელი მგლურას მსგავსი ეფექტების ხშირი გამოვლენის გამო, მრავალი კლინიკისტი თავს იკავებს მისი გამოყენებისაგან. უმრავლესი კლინიკების კარდიოლოგურ განყოფილებებში პროკაინამიდი ითვლება მთავარად მისი მწვავე ინფარქტით განპირობებული მღვრადი პარაკუტოვანი არითმიის სამკურნალო მეორე რიგის პრეპარატად (ლიდოკაინის შემდეგ).

**ქინილინი (ქვეჯგუფი 1A)**

**მოქმედება გულზე**

ქინილინის პროკაინამიდის მსგავსი მოქმედება ახასიათებს: ორგანიზმს რა ნაგრიუმის არხებს, ანელებს მოქმედების პოტენციალის აღმასვლასა და გამგარებლობას, ეკგ-ზე კი ზრდის QRS-

ის ხანგრძლივობას. კალიუმის არხების არასპეციფიკური ბლოკირების გამო, ქინილინიც ახანგრძლივებს მოქმედების პოტენციალს. გულზე ანტიმუსკარინული გავლენა ქინილინს, პროკაინამიდთან შედარებით, უფრო მეტად აქვს გამოხატული. ქინილინის კარდიოტოქსიკურ ეფექტებს ეკვთვნის QT ინტერვალის ძლიერი გახანგრძლივება და *torsade de pointes* გიპის არითმია. ქინილინის გოქსიკური კონცენტრაცია იწვევს ნაგრიუმის არხების ჭარბად დათრგუნვასა და გულშიდა გამგარებლობის შეწყვეტას.



ქინილინი

**ექსტრაკარდიული მოქმედება**

პაციენტთა ერთ მესამეს ან ნახევარს აღენიშნება კვხ-ნაწლავის მხრივ ვართოვლებები, რაც ფლარატიის, გულსტრევისა და ლებინების სახით ელინდება. ქინილინის გოქსიკური კონცენტრაციის დროს შეიძლება განვითარდეს სინდრომი (ცინქონიზმი), რომელსაც ახასიათებს თავის ტკივილი, თავბრუსხვევითა და კურებში მუხლი. იშვიათად აღინიშნება იდიოსინკრბული ან იმუნოლოგიური რეაქციები თრომბოციტოპენიის, პეპტიგის, ანგიონევროზული შეშუპების და ცხელების წათვლით.

**ფარმაკოკინეტიკა**

ორალურად მიღებული ქინილინი კარგად შეიწოვება, პალმამი უკავშირდება ალბუმინსა და ალფა-2-კავა გლიკოპროტეინს, ელიმინირდება მეტწილად ლევილსმიერი მეტაბოლიზმით. მისი ნახევარდაშლის პერიოდი 6-8 სთ-ია. ქინილინი, ჩვეულებრივ ორალურად მიიღება, აქტიური სუბსტანციის ნელა გამანთავისუფლებელი გაბლექების სახით (მაგ. გლუკონატის მარილის).

**თერაპიული გამოყენება**

წინაგულელების ორთოლეის/ციმციმის დროს სორმალური სინუსური რითმის შესანარჩუნებლად ქინილინი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გამოიყენება. კარდიული და ექსტრაკარდიული გვერდითი ეფექტების გამო, მისი გამოყენება მკერად არის შეზღუდული ჯანმრთელი (მაგრამ არითმული) გულის მქონე პაციენტებში. რანდომიზებული, კონტროლირებული კვლევების მიხედვით, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ქინილინით ნამკურნალევი პაციენტები ორჯერ მეტად ინარჩუნებენ ნორმალურ სინუსურ რითმს, თუმცა ქინილინით მკურნალობის ფონზე სიკვდილის რისკიც ორჯერ ან სამჯერ იზრდება. ქინილინი იშვიათად გამოიყენება პარაკუტოვანი გაქიკარდიის სამკურნალოდ. ქინილინი ქინაქინის ოპტიკურ იზომურია და იყო ზოგჯერ მწვავე, მძიმე მალარიის სამკურნალოდ ინიშნება ინტრავენურად (იხ. თავი 53).



**ლიდოპირამიდი (ქვეჯგუფი 1A)**

**მოქმედება გულზე**

ლიდოპირამიდის ეფექტები ძალიან ჰგავს პროკაინამიდისა და ქინილინის ეფექტებს. ანტიმუსკარინული მოქმედება გულზე მას ქინილინზე კიდევ უფრო მეტად აქვს გამოხატული, ამიტომ



წინაგულების თრიოლვის ან ციმციმის დიზოპირამიდი მკურნალობის დროს აუცილებელია აგროფუნგრიკულური გამგარებლობის შემანელებელი რომელიმე საშუალების გამოყენება.



**გოქსიკურობა**

**პარლიული**

დიზოპირამიდის გოქსიკური კონცენტრაცია ხელს უწყობს ყველა იმ ელექტროფიზიოლოგიური დარღვევის განვითარებას, რაც განხილული იყო ქინილინის შემთხვევაში. უარყოფითი ინოტროპული ეფექტის გამო, დიზოპირამიდი შესაძლოა გამოიწვიოს გულის უკმარისობა *de novo*, ან იმ პაციენტებში, ვისაც უკვე აღენიშნებოდა მარცხენა პარკუჭის ფუნქციის დათრგუნვა. ამ ეფექტის გამო, აშშ-ში დიზოპირამიდი არ ითვლება პირველი რიგის ანტიარითმულ საშუალებად. დაუშვებელია მისი გამოყენება გულის უკმარისობის დროს.

**ექსტრაპარლიული**

დიზოპირამიდის ძირითადი სიმპტომური გვერდითი ეფექტების მიზეზად აგროპინის მაგვარი მოქმედება გვევლინება: მარდის შეკავება (რაც უფრო ხშირად, მაგრამ არა აუცილებლად, პროსტაგის ჰიპერლაბიის მქონე პაციენტებში ვეხვდება), პირის სიმშრალე, მხედველობის დაბნელება, ყაბზობა და გლაუკომის მიმდინარეობის გაუარესება. ამ ეფექტების გამოვლენისას შესაძლოა საჭირო გახდეს პრეპარატის მიღების შეწყვეტა.

**ფარმაკოკინეტიკა და ღებრება**

აშშ-ში, დიზოპირამიდი მხოლოდ ორალური ფორმით არის ხელმისაწვდომი. დიზოპირამიდის ჩვეული ორალური ღება 150 მგ საჩქერ დღეში, თუმცა გამოიყენება აგრეთვე 1 გ/დღეში. თირკმელების ფუნქციის დარღვევის შემთხვევაში ღება უნდა შემცირდეს. გულის უკმარისობის ხელის შემწყობი თვისების გამო, პრეპარატის დარგებითი ღებით გამოიყენება რეკომენდებული არ არის.

**თერაპიული გამოყენება**

მიუხედავად იმისა, რომ დიზოპირამიდი ეფექტურია მრავალი სუპრავენტრიკულური არითმიის დროს, აშშ-ში მისი გამოყენების ჩვენება მხოლოდ პარკუჭოვანი არითმიით შემოიფარგლება.

**ლიდოკაინი (ქვეჯგუში 1B)**

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტიან ასოცირებული არითმიების შემთხვევაში ლიდოკაინის გოქსიკურობის დაბალი ხისშირე და ეფექტურობის მაღალი ხარისხი ახასიათებს. იგი მხოლოდ ინტრავენურად გამოიყენება.

**მოქმედება გულზე**

ლიდოკაინი იწვევს როგორც აქტიურ, ასევე არააქტიურ მღებმარობაში მყოფი სწრაფი კინეტიკის მქონე ნაგრიუმის არხების დათრგუნვას (სურათი 14-9); წინაგულების უჯრედებისაგან განსხვავებით, იგი უფრო მნიშვნელოვნად ითრგუნავს ხანგრძლივი მოქმედების პოტენციალის მქონე უჯრედების, მაგ. პურკინისა და პარკუჭთა უჯრედების, ინაქტიურებულ არხებს. ნორმალური მოხვედრის პოტენციალის დროს სწრაფი კინეტიკა ხელს უწყობს მოქმედების პოტენციალებს შორის ბლოკადის აღდგენას და არ მოქმედებს გამგარებლობაზე. ინაქტიურების გაზრდა და ბმის შეწყვეტის ნელი კინეტიკა იწვევს დეპოლარიზებულ უჯრედების გამგარებლობის ხელუქციურ დათრგუნვას.

**გოქსიკურობა**


**გული**

ამებმად გამოიყენებულ ნაგრიუმის არხების ბლოკატორებს შორის ლიდოკაინს ყველაზე ნაკლებად ახასიათებს კარდიოტოქსიკურობა. ლიდოკაინის გამოყენების დროს იშვიათია ისეთი პროარითმული ეფექტები, როგორცაა ხისოგრიული კვანძის განერება, დარღვეული გამგარებლობის გაუარესება და პარკუჭოვანი არითმიები. ლიდოკაინის ღებმა ღებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ჰიპოტონია, განსაკუთრებით გულის უკმარისობის ფონზე, რის ნაწილობრივ მიზეზადაც მიოკარდიუმის კემპვალბის დათრგუნვა გვევლინება.

**ექსტრაპარლიული**

სხვა ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების მგავსად, ლიდოკაინის გვერდითი ეფექტებიდან ყველაზე ხშირია ნევროლოგიური გართულებები: პრესიუზიები, გრემორი, ცენტრალური წარმომობის გულისჩევა, თავბრუსხვევა, სმენის დარღვევა, მეგველების მოშლა და კრუნხვები. ეს გვერდითი ეფექტები უფრო ხშირად ხანდამშულებსა და მათდამი განწყობილ პაციენტებში ვეხვდება, ან ძალიან სწრაფი ინტრავენური ბლოკსინექციის შემთხვევაში. ეფექტები ღება-ღამოკიდებულია და ჩვეულებრივ ხანმოკლე; კრუნხვების დროს რეკომენდებულია დიაბეუმის ინტრავენური ინექცია. ზოგადად, ლიდოკაინი კარგი ამგანობით ხასიათდება, თუ პლაგმაში მისი კონცენტრაცია არ აღემატება 9 მგ/მლ.





სურათი 14-9.

ლილოკაინის მიერ ნაგრიუმის არხების დათრგუნვითა და ალდგენით განპირობებული მემბრანის მოსვენების პოტენციალის ცვლილების კომპიუტერული სიმულირება. ზედა ჩანაწერი: პარკუჭის კუნთის უჯრედის მოქმედების პოტენციალები. ქვედა ჩანაწერი: მედიკამენტის მიერ დათრგუნული არხების პროცენტული რაოდენობა. რადგან მემბრანის დეპოლარიზაცია ხდება -80, -75 და -70 mV-ზე, ამიგომ მოცემულია ამ პერიოდის 800 მილიწამიანი სეგმენტები. დროის დანარჩენი მონაკვეთი ნახევრება ჩანაწერის შეწყვეტის ნიშნებით. მარცხნივ: სორმალური მოსვენების პოტენციალის დროს -85mV, თითოეული მოქმედების პოტენციალის განმავლობაში პრეპარატი უერთდება როგორც ღია (აქტივირებულ) ისე ინაქტივირებულ არხებს, მაგრამ დიახტოლის პერიოდში ბლოკადა სწრაფად წყდება, რადგან მოსვენების მდგომარეობის დროს, როდესაც პოტენციალი -85mV-მდე ქვეითდება, ლილოკაინის მიმართ რეცეპტორის აფისურობა ძალიან დაბალია; შუაში: მეგაბოლური დაზიანება, მაგ., კორონარული არტერიის ოკლუზიის შედეგად განვითარებული იშემია, დროთა განმავლობაში იწყებს თანდათანობით დეპოლარიზებას. შემდგომი. უფრო დეპოლარიზებული პოტენციალებიდან წარმოქმნილი მოქმედების პოტენციალების დროს იზრდება დათრგუნული არხების ფრაქცია, რადგან ნაკლებად უარყოფითი პოტენციალის პირობებში ინაქტივირებულ მდგომარეობაში უფრო მეტი არხი რჩება (სურათი 14-4, მარცხენა), უფრო ნაკლებად უარყოფითი მოსვენების პოტენციალის პირობებში კი დიახტოლის პერიოდში დათრგუნვის მოხსნისათვის საჭირო დროს მუდმივად (სურათი 14-4, მარჯვენა) სწრაფად იზრდება; მარჯვნივ: ამ ქსოვილში ლილოკაინის მნიშვნელოვანი შეკავშირების გამო, ადგილი აქვს გამგარებლობის ბლოკადასა და აგზნებადობის დათრგუნვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზიანებული (დეპოლარიზებული) ქსოვილის ხელეკიურად ითრგუნება.

**ფარმაკოკინეტიკა და ღობირება**

ძლიერი ლეიდლისმიერი პრესისტემური შეკაბოლიმზის გამო, ორალურად მიღებისას ლილოკაინის მხოლოდ 3% ხვდება პლაზმაში, ამიგომ იგი მხოლოდ პარენტერულად გამოიყენება. ლილოკაინის ნახევარდაშლის პერიოდი 1-2 სთ-ია. ზრდასრულ ადამიანებში ლილოკაინის დამგვირთავი დოზა 150-200 მგ-ია, რომელსაც ერთჯერადი ინფუზიის ან ნედი ბოლუსების თანხმადეერობის სახით შეკავით ორგანიზმში 15 წუთის

განმავლობაში. პლაზმაში ლილოკაინის თერაპიული კონცენტრაციის (2-6 მკგ/მლ) მისაღწევად, მკურნალობა უნდა გაგრძელდეს შემანარჩუნებელი ინფუზიით, სიხარით 2-4 მგ/წთ. ინფუზიის სიხარის დასადგენად ძალზე მნიშვნელოვანია პლაზმაში ლილოკაინის დონის განსაზღვრა. მთკარდიუმის ინფარქტის ან სხვა მწვავე დაავადების დროს საჭიროა (და კარგი ამგანობით ხასიათდება) უფრო მაღალი კონცენტრაციის მიღწევა, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს პლაზმაში მწვავე ფაზის რეაქტული ცილის, ალფა-2-გლიკოპროტეინის მომატებით, რომელიც ლილოკაინთან შეკავშირების გამო, ამცირებს პრეპარატის თავისუფალ ფრაქციას, რომელიც პასუხისმგებელია ფარმაკოლოგიური ეფექტების განხორციელებაში.

გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში დაქვეითებულია, როგორც ლილოკაინის განაწილების მოცულობა, ასევე კლირენსი, ამიგომ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, როგორც დამგვირთავი, ასევე შემანარჩუნებელი დოზის შემცირება. რადგან ამ ფარმაკოკინეტიკური პარამეტრების ცვლილებებს შორის დამყარებულია ბალანსი, ამიგომ ნახევარდაშლის პერიოდი შესაძლოა იმდენად არც კი გაიზარდოს, რამდენადაც ამას მხოლოდ კლირენსის ცვლილების შემთხვევაში ეხედებით. ლეიდლის დაავადების დროს კლირენსი მკვეთრად შემცირებულია, განაწილების მოცულობა კი ხშირად გაზრდილი; ასეთ შემთხვევებში ნახევარდაშლის პერიოდი შეიძლება სამჯერ, ან უფრო მეტად, გაიზარდოს. ლეიდლის დაავადების ფონზე შემანარჩუნებელი დოზა უნდა გაიზარდოს, დამგვირთავი დოზა კი შესაძლოა იგივე დარჩეს. პლაზმაში სტაციონარული კონცენტრაციის განვითარების დრო ნახევარდაშლის პერიოდზე დამოკიდებულია. ამრიგად, მაშინ, როდესაც სორმალურ ან გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში მუდმივი კონცენტრაციის მისაღწევად საჭიროა 8-10 საათი, ლეიდლის დაავადების ფონზე ეს პერიოდი შესაძლოა 24-36 საათამდე გახანგრძლივდეს. სამკურნალო საშუალებები, რომლებიც იწყებენ ლეიდლის სისხლმომარაგებას შემცირებას (მაგ., პროპრანოლოლი, ციმტიდინი), ლილოკაინის კლირენსსაც აქვეითებენ, ამიგომ, გოქსიკურობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ინფუზიის სიხარის შემცირება. თუ ინფუზიის ხანგრძლივობა 24 საათს აღემატება, მაშინ კლირენსის დაქვეითებას და პლაზმაში კონცენტრაციის მომატებას აქვს ადგილი. თირკმელების ფუნქციის დარღვევა ლილოკაინის ელემინაციას მნიშვნელოვნად არ ცვლის.


**თერაპიული გამოყენება**

კლინიკების მწვავე იშემიის განყოფილებაში ლილოკაინი კარდიოვერსიის შემდგომი პარკუჭოვანი გაქიკარდიის სამკურნალო და პარკუჭების ფიბრილაციის პრევენციის არჩევის პრეპარატი. თუმცა, სავარაუდოდ, მწვავე იშემიის დროს ლილოკაინის რეგინული, პროფილაქტიკური გამოყენება ზრდის ასიგოლის სისხშირესა და სიკვდილიანობას, ამიგომ მისი გამოყენება მკურნალობის სგანდარტს არ წარმოადგენს. ექიმთა უმრავლესობა ლილოკაინის ინტრავენურად მხოლოდ არითმიის დროს იყენებს.

**მექსილეტინი (ქვეჯგუში 1B)**

მექსილეტინი ლილოკაინის მსგავსი ორალური პრეპარატია. მისი ელექტროფიზიოლოგიური და ანგარიითმული მოქმედებები ჰგავს ლილოკაინისას. (კრუნსხვის საწინააღმდეგო საშუალებებს, ფენიგონისსაც [იხ. თავი 24], მსგავსი ელექტროფიზიოლოგიური ეფექტები ახასიათებს, ამიგომ იგი ანგარიითმულად გამოიყენებოდა.) მექსილეტინი პარკუჭოვანი არითმიების სამკურნალოდ ინიშნება. მისი ნახევარდაშლის პერიოდი 8-20 საათი და მისი მიღება ღლეში ორჯერ ან სამჯერ არის შესაძლებელი. მექსილეტინის ჩვეული ხაღვლაძამისი დოზაა 600-


1200 მკ/დლ. დობადამოკიდებული გვერდითი ეფექტები ხშირად თერაპიული დოზებით მკურნალობის დროსაც ვლინდება და მათი უძრავი უსიძველეობა ნეკროლოგიური ხასიათისაა – გრემორი, მხედველობის დაბინდვა და ლეიარგია; ხშირია აგრეთვე გულისრევაც.



ანტიარითმული მოქმედების გარდა მექსილეგინის მნიშვნელოვანი ტოქიკოგამაუმჯობესებელი ეფექტით ახასიათებს. განსაკუთრებით დაბეჭდური ნეკროლოგიური ან ნერვის დაზიანებით განპირობებული ქრონიკული ტკივილის შემთხვევაში. მექსილეგინის ჩვეულებრივი სადღეღამისო დოზაა 450-750 მკ ორთაღმურად მისაღებად. მექსილეგინის გამოყენება ტკივილების მისახსენებლად ნებადართული არ არის.

**ფლეკაინიდი (ქვეჯგუში 1C)**

ფლეკაინიდი ნაგრიუმისა და ნელი კინეგისის მქონე კალიუმის არხების ძლიერი ბლოკატორია. (ალხინიშნაია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრეპარატი თრგუნავს კალიუმის ზოგადი არხის, იგი არ იწვევს მოქმედების პოტენციალს და QT ინტერვალის გახანგრძლივებას.) ფლეკაინიდი ანტიმუსკარინული მოქმედება არ ახასიათებს. ჩვეულებრივ, ფლეკაინიდი გამოიყენება სუპრავენტრიკულური არითმიის სამკურნალოდ. იმ პაციენტებში, რომლებსაც სხვა თერაპიების ვეღა ჯანმრთელი აქვთ.



ფლეკაინიდი განსაკუთრებით ეფექტურად თრგუნავს პარკუჭოვანი ნაადრევ შეკუმშვებს. თუმცა, გადაგანილი მსოკარდიუმის ინფარქტის შემდგომი პარკუჭოვანი ტაქიკარდიის დროს, პარკუჭოვანი ექტოპიის არსებობის შემთხვევაში, პრეპარატის თერაპიულმა დოზაზე კი შეიძლება გამოიწვიოს არითმიის ძლიერი გამოწვევა. ეს ფაქტი გულის არითმიების დათრგუნვის კლასიკური (CAST) იქნა დადგენილი, რომელიც ნაადრევად შეწყდა იმის გამო, რომ ფლეკაინიდისა და ანტიარითმული საშუალებების ჯგუფი 1C-ს წარმომადგენლების გამოყენებისას სიკვდილიანობის მანქანებელი ორნახევარჯერ გაიზარდა. ფლეკაინიდი კარგად შეიწოვება და მისი ნახევარდაშლის პერიოდი დაახლოებით 20 სთ-ია. მისი ელიმინაცია ლეიძლისმიერი მეტაბოლიზმითა და თირკმლისმიერი ექსკრეციით მემდინარეობს. ფლეკაინიდის ჩვეულებრივი დოზაა 100-200 მკ ორჯერ დღეში.

**პროპაფენონი (ქვეჯგუში 1C)**

პროპაფენონი სტრუქტურულად პროპრანოლოლის მსგავსია და სუსტი ბეტა-ადრენობლოკატორული აქტივობით ხასიათდება. მისი მოქმედების საექტრი ქინილის მსგავსია, ნაგრიუმის არხების დათრგუნვის კინეტიკა კი – ფლეკაინიდის. პროპაფენონი ლეიძლში მეტაბოლიზდება. მისი ნახევარდაშლის პერიოდი საშუალოდ 5-7 სთ-ია. პროპაფენონის ჩვეულებრივი

დღეღამისო დოზაა 450-900 მკ, დაყოფილი სამ მიღებაზე. პროპაფენონი ძირითადად სუპრავენტრიკულური არითმიების დროს გამოიყენება. პრეპარატის ყველაზე ხშირი გვერდითი ეფექტებია ლათონის გემო და ყაბზობა; პროპაფენონმა შესაძლოა გამოიწვიოს არითმიის გამოწვევა.

**მორისიგინი (ქვეჯგუში 1C)**

პარკუჭოვანი არითმიების სამკურნალო პრეპარატი მორისიგინი ფენოთიაზინის ნაწარმია. იგი ნაგრიუმის არხების ძლიერი ბლოკატორია, რომელიც მოქმედების პოტენციალს არ ახანგრძლივებს.

მორისიგინის მრავალი მეტაბოლიტი გაიხსნა, რომელითაც ხაერაულოდ, ზოგიერთი ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდის მქონე აქტიური ნაერთია. მისი ყველაზე ხშირი გვერდითი ეფექტებია თავბრუსხვევა და გულისრევა. ნაგრიუმის არხების სხვა ძლიერი ბლოკატორების მსგავსად, მასაც შეუძლია არითმიების გამოწვევა. მორისიგინის ჩვეულებრივი დოზაა 200-300 მკ სამჯერ დღეში.

**ბეტა-ადრენორეპტორის ბლოკატორები (კლასი 2)**

**მოქმედება გულზე**

პროპრანოლოლსა და მის მსგავს პრეპარატებს ანტიარითმული მოქმედება ახასიათებს, რაც ძირითადად ბეტა-ადრენორეცეპტორების დათრგუნვისა და უჯრედის შემზრანაზე პირდაპირ ზეგავლენასთან არის დაკავშირებული. როგორც განხილული იყო თავში 10, ამ ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი სელექციურია გულის ბეტა რეცეპტორების მიმართ. ზოგ მათგანს მინიგანის სიმპათომიმეტიური აქტივობა ახასიათებს. ზოგიერთი პირდაპირ მოქმედებს შემზრანაზე, ზოგი კი გულის მოქმედების პოტენციალს ახანგრძლივებს. ბოლომდე ცნობილი არ არის, თუ ბეტა-ადრენობლოკატორების ანტიარითმულ ეფექტში რა როლს ასრულებს მათი ბეტა-ადრენორეცეპტორების დათრგუნვის უნარი და შემზრანაზე უშუალო შემოქმედება. პაციენტების ამგანობა ბეტა-ბლოკატორების მიმართ საკმაოდ კარგია. ნაგრიუმის არხების ბლოკატორებთან შედარებით, ბეტა-ბლოკატორებს პარკუჭოვანი ექტოპური ლეიძლარითმაციების დათრგუნვის გაძილებით დაბალი უნარი ახასიათებს, თუმცა არსებობს მტკიცებულება, რომ მისი იწვევენ მორეცილივი ინფარქტისა და უეცარი სიკვდილის პრევენციას მსოკარდიუმის მწვავე ინფარქტის შემდგომ პერიოდში (იხ. თავი 10).

ესმოლოლი ხანმოკლე მოქმედების ბეტა ბლოკატორია, რომელიც ძირითადად ინტრაოპერაციული და სხვა მწვავე არითმიების დროს გამოიყენება. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი 10.

არასელექციური ბეტა-ბლოკატორი სოტალოლი იწვევს მოქმედების პოტენციალს გახანგრძლივებას (კლასი 3 მოქმედება).


**ანტიარითმული საშუალებები, რომლებიც ახანგრძლივებენ ეუფტურ რეპრატორულ პერიოდს მოქმედების პოტენციალის ბახანგრძლივების გზით (ჯგუფი 3)**

ეს პრეპარატები ახანგრძლივებენ მოქმედების პოტენციალს, იწვევენ რა გულის კუნთის კალსუმის არხების დათრგუნვას, ამ შემთხვევაში ნაკადის გაძლიერებას, მაგ., ნაგრიუმის არხებში. ამ ჯგუფის წარმომადგენლებით განპირობებულ მოქმედების

პოტენციალის გახანგრძლივებას ხშირად თან ახლავს ისეთი არასასურველი მოვლენა, როგორცაა შებრუნებული „ღამოკიდებულია გამოყენებაზე“ გულისცემის მაღალი სიხშირის დროს მოქმედების პოტენციალი ნაკლებად ხანგრძლივდება (როდესაც ეს სასურველია), ხოლო დაბალი სიხშირის დროს კი ძალიან ხანგრძლივდება და იბრუნება *torsade de pointes* განვითარების რისკი.

**ამიოლარონი**

ამ-ში ამიოლარონი დაშვებულია, როგორც რთული პარკუჭოვანი არითმიების სამკურნალო საშუალება, თუმცა იგი ძალიან ეფექტურია სუპრავენტრიკულური არითმიების დროსაც, როგორცაა მოცემულ არითმია. იგი გამოიყენება როგორც ორალურად, ასევე ინტრავენურად. ამიოლარონს ახასიათებს გულზე მოქმედების ფართო სპექტრი, უჩვეულო ფარმაკოკინეტიკა და მნიშვნელოვანი ექსტრაკარდიული გვერდითი ეფექტები.



**მოქმედება გულზე**

ამიოლარონი თრგუნავს  $I_{Kr}$ -ს, რის შედეგადაც შეეერთად ახანგრძლივებს მოქმედების პოტენციალს (და QT ინტერვალს ეკგ-ზე). ქრონიკული გამოყენებისას  $I_{Kr}$ -ს დათრგუნვისაზე აქვს ადგილი. მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობა ერთგვაროვანად იბრუნება გულისცემის სხვადასხვა სიხშირის პირობებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრეპარატს არ ახასიათებს „გამოყენებაზე-ღამოკიდებული შებრუნებული“ მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კლასიფიკაციის თანახმად ამიოლარონი მე-3 ჯგუფს მიეკუთვნება, იგი ინაქტივირებულ ნაგრიუმის არხებსაც მნიშვნელოვნად აბლოკირებს. მოქმედების პოტენციალზე მისი გამახანგრძლივებელი ზეგავლენა კიდევ უფრო აძლიერებს ამ ეფექტს. ამიოლარონის სუსტი ადრენერგული და კალციუმის არხების მადლოკარებელი თვისებებიც გააჩნია. ამ მოქმედებების შედეგად იგი იწვევს გულისცემის სიხშირისა და აგრიოვენტრიკულური კვანძის გამტარებლობის შენელებას. ამიოლარონის მოქმედების ფართო სპექტრი განაპირობებს მის შედარებით მაღალ ეფექტურობასა და *torsade de pointes* განვითარების დაბალ სიხშირეს, მიუხედავად QT ინტერვალის მნიშვნელოვანი გახანგრძლივებისა.

**ექსტრაკარდიული ეფექტები**

ამიოლარონი იწვევს პერიფერულ ვაზოდილატაციას. ეს მოქმედება განსაკუთრებით გამოხატულია ინტრავენური გამოყენებისას და შესაძლოა გამხსნელთან იყოს დაკავშირებული.

**გოქსიკურობა**

**გული**

სინუსური ან აგრიოვენტრიკულური კვანძის პათოლოგიური მდგომარეობის დროს ამიოლარონმა შეიძლება გამოიწვიოს სიმპტომური ბრადიკარდია და გულის ბლოკადა.

**ემსტრაპარლიული**

ამიოლარონს ახასიათებს კუმულაცია სხვადასხვა ქსოვილში, მათ შორის გულში (10-15-ჯერ მეტი, ვიდრე პლაზმაში). ფილტვებში, ღვიძლსა და კანში. იგი მაღალი კონცენტრაციით გროვდება აგრეთვე ცრემლში. ყველაზე გამოხატული გვერდითი ეფექტია ღრმა-ღამოკიდებული გოქსიკური ზეგავლენა ფილტვებზე – დაბალი დოზით გამოყენების დროსაც კი (სადალემის დოზა <200 მგ), პაციენტთა 1%-ს შესაძლოა განვითარდეს ფილტვების ფაგალური ფიბროზი. ამიოლარონით მკურნალობისას ასევე შესაძლებელია გამოვლინდეს ღვიძლის ფუნქციური სინჯების ცვლილებები და ჰეპატიტი. კანში დემონსტრირების გამო ვითარდება ფოტოლენომატიტი და მონაცრისფრო-მთლურჯო შეფერილობის ლაქები შხის სხივების ზემოქმედებისათვის დაუცველ უბნებში, მაგ., ღაწვებზე. ამიოლარონით მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში თითქმის ყველა პაციენტს აღენიშნება ასიმპტომური მიკროლემპოციტოზი რქოვანაზე. ზოგ პაციენტს კი მხედველობის პერიფერული ველის ნათება-ჩვეულებრივ, ამ ეფექტების გამოხატვისას არ არის აუცილებელი პრეპარატის მიღების შეწყვეტა. იშვიათად, შესაძლოა ადვილი ჰქონდეს მხედველობის სერვის სერვისის პროგრესირებას სიბრძნეებზე.

ამიოლარონი თრგუნავს თიროქსინის ( $T_4$ ) პერიფერულ გარდაქმნას გრიოლოთირონიზად ( $T_3$ ). იგი აგრეთვე დღი რაოდენობით არაორგანული იოდის პოტენციურ წყაროს წარმოადგენს. ამ მიზეზების გამო, ამიოლარონმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც ჰიპო- ასევე ჰიპერთიროიდიზმი. აუცილებელია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მონიტორინგი მკურნალობის დაწყებამდე და მკურნალობის პერიოდში. იმის გამო, რომ გვერდითი ეფექტები თითქმის ყველა ორგანოთა სისტემას მოიცავს, ახალი სიმპტომების გამოვლენის ნებისმიერი შემთხვევაში (მათ შორის არითმიის გაუარესების დროს) უნდა გააღისინჯოს ამიოლარონით მკურნალობის გაგრძელების საკითხი.

**ფარმაკოკინეტიკა**

ამიოლარონის შეწოვა არაერთგვაროვანია და მისი ბიოშეღწევადობა 35-65%-ს შორის მერყეობს. მისი ღვიძლისმიერი მეტაბოლიზმის შედეგად წარმოიქმნება ძირითადი მეტაბოლიტი, ადემეთილამიოლარონი, რომელიც ბიოაქტიურია. ამიოლარონი რთული ნახევარდაშლის პერიოდს ახასიათებს, რომლის სწრაფი კომპონენტი შეადგენს 3-10 ღვეს (მელიკამენგის 50%), უფრო ნელი კომპონენტი კი რამდენიმე კვირას. პრეპარატის მიღების შეწყვეტის შემდეგ მოქმედება 1-3 თვის განმავლობაში გრძელდება, მიღების შეწყვეტიდან 1 წლის შემდეგ კი ქსოვილოვანი დოზა კვლავ ექვემდებარება გამოშვას. საერთო დამტვირთავი დოზის, 10 ჯ-ის მისაღწევად, ჩვეულებრივ 0.8-1.2 გ სადალემის დოზა ინიშნება. შექმანარსებული სადალემის დოზა 200-400 მგ-ს გოლია. ფარმაკოლოგიური ეფექტების სწრაფად მიღწევა შესაძლებელია ამიოლარონით ინტრავენური დაგვირთვით. პრეპარატის ამ გზით გამოყენებისას QT-ინტერვალის უმნიშვნელო გახანგრძლივება აქვს ადგილი, მაგრამ მაღალი მნიშვნელოვანი ბრადიკარდიისა და აგრიოვენტრიკულური ბლოკადის განვითარების რისკი.

ამიოლარონის მნიშვნელოვანი წამალთმორისი ურთიერთქმედება ახასიათებს, ამიგომ მისი გამოყენების დაწყებამდე ან დოზის შერჩევისას აუცილებელია ყველა სხვა დანიშნული მედიკამენტის გადამხიჯვა. ამიოლარონი ღვიძლისმიერი მეტაბოლიზმში მონაწილე ციტოქრომული ფერმენტის CYP3A4-ის სუბსტრატია, ამიგომ ამ ფერმენტის მაინჰიბირებელ პრეპარატებთან (მაგ.,  $H_2$  პოსტამისური რეცეპტორის ბლოკატორი ციმეტიდინი) ერთად გამოყენებისას პლაზმაში ამიოლარონის კონცენტრაცია იბრუნება, CYP3A4-ის ინჰიბიტორებთან (მაგ., რიფამ-

ბინი) ერთად გამოყენებისას კი მცირდება. თვითონ ამიოდარონსაც აქვს ლეიძლის სხვა ციკლოქრომიული ფერმენტების ინჰიბირების უნარი, ამიტომ იწვევს ამ ფერმენტების სუბსტრატ-პრეპარატების კონსენსტრაციის გაზრდას, მაგ., დიგოქსინის და ეარფარინის.

**თერაპიული გამოყენება**

წინაგულების ფიბრილაციის დროს, ნორმალური სინუსური რითმის შეხანარსუნებლად, ეფექტურია ამიოდარონის დაბალი დოზების (სადალდამისო დოზა 100-200 მგ) გამოყენება. პრეპარატი ეფექტურია აგრეთვე მორცილივე პარკუჭოვანი გაქიკარდიის პრევენციისათვის. კორონარული არტერიების დაავადების ან გულის უკმარისობის დროს ამიოდარონის გამოყენება არ იწვევს ლეგალობის სისხლის გაზრდას. მრავალ კლინიკაში, პარკუჭოვანი გაქიკარდიის დროს, მუდკამეხურ მკურნალობაზე მეტად უპირატესობა იმპლანტირებულ კარდიოვერსიულ დეფიბრილატორს (ICD) ენიჭება, თუმცა პარკუჭოვანი გაქიკარდიის ამიოდარონით აღიუქანსური მკურნალობა ICD-ს არაკომფორტული განმუხტვების სისხლის შემცირების საშუალებას იძლევა. ამიოდარონი ზრდის რითმის წამყვან და დეფიბრილაციურ ზღურბლებს, ამიტომ მისი შემანარსუნებელი დოზის მიღწევის შემდეგ აუცილებელია რითმის წამყვანი მოწყობილობების ხელახალი გესტირება.

**ბრეტილიუმი**

თავდაპირველად, კლინიკურ პრაქტიკაში ბრეტილიუმი დაინერგა როგორც ანტიპერტენული საშუალება. იგი ხელს უშლის ნეირონებიდან კატექოლამინების გამონთავისუფლებას, თუმცა პრეპარატს პირდაპირი ანტიარითმიული თვისებებიც გააჩნია.

**გულზე და ექსტრაკარდიული ეფექტები**

ბრეტილიუმი ზრდის მხოლოდ პარკუჭების (და არა წინაგულების) მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობასა და ეფექტურ რეფრაქტერულ პერიოდს, რაც ეფელაზე მეტად გამოხატულია იმეშიურ უჯრედებში, რომლებსაც ხანმოკლე მოქმედების პოტენციალი ახასიათებთ. ამრიგად, ბრეტილიუმი ხსნის მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობის იმეშიით განპირობებულ დამოკლებას.

საწვის ეტაზე ბრეტილიუმი აძლიერებს კატექოლამინების გამონთავისუფლებას, ამიტომ პირველი მიღებისას გარკვეულ დადებით ინოტროპულ მოქმედებას ამჟღავნებს, რამაც შესაძლოა ხელი შეუწეოს პარკუჭოვანი არითმიის განვითარებას. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მკურნალობის დაწეებისას აუცილებელია მკაცრი მეთაულეურეობა პაციენტზე.

ბრეტილიუმი სიმპათოლიმურმა ეფექტმა შესაძლოა გამოიწვიოს ორთოსტატული (პოსტურალური) ჰიპოტონია. ტრიციკლური ანტიდეპრესანტი პროტრიპტილინი მილიანად აბათილებს ამ ეფექტს. ბრეტილიუმი ინტრავენური ბოლუს-ინექციის დროს შესაძლოა განვითარდეს გულისრევა და ლებინება.

**ფარმაკოკინეტიკა და დოზირება**

ბრეტილიუმი აშშ-ში მხოლოდ ინტრავენური საინექციო ფორმის სახით არის ხელმისაწვდომი. მოზრდილებში ბრეტილიუმი გორბილაციის ხელი ინტრავენური ბოლუსი ინიშნება, დოზით 5 მგ/კგ. ინექციის ხანგრძლივობა 10 წუთია. დასაწყებია დოზის გამეორება 30 წუთის შემდეგ. შემანარსუნებელი მკურ-


ნალობისათვის რეკომენდებულია მსგავსი ბოლუსის დანიშნა ყოველ 4-6 საათში ერთხელ, ან მუდმივი ინფუზიის სახით გამოყენება, სინქრონი 0.5-2 მგ/წთ.

**თერაპიული გამოყენება**

ბრეტილიუმი იშვიათად გამოიყენება და ისიც მხოლოდ გადაუღებელი თერაპიის განყოფილებებში, ლიდოკაინისა და კარდიოვერსიის მიმართ მღვრადი პარკუჭოვანი ფიბრილაციის დროს. კლინიკათა უმრავლესობა ამ წვენებისათვის ეპირატესობას ამიოდარონს ანიჭებს.

**სოტალოლი**

სოტალოლი, მოქმედების პოტენციალის გამახანგრძლივებელ (ჯგუფი 3) მოქმედებისათვის ერთად, ბეგა-არენსორეცეპტორების მბლოკირებელი (ჯგუფი 2) თვისებაც ახასიათებს. იგი *d*- და *l*-სოტალოლის რაცემული ნარევიია. ბეგა-არენსორეცეპტორების დამორგუნაე მოქმედებაზე მისი *l*-იზომერია პასუხისმგებელი, მოქმედების პოტენციალის გამახანგრძლივებელი ეფექტი კი ორივე, *d*- და *l*-იზომერისათვის არის დამახასიათებელი. სოტალოლის ბეგა-არენსორეცეპტორული აქტიობა არ არის კარდიოსელექტიური და მაცსმბალურად ვლანდება მოქმედების პოტენციალის გასახანგრძლივებლად საჭირო დოზების გამოყენებისას.



ორალური მიღებისას სოტალოლი კარგად შეიწოვება. მისი ბიოშეღწევალობა დაახლოებით 100%-ია. იგი არ უკავშირდება პლაზმის ცილებს და არ მეტაბოლიზდება ლეიძლში. პრეპარატი ითიქმის უცვლელი სახით გამოიყოფა ორგანიზმიდან თირკმელების მეშეობით. სოტალოლის ნახევარდაშლის პერიოდი დაახლოებით 12 სა-ია. შედარებით მარტივი ფარმაკოკინეტიკის გამო, მას უმნიშვნელო წამალიშორისი ურთიერთქმედება ახასიათებს. გულზე ეფელაზე მნიშვნელოვანი დოზა-დამოკლებული გვერდითი ეფექტი – *torsade de pointes* – მისი ფარმაკოლოგიური ეფექტის გაგრძელებაა. რეკომენდებული დოზის მაქსიმალური დოზის გამოყენებისას ამ გვერდითი ეფექტის ხსნისრე 6%-ს აღწევს. გულის ძლიერი უკმარისობის დროს სოტალოლი იწვევს მარესენა პარკუჭის დისუნქციის ვალრმაეებას.

სოტალოლი გამოიყენება სიცოცხლისათვის საშიში პარკუჭოვანი არითმიების სამკურნალოდ, აგრეთვე სინუსური რითმის შეხანარსუნების მიზნით მოციმციმე არითმიის შემთხვევაში. დასაშეგბია სოტალოლის გამოყენება სუპრავენტრიკულური და პარკუჭოვანი არითმიების სამკურნალოდ პედიატრულ პრაქტიკაში. სოტალოლი ამიერებს გულის დეფიბრილაციის ზღურბლს.

**ლოფეტილიდი**

ლოფეტილიდი ამჟღავნებს ჯგუფი 3-სათვის დამახასიათებელ მოქმედების პოტენციალის გამახანგრძლივებულ ეფექტს, რაც კალაუმის ნაკლის დაყოვნების მაკორევირებულ სწრაფი კომპონენტის, *I<sub>Kr</sub>*-ის, დოზა-დამოკლებული ბლოკადით არის განპირობებული. ლოფეტილიდის მიერ *I<sub>Kr</sub>*-ის დაორგუნვა იწვევს პიპოკალიემიას. ლოფეტილიდი არ მოქმედებს კალაუმის სხვა არხებსა და ნატრიუმის არხებზე. ბლოკადის აღღების ხელი

გემის გამო, დაირგუნეს ხარისხი ნაკლებად და დამოკიდებული სტიმულაციის სისწრაფე, თუმცა, დოფეტილიდი ნაკლებად ახანგრძლივებს მოქმედების პოტენციას გულსისხლძარღვითი სისხლის დროს, რადგან ამ პირობებში კალიუმის სხვა არსებობა (მაგ.  $I_{Ks}$ ) უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ორალურად მიღებული დოფეტილიდის ბიომედიკალიზაცია 100%-ია. ვერაპამილი აბსორბირებს ნაწლავების სისხლისძარღვითი ქსოვიდან. ამიგომ ზრდის დოფეტილიდის პიკურ კონცენტრაციას პლაზმაში. დოფეტილიდის ორალურად მიღებული დოზის 80% თირკმლების მეშვეობით უცვლელი სახით გამოიყოფა ორგანიზმიდან; დანარჩენი ნაწილი კი, არააქტიური მეტაბოლიტის სახით, შარდში ელემინირდება. თირკმელების კათიონური სეკრეციის მექანიზმების ინჰიბიტორები (მაგ. ციმეტიდინი) ახანგრძლივებს დოფეტილიდის ნახევარდაშლის პერიოდს. QT-ს გამახანგრძლივებელი ეფექტი და პარკუჭოვანი პროარიითმის რისკი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებებშია პრეპარატის კონცენტრაციასთან პლაზმაში. ამიგომ დოფეტილიდის დოზა კრეატინინის კლირენსის მისხვედით უნდა შეირჩეს. დოფეტილიდით მკურნალობა სტაციონარში იწყება, სისხლორეკორექციის (rate-corrected) (QT<sub>c</sub>) QT-ინტერვალისა და შრატში ელექტროლიტების საბაზისო დონის განსაზღვრის შემდეგ. დოფეტილიდის გამოყენების შედარებით უკუჩვენებებს ეკუთვნის QT-ს ბაზისური მაჩვენებელი > 450 მწ (500 მწ პარკუჭოვანი შორის გამგარობის შეფერხების არსებობისას), ბრადიკარდია < 50 დარტყმა/წთ და ჰიპოკალიემია.

დოფეტილიდი გამოიყენება მოციმციმე არითმიის დროს, როგორც ნორმალური სინუსური რითმის შენარჩუნების, ასევე აღდგენის მიზნით.

### იბუტილიდი

იბუტილიდი იწყებს კალიუმის გამმართიანი დაყოფილებული ნაკადის სწრაფი კომონენტის დაირგუნეს და ანელებს გულს რეპოლარიზაციას. საეარაულოდ, მას კიდევ ერთი, დამატებითი მოქმედების მექანიზმი ახასიათებს. კერძოდ კალიუმის უჯრედში შემაჯალი ნელი ნაკადის გააქტივება. ინტრავენურად გამოყენებისას, ლეიქსმიური მეტაბოლიზმის შედეგად სისხლის პლაზმა იბუტილიდისგან სწრაფად იწმინდება. მეტაბოლიტები ორგანიზმიდან თირკმლისმიერი ექსკრეციით გამოიყოფიან. პრეპარატის ნახევარდაშლის პერიოდი საშუალოდ 6 სთ-ია.

იბუტილიდი გამოიყენება ინტრავენურად ნორმალური სინუსური რითმის აღსადგენად წინაგულების თრთოლისა და ციმციმის დროს. ციმციმიან შედარებით, პრეპარატი წინაგულების თრთოლის შემთხვევაში უფრო ეფექტურია და არითმიის შეწყვეტას საშუალოდ 20 წთ უსაჭიროება. იბუტილიდის ეფექტურად შენიშნულია გვერდითი ეფექტები QT ინტერვალის ძლიერი გახანგრძლივება და torsade de pointes ტიპის არითმიის განვითარება. აუცილებელია ეკგ-ს უწყვეტი მონიტორინგი იბუტილიდის ინოვაციიდან 4 საათის განმავლობაში, ან QT-ს ბაზისურ დონეზე დაბრუნებამდე.

### კალციუმის არხების ბლოკატორები (კლასი 4)

ანტიარითმული ეფექტის მქონე კალციუმის არხების ბლოკატორების პროტოტიპს ვერაპამილი წარმოადგენს. კალციუმის ანტაგონისტები საშედიცინო პრაქტიკაში პირველად სტენოკარდიის სამკურნალო საშუალებების სახით იქნენ დანერგული. ამიგომ პრეპარატები დეკალურად განხილული თავში 12. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ვერაპამილსა და დილგაიბემს ანტიარითმული ეფექტებიც ახასიათებთ.

## ვერაპამილი

### მოქმედება გულზე

ვერაპამილი ორგუნავს როგორც აქტიური, ისე არააქტიური მდგომარეობაში მყოფ L-ტიპის კალციუმის არხებს, ამიგომ მისი მოქმედება უფრო მეტად არის გამოხატული იმ ქსოვილზე, რომელიც ხშირად აქტიურდება, მოხვედრულ მდგომარეობაში სრულად არ პოლარიზდება და გააქტივების პროცესი მხოლოდ კალციუმის ნაკადზე დამოკიდებულია. ასეთ უბნებს ეკუთვნის სინოატრიული და ატრიოვენტრიკულური კვანძები. ვერაპამილის თერაპიული კონცენტრაციები იწყებენ ატრიოვენტრიკულური გამგარებლობისა და ეფექტური რეფრაქტორული პერიოდის ვარიაბელურ გახანგრძლივებას. ჩვეულებრივ, ვერაპამილი, პირდაპირი გემოქმედებით, ანელებს სინოატრიული კვანძის აქტივობას, თუმცა, ჰიპოტენზიური ეფექტის გამო, შესაძლოა გამოიწვიოს სინოატრიული კვანძის სისწრაფის რეფლექსური, უმნიშვნელო გაზრდა.

ვერაპამილი ორგუნავს როგორც ნაღრვე, ასევე დაყოფილებულ მოსტემპლარიზაციებს და ძლიერ დეპოლარიზებულ ქსოვილში ხელს უშლის ნელი საპასუხო რეაქციების აღმოცენებას.

### ექსტრაკარდიული ეფექტები

ვერაპამილი იწყებს პერიფერულ ვაზოდილაციას, რაც დადებითად არტერიული ჰიპერტენზიისა და პერიფერული სისხლძარღვების დაეალებების დროს, მისი ზეგავლენა გლუვ კუნთზე უმრავლესი ექსტრაკარდიული ეფექტების მიზეზად გვევლინება (იხ. თავი 12).

### ტოქსიკურობა

#### ბული

ჩვეულებრივ, ვერაპამილის კარდიოტოქსიკური ეფექტები დოზა-დამოკიდებულია და შესაძლებელია მათი თავიდან აცილება. არარაციონალური მკურნალობის ეფექტზე ხშირი შეცდომა ვერაპამილის ინტრავენური გამოყენება პარკუჭოვანი ტაქიკარდიის დროს, იმ პაციენტებში რომლებსაც შეეცდომით დაესვათ სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის დიაგნოზი. ამ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ჰიპოტენზია და პარკუჭების ფიბრილაცია. ვერაპამილისათვის ჩვეული უარყოფითი ინოტროპული ეფექტი ზღუდავს მის კლინიკურ სარგებელს გულის დაეალებების მქონე პაციენტებში (იხ. თავი 12). დიდი დოზებით გამოყენებისას ან ატრიოვენტრიკულური კვანძის დაეალებების დროს ვერაპამილმა შეიძლება გამოიწვიოს ატრიოვენტრიკულური ბლოკი, რომლის მოხსნა შეიძლება ატროპინითა და ბეგა-ადრენორეცეპტორების მასტიმულირებული საშუალებებით. დამიანებული სინუსის კვანძის შემთხვევაში ვერაპამილმა შესაძლოა გამოიწვიოს სინუსური კვანძის გაჩერება (arrest).

### ექსტრაკარდიული

ვერაპამილის სხვა გვერდითი ეფექტებს მიეკუთვნება ყაბზობა, მოთენთილობა, ნევროზული მდგომარეობა და პერიფერული შეშუპება.

### ფარმაკოკინეტიკა და დოზირება

ვერაპამილის ნახევარდაშლის პერიოდი დაახლოებით 7 სთ-ია. იგი ლეიქსის მიერ აქტიურად მეტაბოლიზდება; ორალურად მიღების შემდეგ მისი ბიომედიკალიზაცია მხოლოდ 20%-ია.

ამიგომ, ლეიძლის ფუნქციის დარღვევის შემთხვევაში ვერაპამილი სიფრთხილით ინიშნება. სუპრავენტრიკულურ ტაქიკარდიის შეწყვეტის მიზნით, ვერაპამილი პარენტერულად ენიშნებათ იმ მობრდილ პაციენტებს, რომლებსაც ანამნეზში არ აღენიშნებათ გულის უკმარისობა, ან სინოატრიული და აგრიოვენტრიკულური კვანძების დაავადება. თუმცა, სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის სწრაფად შეწყვეტის პირველი რიგის პრეპარატად აღენიშნება ალიარბუტი. ვერაპამილის საწყისი დოზაა 5 მგ ნელი ბოლუს-ინექციით, ხანგრძლივობით 2-5 წუთი. საჭიროებისას, რამოდენიმე წუთის შემდეგ, დასაშვებია 5 მგ-იანი მეორე ბოლუს-ინექციის გამოტოვება. მკურნალობა გრძელდება 4-6 საათიანი ინტერვალით 5-10 მგ-ის ორგანიზმში შეყვანით, ან მუდმივი ინფუზიით, რომლის სიჩქარე ტოლი უნდა იყოს 0.4 მკ/კგ/წთ.

ლეიძლში პრესისტემური მეტაბოლიზმის გამო, ორალური დოზა ინტრავენურზე უფრო მაღალია. ორალური ხაზღვრადი-სო დოზა 120-640 მგ-ის ფარგლებში მერეკობს (დაყოფილი სამ ან ოთხ მიღებად).

### თერაპიული გამოყენება

ვერაპამილი, როგორც ანტიარითმული საშუალება, ძირითადად სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის დროს ინიშნება. არითმიის ამ ტიპის შესაწვევად ადრე გამოიყენებულ სხვა სამკურნალო საშუალებებთან შედარებით (პროპრანოლოლი, დიგოქსინი, ედროფონიუმი, ეაზოკოსინგრიტორული საშუალებები და კარდიოლენი) უპირატესობა აღენიშნება ან ვერაპამილს ენიჭება. წინაგულეების ციმციმის ან თრთოლვის დროს ვერაპამილი შეხადლოა შეამციროს პარკუჭების შეკუმშვითა სისხრივ. წინაგულეების ციმციმსა და თრთოლვას ვერაპამილი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გარდაქმნის სინუსურ რითმად. იგი ერთიანულ შემთხვევაში გამოიყენება პარკუჭოვანი არითმიების დროს, თუმცა, განხილულიყოფილი პარკუჭოვანი ტაქიკარდიის დროს ვერაპამილის ინტრავენურად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰემოდინამიკური კოლაფსი.

### ლიტიაგეში

დიღტიაგემს ვერაპამილის მსგავსი ეფექტურობა ახასიათებს. იგი სუპრავენტრიკულური არითმიების მართვისათვის (მაგ., მიოცემიტი არითმია) ინტრავენურად გამოიყენება. რადგან პიროტონის ან ბრადიარითმიის შედარებით იშვიათად იწვევს.

### სხვადასხვა ანტიარითმული საშუალებები

არითმიის სამკურნალოდ გამოყენებული ზოგიერთი საშუალება კლასიფიკაციის მიხედვით განხილული ოთხი ჯგუფადან არც ერთს არ ეკუთვნის. ასეთი პრეპარატებია დიგოქალინი (განხილული თავში 13), აღენიშნის, მაგნიუმი და კალციუმი.

### აღენიშნის

### მოქმედების მექანიზმი და კლინიკური გამოყენება

აღენიშნის ორგანიზმში არსებული ბუნებრივი ნუკლეოტიდა. მისი ნახევარდაშლის პერიოდი 10 წამია. აღენიშნისის მოქმედების მექანიზმი კალციუმის ვაშმართავი შემაჯავლი ნაკადის გააქროვება და კალციუმის ნაკადის დათრგუნვაში მდგომარეობს, რის გამოც იგი იწვევს გამოხატულ პიპეროლარ-

იზმებსა და კალციუმ-დამოკიდებული მოქმედების პოტენციალების დათრგუნვას. ბოლუსის სახით ორგანიზმში შეყვანის შემდეგ აღენიშნის ორგუნავს აგრიოვენტრიკულურ გამგარებლობას (უშუალოდ კვანძში) და ზრდის აგრიოვენტრიკულური კვანძის რეფრაქტერულ პერიოდს, თუმცა გაცილებით ნაკლებად მოქმედებს სინოატრიულ კვანძზე. აღენიშნის ახსიათებს მაღალი ეფექტურობა (90-95%) და მოქმედების ძალიან ხანმოკლე პერიოდს. ამგვარად, იგი პაროქსიზმული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის დროს სინუსური რითმის აღდგენის არჩევის პრეპარატად არის აღიარებული. იგი ჩვეულებრივ ბოლუს-ინექციის სახით გამოიყენება, დოზით 6 მგ. საჭიროებისას დასაშვებია 12 მგ-ის გამოტოვება. აღენიშნისის მიმართ მგრძობიარეობა პარკუჭოვანი ტაქიკარდიის იშვიათი ფორმაც, პრეპარატის ეფექტურობა ქვეითდება აღენიშნისური რეცეპტორების ბლოკირებითან ერთად გამოყენებისას (მაგ., თიოფინის ან კოფეინის). აღენიშნისის უკუმიგაყენების ინჰიბიტორები (მაგ., დიპირიდამოლი) კი აღენიშნისის ეფექტურობას ზრდიან.

### გოქსიკურობა

პაციენტთა დაახლოებით 20%-ში აღენიშნის იწვევს წამოხურების შეგრძობას, 10%-ზე მეტში კი სუნთქვის გაძნელებას, ან წვის შეგრძობას გულმკერდის არეში (საეარაულოდ ბრონქოსპაზმის გამო). აღენიშნისის გამოყენებისას შეხადლოა განვითარდეს მაღალი ხარისხის აგრიოვენტრიკულური ბლოკადა, თუმცა ეს ეფექტი ძალიან ხანმოკლეა. შეხადლოა აგრეთვე, მიოცემიტი არითმიის აღმოცენებაც. იშვიათად, გოქსიკურობა ელენდება თავის ტკივილით, პიპოტონით, გულსრფევითა და პარესთეზიებით.

### მაგნიუმი

მაგნიუმი თავდაპირველად დიგოქალისით განპირობებული არითმიების სამკურნალოდ გამოიყენებოდა პაციენტებში, რომლებსაც პიპომაგნიუმი აღენიშნებოდათ. მოგვიანებით დადგინდა იქნა, რომ, შრატში მაგნიუმის ნორმალური შემცველობის პირობებშიც კი, მაგნიუმის ინფუზია აელენს ანტიარითმულ ეფექტს, რომლის მექანიზმზეც ბოლომდე შესწავლილი არ არის, თუმცა ცნობილია, რომ მაგნიუმი გავლენას ახდენს  $Na^+/K^+$  ATP-აზაზე, ნატრიუმის არხებზე, კალციუმის ზოგიერთ არხსა და კალციუმის არხებზე. მაგნიუმი გამოიყენება პიპომაგნიუმის ფონზე განვითარებული დიგოქალისური არითმიის დროს; იგი გამოიყენება *torsade de pointes* ზოგიერთ შემთხვევაში, შრატში მაგნიუმის ნორმალური შემცველობის პირობებშიც. მაგნიუმი (სულფატის სახით) ორგანიზმში ინტრავენურად შეჰყავით, დოზით 1 გ. ინექციის ხანგრძლივობით 20 წუთი. საჭიროებისას დასაშვებია დოზის გამოტოვება. მაგნიუმის, როგორც ანტიარითმული საშუალების, მოქმედების მექანიზმისა და წყენებების სრულად შესწავლა საჭიროებს დამატებით კვლევას.

### კალიუმი

 SB204741 = *N*-(1-მეთილ-5-ინდოლ)-*N'*-(3-მეთილ-5-ამითიაზოლილ)მარლოვანი  
 WAY100635 = *N*-*tert*-ბუჯილ 3-(2-მეთილსუბსტანცია)პერამინ-1-ილ-2-ფენილპროპანამიდი; *იხ.* აგრეთვე თაყი 21.

ობს სეროტონინის სინთეზი, გრანულაებში დეპონირება ATP-თან და სხვა ნეიროტრანსპორტის კომპლექსის სახით და მექანიკური ან ნეირონული სტრუქტურის საბაზისო განთავსებულა. გამოყოფილი სეროტონინის გარკვეული ნაწილი სისხლძარღვებში დიფუზირების შემდეგ თრომბოციტების მიერ მისტაცება და ინახება.

რეგერინი ერთიდაიგივე მექანიზმით იწვევს, როგორც სეროტონინის, ასევე კატექოლამინების მარაგის გამოყოფას (იხ. თაყი 6). სეროტონინის მეტაბოლიზმში მონაბმის ოქსიდაზას მეშვეობით მიმდინარეობს. მეტაბოლიზმის შუალედური პროდუქტი, 5-პიდროქსინდოლაცეტალდეჰიდი, ალდეჰიდ დეჰიდროგენაზას მეშვეობით კვლავ იქონებდა 5-პიდროქსინდოლაცეტალის მეშვეობით (5-HIAA). მკვლევარები კვების პარობებში, 5-HIAA-ის ექსკრეცია სეროტონინის სინთეზის მასშტაბებს წარმოადგენს. ამიტომ, 24-სთ-ის განმავლობაში გამოყოფილ მარდში 5-HIAA-ს რაოდენობის განსაზღვრა იხეთი სიმსივნეების, სადიაგნოზო ტესტია, რომლებსაც სეროტონინის გამოყოფილებული სინთეზი ახასიათებთ (განსაკუთრებით კარცინოიდი). ზოგიერთი საკვები (მაგ., ბანანი) დიდი რაოდენობით შეიცავს სეროტონინსა და მის პრეკურსორებს, ამიტომ ამგვარი სადიაგნოზო ტესტების ზარარების წინ აუცილებელია მათი აკრძალვა.

**ფარმაკოლინამიკა**

**მოქმედების მექანიზმი**

სეროტონინის, პისტამინის მსგავსად, ხახობა-სპეციფიკური მრავალი ეფექტი ახასიათებს, რაც მისი მოქმედების განზოგადებას ართულებს. სეროტონინის ეფექტები უკრულა შე-

ბრანების მრავალ რეცეპტორთან ურთიერთქმედებით არის განაპირობებული. სადღეისოდ აღმოჩენილი და აღწერილი სეროტონინის რეცეპტორები მოცემულია ცხრილში 16-3. 5-HT-რეცეპტორების ქვეჯიგების შეიდი ოჯახია აღმოჩენილი (რომც-ლებიც აღინაშნებიან ინდექსით 1-დან 7-მდე). მათგან ექვსი G-ცოლასთან შეწყველებულ, 7-გრანსმემბრანულ სერვენტული რეცეპტორის ქვეჯიგის წარმოადგენს, ერთი კი ლიგანდ-დამოკიდებულ იონურ არხს. ზოგიერთი სეროტონინული რეცეპტორის ფიზიოლოგიური უწყეცია ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. უწყეცების შესწავლას ხელს უშლის რეცეპტორის ქვეჯიგების მამართ უფრო მეტად სელექციური შეიკამენტების, ან კიდევ თაგვების ცხომში ამ რეცეპტორთა მაკლირებელი ცხნების ნიკაგეტრებული მეტაციების სიმწირე.

**უწყეცები ქსოვილებსა და ორბანოთა სისტემებში**

**სერველი სისტემა**

თაყის გვიხიში სეროტონინის მრავალ ადგილას ვხვდებით. მისი ნეიროტრანსმიტერიული როლი და ცენტრალურ სერველ სისტემაზე მოქმედ საშუალებებთან ურთიერთდამოკიდებულა; ბა განხილულია თაყებში 21 და 30. ეპთიფში სეროტონინი მელატონინის წინამორბედს წარმოადგენს (იხ. მელატონინის ფარმაკოლოგია და თაყი 65).  
 კუჭ-ნაწლავის გრაქტსა და მოგრო გვიხის ლებინების ცენტრში ლოკალიზებული 5-HT<sub>7</sub> რეცეპტორები ლებინების რე-

მელატონინის ფარმაკოლოგია

მელატონინი *N*-აცეტილ-5-მეთოქსიტრიფტამინია. იგი სეროტონინის მარტივი მეთოქსილირებული და *N*-აცეტილირებული პროდუქტია და მას ეპიფიზში ეხედებით. მელატონინი ძირითადად ღამით წარმოიქმნება და გამოიყოფა. მიჩნეულია, რომ იგი გარკვეულად მოქმედებს ცხოველთა დღე-ღამურ ციკლსა და ადამიანის ძილ-ღვიძილის ქცევაზე.

მელატონინის რეცეპტორები ცენტრალურ ნერვულ სისტემაშია და ზოგიერთი პერიფერიული ქსოვილში არიან ლოკალიზებული.  $MT_1$  და  $MT_2$  რეცეპტორებს ეხედებით თავის გენში. პიპოთალამუსის სუპრაქიაზმურ ბირთვების ნეირონთა მემბრანებზე საცდელი ექსპერიმენტებიდან გამომდინარე, ეს უბანი ცირკადულ რითმთან არის დაკავშირებული.  $MT_1$  და  $MT_2$  რეცეპტორები წარმოადგენენ შეიღ განსმეპბრანულ  $G_i$  ცილასთან შეწყვილებული რეცეპტორებს. რეცეპტორთან შეკავშირების შედეგად ხდება აღნიშნული ცილაზის ინჰიბირება. მესამე რეცეპტორი,  $MT_3$ , კი ფერმენტია; მისი ფიზიოლოგიური როლი ჯერ-ჯერობით ბოლომდე არ არის შესწავლილი და საეარაულოდ თვალშია წნეესთან უნდა იყოს დაკავშირებული.  $MT_1$ -რეცეპტორის გააქტივება ძილიანობას

იწვევს,  $MT_3$ -რეცეპტორი კი შესაძლოა მონაწილეობდეს ბიოლოგიური ცირკადული საათის სინათლე-სიბნელის სინქრონიზებაში.

საკვების დანამატების ინდუსტრია კომერციულად აწარმოებს მელატონინს, როგორც ძილის დამხმარე საშუალებას (იხ. თავი 65).  $MT_1$  და  $MT_2$  სელექციური აგონისტის, რამელტეონის, უბილიობის სამკურნალოდ საშედიცინო გამოყენება კი FDA-ის მიერ არის დამტკიცებული. რამელტეონის მიმართ დამოკიდებულება არ ეითარდება და იგი კონგროლს დაქვემდებარებულ ნეითიერებათა რიცხვს არ ეკუთვნის. ძილის მოგვრელი თვისების მიხედვით მელატონინზე უფრო ეფექტურია მაგრამ ჩამორჩება ბენზოდიამინებს. რამელტეონის მეტაბოლიზმი P450 ფერმენტების მეშვეობით მიმდინარეობს, ამიტომ CYP1A2 ინჰიბიტორებთან ერთად მისი გამოყენება რეკომენდებული არ არის. თეითონ პრეპარატის ნახეყარდაშლის პერიოდი 1-3 საათია, აქტიური მეტაბოლიტისა კი 5 სთ. რამელტეონის გოქსიკურობა ჯერ-ჯერობით ბოლომდე შესწავილი არ არის, თუმცა ერთ-ერთი კლასიკური კვლევის დროს დაფიქსირებულ იქნა პროლაქტინის დონის მატება.

ფლექსია არიან ჩართულნი (იხ. თავი 63). მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქიმიური ვალიბიანებით გამოწვეული ღებინებისას, რასაც ადვილი აქვს სიმსიენური პროცესის ქიმიოთერაპიული საშუალებებით მკურნალობის დროს. ენკერული ნერვული სისტემის ფუნქციაში 5-HT<sub>1</sub> და 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორები იღებენ მონაწილეობას.

პისგამინის მსგავსად, სეროტონინიც გკივილისა და ქაიელის სენსორული ნერვული დაბოლოებების ძლიერი სტიმულატორია და მასთან არის ასოცირებული მწერებისა და მცენარეული შხამებით განპირობებული ზოგიერთი სიმპტომი. ვარდა ამისა, სეროტონინი კორონარული სისხლძარღვების კალაპოგში ლოკალიზებული ქემოსენსიტიური დაბოლოებების ძლიერი აქტივატორია. ამ ვაგუსური აფერენტული ნერვული დაბოლოებების 5-HT<sub>3</sub> რეცეპტორების აგზნება დაკავშირებულია ქემორეცეპტორულ რეფლექსთან, რომელიც ბეკოლდ-იარნიშის რეფლექსის სახელით არის ცნობილი. რეფლექსურ რეაქციაში გამოხატული ბრადიკარდია და პიპოგონია იგულისხმება. გულის ვაგუსური იმპულსაციის გამრდა ბრადიკარდიას იწვევს, რომლის ბლოკირებაც ატროპინით არის შესაძლებელი. ბრადიკარდიის გამო გულის წუთმოცულობა მცირდება, რაც პიპოგონიის მიზეზად გვევლინება. ქემორეცეპტორული რეფლექსის გააქტივება მრავალი სხვა ნეითიერებებითაც არის შესაძლებელი. მათ მიეკუთვნება ნიკოტინური ქოლინორეცეპტორების აგონისტები და ზოგიერთი საგულე გლიკომიდი, მაგ., ოუბაინი.

სახსნოთქი სისგება

ჯანმრთელი ადამიანის ბრონქების გლეუ კუნთზე სეროტონინი პირდაპირ, სუსტად გამოხატულ მასტიმულირებელ ეფექტს ავლენს. იგი ხელს უწყობს აგრეთვე აცეტილქოლინის გამოყოფას ბრონქების მაინერეგული ვაგალური ნერვული დაბოლოებებიდან. კარკინოიდული სინდრომის დროს სიმსიენიდან ამინების ან პეპტიდების ჭარბ გამოყოფას აქვს ადგილი, რის გამოც ბრონქოკონსტრიქციის ეპიზოდები ვითარდება. ქემორეცეპტორული რეფლექსის, ან ბრონქების სენსორული ნერვული დაბოლოებების აგზნების გამო, სეროტონინმა შეიძლება პიპერენტილაციაც გამოიწვიოს.

გულ-სისხლძარღვთა სისგება

5-HT<sub>2</sub> რეცეპტორებზე პირდაპირი გემოქმედების გამო, სეროტონინი იწვევს სისხლძარღვების გლეუი კუნთების შეკუმშვას. ადამიანებში იგი ძლიერ ეამოკონსტრიქტორად გვევლინება, ვარდა ჩონჩხის კუნთებისა და გულის სისხლძარღვებისა, რომლებზეც პირიქით, ეამოილიაგაციურად მოქმედებს. 5-HT-რეცეპტორებით განპირობებული ეამოილიაგაცია ნაწილობრივ სისხლძარღვთა ენდოთელური უჯრედების არსებობას საჭიროებს. დამიანებული ენდოთელის პირობებში კორონარული სისხლძარღვები ეიწროვდება. როგორც გემოთ იყო აღინიშნული, ქემორეცეპტორულ ნერვულ დაბოლოებების 5-HT<sub>3</sub> რეცეპტორების აგზნების გამო სეროტონინი იწვევს რეფლექსურ ბრადიკარდიას. ექსპერიმენტულ ცხოველებში სეროტონინის ინექციის შემდეგ არტერიული წნევის საშუაზიან ცვლილებას აქვს ადგილი: თავდაპირველად აღინიშნება გულისცემის სისშირის, წუთმოცულობისა და არტერიული წნევის დაქვეითება, რაც ქემორეცეპტორული რეფლექსით არის განპირობებული; შემდეგ, ვამოკონსტრიქციის გამო, არტერიული წნევა იზრდება. მესამე ფაზაში კი კვლავ მცირდება, რაც ჩონჩხის კუნთების სისხლძარღვების დილაგაციით აისხნება. სეროტონინის ვამოკონსტრიქტორული მოქმედების მიმართ განსაკუთრებით მგრამობიარნი არიან ფილგეებისა და თირკმლების სისხლძარღვები.

სეროტონინი ვენების შეკუმშვასაც იწვევს. ვენოკონსტრიქციის შედეგად კაპილარული ავსების გამრდა კი სიმხურვილის შეგრძნებას განაპირობებს, რასაც ადვილი სეროტონინის როგორც ინექციის, ისე კარკინოიდული სიმსიენიდან გამოითავისუფლების შემდეგ, სეროტონინისათვის დამახასიათებელია გულზე უმნიშვნელო, პირდაპირი დადებითი ქრონოტროპული და ინოტროპული ეფექტები, რასაც სავარაუდოდ კლასიკური მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა, სისხლში სეროტონინის კონცენტრაციის ხანგრძლივი გამრდა (მაგ., კარკინოიდული სინდრომის დროს) ენდოკარდიუმის პათოლოგიურ ცვლილებებთან, სუბენდოთელურ ფიბროლაზიასთან არის დაკავშირებული, რამაც შესაძლოა გულის სარქველოანი აპარატის ან ელექტრული ფუნქციის დარღვევა გამოიწვიოს.

სეროტონინი ააქტიურებს თრომბოციტების გედაპირზე მდებარე 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორებს და ხელს უწყობს თრომბოციტ-

ცხრილი 16-4. სეროტონინის სინდრომისა და სხვა პიქეტორმული სინდრომების მახასიათებლები.

სინდრომი	ბაიოქიმიური მუცხი	კლინიკური ბაიოქიმიკა	მკურნალობა
სეროტონინის სინდრომი	SSRIs, მკორე თაობის ანტიდეპრესანტები, MAO-ს ინჰიბიტორები, ლინკოლიდი, ტრამადოლი, მკურედიანი, ფენტანილი, ონდანსეტრონი, სუმატრეფტანი, MDMA, LSD, კრამზანი, კუნძენი	ჰიპერტონია, ჰიპერტერმია, ტრემორი, კლონუსი, პიქეტორმია, პიქეტორმული ნაწლაკური ხმაური, დიარეა, მიდრიაზი, აკატორეა, კომა; იწყება რამოლენიმე საათში	სედაცია (ბენზოდიაზეპინები), დაბლა, ინტორეა და ვენტორეა; ციმოქეტადინით ან ქლოროპროპანოლით 5-HT <sub>2</sub> რეცეპტორების ბლოკადა
ნეიროლეუსიური ავთისებინი სინდრომი	D <sub>2</sub> -რეცეპტორების მბლოკირებული ანტიფსიქოტური ნაწლაკები	მწევე მსიქე პარკინსონიზმი; პიქეტორმია, პიქეტორმია, ნორმალური ან მქციტორული ნაწლაკური ხმაური; იწყება 1-3 დღეში	დიფენჰიდრამინი (პარკინსონიზმი), ძალბა მალალი ტემპერატურის დროს გავრეადა, სედაცია ბენზოდიაზეპინებით
ავთისებინი პიქეტორმია	აქროლადი საინჰიტორები სმწლაკები, სუქინილქოლინი	პიქეტორმია, კუნთების რივილიზა, პიქეტორმია, ტაკიკარდია; იწყება რამოლენიმე წუთში	დაბგროლენი, გავრეადა

1 გომწყევი მელიკამენის მიღება დაკორეული უნდა მქყელს; გავრეადა პირველი რივის მქრნალობა მოქეულია მქკად. MAO's - მონოამინოქსიდაზის ინჰიბიტორები; MDMA - მთილენლიოქსი-მთამეგამისი (ქქტაბი); SSRIs - სეროტონინის რეცეპტორების სელექციური ინჰიბიტორები.

ბის აგრეგაციას, კოლგის წარმოქმნასთან დაკემორებული აგრეგაციისგან განსხვავებით, ამ რეაქციას ოან არ ახლავს თრომბოციტებში დეკონსრებული სეროტონინის გამონთავისუფლება. ამ ვეექტის ფიზიოლოგიური მნიშვნელობა ცნობილი არ არის.

**კუქ-ნაწლაკის ტრაქტი**

სეროტონინი კუქ-ნაწლაკის ტრაქტის გლევი კუნთების ძლიერი სტიმულატორია და იწყებს მათი ტონუსის ვაზრდას, რითაც ხელს უწყობს პერისტალტიკას. ეს ვეექტი განპირობებულია როგორც გლევი კუნთების 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორებზე სეროტონინის პირდაპირი მემოქმედებით, ასევე ენტერული ნერეული სისტემის განგლეურ უკრელების აგმზებით (იხ. თაეი ნ). ენტერული ნერეული სისტემის 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორების გავქტიეება ზრდის აცეტილქოლინის გამოყოფას. ეს უღეეს საფუძვლად

სეროტონინის სელექციური ავონისტების, მაგ. ცისაპრიდის, პერი-სტალტიკის გამაძლიერებელ, ანუ „პროკინეტიკურ“ ვეექტს. ცისაპრიდის მსგავსი ნაწლაკები კუქ-ნაწლაკის ტრაქტის რამოლენიმე დაეადების დროს გამოიყენება (იხ. თაეი ნ3). კარცინოიდული სიმსინის მიერ სეროტონინის (და სხვა ნეითერეების) ჭარბი პროდუქცია დაკემორებულია ძლიერ დიარეასთან. სექრეციაზე სეროტონინის მინიპიბირებული გეგავენა უმნიშვნელო ვეექტით გამოიხატება.

**ჩონჩხის კუნთები**

ჩონჩხის კუნთების მემბრანებზე ლოკალიზებული 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორების ფიზიოლოგიური როლი ჯერ-ჯერობით არ არის შესწავლილი. MAO-ს (მონოამინოქსიდაზის) ინჰიბიტორებისა და სეროტონინის ავონისტების, განსაკუთრებით კი სეროტონინის რეცეპტორების სელექციური ინჰიბიტორების ჯგუფის ან-

**სეროტონინის სინდრომი და მსგავსი სინდრომები**

სინაფსური სეროტონინის სიჭარბე იწყებს სერიოზულ, პოტენციურად ფატალურ სინდრომს, რომლის დიაგნოზი ისმება ანამნეზში უკანასკნელი პერიოდში სეროტონინერეული მელიკამენის მიღების არსებობის და ფიზიკური გამოვლინებების საფუძველზე (ცხრილი 16-4). სეროტონინის სინდრომის, ნეიროლეუსიური ავთისებინი სინდრომისა (MMS) და ავთისებინი პიქეტორმის (MH) ზოგითი მახასიათებელი მსგავსია, მაგრამ სინდრომების პათიფიოლოგია და მართვა საკმაოდ განსხვავებულია.

სეროტონინის სინდრომის მიგზვად ვეეელოვის ის წამალი გეეეინება, რომელიც ცენტრალურ ნერეულ სისტემაში სეროტონინერეულ აქციოლის ვაზრდას იწყებს. იგი ეითარდება ან ერთი წამლის ჭარბი დოზით, ან რამოლენიმე წამლის ერთდროულად გამოყენებისას. სინდრომი ილიოსისკრიბული რეაქციების რიგსე არ ეკუთვნის და მისი წინასწარ გავრეეგა შესაძლებელია, ოუმეა შედარებით მსუბუქი ფორმების დიაგნოზი ხშირად სწორად არ ისმება.

ცხოველითა ექსპერიმენტულ მოდელში 5-HT<sub>2</sub> ანტაგონისტები იწყვენ სინდრომის მრავალი ნიშნის გამოსწორებას, ოუმე, არ არის გამორეცხული პროცესში სხვა 5-HT რეცეპტორების მონაწილეობაც. MH-სგან განსხვავებით, სეროტონინის სინდრომის სამქრნალოდ დანტროლენს კლინიკური დირებულება არა აქეს. NMS იდიოსინკრატული რეაქციაა და მისი წინასწარ გავრეეგა შეუძლებელია. იგი D<sub>2</sub>-რეცეპტორების მბლოკირებული ანტიფსიქოტური ნაწლაკების პარკინსონიზმის გამოწყევი ვეექტების მიმართ ზოგითი ინდივიდის პიქეტორმული მბლოკისთან არის დაკემორებული. MH სინდრომი ჩონჩხის კუნთების სარკოპლაზმური რეტიკულუმის RyR1 კალციუმის არხის გენეტიკურ დეფექტით არის განპირობებული. გომოწყევი მელიკამენის მიღების მემთხეევაში სარკოპლაზმური რეტიკულუმთან (SR) კალციუმის უკონტროლო გამონთავისუფლებას აქეს აღეილი (თაეი 27).



გიდეპრესანტების (SSRIs; იხ. თავი 30). ერთად გამოიყენებისას შესაძლოა განვითარდეს სეროტონინის სინდრომი. მართალია სეროტონინის სინდრომი ასოცირებულია ჩონჩხის კუნთების ძლიერ შეკუმშვასა და მასთან დაკავშირებული პიპერთერმია-სთან, მაგრამ სავარაუდოდ იგი ამ წამლების ცენტრალურ ნერ-ვულ სისტემაზე მოქმედების შედეგია (იხ. ცხრილი 16-4 და სეროტონინის სინდრომი და მსგავსი სინდრომები).

## სეროტონინის კლინიკური ფარმაკოლოგია

### სეროტონინის აგონისტები

მედიკამენტის სახით სეროტონინი სამედიცინო პრაქტიკა-ში არ გამოიყენება, თუმცა სეროტონინული რეცეპტორების რამოდენიმე ქვეჯგუფის მიმართ სელექციური აგონისტებს გარკვეული კლინიკური ღირებულება აქვთ. 5-HT<sub>1A</sub> რეცეპტორის აგონისტმა, ბუსპირონმა, ყურადღება მიიპყრო თავისი ეფექ-ტური არაბენზოდიამინური ანქსიოლიტიკური თვისების გამო (იხ. თავი 22). კიდევ ერთი სელექციური 5-HT აგონისტი დექს-ვენფლურამინი წარსულში ფართოდ გამოიყენებოდა მადის დასაქვეითებლად, მაგრამ მაღალი ტოქსიკურობის გამო, იგი ამჟამად ამოღებულია ხმარებიდან. მადის დამაქვეითებელი ეფექტი ცენტრალური ნერვული სისტემის 5-HT<sub>2C</sub> რეცეპტორე-ბზე აგონისტური მოქმედებით არის განპირობებული. სუმატრიფტანი და მისი ნაწარმებიც აგონისტებია, რომლებიც მწვავე შაკიკისა და კლასტრული თავისტკივილის შეტევების ეფექტური სამკურნალო საშუალებებია (იხ. ქვემოთ).

### 5-HT<sub>1D/1B</sub> აგონისტები და შაკიკი

5-HT<sub>1D/1B</sub> აგონისტები (ტრიფტანები) ექსკლუზიურად შაკი-კის დროს გამოიყენებიან. შაკიკის „კლასიკური“ ფორმა ხას-იათდება სხვადასხვა ხანგრძლივობის აურით, რაც მოიცავს გულსრევას, ლებინებას, მხედველობის ველის გამოვარდნას – სკოტომას (ზოგჯერ ჰემიანოზისადაც კი) და მეტეველების დარ-ღვევას; აურას მოსდევს ძლიერი, მოპულსირე, ცალმხრივი თავის ტკივილი, რომელიც რამოდენიმე საათიდან 1-2 დღემდე გრ-ძელდება. „ხშირ“ შაკიკს შესაძლოა აურის ფაზა არ უძღვოდეს წინ, მაგრამ თავის ტკივილის ინტენსივობა და ხასიათი იმავე გიჟისაა. შაკიკის სიმპტომების გამოვლენა პაციენტებს შორის განსხვავებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, შაკიკის შემთხვე-ვათა უმრავლესობა სკურნალობას საჭიროებს.


შაკიკი მოიცავს სამწვერა ნერვის ქალასშიდა (და სავარ-აულოდ მის გარეთაც) არტერიებზე განაწილებას. ეს ნერვები გამოყოფენ პეპტიდურ ნეიროტრანსმიტერებს, განსაკუთრებით კი უძლიერეს ეაზოლიდაგატორს, კალციტონინის გენთან დაკავ-შირებულ პეპტიდს (CGRP; იხ. თავი 17). შესაძლოა ამ პროცეს-ში ნივთიერება P და ნეიროკინინი A-ც იღებდნენ მონაწილე-ობას. ცხოველებში შაკიკის მოდელისა და ადამიანის ბიოფიზი-ური მახასიათაის დამახასიათებელია სისხლძარღვებიდან პერიფერული სივრცეში პლაზმისა და პლაზმური ცილების ჟონვა, რაც სავარაუდოდ ნეიროპეპტიდების სისხლძარღვებზე მუგავლების შედეგს წარმოადგენს. პერიფერული შემუშე-ბით განპირობებული შექცევილი დაჭიმულობა კი შესაძლოა მაგარ გარესში ტკივილის ნერვული დაბოლოებების დაუყოვნე-ბელი გააქტივების მიზეზი გახდეს. თავის ტკივილის დაწყება ზოგჯერ საფეთქლის არტერიების პულსირების ამპლიტუდის მკვეთრ მაგებასთან არის დაკავშირებული. ტკივილგამაყუჩე-ბელი საშუალებებით ეფექტურ მკურნალობას კი ზოგჯერ თან სდევს არტერიების პულსაციის შემცირება.

შაკიკის სამკურნალო საშუალებების მოქმედების მექა-ნიზმები სრულად გასაგები არ არის, ნაწილობრივ იმის გამო, რომ შაკიკის დროს მრავალი ფარმაკოლოგიური ჯგუფი გამ-ოიყენება, რომლებსაც მოქმედების ძალიან ფართო სპექტრი ასახაიათებო. შაკიკის სამკურნალო ტრიფტანების ვარდა გამ-ოიყენება აგრეთვე ჭკავის რქის ალკალოიდები, არასტეროიდ-ული ანთების საწინააღმდეგო ტკივილგამაყუჩებელი საშუალე-ბები, ბეტა-ადრენორეცეპტორებისა და კალციუმის არხების ბლოკატორები, ანტიდეპრესანტები (ტრიციკლური და სეროტო-ნინის უკუმიტაცების სელექციური ინჰიბიტორები – SSRI) და ეპილეფსიის სამკურნალო რამოდენიმე საშუალება. უფრო მეტიც, ამ ფარმაკოლოგიური ჯგუფებიდან ზოგიერთი მხოლოდ პროფილაქტიკისთვის არის ეფექტური და არა მწვავე შეტევის სამკურნალო.

შაკიკის სამკურნალო საშუალებების მოქმედების ასახს-ნელად შემოთავაზებულ იქნა ორი ძირითადი პიპოთეზა. პირვე-ლის მიხედვით, ტრიფტანები, ჭკავის რქის ალკალოიდები და ანტიდეპრესანტები იწვევენ სამწვერა ნერვის პრეხინაფსური დაბოლოებების 5-HT<sub>1D/1B</sub> რეცეპტორების გააქტივებას და ვა-ზოდილატაციური პეპტიდების განთავისუფლების დათრგუნვას; ეპილეფსიის სამკურნალო საშუალებები კი თრგუნავენ ამ ნერ-ვული დაბოლოებებიდან ტრანსმიტერების ჭარბ გამოტოვრე-ნას. მეორე პიპოთეზის მიხედვით 5-HT პირდაპირი აგონისტე-ბის (ტრიფტანებისა და ჭკავის რქის ალკალოიდების) ვაზოკონ-სტრიქტორული მოქმედება ხელს უშლის ვაზოდილატაციასა და ნოციტეპტური ნერვული დაბოლოებების გადაჭიმვას. შესაძლე-ბელია, რომ ზოგიერთი მედიკამენტი ორივე მექანიზმით მო-ქმედებდეს. ამჟამად, შაკიკის მწვავე, ძლიერი შეტევის კუპირეზ-ისათვის პირველი რიგის პრეპარატებად სუმატრიფტანი და მისი ნაწარმებიც რეკომენდებული. მათი გამოყენება უკუნაჩვენებია კორონარული არტერიების დაავადების მაღალი რისკის შემთხ-ვევაში. ანთების საწინააღმდეგო ტკივილგამაყუჩებელი საშუ-ალებები, ასპირინი და იბუპროფენი, ხშირად გამოიყენება შაკი-კის ტკივილის მოახსნელად. იშვიათად, რეფრაქტორულ შემთხ-ვევებში, დასაშვებია პარენტერული ოპიოიდების დანიშვნა. ძლიერი გულსრევისა და ღებინების საწინააღმდეგო მეტოქ-ლოპრამიდის პარენტერული შეყვანას მიმართავენ.

*პროპრანოლოლი, ამიტრიპტანი* და კალციუმის არხ-ების ზოგიერთი ბლოკატორი ეფექტურია შაკიკის პროფილაქ-ტიკისთვის. შაკიკის მწვავე შეტევის კუპირებისათვის კი მთი არაერთიანი ღირებულება არ გააჩნიათ. უკანასკნელ პერიოდ-ში, შაკიკის მქონე მრავალ პაციენტში, აღმოჩენილ იქნა ანტი-კონსულსანტების, ვალპროის მგავასა და გოპირამაგის (იხ. თავი 24) კირვი პროფილაქტიკური ეფექტურობა. ფლუნარიზინის, ევროპამში გამოყენებული კალციუმის არხების ბლოკატორის, კლინიკური კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ იგი იწვევს შაკიკის მწვავე შეტევის ინტენსივობის შემცირებასა და რე-ციდივების პრევენციას. შაკიკის პროფილაქტიკის თვალ-საზრისით ვერაპამილს უმნიშვნელო ეფექტურობა ახასიათებს.

სუმატრიფტანი და სხვა ტრიფტანები 5-HT<sub>1D</sub> და 5-HT<sub>1B</sub> რე-ცეპტორების სელექციური აგონისტებია; ტრიფტანისა და 5-HT-ს სტრუქტურული მსგავსება ნაჩვენებია ქვემოთ. რეცეპტორ-თა ეს გიპები ლოკალიზებული არიან ნაოხემისა და მენინჯეალურ სისხლძარღვებში და ვაზოკონსტრიქციას უწყ-ობენ ხელს. მათი ეხედებით აგრეთვე სერიონებზე, სადაც ისინი პრეხინაფსური ინჰიბიტორული რეცეპტორების როლს ასრულე-ბენ.





ციპროპოპტადინი კლინიკურად გამოიყენება კარცინოიდული სიმსივნის გლუკოკოტიკონი სიმპტომების საწინააღმდეგოდ და სიცივით განპირობებული ურტიკარის დროს. მოზრდილების ჩვეული სადღეღამისო ღირებულება 12-16 მგ/დღე, ვაკუოილი სამ ან ოთხ მიღებაზე. სეროტონინის სინდრომის დროს მას გარკვეული დოზებით აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ ხელმისაწვდომია მხოლოდ ტაბლეტირებული ფორმით, იგი უნდა დაიფხვინას და უფრო პაციენტს კუჭის ზონდის მეშვეობით მიეცეს.

კეტანსერინი (სურათი 16-2) აბლოკირებს მხოლოდ 5-HT<sub>1C</sub> და 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორებს. სხვა 5-HT ან H<sub>1</sub> რეცეპტორების საწინააღმდეგო მოქმედება მას თითქმის არ ახასიათებს, თუმცა, იგი იწვევს სისხლძარღვების ალფა<sub>1</sub> ადრენორეცეპტორების მნიშვნელოვან ბლოკადას. კეტანსერინი აბლოკირებს თრომბოციტების 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორებს და ხელს უშლის თრომბოციტების სეროტონინით განპირობებულ აგრეგაციას. კეტანსერინის ჰიპოტენზიური მოქმედების მექანიზმი უცნობია, მაგრამ საეარაულოდ იგი 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორებზე უფრო მეტად ალფა<sub>1</sub> ადრენორეცეპტორების ბლოკადასთან უნდა იყოს დაკავშირებული. კეტანსერინი ევროპაში გამოიყენება ჰიპერტონიისა და ეპიზოდური მდგომარეობების სამკურნალოდ, აშშ-ში კი პრეპარატი ამ მიზნით არ გამოიყენება.

5-HT<sub>2</sub> რეცეპტორების კიდევ ერთ ანტაგონისტს, რიტანსერინს, ძალზე უმნიშვნელო ალფა<sub>1</sub> ადრენორეცეპტორული თვისება ახასიათებს. საეარაულოდ იგი თრომბოციტების უნქეციასაც აქვეითებს, რის გამოც ამცირებს თრომბოქსანის წარმოქმნას და ახანგრძლივებს სისხლდენის დროს.

5-HT<sub>2</sub> ანტაგონისტების პროტოტიპად ონდანსეტრონი (სურათი 12-6) არის მიჩნეული. მას და მის ანალოგებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქირურგიული ჩირკით ან სიმსივნის ქიმიოთერაპიით განპირობებული გულსრევისა და ღებინების პრევენციაში. ისინი განხილულია თავში 63.

სეროტონინის მრავალფეროვანი ეფექტებისა და 5-HT რეცეპტორების ჰეტეროგენური ბუნების გათვალისწინებით, მომავალში კლინიკური გამოყენებისათვის შესაძლოა სხვა სელექციური 5-HT ანტაგონისტები იქნას დამტკიცებული.

## ჭკვიანის რქის ალკალოიდები

მარცვლეულის (განსაკუთრებით ჭკვიანის) მაინფიცირებული სოკო *Claviceps purpurea* წარმოქმნის ჭკვიანის რქის ალკალოიდებს, განსაკუთრებით მარცვლეულის ნესტიან ვარემოში ზრდის ან შენახვის პირობებში. მრავალი უნიკალური ჭკვიანის რქის ალკალოიდის გარდა *Claviceps purpurea* ბიოლოგიურად

აქტიურ სხვა მრავალ პროდუქტსაც ასინთეზებს, მათ შორის ჰისტამინს, აცეტილქოლინს, თირაზინსა და სხვ. ჭკვიანის რქის ალკალოიდები მოქმედებენ ალფა ადრენო-, დოპამინურ, 5-HT და საეარაულოდ რეცეპტორთა სხვა გიპეზებზე. ბალახის მსგავსი მცენარეების პარაზიტი სოკოებიც წარმოქმნიან მსგავს ალკალოიდებს.

ჭკვიანის რქით მოწამელის (ერგოტიზმის) ეპიდემიები ჯერ კიდევ 2000 წლის წინ არის აღწერილი. ეპიდემიების მიზეზი დაბინძურებულ მარცვლეულთან ერთად ჭკვიანის რქის ალკალოიდების შემთხვევითი მიღებაა. მოწამელის ყველაზე დრამატული ეფექტებია: დემენცია, ფერადი პალუცინაიციტი; გახანგრძლივებული ეპიზოდები, რომელმაც შესაძლოა განგრესაც კი გამოიწვიოს და საშეიღოსნოს გლეუი კუნთის ძლიერი შეკუმშვა, რაც ორსულობის შემთხვევაში აბორტის მიზეზად გვევლინება. შუა საუკუნეებში ჭკვიანის რქით მოწამელას "წმინდა ანგონის ცეცხლს" უწოდებდნენ, რაც იმ წმინდანის სახელთან იყო დაკავშირებული, რომელიც ეპიზოდურად იშვით გამოწვეული მწველი ტკივილის დამამკობლად მოიაზრებოდა. მსგავს ეპიდემიებს სპორადულად დღემდე ხვდებით (იხ. ჭკვიანის რქით მოწამელა: არა მხოლოდ ანტიკური პერიოდის დაავადება), ამიტომ აუცილებელია საკვებად გამოყენებული ყველა მარცვლეულის შემოწმება. სოკო შესაძლოა საძოვარ ბალახზეც ვიზარდოს, ამიტომ მრავალ რეგიონში ხშირია ბალახის მჭამელი ცხოველების მოწამელაც.

ვარდა ზემოთ აღნიშნული ეფექტებისა, ჭკვიანის რქის ალკალოიდებს სხვადასხვა ეფექტებიც ახასიათებთ, განსაკუთრებით ცენტრალური და პერიფერული ნერვული სისტემის მხრივ: სტრუქტურული აქტიუობის დეკალური ანალიზისა და შესაბამისი ნახევრადსინთეზური მოდიფიკაციის დახმარებით შესაძლებელი გახდა მრავალი ძლიერი, კლინიკურად ღირებული სამკურნალო საშუალებების შექმნა.

## ჭკვიანის რქის ალკალოიდების ბაზისური ფარმაკოლოგია


### ქიმიური თვისებები და ფარმაკოკინეტიკა

გეტრაციკლური ერგოლინის ბირთვის შემცველი ნაერთები ორი ძირითადი ოჯახის, ამინური და პეპტიდური ალკალოიდების, სახით არის წარმოდგენილი (ცხრილი 16-6). თერაპიულად და ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვან წამლებს ორივე ჯგუფში ვხვდებით.

**ჭკვიანის რქის მონაბეჭდი: არა მხოლოდ ანტიკური პერიოდის დაავადება**

როგორც გვესტში იყო აღნიშნული, ერგოტიზმის, ანუ ჭკვიანის რქით დაბინძურებული მარცვლეულით მოწამელის ეპიდემიები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ხდებოდა სპორადულად. ადგილი წარმოსადგენია ის სოციალური ქაოსი, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოპულაციაში, (რომელსაც სჯეროდა ჯადოქრობის, დემონებით შეყვრობისა და ცოდვების გამო შეზუნიერბი დასჯის) მწველი ტკივილების, განგრენის, პალუცინაიციტის, კრუნჩხვებისა და აბორტების ერთობლივი აფეთქების გამო. კულტურათა უმრავლესობაში დღესდღეობით ამგვარი რწმენა იშვითია, თუმცა ერგოტიზმს დღესაც ვხვდებით. 1951 წელს, საფრანგეთის პატარა სოფელში Pont-Saint-Esprit-ში ერგოტიზმის აფეთქებას ჰქონდა ადგილი. ეს შემთხვევა ბრიტანულ სამედიცინო ჟურნალში (*British Medical Journal, Gabbai et al, 1951*) აღწერილი, მოგვიანებით კი მხაგრულ ლიტერატურაშიც (Fuller, 1968) – დაბინძურებული ფქვილისაგან დაზარალებული პურის მოხმარების შემდეგ რამოდენიმე ასეული ადამიანი იგანჯებოდა პალუცინაიციტით, კრუნჩხვითა და იშვით, რამოდენიმე სიკვდილის შემთხვევა კი იქნა დაფიქსირებული. მსგავსი მოვლენები ახლაც ხდება, როდესაც სიარობის, შიმშილისა თუ არაკომპეტენტურების გამო დაბინძურებული მარცვლეულის გამოყენებას აქვს ადგილი. სამწუხაროდ, მოწამელის მიზეზად ხშირად ჭკვიანის რქის ალკალოიდების ფარმაკეული პრეპარატებით თვითმკურნალობაც გვევლინება.

ცხრილი 16-6. ერგოლინის ძირითადი ნაწარმები (ჭკაჟის რქის ალკალოიდები).

Amine alkaloids		Peptide alkaloids		
	R <sub>1</sub>	R <sub>2</sub>	R <sub>2</sub> '	R <sub>3</sub> '
6-Methylergoline	-H	-H	-H	-CH <sub>3</sub>
Lysergic acid	-H	-COOH	-H	-CH <sub>3</sub>
Lysergic acid diethylamide (LSD)	-H	$\begin{array}{c} \text{O} \\    \\ \text{C}-\text{N}(\text{CH}_2\text{CH}_3)_2 \end{array}$	-H	-CH <sub>3</sub>
Ergonovine (ergometrine)	-H	$\begin{array}{c} \text{O} \quad \text{CH}_2\text{OH} \\    \quad   \\ \text{C}-\text{NHCH}_2\text{CH}_3 \end{array}$	-H	-CH <sub>3</sub>
Methysergide <sup>2</sup>	-CH <sub>3</sub>	$\begin{array}{c} \text{O} \\    \\ \text{C}-\text{NH}-\text{CH}(\text{CH}_2\text{OH})-\text{CH}_2-\text{CH}_3 \end{array}$	-H	-CH <sub>3</sub>
Ergotamine <sup>1</sup>	-H	-H	-CH <sub>3</sub>	-CH <sub>2</sub> - 
α-Ergocryptine	-H	-H	-CH(CH <sub>3</sub> ) <sub>2</sub>	-CH <sub>2</sub> -CH(CH <sub>3</sub> ) <sub>2</sub>
Bromocriptine	-Br	-H	-CH(CH <sub>3</sub> ) <sub>2</sub>	-CH <sub>2</sub> -CH(CH <sub>3</sub> ) <sub>2</sub>

<sup>1</sup> დიჰიდროერგოტამინის არ აქვს მეცხრე და მეთიუ ნახშირბადებს შორის ორმაგი ბმა.

<sup>2</sup> მეთისერგიდი ამჟამად ამოღებულია ხსარებიდან.

ჭკაჟის რქის ალკალოიდების შეწოვა კუჭ-ნაწლავის გრაქტიდან ეარიბებულურია. ერგოტამინის ორალური ღოზა, ინგრამუსკულურითან შედარებით, დაბალყოებით ათჯერ უფრო მაღალია. ორალურად მიღებული წამლის შეწოვის სისქარე და სისლში კონცენტრაციის პიკის განვითარების დრო უმჯობესდება კოფეინითან ერთად გამოყენებისას (იხ. ქვემოთ). ამისური ალკალოიდები შეიწოვებიან აგრეთვე სწორი ნაწლავის, პირის დრუსა და სასუნთქი გზების ღორწოქანიდან. კუნიებში ინექციის შემდგომი შეწოვა ნელიამაგრამ საკმაოდ კარგი. ბრომოკრიპტინი და ამისური ნაწარმი კაბერგოლისი კარგად შეიწოვებიან კუჭ-ნაწლავის გრაქტიდან.

ჭკაჟის რქის ალკალოიდები ორგანიზმში აქტიურად მეტაბოლიზდებიან. ძირითადი მეტაბოლიტები A რგოლში პიდროქსილირდებიან, პეპტიდური ალკალოიდების კი პეპტიდური ნაშთი მდლიფიცირდება.

**ფარმაკოლინამიკა**

**მოქმედების მექანიზმი**

ჭკაჟის რქის ალკალოიდები მოქმედებენ რეცეპტორთა რამოლენიმე ტიპზე: ალფა-ადრენორეცეპტორებსა და სეროტონინული რეცეპტორების (განსაკუთრებით 5-HT<sub>1A</sub>-სა და 5-HT<sub>1D</sub>-ზე; ნაკლებად 5-HT<sub>1C</sub>-ზე, 5-HT<sub>2</sub>-ზე და 5-HT<sub>3</sub>-ზე) მიმართ ისინი ავლენენ აგონისტურ, ნაწილობრივ აგონისტურ და ანტაგონისტურ დამოკიდებულებას; მათ ახასიათებთ აგრეთვე აგონისტური და ნაწილობრივ აგონისტური მოქმედება ცენტრალური ნერული სისტემის ღოფამინურ რეცეპტორებზე (ცხრილი 16-7). უფრო მეტიც, ჭკაჟის რქის ალკალოიდების ოჯახის ზოგიერთ

წვერი მაღალ აფინურობას ავლენს პრესინაფსური რეცეპტორების მიმართ. სხები კი უფრო სელექციურად მოქმედებენ პოსტსინაფსურ რეცეპტორებზე. ჭკაჟის რქის ალკალოიდები ძალზე ძლიერად ასტიმულირებენ სამეილოსნის, რაც ალბათ 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორებზე აგონისტური, ან ნაწილობრივ აგონისტური ზეგავლენით არის განპირობებული. ოჯახის წვერებს შორის სტრუქტურული განსხვავებები აღინიშნება, რაც ამა თუ იმ რეცეპტორთა სპეციფიკური ტიპის მიმართ მათი სელექციურობის განმსაზღვრელია.

**უფექტები ორგანოთა სისტემაზე**

*ცენტრალური ნერული სისტემა*

ერგოტამინის ტრადიციული აღწერიდან ჩანს, რომ ჭკაჟის რქის ზოგიერთი ბუნებრივი ალკალოიდი ძლიერი ჰალუცინოგენია. ლიზერგინის მქაჟის დიეთილამიდი (LSD -; „მქაჟა“) ჭკაჟის რქის სინთეზური ნაერთია, რომლსაც ეს უფექტი ყველაზე მეტად ახასიათებს. პრეპარატი გამოყენებოდა ლაბორატორიულად, როგორც პერიფერული 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორების ძლიერი ანტაგონისტი. დღესდღეობით არსებული მტკიცებულებების თანახმად, ლიზერგინის მქაჟას დიეთილამიდის ზეგავლენა ქვეაზე ცნსის პრე- ან პოსტსინაფსურ 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორებზე მისი აგონისტური ზემოქმედებით არის განპირობებული. ინტენსიური კვლევების მოუხედავად, ცნს-ზე LSD-ს ძლიერ ზემოქმედებას კლინიკური გამოყენება ვერ მოხერხდა. პრეპარატის არასამედიცინო გამოყენება მცირდება. მაგრამ ჯერ კიდევ გაგრძელდა. მისი არასამედიცინო მთხით გამოყენება განხილულია თავში 32.

ცნს-ის ლოფამინური რეცეპტორები მნიშვნელოვან როლს

ცხრილი 16-7. ჭვავის რქის ალკალოიდების მეგავლენა ზოგიერთ სხვადასხვა რეცეპტორებზე<sup>1</sup>

ჭვავის რქის ალკალოიდი	ალფა-ადრენორეცეპტორი	დოფამინური რეცეპტორი	სეროტონინული რეცეპტორი (5-HT <sub>2</sub> )	სამეილოსნოს გლუვი კუნთის სტამპლაცია
ბრომოკრიპტინი	-	+++	-	0
ერგოლინინი	+	+	- (PA)	+++
ერგოტამინი	-- (PA)	0	+ (PA)	+++
ლიმერგისის ჭვავის დიეთილამიდი (LSD)	0	+++	-- ++ ცნს-ში	+
მეთისერგიდი	+/0	+/0	--- (PA)	+/0

<sup>1</sup> ავონისტური ეფექტი ნაჩვენებია ნიშნით +; ანტაგონისტური ნიშნით -; ეფექტის არარსებობა 0-ით. რეცეპტორის მიმართ შედარებითი აფინურობა გამოსახულია + ან - ნიშნების რაოდენობით. PA ნიშნავს ნაწილობრივ ავონისტს (შესაძლოა გამოავლინოს როგორც ავონისტური, ასევე ანტაგონისტური ეფექტი).

ასრულებენ ექსტრაპირამიდული მოტორული ფუნქციისა და ჰიპოფიზის მიერ პროლაქტინის სეკრეციის რეგულირებაში. ექსტრაპირამიდულ სისტემაზე პეპტიდური ერგოლინის, ბრომოკრიპტინის, მოქმედება განხილულია თავში 28. დღესდღეობით არსებული ჭვავის რქის ყველა ნაწარმიდან ბრომოკრიპტინი, კაბერგოლინი და პერგოლიდი ყველაზე მაღალ სელექტიურობას ავლენენ ჰიპოფიზის დოპამინური რეცეპტორების მიმართ. ისინი იწვევენ რეგულაციაში ჩართული დოფამინური რეცეპტორების გააქტივებას და ჰიპოფიზის უჯრედებიდან პროლაქტინის სეკრეციის დათრგუნვას (თავი 37). შესაგყვის ადგილებთან შეკავშირებაში პრეპარატები კონკურენციას უწევენ არა მარტო თვით დოპამინის, არამედ სხვა ავონისტებსაც, მაგ., ამომორფინს.

**სისხლძარღვთა გლუვი კუნთები**

ჭვავის რქის ალკალოიდების მეგავლენა სისხლძარღვთა გლუვი კუნთზე დამოკიდებულია პრეპარატზე, ცხოველის სახეობასა და სისხლძარღვის გიშზე. ამიგომ მხოლოდ მცირე განზოგადება შესაძლებელია. ერგოტამინი და მისი მსგავსი ნაერთები იწვევენ ადამიანის უმრავლესი სისხლძარღვის შეკუმშვას (სურათი 16-3). ამ ძლიერ და ხანგრძლივ რეაქციას ნაწილობრივად აინჰიბირებენ გიპიური ალფა-ადრენოლკატორები. ერგოტამინი დაკეშირებულია აგრეთვე „ეპინეფრინის მოქმედების გაუქმდებლობასთან“ (იხ. თავი 10) და სხვა ალფა-ავონისტებზე საპასუხო რეაქციების ბლოკადასთან. ეს ორმაგი ეფექტი პრეპარატის ნაწილობრივი ავონისტური თვისებით აიხსნება (იხ. ცხრილი 16-7). ერგოტამინი ძალიან ნელა დისოცირდება ალფა ადრენორეცეპტორიდან, ამიგომ იგი იწვევს ძალზე ხანგრძლივ ავონისტურ და ანტაგონისტურ ეფექტებს. ალკალოიდი თითქმის არ მოქმედებს ბეტა-ადრენორეცეპტორებზე.

ჭვავის რქის ალკალოიდებით განპირობებული ვაზოკონსტრიქცია ძირითადად აიხსნება ალფა-ადრენორეცეპტორებზე მათი ნაწილობრივი ავონისტური ზემოქმედებით, თუმცა შესაძლოა ის ნაწილობრივ 5-HT რეცეპტორებზე მოქმედების შედეგსაც წარმოადგენდეს. ერგოტამინი, ერგოლინინი და მეთისერგიდი სისხლძარღვთა 5-HT<sub>2</sub> რეცეპტორების ნაწილობრივი ავონისტებია. თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ ჭვავის რქის ნაწარმების შაკიკის ნაწინააღმდეგო მნიშვნელოვანი, სპეციფიკური მოქმედება სისხლძარღვების სეროტონინულ რეცეპტორებთან თუ დაკავშირებული მაგრამ თანამედროვე ჰიპოთეზების მიხედვით აქციენტი მათ პრესინაფსურ ნეირონულ 5-HT რეცეპტორებზე მოქმედებაზე კეთდება.

ერგოტამინისა და მსგავსი ნაერთების დოზის გადაჭარბე-

ბის შემთხვევაში ძლიერ და ხანგრძლივ ვაზოსპაზმს აქვს ადგილი (იხ. გოქსიკურობა, ქვემოთ), რომლის მოხსნა თითქმის შეუძლებელია ალფა-ადრენორეცეპტორებისა და სეროტონინული რეცეპტორების ბლოკატორებით, ან ორივეს ერთად გამოყენებით.

ერგოტამინი ჭვავის რქის გიპიური ალკალოიდიარომულსაც ძლიერი ვაზოკონსტრიქციული მოქმედების სპეკტრი ახასიათებს. ჭვავის რქის ალკალოიდების ჰიდროგენირებით მე-9 და მე-10 პოზიციებზე (ცხრილი 16-6) დიჰიდრო ნაწარმები მიიღება, რომლებსაც შემცირებული აქვთ სეროტონინული ნაწილობრივი ავონისტური თვისება, მაგრამ ალფა ადრენო რეცეპტორების სელექტიურ უფრო ძლიერ ბლოკატორებს წარმოადგენენ.


**სამეილოსნოს გლუვი კუნთი**

სისხლძარღვთა გლუვი კუნთის მსგავსად, ჭვავის რქის ალკალოიდები სამეილოსნოს გლუვი კუნთზეც ავლენენ მასგამულდებელ ზემოქმედებას, რომელიც ალფა ადრენორეცეპტორებზე ავონისტური მეგავლენის, აგრეთვე სეროტონინური თუ სხვა ეფექტების ერთობლიობის შედეგია. სამეილოსნოს მგრძობილობა ჭვავის რქის ალკალოიდების მიმართ ორსულობის ხანადაშუალოებასთან ერთად მნიშვნელოვნად იმატებს, საეარულოდ ორსულობის პროგრესირებასთან ერთად ალფა ადრენორეცეპტორების რაოდენობის გაზრდის გამო. ჭვავის რქის ალკალოიდების მიმართ სამეილოსნო განსაკუთრებით მგრძობიარეა მშობიარობის პერიოდში, შედარებით ნაკლებად ორსულობის ადრეულ პერიოდში და კიდევ უფრო ნაკლებად ორსულობამდე.

ჭვავის რქის ალკალოიდების ძალიან დაბალი დოზები იწვევენ სამეილოსნოს რითმულ შეკუმშვასა და მოღუნებას, მაღალი კონცენტრაცია კი ძლიერ და ხანგრძლივ შეკუმშვას განაპირობებს. ჭვავის რქის ალკალოიდებიდან სამეილოსნოს მიმართ ყველაზე მნიშვნელოვან სელექტიურობას ერგოლინინი ავლენს, ამიგომ სამეილოსნო პრაქტიკაში იგი არსევის პრეპარატს წარმოადგენს.

**სხვა გლუვიკუნთოვანი ორგანოები**

ჭვავის რქის ალკალოიდები უმრავლესი პაციენტის ბრონქებისა და საშარღე სისტემის გლუვი კუნთებზე მცირე ან უმნიშვნელო ეფექტს ამჟღავნებენ. მეორეს მხრივ, უმრავლესი პაციენტის კუჭ-ნაწლავის გრაჭტი საკმაოდ მგრძობიარეა კი მამართ - მათი დაბალი დოზებით გამოყენების დროსაც კი შესაძლოა გამოვლინდეს გულსბრევა, ლებინება და ფაღარათი. ეს ეფექტები ლებინების ცენტრზე და კუჭ-ნაწლავის გრაჭტის სეროტონინურ რეცეპტორებზე მოქმედებით არის განპირობებული.



სურათი 16-3.

ჭვავის რქის ნაწარმების ეფექტები ადამიანის, ოპერაციის დროს ამოკვეთილ, ბაზილარული არტერიის იზოლირებულ სეგმენტებზე. ჭვავის რქის ყველა ნაწარმი ნაწილობრივ ავინისტია და სრულ ავინისტებთან (სორეპინეფრინი და სეროტონინი) შედარებით გაცილებით ძლიერნი არიან. (NE - სორეპინეფრინი; 5-HT - სეროტონინი; ERG - ერგოტამინი; MT - მეთილერგოტამინი; DHE - დიჰიდროერგოტამინი; MS - მეთისერვიდი

## ჭვავის რქის ალკალოიდების კლინიკური ფარმაკოლოგია

### კლინიკური გამოყენება

#### შაპიკი

ჭვავის რქის ალკალოიდები მაღალ-სპეციფიკურობას აქვთ შაკის თანხლები თავის ტკივილის მიმართ; არცერთ სხვა შემთხვევაში მათ არ ახასიათებთ ანალგეზიკური ეფექტი. კლინიკისგან და პაციენტთა უმრავლესობა ბევრი განხილულ ტრიფტამინურ მედიკამენტებს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა შეტყვის პროდრომულ პერიოდში ერგოტამინით გრადიუული მკურნალობა შესაძლოა საკმაოდ ეფექტური იყოს; მკურნალობის დაგვიანებასთან ერთად პრეპარატის ეფექტურობა მცირდება. ერგოტამინის გარტარაგი ხელმისაწვდომია ორალური და ენისქვეშა გაბლუგების, რექტალური სანიღბისა და ინჰალატორის სახით. ჭვავის რქის ალკალოიდის შეწოვის გასაუმჯობესებლად მას ხშირად აუღებენ კოფეინთან (ერგოტამინის გარტარაგის ყოველ 1 მგ-ზე კოფეინის 100 მგ).

განმეორებითი მიღების შემთხვევაში (მაგ. შაკის ძლიერი შეტყვის დროს) ერგოტამინით გამოწვეული ვაზოკონსტრიქცია ხანგრძლივია და კუმულაციური, ამიტომ აუცილებელია პაციენტის გაურთხილება იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ერთი შეტყვის დროს ორალური პრეპარატის 6 მგ-ზე მეტის მიღება. კვირის მანძილზე მიღებულმა დოზამ კი არ უნდა გადააჭარბოს 10 მგ. ძალიან ძლიერი შეტყვისას დასაშვებია ერგოტამინის გარტარაგის ინტრავენური ან ინტრამუსკულური ინექცია, დოზით 0.25 - 0.5 მგ. შაკის ძლიერი, მძვრალი შეტყვის კუპირებისათვის მოციურთი ექიმში უპირატესობას ანიჭებს დიჰიდროერგოტამინის (0.5 - 1 მგ) ინტრავენურ ინექციას. ჰიდროერგოტამინის ინტრანაზალური მიღებაც შესაძლოა ეფექტური იყოს.

### ჰიპერპროლაქტინემია

ჰიპოფიზის წინა წილის ჰორმონის, პროლაქტინის კონცენტრაციის მომაგება შრატში დაკავშირებულია ჯირკვლის სერუტორულ სიმსივნეებთან, აგრეთვე ცენტრალური ლოფამსური რეცეპტორების ანტიგონისტების (განსაკუთრებით D<sub>2</sub> მახლოკრებელი ანტიფსიქოტური საშუალებების) გამოყენებასთან. უარყოფითი უკუკავშირის პრინციპით რეგულირების გამო, ჰიპერპროლაქტინემიის დროს ქალებში ადგილი აქვს ამენორეასა და უნაყოფობას, ორივე სქესის წარმომადგენლებში კი ვალაქტორეას.

ბრომოკრიპტინი ეფექტურად აქვეითებს პროლაქტინის მომაგებულ კონცენტრაციას, რომელიც ჰიპოფიზის სიმსივნეებით არის განპირობებული. ზოგჯერ იგი სიმსივნის ზომის შემცირებასაც კი იწვევს. ბრომოკრიპტინის წყველი დოზაა 2.5 მგ ორჯერ ან სამჯერ დღეში. კაბერგოლინი ბრომოკრიპტინის მსგავსია, მაგრამ უფრო ძლიერია. ბრომოკრიპტინის იგივე დოზა გამოიყენება აგრეთვე ფიზიოლოგიური ლაქტაციის დასაბრუნებად, მაგრამ ამ მიზნით ბრომოკრიპტინისა და პერგოლილის გამოყენებისას გამოიყენებოდა მსობიარობის შემდგომი სეროტონული ტოქსიკურობა ვულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, ამიტომ ამ წვენებით მათი გამოყენება საკამათოა (თავი 37).

### მსობიარობის შემდგომი სისხლენა

მსობიარობის პერიოდში საშუალოდ ძალზე მგრძობიარეა ჭვავის რქის ალკალოიდების მსგავსი მდებარეული ზეგნებების მიმართ, ამიტომ მათი საშუალო დოზებზე კი იწვევს საშუალოდ კუნთების გახანგრძლივებულ და ძლიერ სპაზმურ რაც მსობიარობის ბუნებრივი აქტისათვის დამახასიათებელი არ არის. ამიტომ, ჭვავის რქის ნაწარმების გამოყენება რეგულაციულია მხოლოდ მსობიარობის შემდგომი მოციანება



სისხლდენის დროს. დაუმეგებელია მათი გამოყენება მშობიარობამდე. მშობიარობის შემდგომი სისხლდენის კონტროლისათვის უმჯობესია ოქსიტოცინის გამოყენება, მაგრამ ამ პეპტიდური ნივთიერების უეფექტობის შემთხვევაში დასაშვებია ერგონოვინის მალეაგის 0.2 მგ-ის ინტრამუსკულური ინექციის სახით გამოყენება. ჰვაის რქის სხვა ნაწარმებთან შედარებით იგი ნაკლებად ტოქსიკურია. მისი უეფექტი 1-5 წუთში ვლინდება. ძლიერი სისხლდენის დროს ერგონოვინის მალეაგის შეყვანა ხდება პლაცენტის გამოძევების მოქმედში ან დაუყოვნებლივ მისი გამოძევების შემდეგ.

**პარიანტული სტენოკარდიის დიაგნოსტიკა**

პარიანტული სტენოკარდიის სადიაგნოსტიკო კორონარული ანგიოგრაფიის დროს ინტრავენურად შეყვანილი ერგონოვინი იწვევს დაუყოვნებელ ვაზოკონსტრიქციას კორონარული არტერიის რეპეტული სეგმენტის არსებობის შემთხვევაში.

**სენილური ცერებრალური უკმარისობა**

დიპიდრო-ალფა-ერგოკრიპტინისა და სამი მსგავსი სტრუქტურის მქონე დეჰიდროგენული პეპტიდური ალკალოიდების (ერგოლოიდ მემილაგების) ნარევი დიპიდროერგოტოქსინი მრავალი წლის განმავლობაში იყო მოწოდებული სენილური ცვლილებების კორექციისათვის, ბოლო წლებში კი იგი ალცაიმური დემენციის სამკურნალოდ არის რეკომენდებული. დიპიდროერგოტოქსინის მიერ მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შესახებ სანდო მტკიცებულება ხელმისაწვდომი არ არის.

**ტოქსიკურობა და უკუგვებები**

კუჭ-ნაწლავის გრაქტის მხრივ დარღვევები – ფაღარათი, გულისრევა და ღებინება ჰვაის რქის ნაწარმების ყველაზე ხშირი ტოქსიკური ეფექტებია, რაც მოგრძო გინის ღებინების ცენტრისა და კუჭ-ნაწლავის სეროტონინური რეცეპტორების გააქტივებასთან არის დაკავშირებული. მკურნალობის დაწყებამდე შაკიკის შეგვეს ხშირად თან სდევს მსგავსი სიმპტომები, ამიტომ ეს არასასურველი ეფექტები იშვიათად ზღუდავენ ჰვაის რქის ალკალოიდების გამოყენებას.

უფრო საშიში ტოქსიკური ეფექტია გახანგრძლივებული ვაზოსპაზმი და იგი ერგოტამინისა და ერგონოვინის დოზის გადაჭარბებისათვის არის დაკავშირებული. როგორც შემთხვევით აღინიშნული, სისხლძარღვთა ვლვეი კუნთის სტიმულირების ამ ნიშანსა შესაძლოა გამოიწვიოს განგრენა და საჭირო გახდეს კიდურის ამპუტაცია. აღწერილია აგრეთვე ნაწლავის ინფარქტის შემთხვევები, რომლებიც ნაწლავის რეპექციის საჭიროებენ. ჰვაის რქის ნაწარმებით განპირობებული პერიფერული ვაზოსპაზმი უმრავლესი ვაზოდილატატორების მიმართ მდგრადია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ეფექტური იყოს ნიტროპრუსიდის ან ნიტროვლიცერინის მაღალი დოზების ინფუზია.

მეთისერგიდით ქრონიკული მკურნალობა იწვევს რეგოპერიტონულ სივრცეში, პლევრის ღრუხა და გულის ენდოკარდიულ ქსოვილში შემავრთივებელი ქსოვილის პროლიფერაციას. ეს ცვლილებები ითვლება მანძილზე შეუმჩნეველად ვითარდება და ჰიდრონეფროზის (მარლსაწვეთების ობსტრუქციის გამო), ან გულის შუილის (გულის სარქველოვანი აპარატის დაზიანების გამო) სახით ვლინდება. ზოგიერთ შემთხვევაში სარქველების დეფორმაცია ქირურგიულ ჩარევასაც კი მოითხოვს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მეთისერგიდი ამოღებულ იქნა ხმარებიდან. მსგავსი ფიბროზული ცვლილებები წარსულში წონის დაკლების მიზნით მოწოდებული 5-HT რეცეპტორების ავონისგუბის (ფენფლურამინის, დესფენფლურამინის) ქრონიკულ გამოყენებასაც ახასიათებს.

ჰვაის რქის ალკალოიდების ტოქსიკურ სხვა ეფექტებს მიეკუთვნება ძილიანობა, იშვიათად, მეთისერგიდის შემთხვევაში კი ცნს-ის აგზნება და ჰალუცინაციები. ზოგჯერ მეთისერგიდი წამლების „არასამედიცინო მომხმარებლების“ მიერ LSD-ს ნაცვლად გამოიყენება.

ჰვაის რქის ალკალოიდების გამოყენება უკუნაჩვენებია სისხლძარღვების ობსტრუქციული დამიანებისა და კოლაგენოზების დროს.

არ არის ხელმისაწვდომი მტკიცებულებებზე დაუქმებელი მონაცემები იმის შესახებ, რომ შაკიკის შეგვეის მოახსნელად ერგოტამინის გამოყენება ორსულებისათვის საშიშია, თუმცა კლინიკისგია უმრავლესობა ჰვაის რქის ალკალოიდების ორსულებში გამოყენების წინააღმდეგაა.

**ხელმისაწვდომი პრეპარატები**

<p>აზელასტინი                  ნაზალური სპრეი (ასტელინი): 137 მკგ/1 შესხურება                  თვალის (ოპტიკური): სსნარი, 0.5 მგ/მლ                  ბრომფენირამინი (გენერიკი, ბროვექსი)                  ორალური: გახანგრძლივებული მოქმედების ტაბლეტები 6, 12 მგ; საღეჭი ტაბლეტები 12 მგ;                  სუსპენზია – 8, 12 მგ/5 მლ                  ბუკლიზინი (ბუკლადინ-5)                  ორალური: ტაბლეტები 50 მგ                  კარბინოქსამინი (პისტექსი, პედიატექსი)                  ორალური: ტაბლეტები 4 მგ; გახანგრძლივებული მოქმედების ტაბლეტები 8 მგ; გახანგრძლივებული მოქმედებ-</p>	<p>ის კაუსულები 10 მგ; იხვეადი ფორმა 1.5, 4 მგ/5 მლ; ორალური სუსპენზია 3.6 მგ/5 მლ                  ცეტირიზინი (ზორტეკი)                  ორალური: ტაბლეტები 5, 10 მგ; საღეჭი ტაბლეტები 5, 10 მგ; სიროფი 5 მგ/5 მლ                  ქლორფენირამინი (გენერიკი, ქლორ-გრიმეკონი)                  ორალური: საღეჭი ტაბლეტები 2 მგ; ტაბლეტები 4 მგ; სიროფი 2 მგ/5 მლ;                  ორალური გახანგრძლივებული მოქმედების: ტაბლეტები 8, 12, 16 მგ ; კაუსულები 8, 12 მგ                  კლემასტინი (გენერიკი, ტავისტი)                  ორალური: ტაბლეტები 1.34, 2.68 მგ; სიროფი 0.67 მგ/5 მლ                  ციკლიზინი (მარეზინი)</p>
---	---

ორალური: გაბლეტები 50 მგ  
 ციპროჰეპტაჰაინი (გენერისი)  
 ორალური: გაბლეტები 4 მგ; სიროფი 2 მგ /5 მლ  
 დესლორატაჰაინი (კლარინექსი)  
 ორალური: რეგულარული ან სწრაფად დისინტეგრირებადი გაბლეტები 5 მგ; სიროფი 2.5 მგ/5 მლ  
 დექსქლორფენიამინი (გენერისი)  
 ორალური: გახანგრძლივებული მოქმედების გაბლეტები 4, 6 მგ; სიროფი 2 მგ/5 მლ  
 დიმენჰიდრინატი\*\* (დრაჰამინი, სხეები)  
 ორალური: გაბლეტები 50 მგ; სალუკი გაბლეტები 50 მგ; თხევადი ფორმა 12.5 მგ/5 მლ ; 12.5 მგ/4 მლ; 15.62 მგ/5 მლ  
 პარენტერული: საინექციო IM ან IV – 50 მგ/მლ  
 დიფენჰიდრამინი (გენერისი, ბენადრილი)  
 ორალური: სალუკი გაბლეტები 12.5 მგ; გაბლეტები და კაფსულები 25, 50 მგ; ელექსირი ან სიროფი 12.5 მგ/5 მლ  
 პარენტერული: საინექციო 50 მგ/მლ  
 ემედასტინი (ემადინი)  
 თეალის: ხსნარი 0.05%  
 ეპინასტინი (ელესტატი)  
 თეალის: ხსნარი 0.05%  
 ფექსოფენადინი (ალეგრა)  
 ორალური: გაბლეტები 30, 60, 180 მგ; კაფსულები 60 მგ  
 ჰიდროქსიზინი (გენერისი, ვისგარილი)  
 ორალური: გაბლეტები 10, 25, 50 მგ; კაფსულები 25, 50, 100 მგ; სიროფი 10 მგ/5 მლ; სუსპენზია 25 მგ/5 მლ  
 პარენტერული: საინექციო 25, 50 მგ/მლ  
 კეტოტიფენი (ზადიგორი)  
 თეალის: ხსნარი 0.025%  
 ლეუკობასტინი (ლივოსტინი)  
 თეალის: ხსნარი 0.05%  
 ლორატაჰაინი (გენერისი, კლარიტინი, გავისტი)  
 ორალური: გაბლეტები 10 მგ; სწრაფად დისინტეგრირებადი გაბლეტები 10 მგ; სიროფი 1 მგ/მლ  
 მეკლიზინი (გენერისი, ანტიჰერტი)  
 ორალური: გაბლეტები 12.5, 25, 50 მგ; კაფსულები 25 მგ; სალუკი გაბლეტები 25 მგ  
 ოლოპატადინი (პაგანოლი)  
 თეალის: ხსნარი 0.1%  
 ფენინდამინი (ნოლაჰისტი)  
 ორალური: გაბლეტები 25 მგ  
 პრომეთაზინი (გენერისი, ფენკერანი)  
 ორალური: გაბლეტები 25, 50 მგ; სიროფი 6.25 მგ/5 მლ  
 პარენტერული: საინექციო 25, 50 მგ/მლ  
 რექტული: სანილები 12.5, 25, 50 მგ  
 ტრიპროლიდინი (ზიმინი)  
 ორალური: სითხე 1.25 მგ/5 მლ

**H<sub>2</sub> ბლოკატორები**

იხ. თავი 63.

**5-HT აგონისტები**

ალმოტრიფტანი (აქსერტი)  
 ორალური: გაბლეტები 6.25, 12.5 მგ  
 ელგერიფტანი (რელპაქსი)  
 ორალური: გაბლეტები 24.2, 48.5 მგ (ექვივალენტური 20, 40 მგ ფუძის)  
 ფროვადრიფტანი (ფროვია)  
 ორალური: გაბლეტები 2.5 მგ  
 ნარაგრიფტანი (ამერგე)  
 ორალური: გაბლეტები 1, 2.5 მგ  
 რიზატრიფტანი  
 ორალური: გაბლეტები (მაქსალტი) 5, 10 მგ;  
 ორალური დისინტეგრირებადი გაბლეტები (მაქსალტი-MLT) 5, 10 მგ  
 სუმაგრიფტანი (იმიგრექსი)  
 ორალური: გაბლეტები 25, 50, 100 მგ  
 ნაზალური: აეროზოლი 5, 20 მგ ერთეული დოზა  
 პარენტერული: აგოსაინექციო ერთეული კანქე-მა ინექცისაიოვის 6 მგ/0.5 მლ  
 ზოლმეტიფტანი (ზომიფი)  
 ორალური: გაბლეტები 2.5, 5 მგ  
 ნაზალური: 5 მგ

**5-HT ანტაგონისტები**

იხ. თავი 63.

**მელატონინის რეცეპტორის აგონისტები**

რამელტემონი (როზარემი)  
 პერორალური: 8 მგ გაბლეტები

**ჭვავის რძის ალკალოიდები**

დიპიდროერგოტამინი  
 ნაზალური (მიგრანალი): აეროზოლი 4 მგ/მლ  
 პარენტერული (D.H.E. 45): საინექციო 1 მგ/მლ  
 ერგონოვინი (ერგოტრაგა)  
 პარენტერული: საინექციო 0.2 მგ/მლ  
 ორალური: გაბლეტები 0.2 მგ  
 ერგოტამინის კომბინირებული პრეპარატები (გენ-ერიკი, კაფერგოტი)  
 ორალური: გაბლეტები – 1 მგ ერგოტამინი/100 მგ კოფეინი  
 რექტული: სანილები – 2 მგ ერგოტამინი/100 მგ კოფეინი  
 ერგოტამინის გარგარაგი (ერგოზმარი)  
 ენისქეჟმა: გაბლეტები 2 მგ  
 მეთილერგონოვინი (მეთერგინი)  
 ორალური: გაბლეტები 2 მგ ;  
 პარენტერული: საინექციო 0.2 მგ/მლ

\*ზოგიერთი სხვა ანტიჰისტამინურები ხელმისაწვდომია მხოლოდ კომბინირებული პროდუქტების სახით, მაგ. ფენილეთერისთან ერთად.

\*\*დიმენჰიდრინატი არის დიფენჰიდრამინის ქლორო-თეოფილისის მარილი.

## REFERENCES

**HISTAMINE**

- Bakker RA: Histamine H<sub>3</sub>-receptor isoforms. *Inflamm Res* 2004;53:509. [PMID: 15597144]
- Barnes PJ: Histamine and serotonin. *Pulm Pharmacol Ther* 2001;14:329. [PMID: 11603947]
- Izzo AA et al: The role of histamine H<sub>1</sub>, H<sub>2</sub>, and H<sub>3</sub> receptors on enteric ascending synaptic transmission in the guinea pig ileum. *J Pharmacol Exp Ther* 1998;287:952. [PMID: 9864278]
- Leurs R et al: Therapeutic potential of histamine H<sub>3</sub>-receptor agonists and antagonists. *Trends Pharmacol Sci* 1998;19:177. [PMID: 9652190]
- Lieberman P: Anaphylaxis. *Med Clin North Am* 2006;90:77. [PMID: 16310525]
- Schneider E et al: Trends in histamine research: New functions during immune responses and hematopoiesis. *Trends Immunol* 2002;23:255. [PMID: 12102747]
- Shin N et al: Molecular modeling and site-specific mutagenesis of the histamine-binding site of the histamine H<sub>4</sub> receptor. *Mol Pharmacol* 2002;62:38. [PMID: 12065753]
- Simons FE: Advances in H<sub>1</sub>-antihistamines. *N Engl J Med* 2004;351:2203. [PMID: 15548781]
- Takahashi K et al: Targeted disruption of H3 receptors results in changes in brain histamine tone leading to an obese phenotype. *J Clin Invest* 2002;110:1791. [PMID: 12488429]
- SEROTONIN**
- Boyer EW, Shannon M: The serotonin syndrome. *N Engl J Med* 2005;352:1112. [PMID: 15784664]
- Durham PL, Russo AF: New insights into the molecular actions of serotonergic antimigraine drugs. *Pharmacol Ther* 2002;94:77. [PMID: 12191595]
- Egermayer P: Epidemics of vascular toxicity and pulmonary hypertension: What can be learned? *J Intern Med* 2000;247:11. [PMID: 10672126]
- Michel K et al: Subpopulations of gastric myenteric neurons are differentially activated via distinct serotonin receptors: Pro-jection, neurochemical coding, and functional implications. *J Neurosci* 1997;17:8009. [PMID: 9315919]
- Raymond JR et al: Multiplicity of mechanisms of serotonin receptor signal transduction. *Pharmacol Therap* 2001;92:179. [PMID: 11916537]
- ERGOT ALKALOIDS: HISTORICAL**
- Fuller JG: *The Day of St. Anthony's Fire*. Macmillan, 1968; Signet, 1969.
- Gabbai Dr, Lisbonne Dr, Pourquier Dr: Ergot poisoning at Pont St. Esprit. *Br Med J* 1951;Sept. 15:650.
- ERGOT ALKALOIDS: PHARMACOLOGY**
- DeGroot ANJA et al: Ergot alkaloids. Current status and review of clinical pharmacology and therapeutic use compared with other oxytocics in obstetrics and gynaecology. *Drugs* 1998;56:523.
- Dierckx RA et al: Intraarterial sodium nitroprusside infusion in the treatment of severe ergotism. *Clin Neuropharmacol* 1986;9:542. [PMID: 3802106]
- Dildy GA: Postpartum hemorrhage: New management options. *Clin Obstet Gynecol* 2002;45:330. [PMID: 12048393]
- Lake AE, Saper JR: Chronic headache. New advances in treatment strategies. *Neurology* 2002;59:S8
- Mantegani S, Brambilla E, Varasi M: Ergoline derivatives: receptor affinity and selectivity. *Farmacol* 1999;54:288. [PMID: 10418123]
- Porter JK, Thompson FN Jr: Effects of fescue toxicosis on reproduction in livestock. *J Animal Sci* 1992;70:1594. [PMID: 1526927]
- Snow V et al: Pharmacologic management of acute attacks of migraine and prevention of migraine headache. *Ann Intern Med* 2002;137:840. [PMID: 12435222]

# ვაზოაქტიური პეპტიდები

უჯრედების უმრავლესობა უჯრედშორისი ურთიერთქმედებისათვის პეპტიდებს იყენებს. როგორც მე-9 და 21-ე თავებშია აღნიშნული, ისინი დიდ როლს ასრულებენ ავტონომურ და ცენტრალურ ნერვულ სისტემებში. რიგ პეპტიდებს სისხლძარღვებსა და სხვა გლუვ კუნთებზე მნიშვნელოვანი უშუალო ზეგავლენა ახასიათებთ. ამ პეპტიდებს ეკუთვნის ვაზოკონსტრიქტორები (ანგიოტენზინი II, ვაზოპრესინი, ენდოთელინები, ნეიროპეპტიდი Y და უროტენზინი) და ვაზოდილატატორები (ბრადიკინინი და მასთან დაკავშირებული კინინები. ნაგრიურებული პეპტიდები, ენდოთელინური ინტეგინური პეპტიდი, სუბსტანცია P, ნეიროტენზინი, კალციტონინის გენთან ასოცირებული პეპტიდი და ადრენომედილინი). ამ თავში დეტალურადაა განხილული პეპტიდების ზემოქმედება გლუვ კუნთებზე.

## ანგიოტენზინი

### ანგიოტენზინის ბიოსინთეზი

ანგიოტენზინი II-ის სინთეზისა და მეტაბოლიზმის გზა წარმოადგენს 17-1 სურათზე. ამ პროცესის საკვანძო საფეხურებია: რენინის მიერ ანგიოტენზინოგენიდან ანგიოტენზინი I-ის ფერმენტული გამოყოფა, მაკონსტრუქციული ფერმენტის მიერ ანგიოტენზინი I-ის გარდაქმნა ანგიოტენზინი II-ად და რამოლენსი პეპტიდაზის მიერ ანგიოტენზინი II-ის ლიგანდირება.

### რენინი და მისი სეკრეციის მაკონტროლებელი ფაქტორები

რენინი ახარტილ პროტეაზაა, რომელიც სპეციფიკურად აკატალიზებს ანგიოტენზინოგენიდან დეკაპეპტიდ ანგიოტენზინი I-ის ჰიდროლიზური გამონთავისუფლების პროცესს. რენინი პრეპრო-პროტინის სახით სინთეზირდება. თავდაპირველად იგი არააქტიურ პროტენინად გარდაიქმნება, ხოლო შემდეგ კი - აქტიურ რენინად, რომელიც 340 ამინო მეთილგანს შემდგარ გლიკოპროტეინს წარმოადგენს.

ციტოკლაიმაში არსებული რენინი თირკმლებში წარმოიქმნება. რენინის მსგავსი აქტიუბის მქონე ფერმენტები სხვა ქსოვილებშიცაა წარმოდგენილი, კერძოდ სისხლძარღვებში, საშვილოსნოში, სანერწყვე ქირკლეებსა და თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან შრეში, თუმცა ამ ფერმენტების ფიზიოლოგიური როლი დადგენილი არ არის. თირკმლებში რენინი ნეფრონის იუქსტაგლომერულ აპარატში სინთეზირდება და ინახება. რენინის სინთეზი, დეკონსტრუქცია და განთავისუფლება ძირითადად სპეციფიკურად უჯრედებში ხდება, რომლებიც იუქსტაგლომერულ უჯრედებს სახელით არიან ცნობილი. იუქსტაგლომ-

ერულ აპარატის სისხლძარღვიან კომპონენტთან ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული ნეფრონის სპეციფიკური სეგმენტი - მკერივი ლაქა (macula densa). იუქსტაგლომერული აპარატის სისხლძარღვიანი და შიდაკოვანი კომპონენტები, შაი შორის იუქსტაგლომერული უჯრედებიც, ინერვირდებიან ნორალრენერული ნეირონებით.

TP რეცეპტორები ააქტივებენ ფოსფატილ ინოზიტოლის მეტაბოლიზმს და  $\text{InsP}_3$  ( $\text{IP}_3$ )-ის წარმოქმნას უბრუნველყოფენ, რასაც თან სდევს  $\text{Ca}^{2+}$ -ის მთავარი მობილიზაცია და თავისუფალი კალციუმის უჯრედშიდა კონცენტრაციის გაზრდა. TP-რეცეპტორების იზოფორმების გააქტივებამ შესაძლოა გამოიწვიოს ადენილილ ციკლაზის ინჰიბირება, ან პირიქით, გააქტივება. შენაბამისად  $\text{G}_i$  ( $\text{TP}_{\text{გაა}}$ )-ით ან  $\text{G}_q$  ( $\text{TP}_{\text{გაგ}}$ )-ით განპირობებული და  $\text{G}_i$ -ს ან სხვა რომელიმე მსგავსი ცილის მეშვეობით გადასცენ სიგნალი მემბრანასთან ასოცირებულ პროტეინების (MAP) კინაზურ სისხინგნალო გზებს.  $\text{EP}_3$  რეცეპტორები შეწყვილებულია, როგორც უჯრედშიდა კალციუმის კონცენტრაციის მაგებასთან, ასევე cAMP-ის კონცენტრაციის კლებასთან.  $\text{DP}_2$  რეცეპტორი, რომელიც არეკტი პროსტანოიდულ რეცეპტორს არ მიეკუთვნება,  $\text{mPLP}$  რეცეპტორების სუპეროჯახის წარმომადგენელია. სხვადასხვა ტიპის უჯრედში იგი  $\text{G}_i$ -ცილასთან შეწყვილების გზით ირგუნავს cAMP-ის სინთეზს და ამასთანავე, ზრდის უჯრედშიდა კალციუმის დონეს.

$\text{LTB}_4$ -ისა და  $\text{BLT}_1$  რეცეპტორების ურთიერთკავშირი  $\text{InsP}_3$  გამონთავისუფლებასთან არის დაკავშირებული, რაც იწვევს პოლიმორფონუკლეური უჯრედების გააქტივებას, ლეგრანულაციას და სუპეროქსიდური ანიონების გენერირებას.  $\text{LTB}_4$ -ის მიმართ  $\text{BLT}_2$  რეცეპტორებს დაბალი აფინურობა ახასიათებთ და უფრო მეტად  $\text{I2S}$ - ან  $\text{I2R HETE}$ -ს უკავშირდებიან, თუმცა ამ ურთიერთქმედების ბიოლოგიური მნიშვნელობა ამჟამად დადგენილი არ არის.  $\text{CysLT}_1$  რეცეპტორებისა და  $\text{G}_q$ -ის ცილის შეწყვილება უჯრედშიდა  $\text{Ca}^{2+}$ -ის დონის მაგებას განაპირობებს.

ეიკოზანოიდების გლუვი კუნთის მომადუნებელი ეფექტი cAMP-ის დაგროვებას უკავშირდება, და პირიქით, მათი შეკუმშვაზე ზეგავლენა კალციუმის გამონთავისუფლების შედეგია. ეიკოზანოიდების ეფექტები მრავალ სამიზნე სისტემაზე, მათ შორის იმუნურზე, ამ მექანიზმებით აისხნება (ახ. ქვემოთ). ექსტრაცელულური კალციუმის კონცენტრაციის დაქვეითების, ან კალციუმის არსების ბლოკირების გზით შესაძლებელია გლუვი კუნთები ეიკოზანოიდების მრავალი კონსტრუქციული ეფექტის ინჰიბირება.

*in vitro* პროსტანოიდების საკმარისი კონცენტრაციით დამაგების შემთხვევაში პეროქსიზომ-პროლიფერატორ-გამააქტივებელი რეცეპტორების (PPARs) სტიმულაციას აქვს ადგილი, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ მიუთითებს იმაზე, რომ *in vivo* ამ ნაერთების კონცენტრაციები საკმარისია იმისათვის, რომ მათ ბირთვული რეცეპტორებისათვის ენდოგენური ლიგანდების როლი შეასრულონ.

## პროსტაგლანდინებისა და თრომბოქსანების ეფექტები

პროსტაგლანდინებისა და თრომბოქსანების ეფექტები ძირითადად გლუვი კუნთის ოთხ გეგმურად კი სისხლძარღვის, კუჭ-ნაწლავის, სასუნთქი და რეპროდუქციული სისტემების გლუვი კუნთებზე ვრცელდება. სხვა მნიშვნელოვანი სამიზნეებს ეკუთვნის აგრეთვე თრომბოციტები, მონოციტები, თირკმელები, ცენტრალური ნერვული სისტემა, ავტონომური პრესინაუსური ნერვული დაბოლოებები, სენსორული ნერვული დაბოლოებები, ენდოკრინული ორგანოები, ცხიმოვანი ქსოვილი და თვალის (თვალზე ეფექტები შესაძლოა გლუვი კუნთთან იყოს დაკავშირებული).

### გლუვი კუნთი

#### სისხლძარღვოვანი

$\text{TXA}_2$  ძლიერი ვაზოკონსტრიქტორია. იგი ერთადერთი ეიკოზანოიდია, რომელსაც გლუვი კუნთოვანი უჯრედის მთავარი ნივთიერება გააჩნია. მის მიტოგენურ ეფექტს გესტისტორ-

თი ადლიერებს; ეს უკანასკნელი იწვევს გლუვი კუნთების TP რეცეპტორების „აპრეგულაციას“ (*up-regulation*).  $\text{PGF}_{2\alpha}$ -საც აღნიშნება ეპოკონსტრიქტული თვისება. თუმცა იგი არ გვევლინება გლუვი კუნთის უჯრედების მიტოგენად. იზოპროსტან- $\text{8-iso-PGF}_{2\alpha}$  კიდევ ერთი ეპოკონსტრიქტორია. რომელიც TP რეცეპტორის მეშვეობით მოქმედებს; იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც  $\text{iPGF}_{2\alpha}$  III. ციროზის შემთხვევაში ლეიძლის მიერ ამ ნივთიერების დიდი რაოდენობით წარმოქმნას აქვს ადგილი. ამიტომ ამ ეპოკონსტრიქტორის ჰეპატო-რენული სინდრომის პათოფიზიოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ეპოკონსტრიქტორი პროსტაგლანდინების, კერძოდ  $\text{PGI}_2$ -ისა და  $\text{PGE}_2$ -ის ეფექტები cAMP-ის გაზრდითა და გლუვი კუნთის უჯრედის კალციუმის დონის შემცირებით არის განპირობებული. რაც ძირითადად  $\text{IP}$  და  $\text{EP}_4$  რეცეპტორების მეშვეობით ხორციელდება. სისხლძარღვოვანი პროსტაგლანდინების სინთეზი გლუვი კუნთის უჯრედებსა და ენდოთელურ უჯრედებში მიმდინარეობს. თუმცა უკანასკნელის უპირატესობით. მიკროცირკულაციაში არსებული  $\text{PGE}_2$  ენდოთელურ უჯრედებში წარმოქმნილი ეპოკონსტრიქტორია.

#### კუჭ-ნაწლავის ტრაქტი

პროსტაგლანდინებისა და თრომბოქსანების უმრავლესობა იწვევენ კუჭ-ნაწლავის გლუვი კუნთის გააქტივებას. გასწვრივი კუნთების შეკუმშვას იწვევენ  $\text{PGE}_2$  ( $\text{EP}_3$  რეცეპტორის მეშვეობით) და  $\text{PGF}_{2\alpha}$  ( $\text{FP}$  რეცეპტორების მეშვეობით). ხოლო  $\text{PGF}_{2\alpha}$  ირგვლივი კუნთების ძლიერ კონსტრიქტორად.  $\text{PGI}_2$  კი სუსტ კონსტრიქტორად გვევლინება;  $\text{PGE}_2$  გლუვი კუნთის რელაქსაციას იწვევს ( $\text{EP}_4$  რეცეპტორების მეშვეობით). ორგანიზმში  $\text{PGE}_2$ -ის ან  $\text{PGF}_{2\alpha}$ -ს შეყვანა იწვევს შეგვეითი ხასიათის აბდომინურ ტკივილებს (ახ. ქვევით ეიკოზანოიდების კლინიკური ფარმაკოლოგია). ძლიერი შეკუმშვის უნარი ლეიკოტრიენებსაც ახასიათებთ.

#### სასუნთქი გზები

სასუნთქი გზების გლუვი კუნთზე მომადუნებლად მოქმედებს  $\text{PGE}_2$  და  $\text{PGI}_2$ . კონსტრიქტორად კი  $\text{PGD}_2$ ,  $\text{TXA}_2$ , და  $\text{PGF}_{2\alpha}$ -ია.  $\text{DP}_1$  რეცეპტორებისგან „ნოკატივობა“ ვითარდება კვლევის შედეგების მიხედვით. ამ რეცეპტორებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ასთმის მიმდინარეობაში. ცისტეინურ ლეიკოტრიენებს ბრონქოკონსტრიქციული ეფექტი ახასიათებთ. ისინი ძირითადად პერიფერიული სასუნთქი გზების გლუვი კუნთებზე მოქმედებენ და ამ მიმართებით მსგავსიზნე ათასჯერ უფრო ძლიერნი არიან (როგორც *in vivo*, ასევე *in vitro*). ისინი ბრონქებში ლორწოს გამომუშავებასა და ლორწოვანი გარსის შეშუპებასაც უწყობენ ხელს. ასეთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებებით მკურნალობის პერიოდში ბრონქოსპაზმის გამოვლენა შემთხვევითა 10%-შია აღწერილი. რის მიზეზადაც სავარაუდოდ, არაქილინის შეკავის მეტაბოლიზმის  $\text{COX-1}$ -დან  $\text{LOX}$ -ზე გადართვა გვევლინება, რის შედეგადაც შესაძლებელია ლეიკოტრიენების სინთეზი იზრდება.

#### რეპროდუქციული სისტემა

რეპროდუქციული სისტემის გლუვი კუნთებზე პროსტაგლანდინების ეფექტები განსილულია ქვემოთ, ახ. ქვევით რეპროდუქციული ორგანოები.

### თრომბოციტები

ეიკოზანოიდები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ თრომბოციტების აგრეგაციაზე.  $\text{PGE}_2$ -ს დაბალი კონცენტრაცია ახტივულირებს, ხოლო მისი მაღალი კონცენტრაცია კი თრგუნავს თრომბოციტების აგრეგაციას.  $\text{PGD}_2$  და  $\text{PGI}_2$  ანტიაგრეგანტებია. თრომბოციტების  $\text{COX-1}$ -ის ძირითადი პროდუქტი  $\text{TXA}_2$ -ია.

რომელიც თრომბოციტების აგრეგაციას უწყობს ხელს და ღამ-აგებით, სხვა აგრეგანტების (მაგ., თრომბოსის) ეფექტებსაც აძლიერებს. PGI<sub>2</sub> იწვევს თრომბოციტებზე TXA<sub>2</sub>-ის ზეგავლენის დათრგუნვას *in vivo*. გააქტივებისა და აგრეგაციის დროს თრომბოციტები TXA<sub>2</sub>-ს წარმოიმზადებენ. მთავარი ფუნქციის ინფარქტის დროს შარდში TXA<sub>2</sub>-ის შეგარბობის რაოდენობის გაზრდას აქვს ადგილი. ასპირინის დაბალი დოზები იწვევენ მათ შექმნილებას, თუმცა სხვადასხვა ხარისხით, რადგან მაკროფაგების COX-2 ნაკლებად მგრძობიარეა ამგვარი მედიკამენტური ხარვეის მიმართ. ჯერ-ჯერობით ასპირინის მაღალი და დაბალი დოზების კარდიოპროტექტული თვისების შედარებითი კვლევა არ განხორციელებულა, თუმცა, შედარების არაპირდაპირი პლაცებო მეთოდის გამოყენების მიხედვით, ასპირინის დაბალი დოზები არ კორელირებს მკერნალობის შედეგის გაუმჯობესებასთან; ფაქტობრივად, ადგილი აქვს ღამისა და ეფექტის უკუპროგრესული დამოკიდებულებას, რაც საფარაულოდ, ასპირინის მაღალი დოზებით გამოყენებისას PGI<sub>2</sub>-ის სინთეზის ინჰიბირებაზე მიუთითებს. ასპირინის დაბალი დოზების ქრონიკული გამოყენება იწვევს თრომბოციტების COX-1-ის ნაწარმების, თრომბოქსანის, შეუქცევად ინჰიბირებას, საფარაულოდ, თამბაქოს მოხმარებულ შემთხვევაში TX-ის ბიოსინთეზის 10%-იანი მაგნიტა მაკროფაგების COX-2-ით არის განპირობებული, ხოლო დანრჩენი 90%-ის სინთეზი კი თრომბოციტებში მიმდინარეობს.

### თირკმელები

თირკმელების როგორც გვინოვანი, ასევე ქერქოვანი შრეუბი ჩართულნი არიან პროსტაგლანდინების სინთეზში, თუმცა აღსანიშნავია რომ გვინოვანი ნაწილი ამ მხრივ უფრო მეტად აქტიურია. თირკმელები ასინთეზირებენ აგრეთვე რამილენიმე პილროქსიციკლიკოგრაფინის მკეფას, ლეიკოტრინებს, ციკლოქსომ P450-ის პროდუქტებსა და ეპოქსიდებს. ამ ნაერთებს დიდი მნიშვნელობა აქვთ თირკმელების ავტორეგულაციისთვის, რასაც ისინი რენული ჰემოდინამიკისა და გლომერულურ-ტუბულური ფუნქციის მოდულირების გზით ახორციელებენ. ამ მარეგულირებულ როლს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თირკმელების მარგინალური ფუნქციონირების შემთხვევაში, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა ხანდაზმული პაციენტებში, ან თირკმელების პათოლოგიის შემთხვევაში რენული ფუნქციის COX-ის ინჰიბიტორებით განპირობებული დაქვეითება.

თირკმელების ქერქოვანი შრის ძირითადი ეიკომბინოიდებია PGE<sub>2</sub> და PGI<sub>2</sub>. თორიე მათგანი აძლიერებს რენინის გამონთავისუფლებას; თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნორმაში რენინის გამონთავისუფლება ბეჭად რენინოგენების კონკრეტულს ექვემდებარება.

ვაზოდისლაგაციური ეფექტის გამო PGE<sub>2</sub> და PGI<sub>2</sub> იწვევენ გლომერულური ფილტრაციის გაზრდას. ეს პროსტაგლანდინები წყლისა და ნატრიუმის ექსკრეციასაც აძლიერებენ. საფარაულოდ, წყლის კლირენსის გაზრდა აღნიშნულ ციკლაზამზე ანტიდურეტიული პირომინის შემოქმედების დაქვეითების შედეგია. ჯერ-ჯერობით უცნობია ნატრიურეტიული ეფექტის ბუნები შექანისში, საფარაულოდ იგი განპირობებულია ან დისკალურ მილაკებში ნატრიუმის რეაბსორბციის პირდაპირი დათრგუნვით, ან გვინოვანი შრის პერეუტის გაძლიერებით. მარეველივანი შარდმდენების, მაგ. უროსემიდის, ზოგიერთი ეფექტი COX-ის გააქტივებასთან არის დაკავშირებული, რაც ნორმალურად მოუწევინებდა თირკმელებში ვაზოდისლაგაციური პროსტაგლანდინების სინთეზის გაძლიერებას განპირობების. აღსანიშნავია რომ, მარეველივანი შარდმდენებისა და COX-ის ინჰიბიტორების ერთდროულად გამოყენებისას ადგილი აქვს დიურეტიული ეფექტის შესუსტებას (იხ. თავი 15).

TXA<sub>2</sub> იწვევს ინტარენელ ვაზოკონსტრიქციას (შესაძლოა, ADH-ის მაგვარი ეფექტი), რაც თირკმელების ფუნქციის მნიშვნელოვან დაქვეითებას განპირობებს. თირკმელები ნორმაში TXA<sub>2</sub>-ის მხოლოდ მცირე რაოდენობას ასინთეზირებს, თუმცა

ანთებითი ხასიათის უჯრედული ისოილტრაციის დროს (მაგ., გლომერულონეფრიტი, რენული გრანსკლანტაგის მოცელები რეაქცია) ანთებითი უჯრედები (მონოციტ-მაკროფაგები) TXA<sub>2</sub>-ის მნიშვნელოვან რაოდენობას ასინთეზირებენ. თეორიულად, ასეთ შემთხვევაში TXA<sub>2</sub>-ის სინთეზის ინჰიბიტორები ან მათი რეცეპტორების ანტიგონისტები უნდა აუმჯობესებდნენ თირკმელების ფუნქციას, თუმცა ჯერ-ჯერობით ასეთი მოქმედების შედეგები კლინიკური გამოყენებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

ზოგიერთ ექსპერიმენტულ მოდელში (მაგ., Goldblatt-ის თირკმელების მოდელში) ჰიპერტენზია დაკავშირებულია TXA<sub>2</sub>-ის სინთეზის მომატებასთან, აგრეთვე PGE<sub>2</sub>-ისა და PGI<sub>2</sub>-ის სინთეზის დაქვეითებასთან. ჯერ-ჯერობით უცნობია ამ ცვლილებების როლი ჰიპერტენზიის განვითარებაში – გველსენებთან თუ არა ისინი პირველად მიშეზადა, თუ პროცესის მეორად პასუხს წარმოადგენენ. ციკლოსპორინით განპირობებულ ნეფროლოჯიკურობის დროს დაფიქსირებულია TXA<sub>2</sub>-ის ჭარბი პროდუქცია, თუმცა მიშეზობრივი კავშირი დაღვნილი არ არის.

### რეპროდუქციული ორგანოები

#### ქალის სასქესო ორგანოები

PGF<sub>2</sub>-ისა და TXA<sub>2</sub>-ის ნორმალური კონცენტრაციები, აგრეთვე PGE<sub>2</sub>-ის დაბალი კონცენტრაცია საშვილოსნოს კუნთის შეკუმშვას იწვევს, ხოლო PGE<sub>2</sub>-ის მაღალი კონცენტრაცია და PGI<sub>2</sub>-ის ნორმალური კონცენტრაცია კი საშვილოსნოს კუნთის მოღუნებას განპირობებს. მშობიარობის აქტის ინიცირებისათვის აუცილებელია ოქსიგენინისა და PGF<sub>2</sub>ალა-ის თანაარსებობა. პროსტაგლანდინების ეფექტები საშვილოსნოს ფუნქციაზე ქვემოთ არის დეტალურად განხილული. (იხ. ეიკომბინოიდების კლინიკური ფარმაკოლოგია).

#### მამაკაცის სასქესო ორგანოები

სპერმაზე პროსტაგლანდინების შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი. ამ პროსტაგლანდინების ძირითადი წყარო სათესლე ვეზიკლებია. პროსტაგა (სახელწოდება – „პროსტაგლანდინები“-ს მიუხედავად) და სათესლე ჯირკვლები პროსტაგლანდინების მხოლოდ მცირე რაოდენობას ასინთეზირებენ. ადამიანის სათესლე პლანშიაში პროსტაგლანდინების კონცენტრაციის განმსაზღვრელი ფაქტორები ჯერ კიდევ არ არის დეტალურად შესწავლილი; თუმცა ცნობილია, რომ პროსტაგლანდინების წარმოქმნაში გესოსტერონი არ მონაწილეობს. სათესლე პლანშიაში თრომბოქსანები და ლეიკოტრინები აღმოსწავლი არ არის. მამაკაცებში, რომლებსაც სათესლე სითხეში პროსტაგლანდინების დაბალი კონცენტრაცია აღნიშნებით, ნაკლებად ფერტილური არიან.

გლუვი კუნთის მოძალუნებელი პროსტაგლანდინები, როგორცაა PGE<sub>1</sub>, აძლიერებს პენისის ერექციას კვერნობული სხეულის გლუვი კუნთის მოღუნებით (იხ. ეიკომბინოიდების კლინიკური ფარმაკოლოგია).

### ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემა

#### ცხელება

PGE<sub>2</sub> მრდის სხეულის გემპერაგურას, საფარაულოდ EP<sub>3</sub> რეცეპტორების მეშვეობით. ეს ეფექტი განსაკუთრებით გამოხატულია ამ ნივთიერების თავის გვინის პარაკვებში უშუალოდ შეყვანის შემდეგ. არც ერთი მათგანი ცხელების ბუნებრივი რეაქციის განვითარებაში არ მონაწილეობს, თუმცა ეგზოგენური PGF<sub>2</sub>ალა და PGI<sub>2</sub> ცხელების ინდუქტორებია, ხოლო PGD<sub>2</sub> სა და TXA<sub>2</sub> კი ეს თვისება არ ახასიათებთ. პიროგენული ნივთიერებები ინტერლეუკინ-1-ის გამონთავისუფლებას იწვეობენ ხელს.

რაც PGE<sub>2</sub>-ის სინთეზისა და გამოსაყოფის წინაპირობაა. ასპირინი და სიციხის დამწვევი სხვა სამკურნალო საშუალებები იწვევენ PGE<sub>2</sub>-ის სინთეზის დაბრუნებას.

**ძილი**

PDE<sub>2</sub>-ის უშუალოდ თავის გენის პარკეტებში შეყვანის შემდეგ ბუნებრივი ძილის დადგომას აქვს ადვილი (რაც დასტურდება ელექტრონენკეფალოგრაფიის ანალიზით). ამ ეფექტის საფუძველს DP<sub>1</sub> რეცეპტორების გააქტივება და აღენიშნის მკორალი გამონთავისუფლება წარმოადგენს.

**ნერეული გადაცემა**

PGE-ის ნაწარმები ირგუნავენ მოსტანგვლიური სიმპათიკური სერეული დაბოლოებების სორადრენალინის გამონთავისუფლებას. უფრო მეტიც, NSAID-ები აძლიერებენ სორადრენალინის გამონთავისუფლებას *in vivo*, რაც ამ პროცესში პროსტაგლანდინების ფიზიოლოგიურ როლზე მიუთითებს. COX-ს ინჰიბიტორებით მკურნალობის პერიოდში გამოვლენილი ეპიკონსტრუქცია, შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყოს სორადრენალინის გამომთავისუფლებით, ნაწილობრივ კი ენდოთელურ უჯრედებში ვაზოდატაგორების, PGE<sub>2</sub> სა და PGI<sub>2</sub>-ის, სინთეზის ინჰიბირებით. ნოციეტპორების ზღურბლის დაქვეითების გამო, PGE<sub>2</sub> და PGI<sub>2</sub> ზრდიან ტკივილის მიმართ პერიფერიული ნერეული დაბოლოებების მგრძობელობას. PGE<sub>2</sub> ცენტრალურად იწვევს ზურგის გენში ტკივილის ნეირონული გადაცემის გზების აგზნებადობის მომატებას. LT<sub>B<sub>4</sub></sub>-საც აქვს პიპერალგემიის გამოწვევის უნარი. ამრიგად, ანთებითი პროცესის დროს ამ ეიკოზანოიდების გამონთავისუფლება ნოციეტუციის ამპლიფიკაციას ემსახურება.

**ნეიროენდოკრინული ორბანოები**

როგორც *in vivo*, ასევე *in vitro* კვლევებით დადგინდა იქნა, რომ ზოგიერთი ეიკოზანოიდი ზეგავლენას ახდენს პიპოფინის წინა წილის ჰორმონების გამომთავისუფლებაზე. PGE<sub>2</sub> ასტიმულირებს ზრდის ჰორმონის, პროლაქტინის, TSH-ის, ACTH-ის, FSH-სა და LH-ის გამონთავისუფლებას. თუმცა, PGE-ის ნაერთებით მკურნალობის პერიოდში, მათი ამ ეფექტით განპირობებული რაიმე მნიშვნელოვანი ენდოკრინული ცვლილებები არ ვლინდება. მშობიარობის აქტის დროს, PGF<sub>2α</sub> განაპირობებს პროტეგერონის დონის ოქსიტოცინ-დამოკიდებულ შემცირებას. LOX-ური გზის მეტაბოლიტებიც ავლენენ ენდოკრინულ ეფექტებს. LTC<sub>4</sub> და LTD<sub>4</sub> ასტიმულირებენ LHRH-სა და LH-ის სეკრეციას (იხ. ქვემოთ). 12-HETE ორმაგად მოქმედებს ალდოსტერონის გამონთავისუფლებაზე: ერთი მხრივ ასტიმულირებს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქიდან ალდოსტერონის გამონთავისუფლებას, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს ანგიოტენზინ II-ით განპირობებულ ალდოსტერონის გამონთავისუფლებას (თუმცა არ მოქმედებს ალდოსტერონის ACTH-დამოკიდებულ გამონთავისუფლებაზე).

**კვლის მეტაბოლიზმი**

პროსტაგლანდინების წარმოქმნა ოსტეობლასტებსა და ჰემოპოეზურ უჯრედებში მიმდინარეობს. ამიგომ ჩონჩხის ქსოვილში ისინი ფართოდ არიან გავრცელებულნი. პროსტაგლანდინების ძირითადი ეფექტი *In vivo* (განსაკუთრებით კი EP<sub>4</sub> რეცეპტორებზე მოქმედი PGE<sub>2</sub>-ის) ძელის მეტაბოლიზმის ინტენსივობის გაზრდაა, ანუ ძელის წარმოქმნისა და მისი რეზორბციის გაზრდაა. EP<sub>4</sub> რეცეპტორების გაქრობა თავველებში იწვევს ძელის წარმოქმნასა და რეზორბციას შორის ბალანსის დარღვევას. რაც დიდი ასაკის ცხოველებში ძელის მახასა და სიმკვრივეს შორის უარყოფითი ბალანსის ჩამოყალიბებას უწ-

ვობს ხელს. შესაძლოა ანთებითი პროცესების დროს პროსტაგლანდინები ძეალზე მოქმედი მექანიკური ძალების ეფექტობისა და ძეალში ცელილებების მედიატორებად გვევლინებოდნ. ექსპერიმენტულ ცხოველებში EP<sub>4</sub> რეცეპტორების გაქრობა, აგრეთვე პროსტაგლანდინების ბიოსინთეზის დაბრუნება ძელის მოტეხილობის შეხორცების დარღვევასთან არის ასოცირებული. პროსტაგლანდინები ასტიმულირებენ მიოციტების პროლიფერაციას, ლიფერენციაციასა და ფიბროზის გამოწვევის უნარს. ამიგომ COX-ის ინჰიბიტორები ანელებენ შეხორცების პროცესებს ჩონჩხის კუნთებში. შესაძლოა პროსტაგლანდინები გარკვეულ როლს ასრულებდნენ ძელოვანი მასის რეგულაციის პაუზური დანაკარგის განვითარებაში; მრავალი მოსაზრება იქნა გამოთქმული ასაკოვან ქალებში NSAID-ების ოსტეოპოროზის შესაძლო პრევენციულ უნარზე. თუმცა, ასეთი თერაპიული ჩარევის ეფექტურობა ჯერ კიდევ შესწავლის საგანია.

**თქალი**

PGE-სა და PGF-ს ნაწარმები ამცირებენ თეალშია წნევას. ამ ეფექტის მექანიზმი შესწავლილი არ არის, თუმცა ფიქრობენ რომ იგი დაკავშირებულია წინა ხაკინდას თეალის ნამის ინტენსიური გამოდინებით უეფოსკლერული გზების შემკვებით (იხ. ეიკოზანოიდების კლინიკური ფარმაკოლოგია).

**ლიპოქსიგენაზური და ციგოქრომ 450 გზების მეტაბოლიტების ეფექტები**

ლიპოქსიგენაზური გზის შედეგად წარმოქმნილი ნაერთები უჯრედის ანთებითი და იმუნური საპასუხო რეაქციების რეგულირებაში იღებენ მონაწილეობას. ციგოქრომ P450 გზის მეტაბოლიტები, პირდაპირ ან აქტიური მეტაბოლიტების სახით, შეგავლენას ახდენენ ნეფრონის საგრანსპორტო ფუნქციაზე (იხ. ქვემოთ). ჰიდროქსი – და ჰიდროპეროქსიეიკოზანოიდური მეტაბოლიტების სხვადასხვა ფორმების ბიოლოგიური ფუნქციები უცნობია. თუმცა შიამბეკლავია მათი ფარმაკოლოგიური ძალა.

**სისხლის უჯრედები და ანთება**

LTB<sub>4</sub> პოლიმორფონუკლუური უჯრედების, ეიკოზანოიდებისა და მონოციტების ძლიერი ქემოატრაქტანტია. LTC<sub>4</sub> და LTD<sub>4</sub> ეიკონოფილების ძლიერი ქემოატრაქტანტები არიან. შალა კონსტრუქციის ლეიკოტრიენები იწვევენ ეიკონოფილების ალპეზიას, ლეგრანულაციასა და ცანტბალის რაიდიციის წარმოქმნას.

ლეიკოტრიენები მონაწილეობს იღებენ ანთებითი პროცესში, განსაკუთრებით კი ისეთ ქრონიკული დაავადების დროს, როგორცაა ასთმა და ნაწლავის ანთებითი დაავადებები. მეორე მხრივ, ზოგადად, პროსტაგლანდინები ირგუნავენ ლიმფოციტების ფუნქციასა და პროლიფერაციას, რითაც იმუნური საპასუხო რეაქციის სუპრესიას განაპირობებენ. PGE<sub>2</sub> აინჰიბირებს B ლიმფოციტების ლიფერენცირების პროცესს ანტისხეულების წარმოქმნულ პლაზმურ უჯრედებად, რის გამოც ჰუმორული იმუნური პასუხის ინჰიბიტორად გვევლინება. იგი ირგუნავს აგრეთვე T ლიმფოციტების მიტოჯენ-დამოკიდებულ პროლიფერაციასა და სენსიბილიზებული T უჯრედებისად ლიმფოციტების გამონთავისუფლებას. მოუმწიფებელი თიმოციტების აპოპტოზის რეგულაციის გზით, შესაძლოა PGE<sub>2</sub> და TXA<sub>2</sub> გარკვეულ როლს ასრულებდნენ T ლიმფოციტების განვითარებაში. პოხიერი უჯრედების ძირითადი პროდუქტი PGD<sub>2</sub>, ეიკონოფილების ძლიერი ქემოატრაქტანტია და მასზეა დამოკიდებული TH2 ლიმფოციტების ქემოატრქსისი და მიგრაცია. მისი დამლის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტის, 15d-PGJ<sub>2</sub>, ფიზიოლოგიური კონცენტრაცია აქტივებს ეიკონოფილებს DP<sub>1</sub> (CRTH2) რეცეპტორების მეშვეობით.



ლიპოქსინები სხვადასხვა ლეიკოციტებზე განსხვავებულ ეუქეტებს ავლენენ. მაგ., ააქტივებენ მონოციტებსა და მაკროფაგებს და აინჰიბირებენ ნეიტროფილების, ეოზინოფილებისა და ლიმფოციტების აქტივობას. A და B ლიპოქსინები თრგუნავენ ბუნებრივი ქილერი უჯრედების ციტოტოქსიკურობას.

**გული და გლუვი კუნთი**

*კარდიოპროტექტორი*

12(S)-HETE გლუვი კუნთის უჯრედების ძლიერი ქე-მოაგრაქტანგია და დაბალ კონცენტრაციაში კი იწვევს მათ მიგრაციას; შესაძლოა იგი ვარკვეულ როლს ასრულებდეს სისხლძარღვის დაზიანების შემდგომი მიონისტიკური პროლიფერაციის პროცესში. მაგ., ანგიოპლასტიკით განპირობებული დაზიანება. მის სტერეოიზომერს, 12(R)-HETE, ქემოგრაქტანგული თვისება არ ახასიათებს, თუმცა იგი თვალის რქოვანას  $Na^+/K^+$  ATP-აზას ძლიერი ინჰიბიტორია.  $LTC_4$  და  $LTD_4$  აქვეითებენ მთლიანად შეკუმშვის ძალასა და კორონარულ სისხლმომარაგებას, რაც გულის დეპრესიას განაპირობებს. *in vitro* ორივე ლიპოქსინი, როგორც A, ასევე B, იწვევენ კორონარული სისხლძარღვების შევიწროვებას.

*კუჭ-ნაწლავის გრაქტი*

აღამიანის მსხვილი ნაწლავის ეპითელი ასინთეზირებს  $LTB_4$ -ს, რომელიც ნეიტროფილების ქემოაგრაქტანგს წარმოადგენს. ნაწლავების ანთებითი დაავადებების დროს ნაწლავის ლორწოვანი შეიყავს  $LTB_4$ -ის საკმაოდ მაღალ რაოდენობას.

*სასუნთქი გზები*

ციტგინური ლეიკოტრინები, კერძოდ  $LTC_4$  და  $LTD_4$  ძლიერი ბრონქოკონსტრიქტორებია, ვარდა ამისა ისინი მიკროვასკულური განვლადობის ვაზრდას, პლაზმის ექსუდაციასა და ლორწოს გაძლიერებულ გამოყოფას იწვევენ. სადაუო საკითხს წარმოადგენს ლეიკოტრინული რეცეპტორების სტრუქტურისა და სპეციფიკურობის სხვაობა ადამიანებსა და ცხოველთა ექსპერიმენტულ მოდელებში. იდენტიფიცირებულია ორივე გიმის  $LTD_4$  რეცეპტორები (როგორც მაღალი, ასევე დაბალი აფინურობის), თუმცა ადამიანის ფილგვის ქსოვილში  $LTC_4$ -ის სპეციფიკური რეცეპტორები აღმოჩენილი არ არის.

**რენული სისტემა**

ლეიკოტრინების, აგრეთვე ციტოქრომ P450 გზის მეტაბოლიტების როლი ადამიანის თირკმელების ფუნქციონირებაში გაურკვეველია, თუმცა ექსპერიმენტულ ცხოველებში მოდელებში დადგენილი იქნა, რომ 5,6-ეპოქსიდი თირკმელების სისხლძარღვების ძლიერი ვაზოდilatატორია.

**სიმსივნე**

პროსტაგლანდინებისა და COX-2-ის როლი მალიგნიზაციის პროცესში დიდ ინტერესს იმსახურებს. COX-2-ის ნაწარმები  $TXA_2$ , აგრეთვე  $PGE_2$  და  $PGI_2$  მრავალსაფეხურიანი კანცეროგენებისთვის აუცილებელი ანგიოგენების ხელის შემწყობ ფაქტორებს წარმოადგენენ. ექსპერიმენტულ ცხოველებზე კვლევების მიხედვით დადგენილი იქნა, რომ COX-ის ინჰიბიტორები ირგუნავენ მსხვილი ნაწლავის კიბოს წარმოქმნის ინტენსივობას. ფართო ეპიდემიოლოგიური კვლევების მიხედვით დადგენილი იქნა, რომ NSAID-ების გამოყენება 40-50%-ით ამცირებს მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარების ალბათობას. ნაწლავის ოჯახური პოლიპოზის შემთხვევაში COX-ას ინჰიბიტორები მნიშვნელოვანად ამცირებენ პოლიპის წარმოქმნის სიხშირეს. COX-2-ის პოლიმორფიზმი მსხვილი ნაწლავის კიბოს განვი-

თარების რისკთან არის დაკავშირებული. რამოდენიმე კვლევის მიხედვით დადგენილი იქნა, რომ COX-2-ის ექსპრესია ძუძუს კიბოს პროგრესირების რამოდენიმე მარკერთანაა ასოცირებული. თავის სარძევე ჯირკელის ქსოვილში COX-2 პრო-ონკოგენს წარმოადგენს. ქალებში ასპირინის გამოყენება ამცირებს ძუძუს კიბოს განვითარების რისკს, განსაკუთრებით კი ჰორმონულ რეცეპტორ-პოზიტიური სიმსივნეების შემთხვევაში.

**სხვადასხვა**

ამ პროლექტების ეუქეტები რეპროდუქციულ ორგანოებზე კარგად არის ახსნილი. ამის მსგავსად, მათი მოქმედება სწრულ სისტემაზეც ახსნილია. მაგრამ არ არის დადასტურებული. 12 HETE ასტიმულირებს ალდოსტერონის გამონთავისუფლებას თირკმელზედა ჯირკელის ქერქოვანი შრიდან; იგი ხელს უწყობს აგრეთვე ალდოსტერონის ნაწლის ანგიოტენზინ II-ით განპირობებულ გამონთავისუფლებასაც. მაგრამ არ იღებს მონაწილეობას ამ ჰორმონის ACTH-დამოკიდებულ გამონთავისუფლებაში. ვირთაგეას იზოლირებული აღნიშნული იმ-იდან LH-ისა და LHRH-ის გამოთავისუფლების ინტენსივობას ზრდის  $LTC_4$ -ის ძალზე დაბალი, სოლო არაქილონაგისგან წარმოებული ეპოქსიდების კი ძალზე მაღალი კონცენტრაციები.


**ეიკოზანოიდების სინთეზის ინჰიბირება**

რამოდენიმე მაინჰიბირებელი ცილის (რომელთა კრებსითი სახელია ანექსინები ან ლიპოკოტგინები) სინთეზის გაძლიერების გამო, კორტიკოსტეროიდები იწვევენ ეიკოზანოიდების სინთეზის ყველა ცნობილი გზის ბლოკირებას. კორტიკოსტეროიდები აინჰიბირებენ ფოსფოლიპაზა A<sub>2</sub>-ის აქტივობას, სავარაუდოდ, ფოსფოლიპიდთან შეკავშირებისა და შესაბამისად, არაქილონის შეყავს გამონთავისუფლების ხელის შეშლის გზით.


NSAID-ები (მაგ., ინდომეტაცინი, იბუპროფენი) შექცევადად აინჰიბირებენ COX-ის აქტივობას, ამიტომ თრგუნავენ როგორც პროსტაგლანდინის, ასევე თრომბოქსანის წარმოქმნას. გრაფიციული NSAID-ები არასელექციური არიან COX-1-ისა და COX-2-ის მიმართ. უკანასკნელ პერიოდში შექმნილია COX-2 ს სელექციური ინჰიბიტორები, რომლებიც ერთმანეთისგან სელექციურობის ხარისხის მიხედვით განსხვავდებიან. ასპირინი COX-ის შეუქცევადი ინჰიბიტორია. თრომბოციტები უბირთვო უჯრედებია, რის გამოც მათში ცილის რეისინთეზი არ მიმდინარეობს, რაც შეუძლებელს ხდის COX-ის აღდგენას. ეს კი თრომბოციტებში  $TXA_2$ -ის ბიოსინთეზის ხანგრძლივ დათრგუნვას განაპირობებს.

შესწავლის პროცესშია ოსტეოპოროზისა და ძვლის მოტეხილობის მეკურნალობაში EP რეცეპტორების აგონისტებისა და ანტაგონისტების როლი. კვლევის საგანია, აგრეთვე კარდიოვასკულური სინდრომების სამკურნალოდ TP რეცეპტორების ანტაგონისტების გამოყენებაც.


ლიპოქსიგენაზური გზის სელექციური ინჰიბიტორებიც შესწავლის საგანს წარმოადგენენ. რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა NSAID-ის ის კონცენტრაცია, რომელიც მნიშვნელოვნად თრგუნავს COX-ის აქტივობას, არ განაპირობებს ლიპოქსიგენაზური აქტივობის ინჰიბირებას. ფაქტურად, არაქილონის შეყავს მეტაბოლიზმის COX-დამოკიდებული გზის NSAID-ებით განპირობებულმა ინჰიბირებამ შესაძლოა ლიპოქსიგენაზური გზის სუბსტრატების რაოდენობრივი მაგება გამოიწვიოს, რაც ანთებითი ლეიკოტრინების წარმოქმნას შეუწყობს ხელს. თვითონ COX-დამოკიდებულ გზებშიც კი, ერთ-ერთი ნაწარმის სინთეზის დათრგუნვამ შესაძლოა ფერმენტულად დაკავშირებული მეორე ნაერთის სინთეზის გაძლიერება გამოიწვიოს. ამჟამად, მიმდინარეობს ისეთი პრეპარატების შემუშავება, რომლებიც ერთდროულად დათრგუნავენ როგორც COX-ურ, ასევე ლიპოქსიგენაზურ გზებს.




**Alprostadil**  
(prostaglandin E<sub>1</sub>)




**Prostaglandin F<sub>2α</sub>**  
(PGF<sub>2α</sub>)




**Misoprostol**  
(prostaglandin E<sub>1</sub> analog)



**Carboprost tromethamine**  
(prostaglandin F<sub>2α</sub> analog)



**Dinoprostone**  
(prostaglandin E<sub>2</sub>, PGE<sub>2</sub>)



**Epoprostenol**  
(prostacyclin, PGI<sub>2</sub>)

სურათი 18-4

ამჟამად, კლინიკურად გამოყენებული ზოგიერთი პროსტაგლანდინისა და მათი ანალოგების ქიმიური სტრუქტურა.

## ეიკოზანოიდების კლინიკური ფარმაკოლოგია

ეიკოზანოიდების კლინიკურ გამოყენებაში რამოდენიმე მიდგომაა გამოყენებული. პირველი, შემუშავებული იქნა ბუნებრივი პროსტაგლანდინების სტაბილურად და ხანგრძლივად მოქმედი ორალური და პარენტერული ანალოგები. რასოდენიმე ასეთი ნაერთის კლინიკური გამოყენება დამტკიცებულ იქნა ჯერ სხვა ქვეყნებში, შემდგომ კი აშშ-შიც (სურათი 18-4). მორე, სინთეზა და ეფექტებზე ზეგავლენის მიზნით, შეიქმნა ეიკოზანოიდების ფერმენტების ინჰიბიტორები და მათი რეცეპტორების ანტაგონისტები. ანიებითი პროსტანოიდების ძირითად წყაროდ COX-2-ის დადგენის შემდეგ კი საუბრეები ჩაეყარა იდეას COX 2-ის სელექციური ინჰიბიტორების შექმნის შესახებ, რისი მთავარი მიზანიც იყო COX 1-ის დათრგუნვით განპირობებული ვასტროინტენსივობის და რენული გოქსიკროზის თავიდან აცილება. მესამე, უარყოფითი გამოყენება კვებითი მანიპულაციების, რომლებიც მიმართულია უჯრედის მემბრანის ფოსფოლიპიდებში პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების პრეკურსორების ჩანაცვლებისა და ეიკოზანოიდების სინთეზის შეწყლისაკენ, გაზრდილია აგრეთვე ცივ წყალში მოხინარე თევზების საკვებ პროდუქტად მოხმარება.

## ქალის რეპროდუქციული ორგანოები

„ნოკაუტირებულ“ თავებზე ჩატარებული კვლევების მიხედვით დადგენილ იქნა პროსტაგლანდინების როლი რეპროდუქციისა და მშობიარობის აქტში. საერთაშორისო, COX-1-ის პროდუქტი PGF<sub>2α</sub>-ი, ლუთეალიზისისაივის არის აუცილებელი, აგრეთვე COX-1-ის დეფიციტის თავებში დაგვიანებული მშობიარობის მიზეზია. PGF<sub>2α</sub>-სა და ოქსიგენის შორის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება კრიტიკულ როლს ასრულებს მშობიარობის აქტის ინიცირებაში. EP<sub>2</sub> რეცეპტორების დეფიციტის შემთხვევაში თავებში პრეიმპლანტაციური დეფექტი ელინდება, რაც COX-2-ის მარეგულირებელი გენის „ნოკაუტის“ პირობებში თავებების გამრავლებასთან დაკავშირებულ გართულებებს განაპირობებს.

## აბორტი

PGE<sub>2</sub> და PGF<sub>2α</sub>-ი ძლიერი ოქსიგენიტიური ეფექტი ახასიათებთ. E და F პროსტაგლანდინები და მათი ანალოგები საშვილოსნოს კუნთის ძლიერ შეკუმშვას იწვევენ, ამიტომ წყვეტენ ორსულობას ნებისმიერ საფეხურზე. ამ ეფექტმა კლინიკური გამოყენება პოვა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე მრავალი კვლევის მიხედვით დადგენილ იქნა, რომ პროსტაგლანდინების გამოყენება იწვევს ორსულობის შეწყვეტას. აბორ-

გის ინციდენტისათვის, აგრეთვე აბორგის წის საშვილოსნოს ყელის მოსამზადებლად პრეპარატები გამოიყენება ორსულობის პირველ და მეორე ტრიმესტრში. საკარაულოდ, პროსტაგლანდინები საშვილოსნოს ყელის მოღუქვას იწვევენ მისი პროტოკოლიკური შემაღლებების გამრღისა და კოლაგენის ბიოფიზიკური მახასიათებლების შეცვლის გზით.

PGE<sub>2</sub>-ის სინთეზური ანალოგი დინოპროსტონი მშობიარობის აქტის დაჩქარების მიზნით ინტრავენინალურად ინიშნება. ამშში ნებადარია მისი გამოყენება მეორე ტრიმესტრში ორსულობის შეწყვეტისა (მაგ. გადაცილებული აბორტის, კეთილდღეობის ქრონიკული და ორსულობის ბოლოს, მშობიარობის აქტის გამოწვევის მიზნით (საშვილოსნოს ყელის მოსაღუქვლად).

დინოპროსტონი იწვევს საშვილოსნოს კუნთის შეკუმშვის ინტენსივობის გაზრდას ორსულობის ნებისმიერ პერიოდში. ორსულობის პროგრესირებასთან ერთად იზრდება საშვილოსნოს კუნთის მგრძობილობა დინოპროსტონის მიმართ. გარდა ამისა, ძლიერდება ოქსიციტინის ეფექტებიც. დინოპროსტონი უშუალოდ მოქმედებს საშვილოსნოს ყელის კოლაგენაზმაზე, რითაც ხელს უწყობს საშვილოსნოს ყელის დარბილებას. ვაგინალურად მიღებული პრეპარატი ღეის სისხლისმიმოქცევაში გადადის, მედიკამენტის მცირე ნაწილი კი საშვილოსნოს მიერ შეიწოვება. საშვილოსნოს ყელითა და ლიმფური სისტემის მეშვეობით. ლოკალურ ქსოვილებსა და ფილგებში დინოპროსტონი პირველად მეტაბოლიზმს (პრეკლიტურ ელამინაციას) ექვემდებარება (დაახლოებით 95%). მისი მეტაბოლიტები ძირითადად შარდთან ერთად გამოიყოფა. პლაზმაში მისი ნახევარდაშლის პერიოდი 2.5-5 წუთს შეადგენს.

მშობიარობის აქტის ინციდენტის მიზნით, დინოპროსტონი გამოიყენება გულის (PGE<sub>2</sub>-ის 0.5 მკ) ან გამონიავისუფლების კონტრულირებადი ფორმების (PGE<sub>2</sub>-ის 10 მკ) სახით, რომელიც 12 საათის განმავლობაში, განაირობებს *in vivo* PGE<sub>2</sub>-ის განიავისულებას, სიქარით 0.3 მკ/სთ. გამონიავისუფლების კონტრულირებადი ფორმების უპარაგეოსობა კუჭ-ნაწლავის სისტემის მხრავი გვერდითი ეფექტების უფრო დაბალი სისმართით გამოვლენაში მდგომარეობს (1%).

აბორტის გამოწვევის თვალსაზრისით რეკომენდებულია დინოპროსტონის 20 მკ-იანი სახითის 3-5 საათიანი ინტერვალით გამოტობება; დროის ინტერვალის ხანგრძლივობა დინოპროსტონის მიმართ საშვილოსნოს მგრძობილობაზეა დამოკიდებული. აბორტი საშუალოდ 17 საათში ინციდდება, თუმცა შემთხვევათა 25%-ში აბორტი არახრულია და დამატებით ინტერვენციას საჭიროებს.

საშვილოსნოს ყელის მოღუქვის მიზნით, ორსულობის დასასრულს გამოიყენება PGE<sub>2</sub>-ის 10- მკ-ის შემცველი ვაგინალური გამოშინი ან PGE<sub>2</sub>-ის 0.5 მკ-ის შემცველი ვაგინალური ველი; პრეპარატი 6 საათიანი ინტერვალთა ინიშნება. საშვილოსნოს ყელის მოღუქვა აჩქარებს და მნიშვნელოვნად აჩქარებს მშობიარობის აქტის ხანგრძლივობას.

ფართოდ იქნა შესწავლილი PGE-ის ანალოგების გამოყენება „მენსტრუალური ციკლის დარეგულირების“ ან ძალიან ნაადრევი აბორტის (ბოლო მენსტრუალური პერიოდისან ერთი ან ორი კვირის შემდეგ) მიზნით. ამ მედიკამენტების გამოყენებასთან სდეეს ორი ძირითადი გართულება: გახანგრძლივებული ვაგინალური სისხლდენა და მენსტრუალური ძლიერი ტკივილი.

აღრეული აბორტის გამოწვევის მიზნით ანტიპროვოკატინები (მაგ., მიფეპრისტონი, RU486) გამოიყენება ორალურად აქტიურ ოქსიციტინურ პროსტაგლანდინებთან (მაგ., მიზოპროსტოლი) ერთად კომბინაციაში. მკერნალობის ეს რეჟიმები გამოიყენება როგორც ამშში, ასევე ევროპაში (სხ. თავი 39). რიც შემთხვევებში გამოიყენებს სიმარტივე და კომბინაციის ეფექტურობა სადაო საკითხად იქნა. მის ხმარ გვერდითი ეფექტებს ექივინის ფაღარათი და სხამშური ხახიათის ტკივილი. ეფექტურობის თვალსაზრისით მიზოპროსტოლის როგორც ორალური, ასევე ვაგინალური ფორმები თანაბრია, მაგრამ ვაგინალური გზა

სმირადაა ასოცირებული სეფსისთან. ამიგომ ამკამდ, ყველა მარეგულირებული ორგანოს მიერ, უპარაგეოსობა ორალურ გზის ენიშება.

PGF<sub>2</sub> გინეკოლოგურ კლინიკაში გამოიყენება. კარბო-პროსტ გრომეთამბინი (15 – მეიოლ – PGF<sub>2</sub>; 15 – მეიოლის ჯგუფი ახანგრძლივებს მოქმედების დროს) მესამე ტრიმესტრში ორსულობის შეწყვეტის მიზნით გამოიყენება; გარდა ამისა, მას წვეული მეიოლების ეფექტობის შემთხვევაში მშობიარობის შემღვთში სისხლდენის საკონტროლოდაც იყენებენ. პაციენტთა 80%-ში მკერნალობა ეფექტურია. პრეპარატის 250 მკგ ერთჯერადი ინტრამუსკულური ინექციის სახით ინიშნება; საჭიროების შემთხვევაში დასამეება პროცედურის გამეორება. კუჭ-ნაწლავის გლეუ კუნთზე მასგამულირებული ზეგავლენის გამო, პრეპარატი სმირად იწვევს ღებინებასა და ფაღარათის ტემპერატურის გარდამაქალი მომაგება პაციენტთა 12.5%-შია დაფიქსირებული.

### გეოზიარობის აქტის სტიმულაცია

მრავალი კვლევის მიხედვით დაღვნილ იქნა, რომ PGE<sub>2</sub>, PGF<sub>2</sub> და მათი ანალოგები არიან როგორც მშობიარობის აქტის ინიციატორები ასევე სტიმულატორები. აღსანიშნავია, რომ PGE<sub>2</sub> ათჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე PGF<sub>2</sub>, თუმცა ინტრავენური მიღების შემთხვევაში მათ ერთნაირი ეფექტურობა ახასიათებთ. შესაძლოა ლოკალური გამოყენებისას, ყელის მოწოვების გამო, ისინი უფრო ეფექტური იყენ. ოქსიციტინისა და ზემოთ აღნიშნულ პროსტაგლანდინებს, ეფექტურობისა და მშობიარობის აქტის ხანგრძლივობის შემცირების თვალსაზრისით, თანაბარი მახეუნებლები ახასიათებთ. პროსტაგლანდინების გვერდითი ეფექტები საშუალო სიმძიმისაა, თუმცა ოქსიციტინთან შედარებით მათ უფრო ხმირად ახასიათებთ. კუჭ-ნაწლავის გრაქტის მხრავი ასეთი გვერდითი ეფექტები, როგორცაა გულისრევა, პირღებინება და ფაღარათი. PGF<sub>2</sub>-ს, PGE<sub>2</sub>-თან შედარებით უფრო ძალიან გასტროინტესტინალური გოქსიკურობა ახასიათებს. რეკომენდებული დოზით გამოიყენებისას, არც ერთი მათგანი არ იწვევს ღელის მხრავ რაიმე სახის კარდიოვასკულურ გართულებებს. არგერიული წნევის შემცირებისა და გულის რითმის გახირების მიზნით PGE<sub>2</sub> ის ინეუბის სიქარე 20-ჯერ უნდა აღემატებოდეს მშობიარობის აქტის ინიცირებისათვის რეკომენდებულ სიქარეს.

PGF<sub>2</sub> ბროსქოკონსტრიქტორია, ამიგომ ასიშით დააიღებულ ქალებში სიფრთხილის დაცემა აუცილებელია. თუმცა მშობიარობის აქტის ინეუცირების მიზნით მათი გამოყენებისას ასომური შეგევისა და ბროსქოკონსტრიქციის არც ერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული. მიუხედავად ამისა, რომ PGE<sub>2</sub> და PGF<sub>2</sub> ადვილად გადიან ფეკალიტაციტურ ბარიერს, მათ მიერ გამოწვეული ფეკალური გოქსიკურობა ძალზე იშვიათია.

მშობიარობის აქტის სტიმულაციის ეფექტურობის თვალსაზრისით შედარებულ იქნა ორალური PGE<sub>2</sub> (0.5-1.5 მკ/სთ) და ინტრავენური ოქსიციტინი, აგრეთვე მისი ნაწარმი, ორალური დემოქსიციტინი. უმრავლესი კვლევის მიხედვით, ორალური PGE<sub>2</sub> ის ეფექტურობა გაცილებით აჭარბებდა ორალური დემოქსიციტინის ეფექტურობას, ხლო ორალური PGE<sub>2</sub> ს და ინტრავენურ ოქსიციტინის ერთნაირი ეფექტურობა ახასიათებდათ. ორალურად მიღებულ PGF<sub>2</sub>-ს ძალზე მრავალი გასტროინტესტინური გართულებები აქვს, რაც ორგანიზმში მისი ამ გზით შეყვანის შემზღულადი ფაქტორია.

ოქსიციტინისგან განსხევევით, პროსტაგლანდინებს ანეცდ-თურეული ეფექტი არ ახასიათებთ, ამიგომ თეორიულად, მწლამსის, პრე-ეკლამსიის, აგრეთვე თირკელებისა და კარდიოვასკულური დაავადებების დროს, მშობიარობის აქტის დასინქარებლად ოქსიციტინთან შედარებით უფრო ეფექტური უნდა იყოს PGE<sub>2</sub>-სა და PGF<sub>2</sub>-ს გამოყენება. გარდა ამისა, PGE<sub>2</sub> ნაგრიურებული ეფექტითაც ხახიათდება. თუმცა, ამ ნაერიების ეფექტების კლინიკური ხარგებელი ჯერ-ჯერობით ლოკუმწ

გირებული არ არის. სავარაუდოდ, ნაყოფის პრენატალური დაღუპვის შემთხვევაში, საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევების მიზნით ეფექტური უნდა იყოს მხოლოდ პროსტაგლანდინების, ან მათი ოქსიგენისთან კომბინაციაში გამოყენება.

**დისმენორეა**

პირველადი დისმენორეის მიზეზად მენსტრუაციის დროს ენდომეტრიუმის მიერ PGE<sub>2</sub>-ისა და PGF<sub>2</sub>-ის ჭარბი პროდუქცია გვევლინება, რაც საშვილოსნოს შეკუმშვებთან და იმეზურ ტკივილთან არის ასოცირებული. NSAID-ები ეფექტურად ირგუნავენ ზემოთ აღნიშნული პროსტაგლანდინების სინთეზს და შესაბამისად, შემთხვევითაა 75-80%-ში ხსნიან დისმენორეულ მოვლენებს (იხ. თავი 36). ამ პრეპარატების უმრავლესობა აუთოაქტიური რეცეპტის გარეშე გასაქმვს წამლებს რიცხვს ეკუთვნის. ასპირინი ეფექტურია დისმენორეის სამკურნალოდ, მაგრამ იგი სწრაფად ჰიდროლიზდება. მისი ეფექტი არცთუ ძლიერია და ხანმოკლეა, ამიტომ აუცილებელი ხდება მისი მალევი ლოგოტი და ხანმოკლე ინტერვალებით გამოყენება. გარდა ამისა, ასპირინის მიერ თრომბოციტური COX-ის აციტალიზირებამრავ TXA<sub>2</sub>-ის შექცევად ინჰიბირებასთან არის დაკავშირებული. შესაძლოა გამარდოს მენსტრუალური სისხლდენა.

**მაშაქვის რეპროდუქციული სისტემა**

ერექციული დისფუნქციის მკურნალობაში მთავრად აღვნიშნავთ უკავია მღვიმის სხეულში ალპროსტადილის (PGE<sub>1</sub>) ინექციას, ან ურეთრალური ხანოლის სახით შეყვანას. ეფექტური დოზაა 2.5-25 მიკროგრამი. ხშირი გვერდითი ეფექტია ახის ტკივილი, რაც შესაძლოა PGE-ების ალგოზირებულ ეფექტთან იყოს დაკავშირებული. ძალზე იშვიათია ტკივილის გემო მკურნალობაზე უარის შემთხვევები. უფრო იშვიათი გვერდითი ეფექტია პროსტატის ზრდა და პრიაპიზმი, რომლებიც პაციენტთა მხოლოდ 4%-ში ვლინდება. მათი თავდასა აცილება შესაძლოა დოზის ფრთხილ გიტრაციითა და მინიმალური ეფექტური დოზის შუგტი განსაზღვრით. ინექციის სახით ალპროსტადილი შესაძლოა გამოყენებულ იქნას მისოთერაპიის, ან პაპავერინთან და ფენგოლამინთან კომბინირებული თერაპიის სახით.

**რენული სისტემა**

პროსტაგლანდინების ჭარბწარმოება ბარტრის სინდრომის ერთ-ერთი ფორმასთან არის ასოცირებული. ამ ძალზე იშვიათი პათოლოგიის დაბალი ან ნორმალური არტერიული წნევა, ანგიოტენზინის მიმართ მგრძობილობის დაქვეითება, მიპერინენსიამა, მიპერალდოსტერონიზმი და ღივი რაოდენობით K<sup>+</sup>-ის კარგვა ახასიათებს. შარდში იმატებს პროსტაგლანდინების, განსაკუთრებით კი PGE-ს ექსკრეციის. COX-ის ინჰიბიტორების ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ, ნორმალურ უბრუნდება როგორც ანგიოტენზინის მიმართ მგრძობილობა, ასევე რენინისა და ალდოსტერონის მანქენებლები პლაზმაში. მიუხედავად იმისა, რომ K<sup>+</sup>-ის კონცენტრაცია პლაზმაში შედარებით იმატებს, ნორმალურად შედარებით იგი კვლავ დაბალი რჩება, ამასთანავე კრძალდება მისი გაძლიერებული ექსკრეციის. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ბარტრის სინდრომის განვითარების მექანიზმი – დაკავშირებულია თუ არა იგი პროსტაგლანდინების ბიოსინთეზის ინტენსივობის გაზრდასთან, თუ უფრო ღრმა ფიზიოლოგიური დეფექტის შედეგად.

**კარდიოვასკულური სისტემა**

PGE-ს ნაწარმების ვაზოდილატაციური ეფექტი ფართოდ იქნა შესწავლილი მიპერტენსიით დაავადებულ პაციენტებში. ეს ნაერთები ნაგრუქის დიურეზიკად უწყობენ ხელს. მათი პრაქ-

ტიკული გამოყენებისათვის აუცილებელია შეიქმნას ორალური ანტიკოაგულანტი, ხანგრძლივი ნახეარდამლის პერიოდის და ნაქლები გვერდითი ეფექტის მქონე ნაერთები.

**პულმონური მიპერტენსია**

პროსტაგლანდინი ამცირებს პერიფერული, ფილტვებისა და კორონარული სისხლძარღვების რემოტორული, იგი გამოიყენება როგორც პირველადი, ასევე მეორადი პულმონური მიპერტენსიის სამკურნალო, რომელიც ზოგჯერ მიგრალურ სარქველზე ქირურგიული ოპერაციის შემდეგ ვითარდება. გარდა ამისა, პროსტაგლანდინები წარმოადგენს გამოყენება ღივილის პათოლოგიის ფონზე მეორადი განვითარებული პორტო-პულმონური მიპერტენსიის დროს. პროსტაგლანდინის კომპრესიული ფორმა (ეპროსტაგლანოლი) პირველადი პულმონური მიპერტენსიის მკურნალო საშუალებაა. იგი სწვევს დაავადების გაუმჯობესებას, ახანგრძლივებს სიცოცხლის უნარაძინობას და ხელს უწყობს ფილტვის ან გულ-ფილტვის გრანსპლანტაციის საჭიროების გადავიდებას ან პრევენციას. პრეპარატს ხანმოკლე ნახეარდამლის პერიოდი ახასიათებს, ამიტომ აუცილებელია მისი მიღება ხანგრძლივი ინტრავენური ინფუზიის სახით. შემუშავებული იქნა პროსტაგლანდინების, ხანგრძლივი ნახეარდამლის პერიოდის მქონე რამოდენიმე ანალიტიკი. გრემოტენილი პულმონური მიპერტენსიის სამკურნალო გამოიყენება, ხანგრძლივი კანქვეშა ინფუზიის სახით.

**პერიფერული სისხლძარღვების დაავადებები**

რამოდენიმე კვლევაში შესწავლილი იქნა PGE-ისა და PGI<sub>2</sub>-ის როლი რენინის ფენომენისა და პერიფერული ათეროსკლეროზის განვითარებაში. ათეროსკლეროზის დროს, ზემოთ აღნიშნული პროსტაგლანდინების ხანგრძლივი ინფუზიის შედეგად იქნა გამოიყენებული, როგორც სისხლძარღვების კვლის რემოდილატორებისა და იმეზური წყლულის რეგრესიის ხელშეწყობის ფაქტორი.

**არტერიული სპინდრის შეხორცება**

ნაყოფის ღია არტერიული ხაღის შესანახუნება დამოკიდებულია COX-2-ისგან წარმოებულ PGE<sub>2</sub>-ზე, რომელიც EP<sub>2</sub> რეცეპტორზე მოქმედებს. დაბადებისას, გაძლიერებული მიგრადიზმის შედეგად PGE<sub>2</sub>-ის დონე მცირდება, რაც ხელს უწყობს არტერიული ხაღის ოკლუზიას. გულის ზოგიერთი იანდაცილი დაავადების დროს (მაგ., მსხვილი ყალიბის არტერიების გრანსპლანტაცია, პულმონური ატრეზია, ფილტვის არტერიის სტენოზი), ქირურგიულ ხარვეამდე აუცილებელია ახალშობილის არტერიული ხაღის დაღ შენარჩუნება. ამ მიზნის განხორციელებაში PGE<sub>2</sub>-ს პრეპარატი ალპროსტადილი გვეხმარება. PGE<sub>2</sub>-ის მსგავსად, PGE<sub>1</sub> ხაც ვაზოდილატაციური და ანგიოტენზინული თვისებები ახასიათებს, გარდა ამისა იგი საშვილოსნოსა და ნაწლავის ვლუვი კუნთის შეკუმშვასაც განაპირობებს. მისი გვერდითი ეფექტებია ანოთიპროლია, მიპერტენსია და მიპერპირექსია. ფილტვისმიერი სწრაფი კლინიკის გამო, პრეპარატის ხანგრძლივი ინფუზია ინიშნება, საწყისი სინქარიტი 0.05-1 მიკროგრამი კგ წთ. რომელიც შემდგომ შესაძლოა გაზარდოს 0.4 მიკროგრამი კგ წთ -მდე. ხანგრძლივი მკურნალობა ზრდის არტერიული ხაღის დაღის დაღისა და რეპერტის რისკს.

არტერიული ხაღის დაღიანებული ოკლუზიის დროს, PGE<sub>2</sub>-ის სინთეზის დაღრუნებისა და ხაღის დაღრუნების ხელშეწყობის მიზნით, ხშირად COX-ის ინჰიბიტორები გამოიყენება. დღესათვის ახალშობილებში, ხაღის შესანარჩუნების გამო განვითარებული რესპირატორული დისტრეს სინდრომის სამკურნალოდ ინდომეტაციის გამოიყენება. მკურნალობის შედეგად ხშირად შესაძლებელი ხდება ხაღის დაღრუნების

მიზნით ქირურგიული ჩარევის თავიდან აცილება.

### სისხლი

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ეიკოზანოიდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თრომბოზების განვითარებაში, რაც TXA<sub>2</sub>-ის აგრეგანტული და PGI<sub>2</sub> ანტიაგრეგანტული თვისებებით აისხნება. ასპირინის დაბალი დოზა სელექტიურად თრეგუნავს COX-1-ის აქტივობას. თრომბოციტების გააქტივებისთანავე ასპირინის მიმართ; მათი სინთეზის დათრგუნვა ხელს უშლის თრომბოციტების მეორად აგრეგაციას, რომელიც განპირობებულია ADP-ით, თრომბინისა და კოლაგენის დაბალი კონცენტრაციითა და ეპინეფრინით.

მიმოხილვითი ანალიზის მიხედვით, ასპირინის დაბალი დოზა 25%-ით ამცირებს გულის შეტევასა და ინსულტის მეორად და განვითარების ალბათობას. თუმცა, იმპედროლად ორჯერ იმრდება საჭმლის მომწელებელი სისგემიდან ძლიერი სისხლდენის რისკი. ასპირინის მცირე დოზა ამცირებს მიოკარდიუმის ინფარქტის პირველად და განვითარების ალბათობასაც. ასპირინის დაღებითი ეფექტებისა და გასტროინტესტინური სისგემის მხრივ აღმოცენებული გართულებების შეფასება საკმაოდ რთულია. 34-ე თავში უფრო დეტალურადაა განხილული ასპირინის ზეგავლენა თრომბოციტების ფუნქციაზე.

### სასუნთქი სისგემა

ინჰალაციურ PGE<sub>2</sub>-ს ძლიერი ბრონქოდილატაციური თვისება ახასიათებს. თუმცა სამწუხაროდ იგი იწვევს ხველას. ჯერ-ჯერობით, არ არის შექმნილი მისი ისეთი ნაერთი, რომელსაც მხოლოდ ბრონქოდილატაციური ეფექტი ექნებოდა.

PGF<sub>2α</sub> და TXA<sub>2</sub> ძლიერი ბრონქოკონსტრიქტორები არიან. გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობდა აზრის, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ასთმის პათოფიზიოლოგიაში. ადამიანებში, ასთმასთან არის დაკავშირებული PGD<sub>2</sub> სინთაზისა და TP-ს გენების პოლიმორფიზმი. DP<sub>1</sub>-ის გენის ამომლა კი მკვეთრად ამცირებს ალერჯენ-განპირობებული ლიმფოციტური და ეოზინოფილური ინფილტრაციის ალბათობასა და ზოგადად ასთმის გემების ჰიპერმგრძობელობას. ფიქრობენ, რომ სასუნთქი გემების ასთმური ფეიკოლოგიის კონსტრიქციისას ღმინირებენ ცისგემური ლეიკოტრინები, - LTC<sub>4</sub>, LTD<sub>4</sub>, და LTE<sub>4</sub>, როგორც აღწერილია 20-ე თავში, ლეიკოტრინული რეცეპტორების ინჰიბიტორები (მაგ., ზაფირლუკასტი, მონგელუკასტი) ასთმის სამკურნალო ეფექტური საშუალებებია. ასთმის სამკურნალო ხშირად გამოიყენება აგრეთვე ლიპოქსიგენაზის ვისი ინჰიბიტორი (ზილუეტონი), თუმცა იგი ვერ სარგებლობს ლეიკოტრინული რეცეპტორების ანტიაგრეგაციის მსგავსი პოპულარობით. მწვავე რესპირატორულ დისტრესის სინდრომში ლეიკოტრინების როლი ჯერ-ჯერობით უცნობია. კორტიკოსტეროიდები და კრომოლინი ასთმის სამკურნალო ეფექტურობით ხასიათდებიან. კორტიკოსტეროიდები თრგუნავენ ეიკოზანოიდების სინთეზს და შესაბამისად ამცირებენ განვითარების უფლებული ეიკოზანოიდების რაოდენობას. საიარაულოდ, კრომოლინი თრგუნავს პოხიური უჯრედებიდან ეიკოზანოიდებისა და სხვა ისეთი მედიატორების გამოთავისუფლებას, როგორცაა მისგამისი და თრომბოციტების გამაქტივებელი ფაქტორი.

### საჭმლის მომწელებელი სისგემა

გერმინის „ციკლოპროქსია“ პირველად შემოთავაზებული იქნა ცხოველებში პეპტიური წყლულის საწინააღმდეგო E პროსტაგლანდინის პროტექციული ეფექტის აღნიშვნის მიზნით, რადგან მისი ეს ეფექტი მარილმჟავას სეკრეციის დათრგუნვის გარეშე ელანდება (მცირე დოზის გამოყენებისას). მრავალმა ექსპერიმენტულმა თუ კლინიკურმა კვლევამ ცხადყო, რომ PGE

და მათი ანალოგები ხელს უშლიან NSAID-ებით ან კორტიკოსტეროიდებით განპირობებული პეპტიური წყლულის გაქნებას. მიზნობრივად PGE<sub>1</sub>-ის ორალურად აქტიური სინთეზური ანალოგია. FDA-ს მიერ იგი დამტკიცებულია როგორც NSAID-ებით განპირობებული პეპტიური წყლულის სამკურნალო საშუალება. მისი რეკომენდებული დოზაა 200 მკგ თიხჯერ დღეში. ეს და PGE-ების სხვა ანალოგები (მაგ. ენპროსტილი) დაბალი დოზებით გამოყენებისას ციკლოპროქსეტულ ეფექტს ავლენენ, ხოლო მაღალ დოზებში კი თრგუნავენ მარილმჟავას სეკრეციას. აბდომინური დისკომფორტი და ზოგჯერ დიარეა მათი დოზა-დამოკიდებული გვერდითი ეფექტებია. უკანასკნელ ხანებში, PGE-ს ხანგრძლივი გამოყენების აღწერილია ძელების გტვილისა და ჰიპეროსტომის დოზა-დამოკიდებული შექთხვევები ღვიძლის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულ პაციენტებში.

კუჭის COX1-ის პროდუქტების PGE<sub>2</sub>-ისა და PGI<sub>2</sub> ის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, შეიქმნილია COX-2-ის სელექციური ინჰიბიტორები (იხ. 36-ე თავი). აღსანიშნავია, რომ ამ მაღალი სელექციური საშუალებების კლინიკურ გამოყენებას შესაძლოა თან ახლდეს გულსისხლძარღვითა სისგემასთან დაკავშირებული გოქსიკური ეფექტები.

### იმუნური სისგემა

იმუნური სისგემის უჯრედები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეიკოზანოიდების ბიოსინთეზში, რომელიც იმუნური პასუხის განვითარების პროცესში მიმდინარეობს. T და B ლიმფოციტები სინთეზის პირველად წყაროს არ წარმოადგენენ, თუმცა ეიკოზანოიდების მასინთეზირებელი მონოციტ-მაკროფაგული უჯრედებისათვის შესაძლოა ისინი არაქილონის მკაფის რესურს წარმოადგენენ. ვარდა ამისა, მტკიცებულებების მიხედვით, არსებობს თრომბოციტების, კრითროციტების, პოლიმორფონუკლეური და ენლოთელური უჯრედების ეიკოზანოიდ-დამოკიდებული უჯრეთმორის ურთიერთქმედება.

იმუნურ უჯრედულ პასუხზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ეიკოზანოიდები იმუნური სისგემის მოდულატორები არიან. *In vitro*, PGE<sub>2</sub> და PGI<sub>2</sub> კორტიკოსტეროიდების მსგავსად თრგუნავენ T-უჯრედების პროლიფერაციას. T-უჯრედების კლონურ ექსპრესიას ასუსტებს აგრეთვე ინტერლეიკინ-1-ისა და II-ის ინჰიბიტორები და მაკროფაგების ან სხვა ანტიგენმარეზენტირებელი უჯრედებით კლასი II ანტიგენის ექსპრესია. ლეიკოტრინები, TXA<sub>2</sub> და თრომბოციტების გამაქტივებელი ფაქტორი ასტიმულირებენ T-უჯრედების კლონურ ექსპრესიას. ეს ნაერთები ასტიმულირებენ ინტერლეიკინ-1-ისა და II-ის გამოშვებებს, აგრეთვე ინტერლეიკინ II-ის რეცეპტორების ექსპრესიას. ლეიკოტრინები ხელს უწყობენ ინტერფერონის γ-ს გამოსთავისუფლებას და ამ თვისების გამო შეუძლიათ ინტერფერონის γ-ს გამოსთავისუფლების სტიმულატორის, ინტერლეიკინ-2-ის ჩანაცვლება. ეიკოზანოიდების ეს *in vitro* ეფექტები თანმხვედრად მათი *in vivo* ეფექტების, რომლებსაც ისინი ცხოველებში გრანსპლანტაციის მოცილების მწვავე რეაქციის განვითარების დროსაც ავლენენ, როგორც ქვემოთ არის აღწერილი

### უჯრედ-დამოკიდებული ტრანსპლანტაციის მოცილება

გრანსპლანტაციური ორგანოს მწვავე მოცილება, უჯრედ-დამოკიდებული იმუნური პასუხის (იხ. 56-ე თავი). თირკმელების გაღანერგვის დროს PGI<sub>2</sub>-ის გამოყენება, ზოგიერთ შემთხვევაში მოცილების პროცესის უკუგანვითარებას განპირობებს როგორც *in vivo*, ასევე *in vitro* ექსპერიმენტებში ცხადყო, PGE<sub>2</sub> და PGI<sub>2</sub> ასუსტებენ T-უჯრედულ პასუხს; ასეთი ეფექტის მიღწევა შესაძლებელია TXA<sub>2</sub>-ისა და ლეიკოტრინების სინთეზის დამთრგუნველი საშუალებებითაც. კორტიკოსტეროიდები, რომლებიც თავიანთი ლიმფოციტისკური ეფექტის გამო, გრანსპლანტაციის

განგის მწვავე მოცილების საწინააღმდეგო პირველი რიგის პრეპარატებია, აინჰიბირებს როგორც ფოსფოლიპაზას, ასევე COX-2-ის აქტივობას.

**ანთება**

ასპირინი, დაახლოებით უკვე 100 წელია ართრიტის სამკურნალოდ გამოიყენება, თუმცა 1971 წლამდე მისი მოქმედების მექანიზმი უცნობი იყო. ასპირინი და COX-ის დამორგუნველი ანთების საწინააღმდეგო სხვა სამუალებები 36-ე თავშია განხილული. COX-2 უფრემენტის ის ფორმაა, რომელიც უფრო ხშირად ანთებით პროცესებში მონაწილე უჯრედებთან არის ასოცირებული. PGD<sub>2</sub>-ის გარდა, პროსტანოიდები არ არიან ქე-მოაგრაქტანტები: ლეიკოტრინები და ზოგადად HETE-ები (მაგ. 12-HETE) ძლიერი ქე-მოაგრაქტანტებია. PGE<sub>2</sub> თრეგნავს B ლიმფოციტების, როგორც ანტიგენ-განპირობებულ. ასევე მიტოგენ-განპირობებულ პროლიფერაციასა და პლაზმურ უჯრედებად დიფერენციაციას, რაც იწვევს IgM-ის სინთეზის ინჰიბირებას. PGE<sub>2</sub>-ის მიერ იმუნოლოგული რეაქციების ჯგუფის IGE-სკენ გადართვის უნარი აისხნება მძიმე გრავიტი და პოჯინის დაგეგმვის დროს შრატში IGE-ს, აგრეთვე მონოციტური PGE<sub>2</sub>-ის სინთეზის ერთდროული გაზრდა.

**რემეგროილული ართრიტი**

რემეგროილული ართრიტის დროს დაზიანებულ სახსრებში ადგილი აქვს იმუნური კომპლექსების დეპონირებას, რაც ანთებითი პროცესის, ეიკოზანოიდებით განპირობებულ გაძლიერებას იწვევს. ლიმფოციტები და მაკროფაგები ძირითადად სინოვიალურ გარსში აკუმულირდებიან, ხოლო პოლიმორფონუკლეური უჯრედები კი უმთავრესად სინოვიალურ სისხლში დეპონირდებიან. ეიკოზანოიდებიდან პოლიმორფონუკლეური უჯრედები ძირითადად ლეიკოტრინებს წარმოქმნიან, რომლებიც აძლიერებენ T უჯრედების პროლიფერაციას და ქე-მოაგრაქტანტების სახით მოქმედებენ. ადამიანის მაკროფაგები ასინთეზირებენ COX-ის პროდუქტებს (კერძოდ, PGE<sub>2</sub>-სა და TXA<sub>2</sub>-ს) და ლეიკოტრინების დიდ რაოდენობას.

**ინფექცია**

ეიკოზანოიდების ადგილი ინფექციურ დაავადებებში ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი. დადგენილია კორელაციური კავშირი ანთების საწინააღმდეგო სტეროიდული სამუალებების გამოყენებასა და ინფექციის განვითარების რისკს შორის. საყარაულოდ, NSAID-ების გამოყენება არ ახდენს ზეგავლენას ინფექციური დაავადებების მიმართ პაციენტის საპასუხო რეაქციაზე.

**გლაუკომა**

PGF<sub>2</sub>-ის სტაბილური და ხანგრძლივი ანალოგი ლაგანოპროსტი, პროსტანოიდების შორის გლაუკომის სამკურნალო პირველი პრეპარატია. ლაგანოპროსტის წარმატებამ ბიძგი მისცა თვალის წნეხის დამაქვეითებელი უფექტის მქონე მსგავსი პროსტანოიდების. ბიმაგოპროსტის, გრავეპროსტის, და უნოპროსტონის შექმნას. ისინი FP რეცეპტორებზე მოქმედებენ და თვალის წნეხის სახით დღემდე ორჯერ ინიშნებიან. მათი გვერდითი უფექტებია: თვალის უფრადი გარსისა და წამწამების მექქევალი ეპისფერ პიგმენტაცია, თვალის სიმშრალე და კონიუნქტივიტი.

**არაქილონის მჟავას მებაოლიზმის კვებითი მანიპულაციები**

